N47 (598) 24/XI-[...]2011 ფასი 1 ლარი

# გზა

**ჩემი რჩეული**

**ნოდარ დუმბაძე**

**ექსკლუზიური**

**ტომი III**

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის" ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა" ერთად 6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგი **ნოდარ დუმბაძე** ტომი IV



## ყიფშიძეების ოჯახს მალე ახალი წევრი შეემატება

„სიმშვიდის ძებნის ასაკში ვარ"

1168
2011

## ქეთა თოფურია ლედი გაგას ფანებს სიურპრიზს უწყობს

## სალომე დავითიშვილის პირველი სიყვარული

„320 ანთებული სანთლის ფონზეც გვივახშმია"



## 14 წლის გროზნოელი გოგონას დღიური-მხილება

„ისინი თავისიანებსაც ესროდნენ"

„დაგვჭრეს... აღმოვაჩინე, რომ ქვალი შიგნიდან თეთრია"



## ქალბატონი, რომელიც ლავრენტი ბერიას საქართველოდან გაექცა

## აკაკი წერეთლის ნათლულმა სამშობლოს ნატვრაში დალია სული



## უჩვეულო ქორწილი პანსიონატში

„74 წლის პატარძალი მართლმადიდებლად მოინათლა"

ISSN 1987-5029

## შემაძრწუნებელი შაკიკი და მისი მკურნალობის მეთოდები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჯადოსნური ქისა
# ჯადოსნური შანსი!

აღმოაჩინეთ „ლურჯი მონეტები“
„კვირის პალიტრაში“, „ყველა სიახლეში“.
ამოჭერით და შეაგროვეთ

შეაგროვებ მეტს
დახარჯავ ნაკლებს!

გამოიყენეთ „ლურჯი მონეტები“
სხვადასხვა მაღაზიაში სასურველი
ნივთის შესაძენად გასაყიდ ფასზე გაცილებით იაფად!

## ნოემბერში „ლურჯი მონეტები“ მოქმედებს:

| სად მოქმედებს? | კურსი (რას უდრის 1 „ლურჯი მონეტა“) | მაქსიმალური ფასდაკლება „ლურჯი მონეტით“ | პროდუქციის ჩამონათვალი |
|---|---|---|---|
| ბიბლუსი — წიგნების მაღაზიათა ქსელი | 1 „ლურჯი მონეტა“ = 1 ლარს | 50% | ნებისმიერი წიგნი შემდეგი სერიებიდან: „დიდი მხატვრები“ „ეს სამყაროა“ „ქართული პროზის საგანძური“ |
| Safilo — სათვალეების მაღაზიათა ქსელი | 1 „ლურჯი მონეტა“ = 10% ფასდაკლებას | 30% | მზის სათვალეები და ოპტიკური ჩარჩოები |
| celio* — მამაკაცის ტანსაცმლის მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა“ = 5% ფასდაკლებას | 20% | ახალ კოლექციაზე |
| GERRY WEBER — ქალის ტანსაცმლის მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა“ = 5% ფასდაკლებას | 20% | ახალ კოლექციაზე |
| DU PAREIL... au même — ბავშვების მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა“ = 5% ფასდაკლებას | 20% | ახალ კოლექციაზე |
| OSRAM — გერმანული ნათურები და განათების სისტემები | 1 „ლურჯი მონეტა“ = 5% ფასდაკლებას | 20% | ავტო ნათურები |
| mirco — აფთიაქი | 1 „ლურჯი მონეტა“ = 10 ლარს | 50% | „მიკროლაიფის“ ციფრული სასწორი |
| collezione — ტანსაცმლის მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა“ = 5% ფასდაკლებას | 25% | ახალ კოლექციაზე |
| OVS industry — ტანსაცმლის მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა“ = 5% ფასდაკლებას | 25% | ახალ კოლექციაზე |
| lotto ITALIAN SPORT DESIGN — სპორტული ტანსაცმლის მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა“ = 5% ფასდაკლებას | 25% | ახალ კოლექციაზე |

**პროექტში მონაწილეობის წესებს გაეცანით „კვირის პალიტრასა“ და „ყველა სიახლეში“!**

ჟურნალი „კარიბჭე“ წარმოგიდგენთ
ყოველ ნომერთან ერთად, ორ კვირაში ერთხელ!

ზღაპრად ნაამბობი ყველაზე
მთავარი წიგნი!




წიგნი 4
24 ნოემბერი

საღმრთო ისტორია
ილუსტრირებული ბიბლია ბავშვებისათვის
იაკობ გოგებაშვილისგან!

მეოთხე წიგნში:
- სოდომის დასჯა
- ისაკის დაბადება და მისი მსხვერპლად შეწირვა
- სარას სიკვდილი და ისაკის მიერ ცოლის შერთვა

წიგნის ფასი: 3 ლარი
(ჟურნალთან ერთად: 4 ლარი)

წიგნების ეს სერია იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

აპდილ-h სიროფი

ოთხფურცელა მარწყვბალახა, დარფილფილი,
ადჰადოტა ვასიკა, ძირტკბილა

მცენარეული ამოსახველებელი საშუალება

ამცირებს:
- ხველას
- ყელის ტკივილს
- ბრონქებში ნახველის შეგუბებას




აჯანტა ფარმა ლიმიტედი, ინდოეთი

PSP №1
ჩემი ოჯახის აფთიაქი
ალმაშენებლის გამზ. 148/II

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. გვერდით მოვლენებზე დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ ექიმს.

ქ. თბილისის მერიის პატრონაჟით

თიბისი ბანკი
TBC BANK

მ² - 550$-დან



უპრეცედენტო შემოთავაზება
მხოლოდ საბა ჯგუფთან ერთად
გურამიშვილის 78-ში

გაიცემა იპოთეკური სესხები
- სესხის გაცემა მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე
- თანამონაწილეობა 10%-დან
- სესხის დამტკიცება

ტელ: 227 27 27

გურამიშვილის 78
www.saba-group.ge

*7222

მთავარი ოფისი:
თბილისი,
ბუდაპეშტის 7

238 44 33
577 777 077
579 770 110

ჩაბარება
2012 წლის დეკემბერი



ყოველ შაბათ-კვირას
აქცია
ელექტრონიკის მაღაზიათა ქსელში
ელექტრონიკა
ჩვენ გიუმჯობესებთ ცხოვრებას
2011 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით
619.00 -27% 449.00
T 14
ნახ.მშრალი
B კლასი
249 ლიტრი
გარანტია 3წელი
INDESIT
699.00 -29% 499.00
SB 150
ნახ.მშრალი
B კლასი
263 ლიტრი
გარანტია 3წელი
INDESIT
719.00 -24% 549.00
B 15
ნახ.მშრალი
B კლასი
263 ლიტრი
გარანტია 3წელი
INDESIT
1599.00 -12% 1399.00
NMTM1912FWB
მშრალი FNF
A კლასი
421 ლიტრი
Hotpoint ARISTON
949.00 -21% 699.00
RL34SGSW
მშრალი
A კლასი
286 ლიტრი
მომსახურება 3წელი
SAMSUNG
499.00 449.00
WIN600
5 კგ.
600 ბრ.
INDESIT
529.00 499.00
WIN81
5 კგ.
800 ბრ.
INDESIT
599.00 549.00
AR 63
5 კგ.
600 ბრ.
Hotpoint ARISTON
849.00 -23% 649.00
AQXL 85
6 კგ.
AQUALTIS
800 ბრ.
Hotpoint ARISTON
529.00 499.00
WF0508NZW
5 კგ.
მომსახურება 3წელი
800 ბრ.
SAMSUNG
LE32C350D1
749.00 699.00
81 სმ
SAMSUNG
KLV-32BX300R
849.00 -12% 749.00
81 სმ
SONY
32PFL3605H/12
899.00 849.00
81 სმ
PHILIPS
LE40B551A6
1599.00 1499.00
1080p HD ready
102 სმ
SAMSUNG
VCC4130S31
129.00 -23% 99.00
VCC452AS3R
149.00 -20% 119.00
SAMSUNG
VC5915VT31
149.00 -19% 129.00
VC5915VT3B
149.00 -19% 129.00
SAMSUNG
VCC4142V3O
164.00 -15% 139.00
SAMSUNG
T2245TS
81.00 -15% 69.00
T2267TS
91.00 -14% 79.00
ROLSEN
• დიღომი, ბელიაშვილის 8, ტელ: 2-518-815
• ვარკეთილი, კალაუბნისა და ჯავახეთის ქ.კვეთა ტელ: 2-236-007
• ისანი, ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია, ტელ: 2-478-676
• საბურთალო, ვაჟა-ფშაველას 39, ტელ: 2-236-008
• გლდანი, სავაჭრო ცენტრი "ევრაზია", ტელ: 2-478-673
• რუსთავი, შარტავას გამზ. №4. ტელ: 2-146-765
• სავაჭრო ცენტრი "მეგალაინი", პავ. 87-89. ტელ: 2-478-672
• სავაჭრო ცენტრი "კიდობანი", პავ. 27. ტელ: 2-478-690
• გორი, ჭავჭავაძის 24, ტელ: 8-370-224-257
გვეწვიეთ!
საუკეთესო ხარისხის 1000-ზე მეტი
დასახელების საქონელი
SAMSUNG INDESIT SONY Panasonic TOSHIBA PHILIPS Hotpoint ARISTON TEFAL Rowenta Moulinex THOMSON
ელექტრონიკა
ჩვენ გიუმჯობესებთ ცხოვრებას
ტელ: 2 518 815

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვირის პალიტრა
გზა
№47 (598)
24 - 30 ნოემბერი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

## ქვეყანა



### ქეთა თოფურია ლედი გაგას განასახიერებს

ლედი გაგას როლს ჯგუფის სოლისტი ქეთა თოფურია შეასრულებს. ცნობილია, რომ ზაფხულში ქეთა თოფურიამ ლედი გაგას სტილისტს კოსტიუმები შეუკვეთა. ქეთა მოლაპარაკებებს ლედი გაგას დასთან, ნატალი ჯერმანოტასთან აწარმოებდა, რომელიც მისი სტილისტია.

8

■ მინიატიურები 5
რა გვჭირს? ა) კარგი არაფერი;
ბ) კარგი არაფერი; გ) კარგი არაფერი

■ ჭრელი მსოფლიო 6

■ პოლიტიკა 9

■ ადამიანი 10
„პრიცეპში" შეყრილი მგზავრები
და ვაკეს გადაფრენილი ავტობუსი

■ სამართალი 14
საზოგადოების სახელით გამოტანილი
პირველი გამამტყუნებელი ვერდიქტი

■ მხილება 16
სიცოცხლე მკვდარ ქალაქში
გროზნოელი გოგონას დღიური

■ ამპლუა 18
სასაცილო ჯულიეტას „დაკვირვებული თვალი"

■ ეკრანს მიღმა 20
გიო ყიფშიძე მამობისთვის ემზადება

■ პირადი ცხოვრება 22
სალი დავითიშვილის პირველი სიყვარული

■ ტანდემი 24
რა რჩევებს აძლევს მაია ასათიანი ნახევარდას

## სახე



### რა რჩევებს აძლევს მაია ასათიანი ნახევარდას

„მე ვეროსგან რადიკალურად განსხვავებული ვარ: შეიძლება რაღაც დავგეგმო, მაგრამ მერე ყველაფრის შეცვლა მომინდეს, სხვა ინტერესი გამიჩნდეს და გზიდან გადავუხვიო...

24

27895

## ცხოვრება

### სამების ტაძარი — ქართველი ხალხის ავტოპორტრეტი



„წმინდა სამების საკათედრო ტაძარი ნათელი გამოხატულებაა იმისა, თუ რა შეუძლია, თუნდაც ძნელბედობის ჟამს, ერთად მდგომ ქართველობას".

33

## გზა ვნილები

### გამოაშკარავებული ღალატი



„ცნობიერებაზე მოსულს, რაღაცები გამომკითხა ამ მეტად სიმპათიურმა პატრულმა, მაგრამ უსარგებლო ინფორმაცია მივაწოდე, რადგან დღემდე არ ვიცი, ვინ სცადა ჩემი მოტაცება..."

64

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლ...

ელექტრონული ბიბლიოთეკა


■ ვარსკვლავები 26

■ მეომარი 28

■ რეპორტაჟი 30
იქნებ მათთვისაც მოიცალოს ვინმემ...

■ სულის სიმტკიცე 31
„ცნობილი ჰოკეისტი — პაველ ბურე ჩემთან პირადად მოვიდა და მითხრა, — ქართველები მართალა მაგრები ხართ“

■ სავანე 33
სამების ტაძარი — ქართველი ხალხის ავტოპორტრეტი

■ ნამდვილი ამბავი 36
წუნდებული ყანწები...

■ თინეიჯერული პონტები 37
მიტოვებული შეყვარებულები

■ ჰობი 40
„ვის“ აბანავებდა კობა ხაბაზი ღამის 4 საათზე

■ ანტიდეპრესანტი 42

■ ავტო 42

■ ერუდიტი 44
„ეს უნდა დაწერო? საქვეყნოდ თავი მომეჭრა“

■ ტაძარი 46
სოლომონ მეფე-წინასწარმეტყველი

■ ემიგრანტი 47

■ საკითხავი ქალებისათვის 50

■ ჯანმრთელობა 51

■ წვეთი პოეზია 54

■ რჩეული 55

■ ქართული დეტექტივი 56
რუსუდან ბერიძე. აბრეშუმის ვალეტი (გაგრძელება)

■ რომანი 60
სვეტა კვარაცხელია. წაგებული თამაში (დასაწყისი)

■ გზავნილები 64
გამოაშკარავებული ღალატი

■ ეს სამყაროა 76

■ გასართობი 78

■ ასტროლოგია 80

■ სკანვორდი 81

■ მოზაიკა 82


## სამყარო



### შაკიკი ანუ ჰემიკრანია

შაკიკი ანუ ჰემიკრანია გავრცელებული, ნევროლოგიური დაავადებაა, რომელსაც ძლიერი, მოულოდნელად აღმოცენებული შეტევითი და განმეორებითი ხასიათის თავის ტკივილი ახასიათებს. ძლიერი ტკივილი შეიძლება 4-დან 72 საათამდე გაგრძელდეს.

52

## ბიბლუსი



### ჩანაწერები უბის წიგნაკიდან

ადამიანი ყველაფერს შეიძლება შეეგუოს — უხარისხო ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, პურს, უფრო მეტიც — ადამიანმა შეიძლება გაუძლოს შიმშილს, სიშიშვლეს, სიცივეს, სიღატაკეს, მაგრამ სულიერ სიღატაკეს ჩვენი ხალხი ვერასოდეს ვერ შეეგუება.

55

## ტაიმ-აუტი



### „მწვანე“ ვარსკვლავები

ტობი მაგუაიერი ვეგეტარიანელი ნატალი პორტმანის გავლენით გახდა. საკუთარ სახლში ტყავის ქურთუკით მოსულ სტუმრებსაც კი არ უშვებს. თავად ნატალი 20 წლის მანძილზე ვეგეტარიანელი იყო, მაგრამ ფეხმძიმობისას კვერცხსა და რძეს მიირთმევდა.

76


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.



# რა გვჭირს? ა) კარგი არაფერი; ბ) კარგი არაფერი; გ) კარგი არაფერი

**შესავლის ნაცვლად** ძეგლებზე (აღებულ-მოგლეჯილებზე, გადატანილსა თუ ახალდადგმულზე) იმდენი ვწერეთ და ვილაპარაკეთ გასულ კვირაში მეც და სხვამაც, რომ აღარაფრის თქმას აღარ ვაპირებ...

არადა, რიყის პარკში — არც მეტი, არც ნაკლები — რეიგანის ძეგლი დადგეს, ოღონდ პატარა იალლიში მოუვიდათ ჩვენებს: თურმე ნუ იტყვით და, გასულ ზაფხულს უნგრეთის დედაქალაქში გაუხსნიათ ამერიკის მე-40 პრეზიდენტის ძეგლი, პოლონელებმა კი სულ რამდენიმე დღით დაგვასწრეს და ამ ორშაბათს უკვდავყვეს თავისუფლებისათვის დიდი მებრძოლის სახე ბრინჯაოში...

რეიგანის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. პირიქით — ადრე რომ მოეფიქრებინათ და ბუშის ქუჩის ან ალიევის ძეგლის მაგივრად გაეკეთებინათ, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, სააკაშვილი როგორ გადაიტანს, რომ „ევროპაში პირველი" აღარ ვართ და მხოლოდ „საპრიზო სამეულს" დავჯერდით...



ძეგლებზე არაფერს ვიტყვი-მეთქი, მაგრამ ისე გამოდის, რომ კიდევ უფრო მობეზრებულ და „გადაღეჭილ" თემაზე უნდა გესაუბროთ — რეიტინგებზე, სოციოლოგიურ კვლევებზე, გამოკითხვებზე...

არა, არა — რაღაც „ორიგინალურის" შემოთავაზებას მაინც ვეცდები, რადგან ახლა არც პროცენტებზე და არც შედეგების განხილვაზე არ მოგაცდენთ, ამჯერად თვითონ გამოკითხვებში დასმულ შეკითხვებსა და პასუხების ვარიანტებზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას და თავად დარწმუნდებით ზოგიერთი ქართული გაზეთის, განსაკუთრებით კი ინტერნეტგამოცემის უსაზღვრო ფანტაზიაში.

შესაძლოა, არაკოლეგიალურიც იყოს ჩემი მხრიდან, მაგრამ აბა, როგორ არ გამეცინოს, როდესაც ერთ-ერთ (ერთ-ერთ კი არა, ყველაზე მეტად) „ანტიბიძინურ-პრომიშისტურ" საიტზე ასეთი გამოკითხვა დევს:

ვინ არის ბიძინა ივანიშვილი?

ა) პუტინის მარიონეტი;

ბ) ოლიგარქი, რომელიც რუსული ოცნების ასრულებას ცდილობს;

გ) „მეწველი ძროხა" ქართული ოპოზიციისთვის.

როგორია?! ხომ არის ფართო არჩევანი?! აი, ეს არის დემოკრატიული პრესა: რომელი პასუხიც გინდა, დააფიქსირე და დარწმუნებული იყავი, რომ შენი ხმა არ დაიკარგება.

აი, კიდევ ერთი ინტერნეტგაზეთის გამოკითხვა:

რატომ თანამშრომლობენ ქართული პოლიტიკური პარტიები ივანიშვილთან?

ა) პოლიტიკური ინტერესების გამო;

ბ) ფინანსური ინტერესების გამო;

გ) ივანიშვილი უმოკლესი გზაა კრემლისაკენ;

დ) მიჭირს პასუხის გაცემა.

აი, ამათ მგონი, ზედმეტი მოუვიდათ — რა საჭირო იყო მე-4 პასუხი? როგორ უნდა გაგიჭირდეს პირველი სამი პასუხიდან ამორჩევა?

თხა თხაზე ნაკლებიო... — ნათქვამია. მეც ჩავატარებ საკუთარ გამოკითხვებს, ხომ უნდა ვიცოდე, რას ფიქრობს ხალხი უკანასკნელ მოვლენებზე? მაშ ასე (პასუხები გამოგზავნეთ, დავაჯამებ და შედეგს გამოვაქვეყნებ):

როგორია რეიგანის ძეგლი რიყეზე?

ა) კარგი; ბ) ძალიან კარგი; გ) უკეთესი.

რა „ზვანია" აქვს ბიძინა ივანიშვილს რუსულ ФСБ-ში?

ა) უმცროსი ლეიტენანტი; ბ) ლეიტენანტი; გ) უფროსი ლეიტენანტი.

რამდენი პროცენტი უნდა ჰქონდეს „ნაციონალურ მოძრაობას" საქართველოს პარლამენტში?

ა) 85; ბ) 86; გ) 87.

ვინ არის საქართველოში ყველაზე „კაი ტიპი"?

ა) პალიკო კუბლაშვილი; ბ) ნუგზარ წიკლაური; გ) კობა ხაბაზი.

წიკლაურზე გამახსენდა — ივანიშვილზე რომ თქვა, „აღზევებული მდაბიოა", თვითონ წიკლაური არის:

ა) ბარონი; ბ) გრაფი; გ) მარკიზი.

2008 წლის ომში საქართველომ:

ა) გაიმარჯვა; ბ) ძლევამოსილად გაიმარჯვა; გ) რუსეთს „გადაუარა".

კიდევ უამრავი ასეთი გამოკითხვის ჩატარება შეიძლება და სასარგებლოც იქნება — ხალხის აზრი ხომ უმთავრესია. სასიხარულოა, რომ ჩვენი ხელისუფლება ყოველთვის ყურადღებას აქცევს ასეთ გამოკითხვებს.

**P.S.** სულაც არ მინდა, ვილაცებმა ისევ ხელისუფლების ხელუკულმა მლანძღველის იარლიყი მომაკერონ. მეორე მხრივ, როგორც კი ოპოზიციაზე რამე წამომცდება, „მიშისტობას" მიყიჟინებენ მავანნი...

მაინც გავრისკავ: და ოპოზიციურ საიტებს თუ გაზეთებსაც შევთავაზებ ორიოდე გამოკითხვას:

ვინ არის ბიძინა ივანიშვილი?

ა) მამა; ბ) მარჩენალი; გ) ბიძინა ბიძია.

ვინ არის ყველაზე კარგი ადამიანი მსოფლიოში?

ა) ივანიშვილი; ბ) ივანიშვილი; გ) ივანიშვილი.

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქვეყანა

## ჰილარი კლინტონს ქვები დაუშინეს



ფილიპინების დედაქალაქში ათეულობით დემონსტრანტი ამერიკის სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის კორტეჟს თავს დაესხა და ქვები დაუშინა. დემონსტრანტები კვერცხებსა და საღებავის ბურთებსაც ისროდნენ. მათ ამ ფორმით აშშ-ის საგარეო პოლიტიკა გააპროტესტეს. სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის, მარკ ტონერის თქმით, ინციდენტის შედეგად არავინ დაზარალებულა. თავდასხმა მაშინ მოხდა, როდესაც კლინტონი მანილის საპრეზიდენტო სასახლიდან მოემართებოდა. დემონსტრანტების გამოჩენისთანავე ესკორტმა სიჩქარეს უმატა და სახელმწიფო მდივანი დანიშნულების ადგილამდე უვნებლად მიიყვანა. ტონერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჰილარი კლინტონი იმ ავტომანქანაში არ იჯდა, რომელიც თავდასხმის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა. ■

## არაბ ქალებს ლამაზი თვალების გამოჩენაც აუკრძალეს



საუდის არაბეთში ქალებს ამიერიდან თვალების დაფარვაც მოუწევთ. ქვეყნის რელიგიური პოლიციის გადაწყვეტილებით, ლამაზი თვალების მქონე ქალბატონები ვალდებული იქნებიან, მუქი ფერის მზის სათვალე ატარონ. არაბი ქალები პლანეტის ყველაზე უუფლებო მოქალაქეებად მიიჩნევიან. ისინი ვალდებული არიან, დაიფარონ მთელი სხეული, თმა, სახე და ახლა უკვე თვალებიც. მათ მხოლოდ ნათესავ მამაკაცებთან საუბრის უფლება აქვთ, გარეთ გასვლაც მხოლოდ ნათესავის თანხლებით შეუძლიათ. საუდის არაბეთში ქალების ქცევას რელიგიური პოლიცია, „ხაია" აკონტროლებს. რელიგიურ პოლიციელებს სამეფოს ნებისმიერი ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება აქვთ. ისინი მაღაზიებში, დაწესებულებებსა თუ კინოთეატრებში მუდმივად ამოწმებენ წყვილების დოკუმენტებს იმის გასარკვევად, ნამდვილად ერთმანეთის ნათესავები არიან თუ არა ისინი. ■

## ამერიკაში ყველაზე მსუბუქი ხელოვნური მასალა შექმნეს

ამერიკელმა ფიზიკოსებმა და ინჟინრებმა პლანეტაზე ყველაზე მსუბუქი ხელოვნური მასალა შექმნეს. ეს არის უმსუბუქესი ლითონის მილების ბადე. თითოეული მილის სისქე ადამიანის თმის ღეროს სისქეზე ათასჯერ მცირეა, სიმკვრივე კი 0,9 მილიგრამია. ხელოვნური მასალა პენოპლასტზე 100-ჯერ მსუბუქია და ენერგიის შთანთქმის უჩვეულოდ ძლიერი უნარი აქვს. მისი გამოყენება შესაძლებელია მომავლის აკუმულატორის ელემენტის კონსტრუქციაში. ■

## „...ბირთვული იარაღის გამოყენების უფლებას ვიტოვებთ"

„შესაძლოა, ლოკალური და რეგიონული კონფლიქტები მსხვილმასშტაბიან ომში გადაიზარდოს. ასეთ შემთხვევაში, რუსეთის დოქტრინის მიხედვით, ბირთვული იარაღის გამოყენების უფლებას ვიტოვებთ", — განაცხადა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა მაკაროვმა. რუსი გენერლის განცხადებას ფაინენშლ ტაიმსის კორესპონდენტმა და რუსეთის საქმეების სპეციალისტმა დევიდ სატერმა ავის მომასწავებელი უწოდა. „ეს რუსეთის თვითდამკვიდრების კიდევ ერთი მაგალითია. მას პრეტენზია აქვს, გაუწიონ ანგარიში. იგი იტოვებს უფლებას, ჩაერიოს თავის საზღვართან არსებულ ნებისმიერ რეგიონულ კონფლიქტში, — აღნიშნა სატერმა. ამერიკელი ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ რუსეთის გენშტაბის უფროსმა ამ განცხადებით დასავლეთი გააფრთხილა. როგორც გაზეთი კომერსანტი წერს, გენერლის მუქარა საქართველოს ნატოში შესაძლო გაწევრებით იყო განპირობებული". როგორც მოგეხსენებათ, მაკაროვის განცხადებამდე ერთი კვირით ადრე თბილისში მყოფმა ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდა ნატოს. სატერის თქმით, ვაშინგტონში მაკაროვის განცხადებას შესაბამისი რეაქცია მოჰყვება. ცხადია, ეს უარყოფითად აისახება ორმხრივ ურთიერთობაზე, ვინაიდან გენერალი შეგვახსენებს, რომ ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ რუსეთის არაპროგნოზირებადი ქმედებები. ეს ხელს არ უწყობს საერთაშორისო სტაბილურობის შენარჩუნებას, — აღნიშნა მან. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უჩვეულო ქორწილი პანსიონატში

თეა ხურცილავა

22 ნოემბერს, თბილისში, ხანდაზმულთა პანსიონატში, დილიდან უჩვეულო მზადება იყო. საქორწილო დარბაზი „ჰეფი დეის“ დიზაინერებმა საგანგებოდ ლამაზად მორთეს. სახლის ბინადარნიც მხიარულ განწყობილებაზე იყვნენ და სიძე-პატარძლის გამოჩენას მოუთმენლად, დიდი ინტერესით ელოდნენ.

თავად პატარძალმა საქორწილოდ მზადება რამდენიმე დღით ადრე დაიწყო. მხოლოდ იმაზე წუხდა, რომ სალებავმა მისი ჭაღარა ვერ შეღება. სასიძომ გაამხნევა, ნუ ნერვიულობ, ძალიან ლამაზი ხარ და ასეთი ჭაღარა მომწონხარო. პატარძლის საქორწინო კაბაზე დიზაინერმა თათა ვარდანაშვილმა იზრუნა. ლამაზი, კრემისფერი კაბა, თეთრი პალტო, თეთრი ბერეტი და ლამაზი ფეხსაცმელი პატარძლისთვის მის სამკერვალოში შეიკერა. არც სიძეს დასწყვიტა გული, საჩუქარი მასაც გაუკეთა — „აზიაცკები“ შეუკერა. სიძეს წითელი ჩოხა ეცვა, მეჯვარეს კი — შავი. გამოპრანჭული წყვილი მეჯვარეების თანხლებით, 1932 წელს გამოშვებული თეთრი ფერის „მერსედერს-ბენცით“, თემქაზე მდებარე, მარიამ ღვთისმშობლის ტაძარში მიაბრძანეს. ტაძრის ეზოში წითელი ხალიჩა იყო დაგებული, ჩოხებში გამოწყობილმა, ანსამბლ „რუსთავის“ ახალგაზრდებმა, წყვილი ხანჯლების ქვეშ გამოატარეს და სიმღერაც გაისმა: „ვისია, ვისია, ქალი ლამაზი...“

„ჩემია, ჩემია, ქალი ლამაზი“, — აჰყვა მომღერლებს სიძე და აპლოდისმენტებიც დაიმსახურა.

87 წლის შოთა ბიძინაშვილმა და 74 წლის რიმა ოკომციანმა ჯვარი დაიწერეს და ერთმანეთს სიყვარული შეჰფიცეს. პატარძლის მეჯვარე და ნათლია, პანსიონატის დირექტორი ნინო დვალიშვილი გახლდათ, ხოლო სიძის მეჯვარე — უშანგ ჩიკვაიძე. ჯვრისწერას ქალბატონი რიმას მართლმადიდებლად მონათვლა უსწრებდა წინ.

სააგენტომ და პანსიონატის ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ეს დღე მათთვის გაელამაზებინათ და გრანდიოზული ქორწილი გადაეხადათ. როგორც შევიტყვეთ, ამაში მათ სხვადასხვა ორგანიზაცია დაეხმარა. შამპანური და ორი დიდი ტორტი ამ პროდუქციის მწარმოებელმა ცნობილმა კომპანიებმა საჩუქრად გამოგზავნეს.

მაყრიონში დაქორწინებულების შვილები, შვილიშვილები, დისშვილები და ახლობლები იყვნენ. წყვილისთვის საქორწინო ბეჭდებიც საგანგებოდ დამზადდა. ბეჭდებს პატრიარქის ხელმოწერა ამშვენებს. ტაძრიდან პანსიონატში დაბრუნებულ წყვილს პანსიონატის ბინადრები და მოწვეული სტუმრები ოვაციებითა და ტაშით შეხვდნენ; იყო მილოცვები და სამახსოვრო საჩუქრებიც. მერე ყველამ ერთად გაშლილ სუფრასთან გადაინაცვლა და ტრადიციული ქეიფი გაჩაღდა.

სუფრის თამადობის პატივი, პანსიონატის ბინადარს — კარლო ქოჩქიანს ერგო. ქორწილში ნოდიკო ტატიშვილმა, მამუკა ონაშვილმა, ნინო ჩხეიძემ და ზურაბ დოიჯაშვილმა იმღერეს. ხალხური და საესტრადო სიმღერები ერთმანეთს ენაცვლებოდა. მეექვსე სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა ვიოლინოსა და ფორტეპიანოზე დაუკრეს. ანსამბლ „რუსთავის“ ბიჭებმა ცეკვებით გაალამაზეს ქართული სუფრა. არც სიძე-პატარძალი ჩამორჩა მოცეკვავეებს და ვალსი შეასრულა.



ორივე მათგანისთვის ეს მეორე ქორწინებაა. მეუღლეების გარდაცვალების შემდეგ, ისინი პანსიონატში აღმოჩნდნენ და ერთმანეთი სწორედ აქ გაიცნეს. ჯვრისწერაც ეპისკოპოსის კურთხევით მოხდა. მათთან გასაუბრება ქორწილის წინადღეს შევძელი და ძალიან მხიარულ განწყობილებაზე დამხვდნენ. კარგად იციან ერთმანეთის განვლილი ცხოვრების დეტალებიც. ამბობენ, ყოფილ მეუღლეებთან ბედნიერად ვცხოვრობდით, მათ ხსოვნას პატივს ყოველთვის მივაგებთ, მაგრამ აუცილებელია, ჩვენც ახალი ცხოვრება დავიწყოთ და ბედნიერები ვართო.

ჩვენც ვულოცავთ კეთილ მოხუცებს დაქორწინებას და ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას ვუსურვებთ, ხოლო ქალბატონი რიმასა და ბატონი შოთას განვლილი ცხოვრებისა და მათი უჩვეულო სიყვარულის ამბავზე ვრცლად „გზის“ მომდევნო ნომერში მოგითხრობთ. ■

# სამარაში ქართველი ახალგაზრდა მოკლეს

სამარელმა პოლიციელებმა 19 წლის მამუკა კახიშვილი ცემით მოკლეს.

კახიშვილი მეგობრებთან ერთად, კაფე „კასპიაში“ მივიდა, თავდაპირველად იქ მარტო შევიდა იმის დასადგენად, იყო თუ არა თავისუფალი ადგილები, მაგრამ რამდენიმე წუთში დაბრუნდა და თქვა, რომ კაფე ბანკეტისთვის იყო დაკავებული.

როგორც გარდაცვლილის მეგობრები იხსენებენ, ვიდრე ისინი სხვა საქეიფო ადგილის შერჩევაზე მსჯელობდნენ, „კასპიიდან“ 3 მამაკაცი გამოვარდა, მამუკა მიწაზე დააგდო, ცემა დაუწყო და ხელბორკილები დაადო. მათ მალე სხვებიც შეუერთდნენ და კახიშვილსა და მის მეგობრებს დაერივნენ. ერთ-ერთი მათგანი, დიმიტრი ტრიშკინი, რომლის ავტომობილითაც მეგობრები კაფესთან მივიდნენ, იხსენებს, რომ მანქანიდან გადმოათრიეს და ცემა დაუწყეს. „მე 4 თუ 5 კაცი მირტყამდა, მამუკას — 8 თუ 10. კახიშვილმა გონება დაკარგა. ერთ-ერთმა პოლიციელმა მას მუცელზე ანთებული სიგარეტი დაადო, რათა შეემოწმებინა, ცოცხალი იყო თუ არა. მამუკა არ გაინძრა და ის პოლიციის მანქანაში ტომარასავით შეაგდეს“, — იხსენებს ტრიშკინი. კახიშვილის მამა ამბობს, რომ მისი შვილის სხეული სასტიკად იყო დასახიჩრებული. პოლიციის ვერსიით, სამართალდამცველები კაფეში პროფესიულ დღესასწაულს აღნიშნავდნენ. მათ დაინახეს ახალგაზრდა, რომელიც ძებნილს მიამსგავსეს და მისი დაკავება სცადეს, მაგრამ ის გაიქცა. დაეწივნენ, მიწაზე დააგდეს, შებორკეს და მანქანაში ჩასვეს. ამ დროს კი აღმოაჩინეს, რომ დაკავებული უკვე გარდაცვლილი იყო. კახიშვილების ოჯახი სამარაში საცხოვრებლად 17 წლის წინ გადავიდა. მამუკა კახიშვილს მარჯვენა ხელი განუვითარებელი ჰქონდა და მეორე ჯგუფის ინვალიდი იყო. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქეთა თოფურია ლედი გაგას განასახიერებს



რუსულმა ჯგუფმა „ა სტუდიომ“ გადაწყვიტა, საკუთარი ძალები ცეკვაში მოსინჯოს. ჯგუფის წევრები პაროდიულ Стиляги шоу-ში ეპატაჟური მომღერლის, ლედი გაგას საბალეტო დასს განასახიერებენ.

თავად ლედი გაგას როლს ჯგუფის სოლისტი ქეთა თოფურია შეასრულებს. „ლედი გაგა ისეთივე მხიარულია, როგორიც ქეთა. მართალია, რეპეტიციებზე სულ გვეცინებოდა, მაგრამ შესაძლოა, ზოგიერთი ილეთი მოგვიანებით კონცერტებზეც გამოვიყენოთ, — განაცხადა ჯგუფის ლიდერმა ბაიგალი სარკებაევმა. პაროდიულ „სტილიაგი შოუში“ შოუბიზნესის, სპორტისა და პოლიტიკის წარმომადგენლები სხვადასხვა პერსონაჟს ასახიერებენ. პრემიერა 20 ნოემბრისთვისაა დაგეგმილი, ხოლო ქეთასა და ჯგუფის დანარჩენ წევრებს მაყურებელი 27 ნოემბერს იხილავს.

ცნობილია, რომ ზაფხულში ქეთა თოფურიამ ლედი გაგას სტილისტს კოსტიუმები შეუკვეთა. ქეთა მოლაპარაკებებს ლედი გაგას დასთან, ნატალი ჯერმანოტასთან აწარმოებდა, რომელიც მისი სტილისტია. ადრე ჯერმანოტა უარს ამბობდა სხვა ვარსკვლავთან მუშაობაზე, მაგრამ გაგას „კურთხევის“ შემდეგ, სრული შემოქმედებითი თავისუფლება აქვს. ■



# საერთაშორისო აფერა ქართულად



ბათუმის პირველი საერთაშორისო როკფესტივალის — „გოლდენ ტალანტ 2011“-ის პრიზიორებსა და მონაწილეებს შეპირებული თანხა დღემდე არ მიუღიათ. კონკურსი ბათუმში 7-10 სექტემბერს ჩატარდა. ორგანიზაცია „ჯორჯ არტ ფესტს“ თანხა 30 სამუშაო დღეში ანუ 21 ოქტომბრამდე უნდა გადაეხადა. როგორც მე-2 ადგილის პრიზიორი სალომე ქათამაძე ამბობს, ფული გაწეული სამუშაოსთვის სცენის ამწყობსაც კი არა აქვს მიღებული.

ბათუმის კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ნათია სურგულაძე ადასტურებს, რომ „გოლდენ ტალანტთან“ დაკავშირებით უხერხული ვითარება შეიქმნა. მისივე თქმით, ბათუმის მერიას როკფესტივალისთვის 160 ათასი ლარი უნდა გადაერიცხა. ეს დაპირება მათ შეასრულეს. დანარჩენი თანხა კი ორგანიზატორს „ჯორჯ არტ ფესტს“ თავად უნდა მოეძია. ფესტივალის მენეჯერი ეკა ჩიტაშვილი, რომლისთვისაც გასამრჯელოს სახით, 30 ათასი ევრო უნდა გადაეხადათ, ამბობს, რომ ფესტივალი დიდი აფერა იყო და შეიძლება, ამას საერთაშორისო სკანდალი მოჰყვეს. ბათუმში, თაყაიშვილის ქუჩაზე „ჯორჯ არტ ფესტის“ ოფისი დაკეტილია. მობილურს არ პასუხობენ ორგანიზაციის ხელმძღვანელები არჩილ დოლიძე და ნათია ნათბილაძე. ■



რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ
გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რა კავშირში „გვეპატიჟება“ მოსკოვი, განადგურების მუქარის თანხლებით

**მედვედევი და პუტინი ქართველებს ევრაზიის კავშირში გვეპატიჟებიან. იმასაც იმედოვნებენ, რომ რუსები და ქართველები ეკლესიის დახმარებით, ურთიერთობას აღვადგენთ, მაგრამ ამასთან ერთად, დაბომბვით გვემუქრებიან. როგორც მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინ ცნობილმა რუსმა კინორეჟისორმა ნიკიტა მიხალკოვმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ თურმე ევრაზიის კავშირი საქართველოს გარეშე ძალიან ღარიბი იქნება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ რუსეთში კრემლის ნებართვის გარეშე პოლიტიკურ განცხადებებს არავინ აკეთებს, თანაც ევრაზიის კავშირის შექმნის იდეა პრემიერ-მინისტრს ეკუთვნის, უნდა ვივარაუდოთ, რომ ევრაზიის კავშირში თავად პუტინი გვეპატიჟება.**

*ხათუნა ბახტურიძე*

*ალსანიშნავია ისიც, რომ მედვედევი სხვადასხვა ქვეყნის მართლმადიდებლური ეკლესიების მეთაურებს, მათ შორის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსაც შეხვდა და მათთან საუბრისას განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებს შორის გლობალური, ეკონომიკური და იდეოლოგიური პრობლემები არსებობს, ეკლესიას ხალხებს შორის ურთიერთობებს განმტკიცება შეუძლია“. ამ ყველაფერთან ერთად, რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი მაკაროვი ამბობს, რომ შესაძლოა, ლოკალური და რეგიონული კონფლიქტები მსხვილმასშტაბიან ომში გაიზარდოს და მოსკოვმა, რუსეთის დოქტრინის მიხედვით, შეიძლება, ბირთვული იარაღიც კი გამოიყენოს. ეს ყოველივე ბევრ კითხვას წარმოშობს.*

— **დასავლეთში, რუსი პრემიერის იდეას საბჭოთა კავშირის აღდგენის მცდელობად მიიჩნევენ. თავად პუტინი კი ამბობს, რომ გულუბრყვილობაა წარსულიდან რაიმეს აღდგენის მცდელობა და მისი პროექტი მონაწილეებს ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბაზაზე ინტეგრაციის შესაძლებლობას მისცემს. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხთან დაკავშირებით?**

**კახა გოგოლაშვილი,** *ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი:*

— იმ ხალხისთვის, ვინც დღეს რუსეთის ხელისუფლებაშია, საბჭოთა კავშირის დაშლა XX საუკუნის გეოპოლიტიკურ კატასტროფად არის მიჩნეული. პუტინმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო საბჭოთა კავშირის მსგავსი გაერთიანების შექმნაზე ფიქრი. მის ამბიციას დსთ არ აკმაყოფილებს. პუტინს, „ევრაზიის კავშირის“ სახით, დაახლოებით ისეთი გაერთიანების ჩამოყალიბება სურს, როგორიც ევროკავშირია, ოღონდ ერთი პრინციპული განსხვავებით: თუ ევროპულ გაერთიანებაში შემავალი ყველა ქვეყანა თავისუფალი, სუვერენულია, გადაწყვეტილებებს კოლექტიურად იღებენ და არც ერთი სახელმწიფო არ არის დომინანტი, რუსეთს სურს, „ევრაზიულ კავშირში“ მხოლოდ თავად იყოს როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის განმსაზღვრავი.

— **თქვენი აზრით, სხვადასხვა ქვეყნის მართლმადიდებლური ეკლესიების მეთაურებთან მედვედევის შეხვედრა და ეკლესიის როლზე საუბარი რას უნდა ნიშნავდეს?**

— ეკლესიას მართლა აქვს პოტენცია, გადალახოს ის წინააღმდეგობები, რომლებიც ადამიანური სისუსტეებისა თუ შეცდომების შედეგად ჩნდება, დაპირისპირებულ ერებს შორის ურთიერთობა დაარეგულიროს, მაგრამ როდესაც საკითხი რუსეთს ეხება, საქმე სხვაგვარად არის. ყველამ კარგად ვიცით, რომ რუსული ეკლესია ქართველების მიმართ არასდროს გამოხატავდა კეთილგანწყობილებას, არ გამოუთქვამს პროტესტი, როდესაც მისი ხელისუფლება ქართველებს უსამართლოდ, არაქრისტიანულად ექცეოდა. მე მაინც მგონია, მეუფე კირილის იუბილეზე მართლმადიდებლური ეკლესიების მეთაურებთან შეხვედრისას დმიტრი მედვედევმა ეს განცხადება მხოლოდ პიარის მიზნით გააკეთა.

— **რამდენად შესაძლებელია, თუნდაც პიარის მიზნით და იმის გათვალისწინებითაც, რომ საქართველოს პატრიარქს რუსებიც დიდ პატივს სცემენ, მოსკოვმა ეკლესიას მართლაც მისცეს ქართველებსა და რუსებს შორის ურთიერთობის თუნდაც გარკვეულწილად, დალაგების საშუალება?**

— მგონია, რომ უწმინდესი, თავისი ღვაწლისა და გავლენის წყალობით, საქართველოს ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნებას ბოლომდე მოახერხებს. პატრიარქმა კირილმა აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებაზე ერთხელ უკვე თქვა უარი. უწმინდესმა კიდევ ერთი კეთილშობილური მიზანი დაისახა — ის ახლა ცდილობს ქართველებისადმი რუსი ხალხის სიძულვილი (რომელიც პოლიტიკური ძალების მიერაა პროვოცირებული) გარკვეულწილად შეარბილოს. ვფიქრობ, რომ რუსეთში ვიზიტებით მისი უწმინდესობა თავისი მიზნების მიღწევას შეძლებს.

— **მედვედევისა და პუტინის განცხადებებმა შესაძლოა გვაფიქრებინოს, რომ მოსკოვმა საქართველოსთან კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება გადაწყვიტა, თუმცა რამდენიმე დღის წინ რუსეთის გენშტაბის უფროსმა უკიდურესად აგრესიული განცხადება გააკეთა...**

— ეს იმან ნიშნავს, რომ რუსეთს კატეგორიულად არ სურს საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრება. თუ დააკვირდით, მაკაროვმა ბირთვულ იარაღზე მას შემდეგ განაცხადა, რაც რასმუსენმა აღნიშნა, რომ საქართველო ნატოს თანდათან უახლოვდება. მოსკოვისთვის ნატოს გაფართოება ძალიან მტკივნეული საკითხია და ყველაფერს გააკეთებს ამის თავიდან ასაცილებლად. კრემლი ხედავს, რომ დასავლეთთან პოლიტიკურადაც მარცხდება




და ეკონომიკურადაც. ამიტომ უკვე მუქარასა და შანტაჟზე მიდის.

— **რუსეთის მუქარაზე დასავლეთის რეაქცია როგორი შეიძლება იყოს?**

— დასავლეთი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ფრთხილად მოქმედებს უზარმაზარ, არაპროგნოზირებად და ალოგიკურ რუსეთთან ურთიერთობისას. მათთვის რუსი გენერლის განცხადება სულაც არ არის გასაკვირი, იმიტომ, რომ უამრავი ანალიტიკური ცენტრი აქვთ და ჩვენზე კარგად აქვთ შესწავლილი რუსეთის ხელისუფალთა ფსიქოლოგია და ამ ქვეყნის ისტორია. დარწმუნებული ვარ, არც ევროპა და არც თეთრი სახლი რუსეთის გენშტაბის უფროსის პროვოკაციულ განცხადებას არ აჰყვებიან, მაგრამ აუცილებლად გაითვალისწინებენ და პასუხის გასაცემად საჭირო მომენტს დაელოდებიან. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „პრიცეპში“ შეყრილი მგზავრები და ვაკეს გადაფრენილი ავტობუსი

## ანუ ვინ იძლევა „პრავას“?

**დაფიქრებულხართ, რაში გეხარჯებათ ყველაზე მეტი ფული? ალბათ გადასახადებში, კიდევ — პროდუქტებში, მგზავრობაში... ამას წინათ დავთვალე და აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტი ფული მგზავრობაში მეხარჯება, მაგრამ ამჯერად ამაზე წუწუნს არ ვაპირებ; უბრალოდ, ხშირი მგზავრობის გამო სახალისო სიტუაციებში ვვარდები ხოლმე და მინდა, თქვენც გაგიზიაროთ, მით უმეტეს, სიცილთან ერთად, ჩვენს ყოველდღიურ საწუხარსაც კარგად გადმოსცემს...**

*ელენე ბასილიძე*

ალბათ დამეთანხმებით, რომ დილის საათებში ტრანსპორტში ფეხზე დასადგომი ადგილის პოვნაც ჭირს. თუ გაგიმართლათ და სასურველმა სამარშრუტო ტაქსიმ გაგიჩერათ, წინასწარვე უნდა იყოთ შეგუებული, რომ კომფორტულად ვერ იმგზავრებთ. მეც დილაადრიან გაჩერებაზე ვიდექი, როცა გადაჭედილი „მარშრუტკის“ მძღოლმა „მოწყალება მოიღო“ და გამიჩერა. შვებით ამოვისუნთქე, რადგან ძალიან მაგვიანდებოდა. ჩემი ასვლიდან ორიოდე წუთში ჩამოსვა მგზავრი, რომელიც მძღოლის გვერდით, წინა სავარძელში იჯდა და ადგილიც უმალ დაიკავა ახალგაზრდა ბიჭმა, რომელმაც, როგორც ჩანს, კარი მეტისმეტად მაგრად მიაჯახუნა — „მარშრუტკას“ გვერდითი სარკე მოსძვრა და ასფალტზე დაენარცხა. შეწუხებულმა მგზავრმა გატეხას სასწაულებრივად გადარჩენილი სარკე სალონში შემოიტანა, მძღოლმა ერთი ამოიხვნეშა და სთხოვა, — ფანჯარა ჩამოსწიეო; მერე კი, — ე, მაგრე, ეხლა ხელი გადაყავ და ეგ სარკე დამიჭირე, თორემ თხუნელასავითა ვარ, ვერაფერს ვხედავო... შემდეგ კიდევ უფრო ხმამაღლა ამოიხვნეშა: — 6 წელია, ცირკის დათვივით, „რულს“ ვატრიალებ, აქეთ-იქით დამყავხართ, სადაც მეტყვით, იქ გიჩერებთ და ერთი თხოვნა რა გახდა, ეგეც ვერ შემისრულეთო... ამ დროს, ჩემ გვერდით მდგომმა ქალბატონმა ველარ მოითმინა და, — მგზავრობაში 80 თეთრს რომ იღებ, ის კარგია?! „მოფამფალებული“ „მარშრუტკით“ ნუ ივლი და არც სარკე გაგიტყდება და არც თხუნელასავით იქნებიო. ამ სიტყვების გაგონებისას, მძღოლმა თავი იმართლა: — ეს ტარიფი ჩემი „შემოტანილი“ კი არაა; ადრე ორი ამდენი მგზავრი დამყავდა: ახლა ძალიან გაგვიანდებათ, თორემ ჩემს „მარშრუტკაში“ კი არ ამოხვიდოდით, ავტობუსით მიხვიდოდით დანიშნულების ადგილამდეო, — და წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, კიდევ ერთ ქალბატონს გაუჩერა, რომელმაც კარის გაღებისთანავე იკითხა, — ადგილები არისო? — ოღონდ თქვენ ამოდით, ქალბატონო, ჩემს ადგილს დაგითმობთ და ფეხით გამოვეკიდები „მარშრუტკასო“, — უპასუხა მძღოლმა, მაგრამ ქალბატონმა „უზრდელ და თანამდებობისთვის შეუფერებელ“ მძღოლებზე რაღაც ჩაიდუდუნა და კარი მოგვიჯახუნა. აი, ეგეთები „კაპოტზე“ უნდა დასვა და „ქორწილის კუკლასავით ატარო“; ერთი უყურე, როგორ დაიწუნა ჩემი ადგილიო! — შემომხედა მძღოლმა და ახალი ამბავი დაიწყო: „კაცო, ეს ხალხი გადამრევს! ამას წინათ ერთმა ქალმა გამაჩერა, გარეთ იგრე ციოდა, ბეღურები „პროვოდებიდან“ცვიოდნენ, ის კიდევ დადგა „მარშრუტკის“ ღია კარში და მეკითხება: — ამა და ამ უბნის ამა და ამ კვარტალის ამა და ამ კორპუსის სადარბაზოსთან გაივლიო? ჯერ სანამ ბოლოში გავიდა, სული დამელია, კაცო! მერე, რომ მივხვდი, რაც მითხრა, — ოხო ხო-ო, როგორ გავბრაზდი-ი! ქალბატონო, ლიფტს თავად გამოიძახებთ თუ ვინმე „მარშრუტკიდან“ გამოგაყოლოთ-მეთქი? — ვკითხე. დასახლებულან ქალაქში და 2 ნაბიჯის გადადგმა ესიკვდილებათ! თანაც, აქეთ რომ დაგადებენ ვალს?!. არა, რა, ეგეთი მგზავრები „მაშინაშიც“ არც უნდა ამოუშვა!“ — დასვა წერტილი მძღოლმა, მაგრამ როგორც ჩანს, ასეთი მგზავრები ბოლომდე გასაწირად ვერ გაიმეტა და, — მივამაგრებ უკან „პრიცეპკას“ და შევყრი იქო! — დაამატა ბოლოს და ის იყო, კარგარეთელის ქუჩაზე უნდა ჩაეხვია, გაბმული სიგნალი მისცა, ორივე ხელი საჭეს გაუშვა და ჰაერში აიქნია; მერე თავი გადაყო ფანჯრიდან, „მარშრუტკა“ შუა გზაზე გააჩერა და საპირისპირო მიმართულებით მოძრავი „მარშრუტკის“ მისამართით იყვირა: — უშაანგ, როგორა ხარ, ბიჯო, როგორ? იმ შენს ნაცნობს კიდევა აქვს გასაყიდი აკუმულატორები? დავიტანჯე კაცი,

> **კარის გაღებისთანავე იკითხა, – ადგილები არისო? – ოღონდ თქვენ ამოდით, ქალბატონო, ჩემს ადგილს დაგითმობთ**



ეგეთი მგზავრები „მაშინაში“ არც უნდა ამოუშვა!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჩანი ცხენივით არის ეს ოხერი, თუ გულით არ ეხვეწე, არ იქოქება და ამ დღეებში გავუვლიო... პასუხი ვერ მოვისმინე, მაგრამ სავარაუდოდ, კოლეგამ გადაწყვეტილება მოუწონა და, როგორც იქნა, დავიძარით. უკან ჩამოვიტოვეთ შეფერხებული მოძრაობის გამო გაბრაზებული და მანქანის სალონიდან წელამდე ამომხტარი მძღოლები. მერე მძღოლს „მარშრუტკის" გაჩერება ვთხოვე და ჩამოვედი...

რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ტრანსპორტში ასვლა მომიხდა, ამჯერად — ავტობუსში და ამჯერადაც იუმორის გრძნობით დაჯილდოებული მძღოლი შემხვდა. ის იყო, ვაკის ტერიტორიაზე შევედით და უნივერსიტეტის მეორე კორპუსთან გავჩერდით, ავტობუსს ხალხის ტალღა მოაწყდა. გაწევ-გამოწევასა და ჭყლეტაში ერთმა მგზავრმა სამჯერ იკითხა, — საბურთალოზე გაივლითო? კითხვაზე მძღოლმა სამჯერვე უპასუხა, მაგრამ, როგორც ჩანს, ქუჩის ხმაურში ვერ გააგონა და, შემომწყრალი მგზავრი ავტობუსს რომ გაეცალა, მავედრებლად გაშალა ხელები: — ღმერთო, რა დაგიშავე, ყველა ყრუ და დედისგან დაწყევლილი რავა მე უნდა შემახვედროო?! — სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, გოგონამ შემოყო ავტობუსში თავი და, — ვაკეში გაივლითო? — იკითხა. აი, აქ კი საბოლოოდ უმტყუნა ჩვენს მძღოლს ნერვებმა და იყვირა: — არა, გენაცვალე, ვაკეში რა მინდა (*უკვე ვაკეში ვიყავით. — ავტ.*)?! ვაკეს გადავაფრინდები და პირდაპირ ბაგებში დავსვამ ავტობუსსო. — მერე თავი მიაბრუნა და მგზავრები გააფრთხილა: — აბა, ახლა რაც გარეთ დაგრჩათ, როგორმე ყველაფერი „შემოზიდეთ", კარები უნდა დავკეტოო! — და უეცრად, დაახლოებით ორმეტრიან ბიჭს მოჰკრა თვალი, რომელსაც სპორტული ჩანთა მხარზე გადაეკიდა და სიმაღლის გამო ავტობუსში წელში გაშლას ვერ ახერხებდა. — ე ბიჭო, რავა მოკრუნჩხულხარ! ახსენი მაგ ლუქი და აყავი თავი, სუფთა ჰაერს მაინც ჩაისუნთქავ, რავა მოკაკვულხარ ჯაყვასავით?! — შეუძახა.

შემდეგ გაჩერებამდე მშვიდობიანად მივედით და მძღოლმა გაჩერებაზე კონტროლიორი რომ დაინახა, სიხარულით შეჰყვირა: — აბა, ახლა ამოდი ავტობუსში, თუ ბიჭი ხარო?! — და გულიანად გადაიხარხარა. ტრანსპორტში ნემსის ჩასაგდები ადგილი არ იყო, ამიტომ კონტროლიორმა გარედან შემოგვძახა, — ვისაც ბილეთი არ გაქვთ, გთხოვთ, აიღოთო! — და გაგვეცალა. ჩვენი მძღოლი კი გვერდით მჯდომ მგზავრს მიუბრუნდა და გულისტკივილით შესჩივლა: — „ე ბიჭო, ისე გამომაშტერა ამ ავტობუსის მძღოლობამ, ამას წინათ ცოლის დაბადების დღეც დამავიწყდა, მაგრამ მაგას ვინ ჩივის, ორიოდე თვის წინ ისეთი ამბავი დამემართა, ჩემი ცოლი დღემდე ამაზე

**მძღოლმა გაჩერებაზე კონტროლიორი რომ დაინახა, სიხარულით შეჰყვირა: – აბა, ახლა ამოდი ავტობუსში, თუ ბიჭი ხარო?! – და გულიანად გადაიხარხარა**

„ღადაობს": ადრე დიღომი-საბურთალოს ხაზზე ვმუშაობდი. ერთ დღეს, როცა ვისვენებდი, ცოლმა მთხოვა, — იქნებ მანქანით ვაგზლის ბაზრობაზე წამიყვანო, პროდუქტი მაქვს საყიდელიო... დიღომში ვცხოვრობ. ჩავისვი ცოლი მანქანაში და წამოვედი „დინამოსკენ". ქუთაისის ქუჩას რომ მივუახლოვდი, როგორც ავტობუსზე ვიყავი დაჩვეული, ავდექი და იმ ქუჩაზე ჩავუხვიე. ქალმა ხელი გამკრა, — ნუგზარ, რასა შვრებიო?! — მეც, ჩვეულებისამებრ, გავაგრძელე, — ქალბატონო, ეს ავტობუსი „დინამოზე" არ გაივლის-მეთქი... მე იმ დღეს ჩემმა ცოლმა დღე მაწია-ა, არ დამავიწყდება, მაგრამ კიდევ კარგი, მალე გადაუარა წყენამ და ახლა იმ ამბავზე კარგად ხალისობს ხოლმე..." — დაასრულა თხრობა ღიმილით, შუქნიშანზე ავტობუსი გააჩერა და მგზავრებს ღიმილით გადმოხედა: „რას შობით, ხალხო, ვინმეს ჟანგბადის ბალონი ხომ არ გჭირდებათ? თუ რამეა, არ მოგერიდოთო! — მერე, აბუზღუნებულ მგზავრებს ყურადღება აღარ მიაქცია და წინ გაიხედა.

— ა, ახლა ვინც ამას „პრავა" მისცა, არ უნდა დააჭრა ხელები ძირში?! გაიარე, ქალო, ეინთო მწვანეო! — პაწაწინა წითელი მანქანის მძღოლი ქალბატონი იმდენად იყო მაკიაჟის შესწორებით გართული, შუქნიშანი გადაავიწყდა, მაგრამ მანქანა ტაატით რომ დაძრა, ასევე ნელა განაგრძო მოძრაობა. ჩვენმა მძღოლმა ცოტა ხანი ითმინა და ბოლოს, როგორც თავად აღნიშნა, მარცხენა ზოლში ძლივს „გადადენა". როგორც კი ქალბატონის მანქანას გაუსწორდა, ავტობუსიდან თავი გადაყო და, — ქალბატონო, მარჯვენა ლოყაზე მეტი „რუმიანას" წაცხება მოგივიდაო! — ჩასძახა. მერე თავი შემოყო და გულისტკივილი ისევ გვერდით მჯდომ მამაკაცს გაუზიარა: ამ მამაცხონებულს ფერუმარილის წაცხება და პირველ ხაზში სიარული თუ უნდოდა, ამოსულიყო ავტობუსში, ბენზინის ფულს დაზოგავდა ქე მაინც... თანაც, ა, რამხელა სარკე მაქვსო! — მიუთითა წინა საქარე მინაზე დამაგრებულ, ხელისგულის ზომის სარკეზე. — რავა, არ ეყოფოდა თუ?! არა, მაინც ვინ აძლევს ამათ „პრავასო"?!

ჩემი ჩასვლის დრომაც მოაწია და უნებლიეთ ვიფიქრე, — რა ნერვები აქვთ მძღოლებს, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში თბილისის ქუჩებში გადაადგილდებიან!.. ჰოდა, ამიტომაც, ავტობუსიდან ჩასვლისას მძღოლს ყოველთვის გულითად მადლობას ვუხდი. რატომ? იარეთ მთელი დღის განმავლობაში მანქანით და მიხვდებით. ■

AIRTRAVEL
არნახული აქცია ტურისტული კომპანია
AIRTRAVEL.GE -საგან!!!
წარმოადგინე ოფისში კუპონი და ჩაერთე
უპრეცენდენტო 6 თვიან ფასდაკლების აქციაში
მსოფლიოს გარშემო!
მის: ბელინსკი-ხოშტარია 49/24
ტელ: 299 80 30; (790) 25 89 29

ეროვნული ბიბლიოთეკა

Apifito PHARM

100% ნატურალური პროდუქტი!

# ბალზამი პრომიოდი

როცა
თვით
ბუნება კურნავს...



## ბალზამი „პრომიოდი" – ბუნების მიერ ნაჩუქარი ჯანმრთელობა!

ლეგენდებით მოცული ურალის მთები, რომელსაც უმღერიან ხალხურ გადმოცემებში, განთქმულია არა მხოლოდ მიწისქვეშა განძეულით. ჩვენ არც კი ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორი საოცარი იდუმალი ძალაა ჩამალული მთის უმდიდრეს ფლორასა და ფაუნაში. ურალის მთების დიდებული ბუნება ამოუწურავი სასიცოცხლო ენერგიის და ნამდვილი ჯანმრთელობის წყაროა, რომელსაც ასე ხშირად უსურვებდნენ ერთმანეთს საბჭოური დროის მისალოცი ბარათებში.

ჩვენ სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, სხვა ქვეყანაში. მაგრამ ერთი კი უცვლელი დარჩა – ძლიერი ჯანმრთელობის სურვილი თქვენთვის და თქვენი ახლობლებისთვის. და ამისათვის სულაც არ არის საჭირო გაემგზავროთ ურალზე. მთების მკურნალი ძალა ინახება ჯადოსნურ ბალზამში „პრომიოდი". იგი 100%-იანი ბუნებრივი პროდუქტია.




ბალზამის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული მისი შემადგენელი კომპონენტი თავისთავად მრავალფუნქციურია.

მის შემადგენლობაში შედის: **თაფლი, პროპოლისი, კედრის ზეთი, გოგრის თესლის ზეთი, ქაცვის ზეთი, ფუტკრის ცვილი.** პრაქტიკულად ნებისმიერ მათგანს ხალხში უწოდებენ „ურალის ოქროს ფესვს", რადგან მხედველობაში აქვთ სამკურნალო თვისებათა უნივერსალურობა. ხოლო ერთ ბალზამად შეკრული, დაპატენტებული, ურთულესი ტექნოლოგიით დამუშავების გავლის შემდეგ, ისინი იძლევიან კუმულაციურ ეფექტს და წარმოადგენენ უზარმაზარ ძალას, რომელიც გამაოგნებელ შედეგებს იძლევა და აღადგენს ჩვენს ორგანიზმს.

ხანმოკლე დროის მანძილზე „პრომიოდი" უკვე დაეხმარა ათასობით ადამიანს დაავადებებთან გამკლავებაში.

მისი გამოყენების შედეგები შესამჩნევია უკვე პირველსავე დღეებში, შეინიშნება ჯანმრთელობის მდგომარეობის აშკარა გაუმჯობესება, განსაკუთრებით დაავადებათა მწვავე ფორმების დროს.

ბალზამი „პრომიოდი" ხელს უწყობს სისხლის კაპილარების გაფართოებას და ავსებას, რაც აძლიერებს ვენოზურ გადიდებას, აუმჯობესებს სისხლის მიკროცირკულაციას და შველის ორგანიზმს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს, როგორიცაა იშემია, არითმია, სტენოკარდია, ასევე არტერიული წნევის ხტომები. იმ ადამიანებისთვის, რომელთაც ამინდის ცვლილებებზე დამოკიდებულება აწუხებთ, ეს შეუცვლელი საშუალებაა. ბალზამი ხსნის თავის ტკივილს, ასტაბილურებს წნევას, შველის სახსრებში ტეხვისას, და მაშასადამე, საყრდენ-სამოძრაო აპარატის მრავლობითი დაავადებების დროს (ართრიტი, ართროზი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, რევმატიზმი, ნევრიტი, მალებშორისი თიაქარი, ქუსლის დეზი და ა.შ.). გარდა ამისა, „პრომიოდი" არბილებს სისხლძარღვთა კედლებს, ხდის მათ უფრო ელასტიკურს, და ამცირებს თავის ქალის შიდა წნევას. „პრომიოდი" ხელს უწყობს ორგანიზმის აღდგენას ტრავმების შემდეგ, მათ შორის თავის ტრავმის, ინსულტების, ინფარქტების შემდეგ. კარგი შედეგებია ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, თვალის დაავადებები (კონიუნქტივიტი, გლაუკომა, კატარაქტა, ახლომხედველობა), შაქრიანი დიაბეტი.

„პრომიოდი" ეფექტურია ნებისმიერი მწვავე ინფექციური დაავადების მოხსნის დროს (გრიპი, მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციები, მწვავე რესპირატორული დაავადებები, ჰაიმორიტი, პაროდონტოზი, ყურის და სამწვერა ნერვის ანთებები, ოსტეომიელიტი, დისბაქტერიოზი, და ა.შ.), ქრონიკული დაავადებების და ინფექციების რეციდივების (ასთმა, ბრონქიტი, პნევმონია, პროსტატიტი და ა.შ.) დროს.

გამოსცადეთ თქვენს თავზე ჯადოსნური ძალა ბალზამისა, რომელიც თვით ბუნების მიერაა შექმნილი.

მის დამზადებაზე იმუშავა ათასობით ფუტკარმა, რომლებიც დაუღალავად დაფრინავდნენ ყვავილიდან ყვავილზე. მზრუნველმა ხელებმა თაფლის კომპოზიციას დაუმატა სამკურნალო ზეთები იმ მცენარეებისა, რომლებიც დედამიწის წვენებს და სტიქიის ენერგიას შეიწოვენ.

შეიგრძენით „პრომიოდთან" ერთად ურალის მაცოცხლებელი სუნთქვა.

---

დეიდაჩემს 30 წელზე მეტია აწუხებს **ბრონქიალური ასთმა,** რომელმაც ძალიან მძიმე ხარისხს მიაღწია. მუდმივად ჰქონდა შეტევები, რის გამოც იგუდებოდა. როცა გიუმრიში ჩატარდა ბალზამ „პრომიოდის" პრეზენტაცია, მან გადაწყვიტა გაესინჯა იგი. მიიღო 1 ქილა, რის შედეგადაც თვითშეგრძნება კარგზე უფრო მეტი გაუხდა. იგი აღარ იგუდება, როგორც ადრე, შეტევა კი დღემდე ერთხელაც აღარ ჰქონია. დაიწყო მსუბუქად სუნთქვა და შედეგებით ძლიერ კმაყოფილია. რა თქმა უნდა იგი 1 ქილაზე არ შეჩერდა, აგრძელებს მის გამოყენებას და გაივლის მთელ კურსს.

**ანა ხარჭიხიანი**
**ქ. გიუმრი**

---

როცა თქვენ მოგმართეთ მაწუხებდა **ქვედა კიდურების ართროზი, წნევა,** მქონდა **მუცლის ანევრიზმა.** ამის გამო ღამეები არ მეძინა. მივიღე 2 ქილა ბალზამი „პრომიოდი". ახლა ტკივილებიც აღარ მაქვს. ბალზამის მიღებას გავაგრძელებ. გმადლობთ!

**სონია დორეული,**
**84 წლის, ქ. რუსთავი.**

---

**მაღალი წნევა** მქონდა. ასევე **მენჯ-ბარძაყის მოტეხილობა.** შეხორცებული კი იყო, მაგრამ ვერ ვდგებოდი და ვერც დავდიოდი. 10 დღის მიღების შემდეგ წნევაც დარეგულირდა. ფეხზეც ვდგები და დავდივარ (ბარძაყის მოტეხილობისას). დიდი მადლობა თქვენ საოცარი ბალზამისათვის.

**ანა გიორგაძე**
**ქ. თბილისი**

---

მრავალი წელი მაწუხებდა **თირკმლები, ნაღვლის ბუშტი და მაღალი წნევა.** 3 ქილა ბალზამის გამოყენების შემდეგ ნაღველმა დენა დაიწყო, დამირეგულირდა წნევა და თავს გაცილებით ახალგაზრდულად ვგრძნობ. მოხარული ვარ, რომ ასეთი საშუალება არსებობს.

**ნ. გუგუნავა**
**ქ. ზუგდიდი**

---

ძალიან მაწუხებს **სახსრები, წნევა და შაქრიანი დიაბეტი.** გაზეთში წავიკითხე ბალზამ „პრომეოდის" შესახებ და გადავწყვიტე გამომეცადა საკუთარ თავზე. 2 ქილის შემდეგ სახსრებში ტკივილმა გამიარა, წნევაც დამირეგულირდა და შაქარმაც დაიწია. თქვენი უღრმესი მადლობელი ვარ!



**ბოჭორიშვილი ციალა**
**84 წ. ქ. თბილისი**

---

ამ ბიოლოგიურად აქტიურ პრეპარატზე მხოლოდ ყველაფერი კარგის თქმა შემიძლია. მაქვს **ფსორიაზი, მხედველობაც დაქვეითებული** მქონდა და საერთოდ პოლიორგანული დაავადებებიც მაწუხებდა. დავიწყე ბალზამის დალევა, მივიღე 4 ფლაკონი. მხედველობა დამეხვეწა, სიწითლეც გადავიდა.., გმადლობთ! ბალზამი ნამდვილად დამეხმარა და გავაგრძელებ მის გამოყენებას.

**ნიკოლაო კირიაკი,**
**89 წლის, ქ. თბილისი.**

---

**ყველაზე მთავარია იმ ხალხთა გულწრფელი წერილები, რომლებმაც თავის თავზე გამოსცადეს ბალზამ „პრომიოდის" კეთილისმყოფელი მოქმედება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპრილში შევიძინე 2 შუშა ბალზამი,დავლიე და წავისვი კიდეც. მძიმე სამუშაოს გამო 2 წლის წინ გამიჩნდა **ჰემოროი.** ძალიან ვიტანჯებოდი, მაწუხებდა ტკივილები, საჭირო იყო ოპერაციული ჩარევა, მაგრამ თქვენი ბალზამის კურსის მიღების შემდეგ ვიგრძენი გაუმჯობესება, დაავადებამ რაღაც სასწაულით გაიარა. კიდევ შევიძინე „პრომიოდი" პროფილაქტიკისათვის. დიდი მადლობა თქვენი სასწაული ბალზამისათვის.

**ტ. სიმონენკო**
**ქ. ჟიტომირი**

რამდენიმე წლის მანძილზე მაწუხებდა **12 გოჯა ნაწლავის წყლული, ალერგიული გამონაყარი, ტკივილი სახსრებში.** ახლახან გაზეთით შევიტყვე ბალზამ „პრომიოდის" შესახებ და დავიწყე მისი დალევაც და მტკივან სახსრებზე წასმაც. გამოყენების შემდეგ სახსრების ტკივილმა გაიარა, საერთო მდგომარეობა ნორმას დაუბრუნდა, ვიგრძენი სასიცოცხლო ძალისა და ენერგიის მოზღვავება. დიდი მადლობა.

**ზ. ტაბატაძე**
**ქ ფოთი**

მაწუხებს **სახსრები** და **ნაღვლის ბუშტი.** ბალზამის მიღების შემდეგ მომეხსნა სახსრების ტკივილი. „პრომიოდის" მიღებიდან 3-4 დღის შემდეგ ნაღვლის პრობლემაც მომეხსნა. ამ საოცრებისათვის თქვენი მადლიერი ვარ.

**კურხულიძე ნ.**

**გულისცემა აჩქარებული** მქონდა. ამის გამო ღამის განმავლობაში 2-ჯერ ან 3-ჯერ მელვიძებოდა. მქონდა **პარადონტოზი.** რა უნდა ვთქვა? წლები თავისას შვება და 1,5 თვის წინ დავიწყე ბალზამ „პრომიოდის" მიღება. ჩემი ჯანმრთელობა უკეთესობისკენ მიდის. ვღებულობ ნაკლებ წამალს. თქვენი მადლობელი ვარ.



**კარლო ხალუქაძე,**
**75 წლის, ქ. თბილისი.**

**ბეჭებზე წანაზარდი** მქონდა და საშინელი ტკივილი მაწუხებდა, განვიცდიდი **ჰაერის უკმარისობას და მარილებიც** დიდ დისკომფორტს მიქმნიდა. შევიძინე ბალზამ „პრომიოდის" ერთი ქილა და დავიწყე მიღება. მიღების შემდეგ ძალიან ბევრი მარილები და ცილები გამოიყოფოდა შარდთან ერთად.
ასეთ შედეგს ამ მოკლე ხანში არ ველოდი.

**დარეჯან ბერძნიშვილი,**
**ქ. გორი**

მე დიდი ხნის განმავლობაში მაწუხებდა **სახსრები, გულ-სისხლძარღვთა და საშარდე გზების დაავადებები.** ვღებულობდი ბალზამ „პრომიოდს" ყოველდღე 1 ჩ/კ სამჯერ დღეში, სულ მივიღე სამი ქილა. მიღებული შედეგით მეტად კმაყოფილი ვარ.

**კახიძე ჟორა, ქ. ქუთაისი**

ბალზამ „პრომიოდზე" პირველად შევიტყვე, როცა დამეწყო პრობლემები ჯანმრთელობის მხრივ. მაწუხებდა **წნევა**, საერთო სისუსტეს ვგრძნობდი. რომ გავიგე ბალზამის შესახებ, გადავწყვიტე მიმეღო და შედეგებით გაოგნებული დავრჩი. აღდგა და დასტაბილურდა წნევა, საერთო მდგომარეობა იმდენად გამიუმჯობესდა, თითქოს ხელახლა დავიბადე.



**გუგეშაშვილი ნათელა,**
**79 წლის,**
**ქ. თბილისი.**

მე დიდი ხნის მანძილზე მაწუხებდა **სახსრები და წნევა.** ვღებულობ ბალზამ „პრომიოდს" ყოველდღე 1 ჩ/კ 3-ჯერ დღეში და დამატებით ვისვამ სახსრებზე. მალამომ გამოიღო შედეგი, წნევა დამირეგულირდა, სახსრებში ტკივილიც მომეხსნა. ჯერ მივიღე 1 ქილა და ბალზამის მიღებას გავაგრძელებ.

**მერი კულაპტრიშვილი,**
**68 წლის, კახეთის რ-ნი.**

მაქვს შაქრიანი **დიაბეტი,** სისხლძარღვთა პრობლ-ემები, პოლორგანული უკ-მარისობა. ენერგიის დიდ მოზღვავებას ვგრძნობ, და-მირეგულირდა შაქარი. თქვენი დიდი მადლიერი ვარ!

**ციცინო ციცქიშვილი**
**ზესტაფონი**

გაზეთში წავიკითხე თქვენი ბალზამის „პრომიოდის" შესახებ და დავინტერესდი. მაწუხებდა **წნევა, ცისტიტი**, მაქვს **დიაბეტი** და გადავწყვიტე რომ მიმეღო ბალზამი. მივიღე ორი ქილა და პირველ რიგში დამირეგულირდა წნევა და დაიწია შაქარმა, შემდეგ დიდი შვება ვიგრძენი საშარდე გზების ანთებასთან დაკავშირებით. ეს ხომ საოცრებაა!!!

**კუპატაძე ნათელა 77 წ.**
**ქ. თბილისი**

მაწუხებდა **ოსტეოქონდროზი, პროსტატა**. ბალზამ „პრომეოდით" მკურნალობის შემდეგ შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ, გმადლობთ!

**მელიკოვი ანზორი 75 წ.**
**ქ. თბილისი**

**„პრომიოდის" გამოფენა-გაყიდვა, აგრეთვე დაწვრილებითი კონსულტაცია მისი გამოყენების შესახებ გაიმართება შემდეგ მისამართებზე:**

ქ. თბილისი, ბახტრიონის 22
29, 30 ნოემბერი - 1, 2, 3, 4, 5, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19 დეკემბერი
**15:00-დან 17:00-მდე.**

**ქ. ბათუმი,** ლერმონტოვის 1ა (სასტუმრო „აჭარა")
6, 20 დეკემბერი, 11:00-დან 12:00-მდე.

**ქ. ზუგდიდი,** გამსახურდიას 26 (კ/თ „ატრიუმი")
6, 20 დეკემბერი, 16:00-დან 17:00-მდე.

**ქ. ქუთაისი, კოსტავას ქ. 25 (სასტუმრო „ლია")**
7, 21 დეკემბერი, **11:00-დან 12:00-მდე.**

**ქ. გორი, სტალინის გამზ. 26;**
**(სასტ. „ჯორჯია", სტალინის სახ.მუზ. პირდაპირ)**
7, 21 დეკემბერი, **16:00-დან 17:00-მდე.**

**ერთი შეფუთვის ფასი: 32.80 ლარი**
**ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის: 29.80 ლარი**
ერთი შეფუთვის მასა: 120 გრამი. პროფილაქტიკის კურსი – 2 შეფუთვა.
**ქრონიკული დაავადებების დროს – 4 შეფუთვა.**
**მინიმალური შეკვეთა – 2 შეფუთვა.** არ წარმოადგენს მედიკამენტს.
მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია. საქონელი სერტიფიცირებულია.
საინფორმაციო: 592 22 98 98
**www. apifito.net**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საზოგადოების სახელით გამოტანილი პირველი გამამტყუნებელი ვერდიქტი

## რევაზ დემეტრაშვილს 14 წელი მიესაჯა

თეა ხურცილავა

18 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში, ბრალდებულ რევაზ დემეტრაშვილის საქმის მოსმენა დასრულდა. პირველად ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში, საზოგადოების სახელით 12-მა ნაფიცმა მსაჯულმა ვერდიქტი გამოიტანა. პროცესის მიმართ ინტერესი დიდი იყო. „გზის" წინა ნომერში მოგითხრობდით საქმის არსსა და პროცესის დასაწყისზე. შეგახსენებთ: დემეტრაშვილს ბრალად ედება 1994 წელს მომხდარ ყაჩაღობაში მონაწილეობა, ასევე 2 ან მეტი პირის განზრახ მკვლელობისთვის ხელშეწყობა.



მკვლელობის ადგილი

იმდენად ემოციური იყო ფაქტის თვითმხილველების, მინასიანების ოჯახის წევრების დაკითხვა, რომ რამდენიმე მსაჯულმა თავი ვერ შეიკავა და ატირდა. ტრაგედიის დროს სახლში ნეშან და ფლორა მინასიანების 4 შვილი, შვილიშვილები, რძალი და სიძეც იმყოფებოდნენ.

იმ საბედისწერო დღეს გაიანე მინასიანიც დაიჭრა.

**გაიანეს** ჩვენებიდან:

*„მოსიყვარულე და თბილი ოჯახი გვქონდა. ჩემი უმცროსი ძმა ცერებრალური დამბლით იყო დაავადებული და ყველანი ყურადღებას ვაქცევდით. ერევანში ვსწავლობდი და საახალწლოდ ჩამოვედი. ვაზგენს ხელი მოწერილი არ ჰქონდა, უკვე ბავშვს ელოდებოდნენ და ამიტომ გადავწყვიტეთ, 22 იანვარს ქორწილი გადაგვეხადა. ვაზგენი და მისი ძმაკაცი არტური 18 იანვარს ლიმონათისა და „ბორჯომის" საყიდლად წავიდნენ. ცოტა ხანში ჩემი ძმის მანქანით მარტო არტური დაბრუნდა და თქვა, რომ ვილაცებმა ვაზგენი სხვა მანქანაში გადასვეს და სად წაიყვანეს, არ ვიციო. 2 საათის შემდეგ ტელეფონით დაგვირეკეს. დედას უთხრეს, რომ არტური გატაცებული იყო და გამოსასყიდად 150.000 დოლარს ითხოვდნენ. მას შემდეგ ბევრჯერ დარეკეს და გვემუქრებოდნენ. დედა ეხვეწებოდა, ვაზგენი არ მოეკლათ და დაჰპირდა, რომ ფულს შევაგროვებდით. 27 იანვარს უკვე კატეგორიული ტონით გვითხრეს, რომ მოკლავდნენ. ისევ დედა ელაპარაკა, — თანხის ნაწილი შეგროვილია და წაიღეთო. იმავე დღეს კარზე ზარი გაისმა. კარის გასაღებად დედას მეც გავყევი. 2 ადამიანის სილუეტი დავინახე, ერთი ყვიროდა, შენ შვილს მოვკლავთო. ეზოში წერილი დააგდეს, სადაც ჩემი ძმა წერდა, რომ ფული მიგვეცა. დედამ ფული ხელში მიაჩეჩა. როგორც მახსოვს, 75.000 დოლარი იყო. ფული აიღეს და წითელი, უნომრო მანქანისკენ გაიქცნენ. ერთი მაღალი იყო, მას კაშნე ჰქონდა შემოხვეული, მეორე — დაბალი და მსუქანი. როგორც ჩანს, იმ ორის გარდა, სხვებიც იყვნენ, რადგანაც საჭესთან არც ერთი არ დამჯდარა.*

*იმ ღამით, კარზე კვლავ გაისმა კაკუნი და ჩვენი ძმა დავინახეთ. ვაზგენი ძალიან გამხდარი იყო. თვალების ირგვლივ ლეიკოპლასტირის კვალი ეტყობოდა. გვითხრა, რომ „06"-ში გადასვეს, მერე რაღაც შეასხეს და გონება დაკარგა... მხოლოდ ერთხელ აუხსნეს თვალები, მაშინ, როცა წერილი დააწერინეს. მამამ მასთან ამ თემაზე საუბარი აგვიკრძალა. ოჯახის წევრების გარდა, არავინ იცოდა, რამდენი გადავიხადეთ. მამამ დაიფიცა, რომ არავის აპატიებდა იმას, რაც ჩემს ძმას გაუკეთეს".*

ამის შემდეგ გაიანემ ტრაგედიის დღე გაიხსენა:

*„19 თებერვალს ოჯახის წევრები სახლის პირველ სართულზე ვიყავით, მამა და ჩემი ორი დისშვილი — მეორე სართულზე. ზემოდან ხმაური გავიგონეთ და მაღლა ავცვივდით. კართან შავებში ჩაცმულები დავინახეთ. იატაკზე დაგვაგდეს, ფულსა და ოქროს ითხოვდნენ, ფეხებს გვირტყამდნენ, გვაგინებდნენ. მაღალმა, რომელსაც ნიღაბი ეკეთა, მაგრამ ნიკაპი და თმა უჩანდა, ჯერ მამას, დედას და ჩემს ძმას ესროლა, მერე მე შემომხედა და მეც მესროლა. ამის შემდეგ იმან, რომელიც დაბალი და სრული იყო, წაქცეულს ფეხი დამადგა. ჩემი ფეხიდან სისხლმა იფეთქა და მას სხეულზე შეესხა... ამ ამბის შემდეგ სახლში ცხოვრების მეშინოდა და ერევანში წავედით. ჩემი ავადმყოფი ძმა დედაჩემს სუნით ცნობდა. ყოველდღე ეძებდა, საჭმელს აღარ ჭამდა და მალე ისიც გარდაიცვალა".*

ვაზგენის მეუღლე, **ქრისტინა ავეტისიანი** ტრაგედიის დროს სახლში 18 დღის ჩვილთან ერთად იყო:

*„...ვაზგენის გატაცების ამბავი რომ გავიგე, გონება დავკარგე. მე-8 თვეში ვიყავი... მძიმე ორსულობა მქონდა და მშობლებთან გადამიყვანეს... 28 იანვარს, ღამის 3-4 საათზე გავიგე, რომ ვაზგენი გაათავისუფლეს. არ ვიცი, თანხა რამდენი შეაგროვეს. ნათესაობა გვეხმარებოდა. სახლში მისთვის კითხვების დასმა აკრძალული გვქონდა. მამამთილმა გვითხრა, რომ ამაზე ვაზგენთან არ უნდა გვესაუბრა. 30 იანვარს ვიმშობიარე... 19 თებერვალს მეორე სართულიდან ნაბიჯების ხმა გავიგონეთ. გარეთ პირველი ვაზგენი გავარდა. მე სიარული მიჭირდა; როცა მეორე სართულის კიბეზე ავედი, დავინახე მაღალი, გამხდარი კაცი ნიღბით, შავი „პლაშით" და ავტომატით ხელში... გადავწყვიტე, დაბლა დავბრუნებულიყავი, ბავშვი ამეყვანა და პოლიციაში გავქცეულიყავი. ის კაცი ჩამომყვა, ავტომატი მომიშვირა და მიყვირა, ზევით ავსულიყავი. ვთხოვე, დავრჩები-მეთქი, რადგანაც არ ვიცოდი, ფულსა და ოქროულობას სად ინახავდნენ. ჩემთან ერთად ოთახში ვაზგენის ავადმყოფი ძმაც იყო. ნიღბიანმა მასთან სხვა კაცი დატოვა. მე ოთახში ბოლოს შემიყვანეს. დივანზე მამამთილი, ნეშანი იჯდა, სავარძელ-*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ში — დედამთილი ფლორა, დანარჩენები იატაკზე ეყარნენ. იარაღი იმ მაღალმა გაისროლა, ვინც მე კიბეზე ამომიყვანა. წასვლისას ორი ქურთუკი გაიყოლეს, რომლებიც საძინებელში ეკიდა. იატაკი სულ სისხლით იყო მოსვრილი. ფლორა ადგილზე გარდაიცვალა, გულწასული მეგონა და ვცდილობდი, ენა ამომექაჩა. ვაზგენი საავადმყოფოში ორჯერ ვნახე. როცა გონზე მოვიდა, მითხრა, — ის ხალხი იყო, ვინც მე გამიტაცაო... სიკვდილამდე დამიძახა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო. ვაზგენის სიკვდილი დამიმალეს. 21 თებერვალს გარდაიცვალა. როცა სახლში შევედი და მესამე კუბო დავინახე, მაშინ მივხდი, რაც გვჭირდა. ვაზგენი თავის საქორწილო კოსტიუმში დავკრძალეთ“.*

ასეთივე მძიმე იყო ნემანის მეორე ქალიშვილის — **გულნარა მინასიანის** ჩვენებაც. ის იმ დღეებში საგანგებოდ ძმის ქორწილისთვის, ქმართან და შვილებთან ერთად, ერევნიდან იყო ჩამოსული. გულნარა მინასიანი (დაკითხვის დროს რამდენჯერმე გული წაუვიდა):

*„დედაჩემის ყვირილი გავიგონეთ. კიბეზე რომ ავედი, მაღალმა კისერში მომკიდა ხელი და ოთახში შემიყვანა... ფულს ითხოვდნენ. მე ყვირილი დავიწყე: გამოსასყიდი გვაქვს გადახდილი და სახლში ფული არ არის-მეთქი. ერთმა დანა ყელზე მომაბჯინა, რომ გავჩუმებულიყავი და თავი იატაკზე დამარტყმევინა. მაღალმა შეხედა დაბალს, საათზე ანიშნა და უთხრა, დროაო. ამის შემდეგ ჯერ მამაჩემს ესროლა, მერე — ჩემს ძმას, დედაჩემს და დას... ვიდეომაგნიტოფონი და რამდენიმე ქურთუკი წაიღეს. ჩვენ ვყვიროდით; მერე ხმაურზე შემოვარდნენ მეზობლები და დაჭრილები საავადმყოფოში წაიყვანეს...“*

სასამართლოზე ბრალდებული რევაზ დემეტრაშვილი დაიკითხა. იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს და ირწმუნება, რომ მინასიანების ოჯახის ტრაგედიასთან არაფერი აკავშირებს. როგორც ცნობილია, საქმეში პოლიციელის საბუთი ფიგურირებს. ამ საბუთით მოატყუეს ვაზგენი გამტაცებლებმა — უთხრეს, რომ ნარკოტიკული შემოწმებისთვის მიჰყავდათ. დემეტრაშვილი ირწმუნება, რომ პოლიციელის საბუთი დაკარგული ჰქონდა. იგი ჯგუფის წევრებთან მეგობრობას ადასტურებს.

**ბრალდებულის** ჩვენებიდან:

*„1993 წელს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში სამძებრო განყოფილებაში ვმუშაობდი. აფხაზეთის ომშიც ვიბრძოდი... ოთარაშვილი 90-იან წლებში გავიცანი. მალხაზ მოდებაძე ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო. კობა და ვახტანგ (ნუკრი) გვრიტიშვილებსაც ვიცნობდი. გელა ქავთარაძე გვრიტიშვილების მეზობელია. რაც შეეხება ლევან კიკაბიძეს, იგი ჩემს დეიდაშვილთან ერთად, კოლეჯში სწავლობდა და მისგან გავიცანი. ალექსანდრე რევაზიშვილს არ ვიცნობ... პოლიციელის მოწმობა აფხაზეთში ომის დროს დავკარგე. პოლიციიდან წამოსვლის შემდეგ, იარაღი ჩაბარებული მქონდა. ვაზგენის გატაცებიდან ერთი კვირა იქნებოდა გასული, როცა ეს ამბავი ლევან კიკაბიძისგან გავიგე. ნაცემი კიკაბიძე ჩემთან მოვიდა. მითხრა, რომ ჩხუბი მოუხდა ქავთარაძესთან და ძმებ გვრიტიშვილებთან და მას მანქანა წაართვეს. მთხოვდა მანქანის დაბრუნებაში დავხმარებოდი. უარი ვუთხარი, — ჩხუბის დროს მანქანას არ ართმევენ-მეთქი. ამის შემდეგ კიკაბიძემ მითხრა, — მათ ჩემი უბნელი მოიტაცესო... ისიც მითხრა, — იმ ოჯახში ფულის ასაღებად შენი მანქანით იყვნენ მისულებიო. ამაზე გავბრაზდი და გადავწყვიტე, გვრიტიშვილებთან მივსულიყავი. მანქანა კობა გვრიტიშვილისგან მქონდა ნაყიდი. მან მთხოვა, ცოლ-შვილი გორში მყავს წასაყვანი და მათხოვეო. როგორც ჩანს, ჩემი მანქანა გამოიყენა. მათთან ამის გამო ვიჩხუბე... ისიც გავარკვიე, კიკაბიძეს მანქანა ცრუინფორმაციისთვის რომ წაართვეს: მას ეგონა, რომ მინასიანების ოჯახი უფრო მეტს გადაიხდიდა. მეორე დღეს სახლში კიკაბიძის მამა მოვიდა. ის ავტორიტეტი იყო. მთხოვა, გვრიტიშვილთან გავყოლოდი. იქ დაგვხვდნენ ძმები გვრიტიშვილები, ოთარაშვილი, ქავთარაძე და მოდებაძე. ნუკრი გვრიტიშვილი და ლევანის მამა გვერდზე გავიდნენ, 20-30 წუთი ისაუბრეს, რის შედეგადაც მანქანა დაუბრუნა...“*

მინასიანების მომხდარ მკვლელობაში მონაწილეობას დემეტრაშვილი კატეგორიულად უარყოფს. ამბობს, რომ ვაზგენი ოთარაშვილის თეთრი ფერის „07“-ით მოიტაცეს და ლევან კიკაბიძის „09“-ში გადასვეს:

*„მინასიანების ოჯახის ამოხოცვის ამბავიც კიკაბიძისგან გავიგე. მე და მალხაზ მოდებაძე ვიყავით სახლში, კიკაბიძე რომ მოვიდა. მალხაზს უთხრა, — ვაზგენი და მისი ოჯახის წევრები მოუკლავთ ვილაც გვარდიელებს ყაჩაღობის დროსო. მალხაზმა უთხრა, — ბიჭო, ეს ჩვენ არ დაგვბრალდესო. დანარჩენი მალხაზისგან ვიცი. მან მითხრა, რომ ის ბიჭი გატაცებული ჰყავდათ და ოჯახმა 6 მილიონი რუსული რუბლი გადაიხადა. მკვლელობაზე არაფერი ვიცი... 2011 წელს 23 აგვისტოს სახლში დამაკავეს. ზაფხული იყო, ფლოსტებში ვიყავი. წამალი ჩამიდეს, ჯიბიდან სიგარეტის ფოლგაში გახვეული ნარკოტიკები ამომიღეს და გადამიყვანეს იზოლატორში. სასამართლოში, მოსაცდელ ოთახში ვნახე პირველად რევაზიშვილი. ვკითხე, — რაზე ხარ დაკავებული და რომელი უბნელი ხარ-მეთქი? სხვა დროს მას არ შევხვედრივარ. მან სასამართლოზე იცრუა, როცა თქვა, ვიცნობდიო... ოთარაშვილმა რატომ დამადო ხელი, არ ვიცი; ჩემი პირადი მტერი არც ის არის და არც — კიკაბიძე. თავის გადარჩენის მიზნით გააკეთეს ეს. 19-წლიანი პატიმრობა და 6 წელი ერთი და იგივე არაა. ოთარაშვილმა წამლის გამო შეიძლება, მამა-*



ლევან კიკაბიძე



მსჯავრდადებული დემეტრაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მისსაც დაადოს ხელი. მე არ ვიცი, ეს დანაშაული ვისი ჩადენილია. ოთარაშვილის მსგავსად, მეც შემომთავაზა პროკურატურამ საპროცესო გარიგება და 6 წელი — ბრალის აღიარების სანაცვლოდ, მაგრამ არ ვაღიარე. მე დამნაშავე არ ვარ, არც ადამიანის გატაცებაში მიმიღია მონაწილეობა და მით უფრო — ყაჩაღობასა და მკვლელობაში. ვერც გვრიტიშვილებს დავადებდი ხელს, როცა არ ვიცი, მათ ჩაიდინეს თუ არა ეს დანაშაული...“*

ძალზე ემოციური იყო პროკურორის დასკვნითი სიტყვა. ნათია მოგელაძე 20 წუთის განმავლობაში ცდილობდა ნაფიცი მსაჯულების დარწმუნებას რევაზ დემეტრაშვილის ბრალეულობაში და დასძინა: *„გახსოვდეთ, მართლმსაჯულება თქვენ საზოგადოების სახით გამოგაქვთ. ჩვენ გამამტყუნებელ ვერდიქტს ვითხოვთ!“*

უფრო საქმიანი იყო იმ დღეს ადვოკატების დასკვნითი სიტყვა. საათზე მეტხანს ისინი აანალიზებდნენ ყველა მოწმის ჩვენებას. განაცხადეს, რომ პროკურატურას დემეტრაშვილის დასადანაშაულებლად, ოთარაშვილის ჩვენების გარდა, პირდაპირი მტკიცებულება არ გააჩნდა. სხვა მოწმეების ჩვენებების გაზიარება არ შეიძლებოდა, რადგან ისინი სხვებისგან მოსმენილ ამბებს ჰყვებოდნენ. ადვოკატების მტკიცებით, დემეტრაშვილი ვაზგენის გატაცების მონაწილე რომ ყოფილიყო, 1994 წლის დაკითხვის დროს გატაცების თვითმხილველს, ვაზგენის მეგობარს მისი ამოცნობა არ გაუჭირდებოდა. *„ნაავარიევი იყო იმ დროს დემეტრაშვილი და სახეზე იარები ჰქონდა, რომლებიც დღესაც ეტყობა... ოქმში არ წერია განმასხვავებელი ნიშანი. გამტაცებლებს თუ ამოცნობისა და პოლიციაში ჩივილის ეშინოდათ, მაშინ ფულის გადახდის შემდეგ ვაზგენს არ გაუშვებდნენ და მისი ლიკვიდაცია მოხდებოდა... სად არის პროკურატურის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს, რომ დემეტრაშვილს ჰყავდა თეთრი ფერის „06“?.. ჩვენ ვაცხადებთ, მას ამ წლებში ჰყავდა წითელი ფერის მანქანა...“* — ამბობს ადვოკატი და დასძენს: *„როცა ოთარაშვილი ამბობს, რომ თავდასხმის დროს პირველი სართულიდან აიყვანა მეორე სართულზე ოჯახის 8 წევრი, ესეც არალოგიკურია. თუ მათი მიზანი იყო ნეშან მინასიანისა და მისი ოჯახის ლიკვიდაცია, განა მისი ჩამოყვანა მეორე სართულიდან უფრო ადვილი არ იქნებოდა, ვიდრე გარე კიბით ოჯახის 8 წევრის მეორე სართულზე აყვანა?!. გაიანე მინასიანი აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი იყო დაბალი და მსუქანი; ოთარაშვილის თქმით, არც ერთი არ იყო მათ შორის დაბალი და მსუქანი. ესეც ეჭვს ბადებს, რომ ეს დანაშაული გამტაცებლების ჩადენილი არ არის... ამ ორ დანაშაულს ერთმანეთთან კავშირი არა აქვს. მინასიანების სიძის ჩვენებაშიც წერია, თავდამსხმელები იყვნენ სამხედრო ფორმით, ჰქონდათ ავტომატი და დანები, მათ შორის იყო დაბალი და მსუქანიო“.*

ადვოკატის მტკიცებით, კიკაბიძემ ვაზგენის გატაცების ფაქტზე მიაწოდა პროკურატურას ინფორმაცია, მაგრამ ვინაიდან მომხდარიდან 10 წელზე მეტია გასული და საქმეს ხანდაზმულობის გამო ვერ აღძრავდნენ, უფრო მეტი მოითხოვეს კიკაბიძისგან და საბოლოოდ, ეს ორი საქმე ერთმანეთს ხელოვნურად დაუკავშირეს...

**ბრალდებულმა** ბოლო სიტყვის თქმისას აღნიშნა:

*„დაზარალებულებს მინდა ვუთხრა, — მე არ მომიკლავს მათი ოჯახის წევრები. ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, ასეთ დროს სასხლეტს ხელს ვინ გამოჰკრავს. ჩემთვის ამ საქმეში მონაწილე ყველა პირი იგივე მკვლელია. 41 წლის ვარ; ამ ხნის მანძილზე, უკანონო არაფერი ჩამიდენია, თუ არ ჩავთვლი წარსულში ნარკოტიკის მოხმარებას. უფლის წინაშე ვფიცავ, აღნიშნულთან არაფერი მაკავშირებს“.*

ასეულობით ადამიანი მოუთმენლად ელოდა საზოგადოების სახელით გამოტანილ პირველ ვერდიქტს. პროცესზე დამსწრეთა შორის აზრი გაყოფილი იყო: დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ნაფიცი მსაჯულები გამამტყუნებელ ვერდიქტს ვერ გამოიტანდნენ, რადგან ბევრი კითხვა მაინც პასუხგაუცემელი დარჩა. მაგრამ თათბირიდან გამოსულმა უფროსმა ნაფიცმა მსაჯულმა განაცხადა, რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოიტანეს. 12 ნაფიცი მსაჯულიდან მხოლოდ 2 იყო გამამართლებელი განაჩენის მომხრე.

მინასიანების ოჯახის წევრებმა მსაჯულებს მადლობა გადაუხადეს და გამოტანილი ვერდიქტით კმაყოფილება გამოთქვეს. სამაგიეროდ, უკმაყოფილებას ვერ ფარავდნენ დემეტრაშვილის ნათესავები. მათ ბოლო წუთამდე სჯეროდათ, რომ განსასჯელს დარბაზიდან გაათავისუფლებდნენ.

15-წუთიანი თათბირის შემდეგ, ნაფიცმა მსაჯულებმა ერთხმად სთხოვეს მოსამართლეს, დემეტრაშვილისთვის მინიმალური სასჯელი გამოეტანა. მოსამართლე ნინო სანდოძემ, ამის გათვალისწინებით, ბრალდებულს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ■

**„ეძღვნება თანამედროვე რუსეთის მმართველებს“ — ასეთი ეპიგრაფი აქვს წამძღვარებული წიგნს, რომელიც ახლახან მოსკოვურმა გამომცემლობა „დეტექტივმა“ „ჟერებცოვა პოლინას დღიურის“ სახელწოდებით გამოსცა და რომელშიც გროზნოელი სკოლის მოსწავლე ჩეჩნეთის მეორე ომის ისტორიას აღწერს.**

პოლინა ჟერებცოვა 1985 წელს გროზნოში დაიბადა. ჩეჩნეთის პირველი ომის დასაწყისში, როცა ბაბუამისი, პროფესიით ჟურნალისტი ანატოლი ჟერებცოვი (მან გროზნოს ტელევიზიაში 25 წელი იმუშავა) საავადმყოფოს დაბომბვის დროს დაიღუპა, პოლინამ დღიურის წერა დაიწყო. მაშინ 9 წლის იყო. ჟერებცოვების გვარში დღიურს ყველა გოგონა წერდა, თუმცაღა პოლინასთვის ეს ოჯახური ტრადიციის უბრალო გაგრძელება როდი იყო. დაბომბვებისგან დანგრეულ ცივ ქალაქში დღიური მის ერთადერთ მეგობრად იქცა. ის ნათელს ჰფენს იმას, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ჯერ კიდევ პირველი ომის დროს დაირღვა ეროვნებათშორისი ბალანსი და ადგილობრივი მოსახლეობისთვის „რუსი“ და „სამხედრო“ სინონიმებად აღიქმებოდა.

პოლინას დღიურის მეორე ნაწილი 1999-2002 წლების ჩეჩნეთის ომს ეძღვნება. მასში გოგონა არაადამიანურ პირობებს, ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფას, მისდამი „ბოევიკებისა“ და სამხედროების დამოკიდებულებას, ახლობლების სიკვდილს, პირველ ბავშვურ სიყვარულზე საკუთარ განცდებსა და საარტილერიო ზალპების ფონზე ჩავლილ სიყმაწვილეს აღწერს.

გოგონა ძალიან უბრალოდ, მაგრამ ზედმიწევნით ზუსტად ჰყვება სახელმწიფოს მიერ ბედის ანაბარად მიტოვებულ რუსეთის მოქალაქეებზე; იმაზე, რომ ქალაქი, რომელიც ავტომატის სამიზნეში მკვდარი ჩანდა, სინამდვილეში ცოცხლობდა, იტანჯებოდა, უყვარდა და სძულდა. არადა, რუსეთის ბევრმა მოქალაქემ დღემდე თითქმის არაფერი იცის ამ ყველაფრის შესახებ. არ იცის, თუ როგორ პირობებში გაიზარდა ჩეჩნეთში მთელი თაობა, სადაა საძებარი რუს საზოგადოებაში შეუწყნარებლობისა და ქსენოფობიის ზრდის მიზეზი და ვინ არის ამაში დამნაშავე.

მსხვილი გამომცემლობების წარმომადგენლები, ვისაც პოლინა დახმარებისთვის მიმართავდა, მის დღიურს კითხულობდნენ და ოხრავდნენ: „თავზარდამცემია... ძალიან ვწუხვართ, რომ ასე მოხდა... მაგრამ გამოქვეყნებას მაინც ვერ შევძლებთ... ხომ გესმით, როგორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცოცხლე მკვდარ ქალაქში

## გროზნოელი გოგონას დღიური



პოლიტიკური სიტუაციაა... ვერ გავრისკავთ". მხოლოდ ერთმა გამომცემლობამ გარისკა და წიგნმა (მისი ტირაჟი სულ 2000 ეგზემპლარია) დღის სინათლე იხილა. ეს ამონარიდები კი თავის მკითხველს ჟურნალმა „ვლასტ" შესთავაზა.

### პოლინა ჟერებცოვას დღიური

1999 წლის 1-ელი ოქტომბერი

გუშინ და გუშინწინ გვბომბავდნენ. გავრცელდა ხმები, რომ ბომბი №7 საავადმყოფოს მოხვდა. ადგილობრივმა რადიომ გადმოსცა: მოკლულია 420, დაჭრილია 1000-მდე ადამიანი.

ქალაქში ბევრს ლაპარაკობენ. ხშირად ეს „მონაცემები" ერთმანეთის საპირისპიროა. იმაზე, რომ ომის ახალი ტალღა დაიწყებოდა, აგვისტოში გვაფრთხილებდა პროფესორი ნუნაევი — ჩვენი ნაცნობი ექიმი-კარდიოლოგი, მაგრამ არ დავუჯერეთ და ბაზრისთვის ახალი საქონელი მოვიმარაგეთ.

ექვს აგვისტოს გავიგეთ, რომ გროზნო დაღუპული პრეზიდენტის, ჯოხარ დუდაევის ქვრივმა დატოვა. ინფორმაცია აურაცხელია! მაგრამ მხოლოდ იმის დაჯერება შეიძლება, რასაც თავად, საკუთარი თვალით ნახავ. საკუთარ ყურებსაც კი არ უნდა ენდო!

ბაზარში დამეგობრებული ადამიანები ერთმანეთს მისამართებს უცვლიდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მათ სახლებს ძალიან დაბომბავდნენ ანდა მთლიანად გაანადგურებდნენ, სადმე წასასვლელი და საცხოვრებელი ჰქონოდათ. ჩვენ ნაზარმა მოგვცა მისამართი: მიკრორაიონი, კისიორის ქუჩა №8, ბინა 66. ავტობუსი 29. ნაზარი და მისი ცოლი ბაზარში პროდუქტებით ვაჭრობენ.

მისამართი მოგვცა რუსმა ქალმა ლიოლიამაც. თან დაგვარიგა, — თუ ავიადაბომბვის დროს ქალაქის ცენტრში აღმოჩნდებით, გამარჯვების პროსპექტის №5 „ა" სახლისკენ (ის ბაზრის გვერდითაა) გამოიქეცით, ეზოში დიდი სარდაფი გვაქვსო.

უცბად დაღუპვა ალბათ, არც ისე საშიშია, უფრო საშიში — ნანგრევებში მოყოლა და ტანჯვით სიკვდილია...

### 1999 წლის 13 ოქტომბერი

ღამღამობით ქვემეხების კანონადას ვუსმენთ. დღისით ვვაჭრობთ.

ახლა მე, დეიდა კუსუმივით, თავსაფარი მახურავს. კუსუმი ხშირად მაქებს. მოგვიჯდება ბაზარში გვერდით, თმას მვარცხნის და მეუბნება: „წამო, თმას დაგიხვევ, ქიმიას გაგიკეთებ!"

დაუდის მეგობარი ისევ გამოგველაპარაკა. ნაყინი მიყიდა. ნეტავ ხომ არ მოვეწონე?.. ეს რომ დაუდის დედამ, კუსუმმა იცოდეს!.. იმ ბიჭმა მკითხა: „რამდენი წლის ხარ?" რომ გაიგო, მხოლოდ თოთხმეტის ვიყავი, გაუკვირდა: „რა პატარა ყოფილხარ! უფრო დიდი მეგონე... იცი, რა ძალიან ჰგავხარ ჩემი საყვარელი ზღაპრის გმირს, მეფის ასულ ბუდურს?!" ამის შემდეგ მეც გავთამამდი და განვუცხადე, — შენ კიდევ, ალადინი ხარ-მეთქი! მერე დიდხანს შევცქეროდით ერთმანეთს და ვდუმდით. საკუთარი გაბედულების გამიკვირდა. ადრე ბიჭებთან კრინტს ვერ ვძრავდი, მხოლოდ ვუსმენდი, ახლა კი უცბად ავლაპარაკდი... ალადინს ლამაზი თვალები აქვს. შავი ხვეული თმა კი მხრებამდე სცემს. ის მართლა პრინცივითაა!

### პოლინა

#### 1999 წლის 21 ოქტომბერი

მე და დედა 21 ოქტომბერს დავიჭერით... ვხედავდი, მაგიდას მოკლული ქალი როგორ უჯდა. დაჭრილები კაფესა და სადარბაზოებს აფარებდნენ თავს. მოხალისე მაშველ მამაკაცებს, პირველ რიგში, მძიმედ დაჭრილები გამოჰყავდათ და მანქანებში ანაწილებდნენ.

დაწყებით კი ყველაფერი მოულოდნელად, დაახლოებით საღამოს 5 საათისთვის დაიწყო. ჩვენ დარჩენილ საქონელს ორ ჩანთაში ვაწყობდით. ერთი მე უნდა წამომეღო, მეორე — დედაჩემს. ამ დროს შევხვდით კუსუმს, რომელიც პატარა ბავშვთან ერთად იყო. ვიდექით და ვლაპარაკობდით. უეცრად კაშკაშა აფეთქებამ ჯერაც ნათელი ცა კიდევ უფრო გაანათა, რასაც ძლიერი გრუხუნი მოჰყვა. შიშით ჩვენს მაგიდას გადავევლეთ და რკინის ფარდულებს შორის ჩავცუცქდით. ახლომახლო სხვა თავშესაფარი უბრალოდ არ იყო. პირველ აფეთქებას მეორე, შემდეგ კიდევ ერთი მოჰყვა... „მოდის სახლის" ეზოსკენ გავიქეცით. ეს გროზნოს ყველაზე ცენტრალური ადგილია, როზა ლუქსემბურგის ქუჩა... გზადაგზა საქონელი გვეფანტებოდა...

როცა გავრბოდი, უზარმაზარმა ნამსხვრევმა მორიგი აფეთქების ექოსავით სულ ახლოს გამიზუზუნა. მან თითქოს მე კი არა, მხოლოდ დრო გაკვეთა თბილი წყალივით და მშრალ კალაპოტში მარტო დამტოვა. მაშინვე მივხვდი, რომ სიკვდილს ვერც დედა და ვერც სხვა ადამიანები ვეღარ გადამარჩენდნენ.

მხოლოდ ჩვენ ორნი — სიკვდილი და მე აღმოვჩნდით ამ სამყაროში ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ვერავინ და ვეღარაფერი ჩადგებოდა ჩვენ შორის და ვერ გადამეფარებოდა. გამეცინა და მივხვდი, რომ აღარაფერი მჭირდებოდა — არც ნივთები, არც ჩანთა და არც სხვა რამ ფასეულობა, რადგან „იქ" ვერაფერს, სულ-სულ ვერაფერს წავიღებდი... კიდევ ერთი ძლიერი დარტყმის შემდეგ დრო უკან ცეცხლის ენებად დაბრუნდა და ნამსხვრევმა სახლის აგურის კედლის ნაწილი ზედ ჩემს თავს ზემოთ გამოიღო, ფეხებს კი თითქოს ვიღაცის ლითონის ყბები მაგლეჯდა, მაგრამ ინერციით სირბილს მაინც ვაგრძელებდი. მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგღა დავეცი... ვიღაცებმა წამომაყენეს... საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსკენ გავიქეცით, მაგრამ იქ მეორე კარის მაგივრად, გისოსი დაგვხვდა. გიჟებივით გამოვცვივდით უკან და ახლა გვერდით მდგარი მეორე სახლის სადარბაზოსკენ გავიქეცით. როგორც კი სადარბაზოს კუთხეში მივიკუნჭე, გამჭოლმა ტკივილმა მაშინვე შემახსენა თავი. იმავე სადარბაზოში დედამ და კუსუმმა ერთი ჩეჩენი გოგონაც შემოარბენინეს. მას მუხლი ჰქონდა დაჩეჩქვილი. პირველად აღმოვაჩინე, რომ ძვალი შიგნით თეთრი ყოფილა. გოგონა შოკში იყო ჩავარდნილი და მარტო იმასლა გაიძახოდა, მტკივა-მტკივაო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მოამზადა რუსუდან ლებანიძემ



საქართველოს პარლა...
ეროვნული ბიბ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სახე

## სასაცილო ჯულიეტას „დაკვირვებული თვალი“

### „საყვარლებს“ ხან კარადაში ვმალავდი, ხან – საწოლის ქვეშ“...

**„თქვენი შოუს“ ლამაზმანს — 20 წლის ნათია ბადირეიშვილს იუმორისტულ სფეროში მუშაობა წარმოუდგენლად მიაჩნდა, დღესდღეობით კი მხიარულ სკეტჩებში მონაწილეობს და საკუთარი საქმიანობით კმაყოფილია...**



ძალიან მიყვარს დეტექტიური ჟანრის რომანები და თავისუფალ დროს თავს კითხვით ვირთობ. სხვათა შორის, დეტექტივს მეც ვწერდი...

ეთო ყორღანაშვილი

— ე.წ. „კავეენშიკი“ არ ვყოფილვარ. უბრალოდ, თსუ-ს „მანსანკანის“ გუნდში ერთხელ ვითამაშე და თურმე პროექტის — „თქვენი შოუ“ — ავტორის ყურადღება მივიქციე.

— **ასეთი რა სასცენო ნომერი შეასრულე?**

— „რომეო და ჯულიეტას“ სასაცილო ვერსია დავდგით — მე ჯულიეტა განვასახიერე. შემდეგ „თქვენი შოუს“ რალაც სკეტჩში ვითამაშე, მერე მეორე სკეტჩშიც მომცეს როლი და საბოლოოდ, აქ დავრჩი (*იღიმის*).

— **გადაცემაში თავს კომფორტულად გრძნობ?**

— არასოდეს მიფიქრია, რომ ამ სფეროში მომიწევდა მუშაობა. უცნაურია, მაგრამ აქ თავს კარგად ვგრძნობ.

— **ანუ შენი ამჟამინდელი საქმიანობისგან რადიკალურად განსხვავებული პროფესია გაქვს?**

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ვარ. ვფიქრობ, მაგისტრატურაში სწავლას პიარის განხრით განვაგრძობ. „თქვენი შოუ“ გამოცდილების მიღებაში მეხმარება: ხშირად ვარ გადაცემების, საღამოების წამყვანის როლში, რაც ძალიან სასიამოვნოა.

— **შენ უფრო დატვირთული სასცენო ნომრები გაქვს, ვიდრე — სალიტას („თქვენი შოუს“ კიდევ ერთი მსახიობი გოგონა)...**

— სალიტა მუსიკალურ როლებს ასრულებს, მე კი, ძირითადად, სკეტჩებში ვთამაშობ. თავდაპირველად, როლების შესრულება თითქოს გამიჭირდა, მაგრამ დროთა განმავლობაში შევეჩვიე.

— **შემოქმედებით ჯგუფთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

— შემოქმედებითი ჯგუფის თითქმის ყველა წევრი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს. ასე რომ, ბევრ მათგანს ადრეც ვიცნობდი, ამ სამსახურმა კი უფრო დაგვაახლოვა. როცა იუმორისტულ შოუზე მუშაობ, მგონი, მეგობრობა აუცილებელიცაა.

— **ეკრანს მიღმაც მხიარულები ხართ?**

— ჩვენი ბიჭები მხიარულები, ძალიან ჭკვიანები არიან და სხვათა შორის, ხუმრობა ერთადერთი საქმე არაა, რაც კარგად გამოსდით. მგონი, მეც და სალიტაც მხიარულები ვართ (*იცინის*).

— **სცენაზე ყველაზე კარგ პარტნიორობას ვინ გიწევს?**

— ეს სკეტჩზეა დამოკიდებული. ჩემი პარტნიორები ძირითადად, კაკი ჭანკურიძე, გიორგი მარშანია, ნიკუშა სადრაძე არიან და მათგან რომელიმეს გამორჩევა გამიჭირდება.

— **მაგალითად, როცა კაკი ამბობს: ველური კატა, აღვირახსნილი ვეფხვი ვარო, სიცილისგან თავის შეკავება არ გიჭირს?**



2006 წელს ნათია „მის ფერია“ გახდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, სწორედ ამ სკეტჩზე მუშაობისას ვფიქრობდი, — ისეთი რა გამეკეთებინა, რომ არ გამცინებოდა.

**— სცენაზე უხერხულ სიტუაციაში არ აღმოჩენილხარ?**

— ერთხელ კინაღამ წავიქეცი: მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მეცვა. საყვარლების შესახებ დავდგით სკეტჩი, რომელსაც „ბოჰემური რაფსოდია" ერქვა. მოკლედ, „საყვარლებს" ხან კარადაში ვმალავდი, ხან — საწოლის ქვეშ... ბოლოს, როცა ქმარი შემოვიდოდა, ყველა უნდა გაქცეულიყო. ჰოდა, სწორედ ამ დროს, ლამის წავიქეცი (*იცინის*).

**— ნათია, სანამ შოუში დაიწყებდი მუშაობას, რას საქმიანობდი?**

— ჯერ ბალერინა ვიყავი, მერე — ქართულ ხალხურ ცეკვებს ვასრულებდი; როცა თსუ-ში ჩავაბარე, სპორტული ცეკვებით დავკავდი. მას შემდეგ, რაც მუშაობა დავიწყე, ცეკვაზე ველარ დავდივარ, სამაგიეროდ, სასცენო ნომრების შესრულებისას ხშირად ვცეკვავ. ადრე ლიტერატურული საღამოები, კონცერტები მიმყავდა, ახლა ამის დრო ნაკლებად მაქვს. ძალიან მიყვარს დეტექტიური ჟანრის რომანები და თავისუფალ დროს თავს კითხვით ვირთობ. სხვათა შორის, დეტექტივს მეც ვწერდი...

**— დეტექტივებისთვის დამახასიათებელი თვისებები, მაგალითად — „დაკვირვებული თვალი" თუ გაქვს?**

— მგონი — კი. ისე, „დაკვირვებული თვალი" ჟურნალისტსაც უნდა ჰქონდეს, რადგან ხშირად, რესპონდენტები გულწრფელი არ არიან და შენ ეს არ უნდა გამოგეპაროს....

**— როგორც ვიცი, 2006 წელს სილამაზის კონკურსში მონაწილეობდი და „მის ფერია" გახდი...**

— მაშინ 14-15 წლის ვიყავი. სილამაზის კონკურსი თინეიჯერ გოგონებს შორის ჩატარდა.

**— ნათია, შეყვარებული გყავს?**

— არა, და მინდა გითხრა, რომ სერიოზულად არც არასდროს მყვარებია...

**— ალბათ, თაყვანისმცემლები არც აქამდე გაკლდა, მაგრამ მას მერე, რაც ტელეეკრანზე გამოჩნდი, დარწმუნებული ვარ, მათი რიცხვი გაიზრდებოდა...**

— ჩემ მიმართ სითბოს ძალიან ბევრი ადამიანი გამოხატავს. არ მჯერა იმ ადამიანების, რომლებიც ამბობენ, — თაყვანისმცემლებმა შემაწუხესო. როცა ვიღაცას უყვარხარ, პატივს გცემს და შენ მიმართ სითბოს გამოხატავს, სასიამოვნოა და არა — შემაწუხებელი. პირადად მე, მადლიერი ვარ მათი, ვინც მგულშემატკივრობს.

**— შენი ოჯახის შესახებაც გვითხარი რამე.**

— დედ-მამა მყავს, დედმამიშვილი — არა. მშობლებთან მეგობრული, თბილი ურთიერთობა მაქვს. შემიძლია, დღის ბოლოს ორივეს დავურეკო და ჩემი პრობლემის შესახებ დაუფარავად ვუამბო. ვიცი, მხარში ამომიდგებიან.

**— დაბოლოს, გიორგი აფციაური როგორი უფროსია?**

— რაც მთავარია, ძალიან ყურადღებიანი და თბილი ადამიანია. თუ რამე გვაწუხებს, ცდილობს, პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმაროს. მოკლედ, არაჩვეულებრივი უფროსი გვყავს!.. ■


## ვინ არის 2011 წლის ყველაზე მომხიბვლელი მამაკაცი საქართველოში

**წელიწადი იწურება. ამ დროს აფასებენ, ვინ იყო გასულ წელს ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე წარმატებული თუ ყველაზე, ყველაზე... სასიხარულო და სატირალი ამბები, სკანდალები და კურიოზები ბევრს გადახდა ჩვენს პატარა, ცნობისმოყვარე საქართველოში. გამოჩნდა ახალი სახეები, ვიღაც უკეთ დაგვამახსოვრდა, ვიღაც ნაკლებად, ზოგი უფრო მოსაწონი იყო, ზოგი — არა...**

რჩეულის დასახელება ყველას შეუძლია ინტერნეტის, ბეჭდური მედიისა თუ გამოკითხვების საშუალებით. მონაწილეთა მიერ დასახელებული კანდიდატებიდან აირჩევა რამდენიმე დაწინაურებული. გამარჯვებულის გამოსავლენად კი კანდიდატებს ხალხი ხმას თავიდან მისცემს. მნიშვნელოვანია შეფასების კრიტერიუმები: საინტერესო, სექსუალური, მიმზიდველი, მომხიბვლელი...

**მარიკა დარჩია**, „მედია პალიტრის" კრეატიული დირექტორი:

— ეს სახალისო წინასაახალწლო გამოკითხვა-კონკურსია, რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ტრადიციად არის ქცეული. ხალხს აინტერესებს, ვინ არის „ყველაზე-ყველაზე"... ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი ტიპის გამოკითხვებში ხალხის აქტივობასა და ჩაბმას.

**ნინო ტურაშვილი**, ჟურნალ „...და ქალის" რედაქტორი:

— ჩვენი ჟურნალი ქალებისთვის არის და მათთვის, ვისაც ქალები აინტერესებს. ამიტომ „...და ქალმა" უნდა დააჯილდოოს ყველაზე სასურველი, სიმპათიური და მომხიბვლელი მამაკაცი, რადგან სწორედ მათი ყურადღების მისაპყრობად იქმნება ჩვენი ჟურნალი.

**გამოკითხვაში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს.**

მიეცით გამარჯვების შანსი თქვენს რჩეულებს, ვებგვერდების:

**www.marao.ge**
**www.ambebi.ge**
**www.sportall.ge**
**www.palitratv.ge**
**www.mkurnali.ge**

საშუალებით.

შეავსეთ ანკეტა, ჩაწერეთ მისი სახელი და გვარი!

საუკეთესონი 2012 წლის დასაწყისში გამოვლინდებიან!

## კონკურსი დაიწყო!

იჩქარეთ, დაასახელეთ თქვენი კანდიდატები!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიო ყიფშიძე მამობისთვის ემზადება

## ზურა ყიფშიძე: „სიმშვიდის ძებნის“ ასაკში ვარ"

**მსახიობ გიორგი ყიფშიძეს თუმანიშვილის სახელობის თეატრის საგრიმიოროში სწორედ იმ დროს ვესტუმრე, როცა მამასთან — ზურა ყიფშიძესთან ერთად სპექტაკლისთვის ემზადებოდა. მართალია, მამა-შვილის ჩაწერა ერთად ვერ მოვახერხე, მაგრამ ბატონი ზურა საუბარში არაერთხელ ჩაგვერთო.**



ახლა საოცრად ვნერვიულობ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მუცელში რაღაცებს მარჭობდნენ

ელენე ბასილიძე

**— დიდი ხანია, შენთან ინტერვიუ არ ჩამიწერია, მაგრამ ვიცი, რომ შენს ცხოვრებაში ბევრი სიახლეა...**

— ვაიმე, 2 კვირაა, სპექტაკლში არ მითამაშია და ახლა საოცრად ვნერვიულობ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მუცელში რაღაცებს მარჭობდნენ. ამჟამად თუმანიშვილის სახელობის თეატრში, 2 სპექტაკლში ვარ დაკავებული... ბოლო დროს რამდენიმე ფილმშიც გადამიღეს. ფილმის — „გასეირნება ყარაბაღში“ მესამე ნაწილის გადაღება დაიწყო, სადაც პატარა როლი მაქვს. სამწუხაროდ, ჩემი გმირი ფილმის დაწყებიდან რამდენიმე წუთში კვდება, „პერესტრელკის“ დროს „ბრიდავენ“... ასევე, რეჟისორმა რეზო გიგინეიშვილმა გადაიღო ფილმი — 7 სასიყვარულო ნოველის მიხედვით და ერთ-ერთ ნოველაში ტაქსის მძღოლის როლში ვარ. გადაღებები სიღნაღში მიმდინარეობდა. ამ ფილმში თემურ ბაბლუანის ქალიშვილიც მონაწილეობს. არაჩვეულებრივი სამუშაო გარემო იყო შექმნილი და თავს მშვენივრად ვგრძნობდი. ერთი გოგონა გამუდმებით უკან დამდევდა. სადაც უნდა წავსულიყავი, მოდიოდა და სკამს მიდგამდა: — დაბრძანდითო. — არ მინდა, გოგო, რატომ წუხდები-მეთქი? — მიკვირდა. — ეს ჩემი მოვალეობააო, — მპასუხობდა. ყოველი შესვენებისას ყავას მოგვართმევდნენ, თუ ციოდა, პლედს გვაწვდიდნენ... აი, ფილმის გადაღებაც ამას ერქვა. მსახიობების მიმართ კარგი დამოკიდებულება იგრძნობოდა და ჩვენც შესაბამისი განწყობილებით ვმუშაობდით.

**— ქართველმა მსახიობებმა აღნიშნეს, რომ საუცხოო სამუშაო გარემო მათ რენი ჰარლინის ფილმის — „აგვისტოს 5 დღე“ — გადაღების დროს შეუქმნეს...**

— (*მანწყვეტინებს*) კი, ამ ფილმის გადასაღებ მოედანზეც კარგი სიტუაცია იყო, ოღონდ ეგაა, საშინელი ფილმი გამოვიდა... რეზო გიგინეიშვილის ფილმის გადასაღებად თითქმის მთელი გადამღები ჯგუფი მოსკოვიდან ჩამოიყვანეს და მინდა გითხრათ, რომ ამ ადამიანებმა შესანიშნავად იცოდნენ, თუ როგორ უნდა დახმარებოდნენ მსახიობს მუშაობის პერიოდში. აბა, ძეხვს რომ დაგიჭრიან და გამხმარ ხაჭაპურს გიყიდიან, რომლის ჭამის შემდეგ მთელი დღე კუჭი გტკივა და გადაღება კი არა, სიცოცხლეც აღარ გინდა, ეს რა თქმა უნდა, თამაშის ხარისხზეც მოქმედებს — კადრშიც ჩანს, რომ დატანჯული მსახიობი ხარ.

**ზურა ყიფშიძე:**

— ამას წინათ საქართველოში ფილმს იღებდნენ, რომელშიც პიერ რიშარი თამაშობდა. ჩემი მეგობარი მიყვებოდა, — შესვენებას რომ გამოაცხადებდნენ, ასისტენტი პიერ რიშარს მარცხნივ უთითებდა, ქართველ მსახიობებს — მარჯვნივო. პიერმა ერთი დღე უყურა ამას და მერე გაცოფდა: ერთად ვთამაშობთ და მათ სხვანაირად უმასპინძლდებითო?! მსგავსი რამ უცხოეთში არ ხდება!

**გიო:**

— საქართველოში კინოს სფერო ძალიან დიდხანს, „მიძინებული“ იყო. რეჟისორები ახლა სწავლობენ ყველაფერს და იმედია, სულ მალე ეს ხარვეზიც გამოსწორდება... მოდი, ამ თემაზე ლაპარაკს შევეშვათ და კიდევ ერთ სიახლეს გეტყვით: დათო იმედაშვილი ახალი ფილმის — „ვისი სული გსურს“ გადაღებას აპირებს. ეს ფილმი კომედიური ჟანრის იქნება და მასში რუსკა მაყაშვილი, პაატა გულიაშვილი და კახი კავსაძე მიიღებენ მონაწილეობას.

**— შენ რა როლი გექნება?**

— მე ერთ-ერთ მთავარ როლს შევასრულებ. ჩემი გმირი ხალხს ცუდად ექცევა და ამის გამო უცნ-



**ხშირად უთქვამთ, – თეატრალური არ გაქვს დამთავრებული? მოდი, ერთი, ლექსი წამიკითხეო... კაცო, ლექსის კითხვა ცალკე როლია...**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აური ამბები დაატყდება თავს: პატარა გოგონა მომაჯადოებს და ჩემი სული იმ ადამიანების სხეულში გადაინაცვლებს, რომლებსაც ცუდად ვექცევი. მოკლედ, ყოველდღე სხვადასხვა ადამიანის სხეულში „გავიღვიძებ“ და ბოლოს, ძაღლის სხეულშიც „ჩავსახლდები“ (*იღიმის*). ძალიან სახალისო ფილმი იქნება.

**— საოცნებო როლი თუ გაქვს?**

— არა. მიმაჩნია, რომ ყველა როლი თავისებურად საინტერესოა. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ რაღაცას თამაშობ, მაგრამ იცი, რაც უნდა იფაფხურო, ამ პერსონაჟს მაინც ვერ განავითარებ.

**— შენთვის რომელიმე რეჟისორს თუ უთქვამს, — საკუთარი თავი ითამაშეო?**

— ასეთი რამ არ მახსოვს...

**ზურა:**

— არ მომწონს, როცა მსახიობს ეუბნებიან, — გახსოვს, ამა და ამ სპექტაკლში რაღაცას როგორ აკეთებდი? ჰოდა, აი ეს, სწორედ ისე გამიკეთეო... როგორ შეიძლება, სადღაც ნანახი პატარა ეპიზოდი ისევ ისე ათამაშო მსახიობს? ხშირად უთქვამთ, — თეატრალური არ გაქვს დამთავრებული? მოდი, ერთი, ლექსი წამიკითხეო... კაცო, ლექსის კითხვა ცალკე როლია...

**— გიო, ვიცი, რომ მსახიობობის პარალელურად სხვა პროფესიასაც ითავსებ ხოლმე...**

— ჰო, ხანდახან ბარმენად ვმუშაობ.

**ზურა:**

— ბიჭო, ჟიგოლოც ხომ არ ყოფილხარ ოდესმე?

**გიო:**

— არა, მაგრამ იდეა მომეწონა, ღირს ამაზე დაფიქრება (*იცინის*). 1996 წელს კვიპროსზე ვცხოვრობდი და ვსწავლობდი. იმ პერიოდში საქართველოში ცხოვრება ჭირდა და ცხადია, ვერავინ დამაფინანსებდა. ჰოდა, თავი რომ გამეტანა, არაერთ ადგილას მომიხდა მუშაობა. მახსოვს, ვიღაც მილიონერთან ვმუშაობდი, ბაღში ყვავილებს ვუთოხნიდი. უყვარდა, როცა შენიშვნებს მაძლევდა: — ეს ასე კი არა, ისე უნდა გააკეთოო. იმ კაცს უბრალოდ, სხვისთვის ჭკუის სწავლება უყვარდა, თორემ სინამდვილეში, მის ბაღში ჩემი გასაკეთებელი არაფერი იყო... მახსოვს, პლაჟზე სკუტერებსაც ვაქირავებდი, დისკოთეკაზე — ბარმენად, იტალიურ რესტორანში კი მიმტანად ვმუშაობდი. გასულ ზაფხულს ჩემმა მეგობრებმა — კოშკამ და ხინკლიმ აჭარაში, კლუბში — „სტრეპტოციდი“ — ბარმენად მუშაობა შემომთავაზეს. რომელი გამოცდილი ბარმენი მე ვიყავი, მაგრამ დავთანხმდი და მშვენიერი დრო გავატარე. სხვათა შორის, კოქტეილების მომზადება და ლუდის ბოთლის უცნაურად გახსნაც „დავამულამე“. ვერთობოდი და ხალხსაც ვართობდი.

**— იმ ხალხს, რომელსაც ემსახურებოდი, შენი დანახვისას როგორი რეაქცია ჰქონდა?**

— მოდიოდნენ და მეკითხებოდნენ: — კი, მაგრამ ასეთი რა გაგიჭირდაო?! ისინი ვერაფრით დავარწმუნე, რომ ეს საქმე უბრალოდ, მომწონდა. ახლა კიდევ მაქვს შემოთავაზება: შაბათ-კვირას შეიძლება, ერთ-ერთ ბარში ვიმუშაო. რატომაც არა? ჩემთვის ბარში მუშაობა დიდი კაიფია. ისე კი, თუ ოდესმე პროფესიის შეცვლას გადავწყვეტ, გეოლოგობას ავირჩევ. ძალიან მიყვარს მოგზაურობა, თავგადასავლები... ამას წინათ მამამ მითხრა, — შეიძლება, კვიცი მაჩუქონო და უცებ წარმოვიდგინე, რა მაგარი იქნებოდა, პატარა რანჩო რომ გვქონოდა. ადამიანებს ასაკი რომ ემატებათ, საცხოვრებლად ქალაქგარეთ გადადიან, სიმშვიდეს ეძებენ, ბუნებასთან სიახლოვის სურვილი უჩნდებათ... მგონი, მეც ასეთი დრო დამიდგა.

**ზურა:**

— შენ რა შუაში ხარ?! „სიმშვიდის ძებნის“ ასაკში მე ვარ. შენ უბრალოდ, დაჭკვიანდი და მიხვდი, რომ ასე ცხოვრება ჯობს.

**გიორგი:**

— დიდი მადლობა, მამა, კომპლიმენტისთვის.

**— ერთხელ თქვი, რომ რუსეთში გინდოდა კარიერის გაგრძელება...**

— ახლაც ვფიქრობ, რომ ჩემთვის კარიერის გასაკეთებლად ყველაზე კარგი ქვეყანა რუსეთია: შრომის ანაზღაურება მაღალია, გემოვნებიანი ხალხია, გენეტიკურად განათლებული ერია... ჩვენ შორის უცნაური პოლიტიკური ურთიერთობა რომ არ იყოს, იქ სამუშაოდ დიდი სიამოვნებით წავიდოდი.

**— გავიგე, რომ ყიფშიძეების ოჯახში მალე კიდევ ერთი პატარა გაჩნდება...**

— კი, ჩემი მეუღლე ორსულობის მეოთხე თვეშია, ვაჟს ველოდებით. პატარა უკვე 16 სანტიმეტრია... ჯერ სახელი შერჩეული არ გვაქვს. არ მინდა, მამაჩემის სახელი დავარქვა და ეს არც ზურას უნდა... უნდა ნახოთ, ნატალია როგორ ეჭვიანობს თავის მუცლად მყოფ ძმიკოზე. ამბობენ, — ბავშვობაში ლენუკაზე შენც ეჭვიანობდიო. 4 წლის ვიქნებოდი,



ჩემი მეუღლე ორსულობის მეოთხე თვეშია, ვაჟს ველოდებით. პატარა უკვე 16 სანტიმეტრია...

როცა გადავწყვიტე, რომ მშობლებს აღარ ვჭირდებოდი, რადგან ჩემს დას უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ. ჩანთაში არაჟანი, ნახევარი პური ჩავიდე და სახლიდან წასვლა გადავწყვიტე. კიდევ კარგი, მამაჩემს ფანჯრიდან დავუნახავვარ და გამომკიდებია...

**— როგორ გაზრდი ვაჟს?**

— რეზო გიგინეიშვილის ფილმის გადაღებისას ვნახე გოგონა, რომელიც თავის 4 თვის პატარას ყველგან თან დაატარებდა, მას ძალიან მარტივად და თავისუფლად ზრდიდა, რაც ძალიან მომეწონა. ის გოგონა გრიმიორი გახლდათ და რუსეთიდან სპეციალურად გადაღებებისთვის ჩამოიყვანეს. საოცარი ის იყო, რომ დედა ბავშვს ქსოვილით გულზე „იკრავდა“ და გრიმს ისე გვიკეთებდა... მინდა, ჩემი შვილი მეც ასე გავზარდო: ტანზე „მივიკრავ“ და ყველგან თან ვატარებ. პამპერსებს ჩანთაში ჩავყრი და რეპეტიციებზეც მასთან ერთად ვივლი. ახლა ასე ვფიქრობ და მომავალში რა მოხდება, არ ვიცი. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სალი დავითიშვილის პირველი სიყვარული



## „320 ანთებული სანთლის ფონზეც გვივახშმია"

**ტელეწამყვანი სალი დავითიშვილი მაყურებლებს სერიალიდანაც — „შუა ქალაქში" — ახსოვს, ახლახან კი რეალითი შოუში — „ფორმაში" გამოჩნდა. სამხედრო კურსის დასრულების შემდეგ, „მონათვლის" ნიშნად, სალის ცოცხალი თევზიც გადაუყლაპავს და თბილისში დაბრუნებულს ნამდვილ ჯარში წასვლის სურვილიც გასჩენია; მაგრამ დროულად გაახსენდა, რომ ჯარისკაცების გარდა, სამშობლოს ყველა ადამიანი თავისი საქმიანობით იცავს და ტელევიზიას დაუბრუნდა. მალე კი ბიზნესში ჩართვასაც აპირებს... მშვენიერ და წარმატებულ სალის პირად ცხოვრებაზე ვესაუბრე.**

*ეთო ყორღანაშვილი*

**— სალი, საპირისპირო სქესის წარმომადგენლებისგან ყურადღება პირველად როდის იგრძენი?**

— ბავშვობაში თოჯინები არ მაინტერესებდა. ის თამაშები მიზიდავდა, რომლებსაც ბიჭები თამაშობდნენ. მეორე კლასში ვიყავი, როცა ერთმა მითხრა, — მიყვარხარო! ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელი იყო, მით უმეტეს, რომ მაშინ „ძველ ბიჭებს" ვბაძავდი: „პაპკით" დავდიოდი, „ბაბოჩკას" ვატრიალებდი, რის გამოც დედა შოკში იყო!.. მეოთხე კლასში ვიყავი, როცა მეექვსეკლასელ ბიჭს მოვწონდი. მისით მეც აღფრთოვანებული ვიყავი და ამიტომაც, მას ჩემი ახლობლები „სიძეს" ეძახდნენ. მახსოვს, ჩვენს ეზოში სპეციალურად მოდიოდა და ამორჩეულ სიმღერას მიმღეროდა, ფანჯარასთან ყვავილებს მიტოვებდა (პირველ სართულზე ვცხოვრობდი)... მეტისმეტად ცელქი ვიყავი: სხეულზე მუდამ ნაკერი მედო, „შრამები" მქონდა. არასდროს ვტიროდი. სკოლის შემდეგ ფორტეპიანოს, ქართული ცეკვებისა და ინგლისური ენის გაკვეთილებზე დავდიოდი. მახსოვს, ბოლოს დედამ ბალეტზეც მიმიყვანა — გოგოსთვის დამახასიათებელი მანერები გამოუმუშავდებაო. იქ ჩემი კლასელი ბიჭიც დადიოდა, რომელსაც სისხლი გავუშრე — როგორ შეიძლება, ბიჭი ბალეტს სწავლობდეს-მეთქი? იმდენი ვეძახე, ამ საქმეს შეეშვა...

**— პირველად სერიოზული გრძნობა როდის გეწვია?**

— ჩემი პირველი შეყვარებული 15 წლის ასაკში გავიცანი, როცა „აჭარა მიუზიკ ჰოლში" მუშაობა დავიწყე. 8 წელი ვიყავით ერთად.

**— რით მიიქცია შენი ყურადღება?**

— ლაღი, მშვიდი ბიჭი იყო. საერთოდ, ისეთი ადამიანები მიყვარს, რომლებსაც ყოველი დღე ახარებთ, ყველაფრისგან სიამოვნებას იღებენ. მართალია, პრობლემებს ვერსად გავექცევით, მაგრამ ამქვეყნად ბევრი კარგი რაღაც ხდება. ყოველთვის ფერადი ტანსაცმელი მიყვარდა. მასაც ასე ეცვა და სხვებისგან ამითაც გამოირჩეოდა. ჩვენი ურთიერთობა ნელ-ნელა აეწყო. ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებდით, მაგრამ სამწუხაროდ, ბოლოს მაინც დავშორდით: როცა საქმე ოჯახის შექმნაზე მიდგა, მივხვდი, რომ მთელი ცხოვრების მასთან გატარება არ მინდოდა. ჩვენ უბრალოდ, საუკეთესო მეგობრები ვიყავით...

**— პირველი პაემანი გახსოვს?**

— მაგას რა დამავიწყებს?! ვკონტაქტობდით, მაგრამ ერთმანეთს ვერ ვხვდებოდით, რადგანაც ბევრი საქმე მქონდა. ერთხელ დედას ვთხოვე, — დეიდასთან დავრჩები-მეთქი. ცხადია, გამიშვა. დეიდაჩემის საცხოვრებელი კორპუსის წინ ბაღია. ჰოდა, შეყვარებულს მივწერე: შემიძლია, გამოვიდე-მეთქი. 5 წუთში მოვიდა. ერთად დაახლოებით 2 საათი გავატარეთ. მახსოვს, 4 თებერვალი იყო...

**— ექსტრემალურად შემდგარი პაემნების გარდა, ალბათ, რომანტიკულ ვახშამზეც მიუწვევიხართ...**

— რა თქმა უნდა! 320 ანთებული სანთლის ფონზეც გვივახშმია. სანთლები ძალიან მიყვარს...

**— 8-წლიანი ურთიერთობის დასრულება არ გაგიჭირდა?**

**ბავშვობაში თოჯინები არ მაინტერესებდა. ის თამაშები მიზიდავდა, რომლებსაც ბიჭები თამაშობდნენ**



**ჩემი პირველი შეყვარებული 15 წლის ასაკში გავიცანი, 8 წელი ვიყავით ერთად**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა, მაგრამ მომავალში ოჯახის დანგრევა უფრო რთული იქნებოდა. ოჯახს თუ შევქმნი, მინდა, მთელი ცხოვრება მეუღლის გვერდით გავატარო... მისთვის ამის ახსნა ძალიან გამიჭირდა. ამ ნაბიჯის გადასადგმელად ბევრი დრო დამჭირდა...

— **ქორწილი ჩაშალე თუ მანამდე უთხარი, რომ მასთან ერთად ვერ იცხოვრებდი?**

— არა, მანამდე ვუთხარი. თუმცა უკვე ყველაფერი დაგეგმილი გვქონდა.

— **გაგიგო?**

— რა თქმა უნდა — ვერა, მაგრამ მიმაჩნია, რომ მაშინ სწორი ნაბიჯი გადავდგი.

— **ხომ არ იფიქრა, რომ თქვენი ურთიერთობის დანგრევის მიზეზი შენს ცხოვრებაში სხვა ადამიანის გამოჩენა იყო?**

— ამას ვერც იფიქრებდა, რადგან იცოდა, რომ ერთგული ადამიანი ვარ და სხვათა შორის, ისიც ასეთი გახლდათ. ახლა ნორმალური ურთიერთობა გვაქვს: დღესასწაულებზე ერთმანეთს ვურეკავთ და ვულოცავთ. დაშორებიდან 1 თვის შემდეგ შემთხვევით შევხვდით. მას მერე არ მინახავს.

— **მასთან ურთიერთობის აღდგენას გამორიცხავ?**

— კი. ერთი ჩვევა მაქვს: წარსულს არასოდეს ვუბრუნდები, წარსულით არ ვცხოვრობ...

— **მას მერე პაემანზე თუ ყოფილხარ?**

— როგორ არა, ოღონდ — „ქუსლები ხელში მეჭირა“, უკან ისე მოვრბოდი (*იცინის*).

— **რადგან პაემანზე წახვედი, ე. ი. იმ ბიჭის მიმართ სიმპათია გქონდა. ასეთი რა ჩაიდინა, მისით ნახვისთანავე რომ განიხიბლე?**

— რატომღაც, ყველა მამაკაცი ცდილობს, თავისი „ჯიბით“ გაგაოცოს, მე კი ასეთი რაღაცები მაღიზიანებს, ეს ყველაფერი იმ კონკრეტული ადამიანის მიმართ აგრესიულად განმაწყობს. კაცობა სამსახურით, მანქანითა თუ სამოსით კი არა, თავისი ადამიანურობით, ვაჟკაცობით უნდა დაამტკიცოს. როცა „ჯარში“ ვიყავი, მივხვდი — როგორი უნდა იყოს ნამდვილი მამაკაცი. მათ იქ ფორმის გარდა, არაფერი ჰქონდათ და მათგან მხოლოდ სიძლიერე „მოდიოდა“...

— **პირველი სიყვარულის შემდეგ, სერიოზული ურთიერთობა ალარავისთან გქონია?**

— ხანგრძლივი — არა. ჩემს ცხოვრებაში იყო ადამიანი, რომელიც მიყვარდა, მაგრამ ჩვენი აზრები, ინტერესები ერთმანეთს არ დაემთხვა და დავშორდით. თბილისში, სხვის ცხოვრებაში თითქმის მთელი ქალაქი ერევა. რატომღაც, ბედნიერი წყვილის დანახვა არ



რატომღაც, ყველა მამაკაცი ცდილობს, თავისი „ჯიბით“ გაგაოცოს, მე კი ასეთი რაღაცები მაღიზიანებს

უხარიათ. სიყვარულს მალვა უნდაო, — რომ ამბობენ, ეს სიმართლეა. ჰოდა, თავდაპირველად ურთიერთობის დამალვა ჩვენც ვცადეთ, მაგრამ როგორც კი „ფარდა გაიხსნა“, პრობლემებიც შეგვექმნა...

— **როგორი მამაკაცები მოგწონს?**

— ძლიერი ხასიათის მქონე. როგორც მეუბნებიან, თავადაც ძალიან შეუპოვარი და მიზანდასახული ვარ. ჩემი რჩეული აუცილებლად, ჩემზე ძლიერი უნდა იყოს, რათა მის გვერდით თავი დაცულად ვიგრძნო. შეიძლება, რაღაც მომენტში თავი მოვიტყუო, მაგრამ ტყუილს არ „გადავყლაპავ“; ტყუილს ოჯახის წევრებსაც ვერ ვაპატიებ. როცა ადამიანის გულწრფელობას ვიგრძნობ, შეიძლება, სერიოზული ნაბიჯი გადავდგა... ძალიან მიყვარს სიურპრიზები. აი, ძვირად ღირებული საჩუქრები კი დიდად არ მხიბლავს; საყვარელი ადამიანის გაოცება სხვაგვარადაც შეიძლება. შეყვარებულმა წყვილებმა ერთმანეთი უნდა გააბედნიერონ. თუ საყვარელ ადამიანთან ყოფნისას დისკომფორტს განიცდი, უნდა მიხვდე, რომ ურთიერთობის გაგრძელება აღარ ღირს.

— **სალი, თუ შენი ან შენი რჩეულის მშობლები თქვენი ურთიერთობის წინააღმდეგი იქნებიან, ასეთ შემთხვევაში როგორ მოიქცევი?**

— მართალია, მშობლებს შვილისთვის საუკეთესო უნდათ, მაგრამ არავინ იცის, საუკეთესო ვინაა. ოჯახში ყოველთვის მეუბნებოდნენ: მთავარია, თავს ბედნიერად გრძნობდე; შეიძლება, რჩევა მოგცეთ, მაგრამ გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღოო...

— **რა რჩევებს მისცემ გოგონებს, რომლებიც პაემანზე წასასვლელად ემზადებიან?**

— მთავარი ის კი არაა, რასაც ადამიანი ლაპარაკობს, არამედ მის საქციელს უნდა დააკვირდე და მიხვდე, სინამდვილეში შენგან რას ითხოვს. გოგონები ფუჭი სიტყვებით ნუ გაიხარებენ. პაემანზე, პირველი ეფექტის მერე, „ფეიერვერკის გაშვებისგან“ თავი შეიკავონ...

— **ბიჭებს რას ურჩევ?**

— უბრალოდ, ბუნებრივები, „გახსნილები“ იყვნენ, ნურაფრის შერცხვებათ და საკუთარი ნაკლის რაღაცებით დაფარვას ნუ ეცდებიან — ადამიანმა ისეთი უნდა შეგიყვაროს, როგორიც ხარ.

— **ქორწინებამდე წყვილის თანაცხოვრებაზე რა აზრის ხარ?**

— ასეთ შემთხვევაში, წყვილი უბრალოდ, დაქორწინებული არაა — ხელი არა აქვთ მოწერილი და ჯვარი დაწერილი, თორემ ისე ცხოვრობენ, როგორც ცოლ-ქმარი. შეიძლება, 3-4 წელიწადში ერთმანეთს ისინიც დაშორდნენ... დასვენების დღეების საყვარელ ადამიანთან ერთად გატარება ძალიან კარგია. სწორედ ამ დროს ხვდები, მასთან ერთად ცხოვრებას შეძლებ თუ ვერა. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რა რჩევებს აძლევს მაია ასათიანი ნახევარდას

## ერეკლე გეწაძე რჩეულის სახელს მალავს

**ვერო კალანდარიშვილი და ერეკლე გეწაძე განახლებულ „შუა ქალაქში“, ნუცასა და გუგას როლში მოგვევლინნენ. ძალიან მხიარული, ლაღი და ნიჭიერი მსახიობებისადმი მაყურებელი დადებითად მალევე განეწყო. ისინი ჯერ კიდევ სტუდენტები არიან და იმედი აქვთ, რომ პოპულარობას წარმატებული ოჯახის წევრების დაუხმარებლადაც მიაღწევენ. ცნობისათვის, ერეკლე მსახიობების — ზურაბ გეწაძისა და ნანუკა ლითანიშვილის ვაჟია, ვერო კი ტელეწამყვანის, მაია ასათიანის ნახევარდა გახლავთ...**

*თამთა დადეშელი*

— **გაგვეცანით, რას საქმიანობთ?**

**ვერო:**

— თეატრალურ უნივერსიტეტში, ნუკრი ქანთარიას ჯგუფში ვსწავლობ, მეორე კურსის სტუდენტი ვარ. ბავშვობაში ისეთი თამაშები მომწონდა, რომელსაც დიდი ფანტაზია სჭირდებოდა. 13 წლის ვიყავი, როცა თეატრალურ სტუდიაში მიმიყვანეს. იქ ორ სპექტაკლში ვმონაწილეობდი: ერთ-ერთი მიმოდრამა იყო და მასში ბედისწერას ვთამაშობდი, მეორე კი კომედიური ჟანრის სპექტაკლი გახლდათ. ჰოდა, სწორედ მაშინ მივხვდი, რომ მსახიობობა ჩემი მოწოდება იყო.

**ერეკლე:**

— მესამე კურსზე ვარ, გოგი მარგველაშვილის ჯგუფში ვსწავლობ. სხვათა შორის, მსახიობობა არასდროს მინდოდა, მაგრამ როცა პროფესიული არჩევანის წინაშე დავდექი, რატომღაც მომინდა, თეატრალურ უნივერსიტეტში ჩამებარებინა. ბავშვობაში ესტონეთში, ტალინში ვიყავი გადაღებებზე: რეჟისორ ვიქტორ პანასკის მოკლემეტრაჟიან ფილმში მეორეხარისხოვანი როლი მქონდა, „ბომჟ“ ბავშვს ვასახიერებდი. მახსოვს, მაშინ ყველამ შემაქო. დრო რომ გავიდა, მირჩიეს, — ისეთი მონაცემები გაქვს, აუცილებლად სამსახიობოზე უნდა ჩააბაროო. ვფიქრობ, ურიგო არჩევანი არ გავაკეთე.

— **რამდენად მიზანდასახულები ხართ?**



პირველი 5-6 სერია მაყურებლის დიდი „ზეწოლის“ ქვეშ გავიარეთ, ახლა კი სიტუაცია შეიცვალა...

**ვერო:**

— მთავარია, ზუსტად ვიცოდე, რა მინდა და მერე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მიზანს მივაღწიო!

**ერეკლე:**

— მე ვეროსგან რადიკალურად განსხვავებული ვარ: შეიძლება რაღაც დავგეგმო, მაგრამ მერე ყველაფრის შეცვლა მომინდეს, სხვა ინტერესი გამიჩნდეს და გზიდან გადავუხვიო... სურვილი მაქვს, ჯეიმს ბონდი განვასახიერო. ამ პერსონაჟზე ბავშვობიდან ვგიჟდები.

**ვერო:**

— ჩემთვის უფრო საინტერესო ტრაგიკული როლებია, მაგრამ სურვილი მაქვს, საკუთარი ძალები ყველა ჟანრში მოვსინჯო.

— **როგორც ვიცი, სერიალში — „შუა ქალაქში“ სანამ მიგიღებდნენ, კასტინგი გაიარეთ. ალბათ, ბევრი კონკურენტი გყავდათ...**

— როცა გავიგე, რომ კასტინგს აცხადებდნენ, ვიფიქრე, — მეც წავალ და სხვა თუ არაფერი, იმას მაინც გავიგებ, ასეთ კონკურსებზე რა ხდება-მეთქი. ვერც კი წარმოვიდგენდი, მეორე კურსის სტუდენტს ასეთ სერიალში თუ ამიყვანდნენ. თავიდან მხოლოდ გასაუბრება გავიარე, შემდეგ ჩემი არტისტული მონაცემები შეამოწმეს. ბოლოს კი ნუცას როლზე დამამტკიცეს.

**ერეკლე:**

— მეც რამდენიმე ტური გავიარე და ძალიან გამიკვირდა, ბიჭებს ფიზიკური მონაცემებიც რომ შეგვიმოწმეს; პირადად მე, აზიდვები გამაკეთებინეს. 17 აზიდვა რომ გავაკეთე, გავჩერდი. ამდენი არავის გაუკეთებიაო, — მითხრეს. მგონი, სამსახურის შოვნაში ესეც დამეხმარა (*იღიმის*).

— **ადრე თუ უყურებდით ამ სერიალს?**

**ვერო:**

— ყოველთვის ვუყურებდი, რადგან ძალიან მომწონდა, მაგარი იყო. მართალია, ახლა რაღაცები შეიცვალა, მაგრამ მაინც კარგი გამოდის. სერიალის მონაწილე რომ გავხდი, ისე გამიხარდა, სიხარულისგან დავფრინავდი.

**ერეკლე:**

— იმის გამო, რომ სერიალში ძველი გმირები ახლებით ჩაანაცვლეს, თავიდან ხალხს უარყოფითი რეაქცია ჰქონდა — ეს ბუნებრივიც იყო და სხვათა შორის, უარესსაც კი ველოდით. პირველი 5-6 სერია მაყურებლის დიდი „ზენოლის“ ქვეშ გავიარეთ, ახლა კი სიტუაცია შეიცვალა...

— **ერეკლე, სერიალში ისეთი სერიოზული ხარ, მეგონა, ცხოვრებაშიც ასეთი იქნებოდი, მაგრამ მგონი, შენს პერსონაჟს არაფრით ჰგავხარ.**

— მეც ასე ვფიქრობ. მსგავსება შეიძლება იმაში იყოს, რომ ზოგჯერ გუგასავით მკაცრი ვარ.

— **გუგას გმირი ნუცას მიმა-**

რთ გულგრილია. შენ როგორ ექცევი ისეთ თაყვანისმცემლებს, რომლებიც არ მოგწონს?**

— ნებისმიერი ქალი იმსახურებს პატივისცემას. ვფიქრობ, თუ კარგ კაცობაზე გაქვს პრეტენზია, გოგომ თავი როგორც გინდა მოგაბეზროს, მას ისე არ უნდა მოექცე, როგორც გუგა ექცევა ნუცას.

— **როგორი გოგონები მოგწონს?**

— ყველა ცუდ ქალში არის რაღაც კარგი და ყველა კარგ მანდილოსანში — რაღაც ცუდი...

— **„შუა ქალაქში“ გამოჩენის შემდეგ გოგონები ხომ არ გაწუხებენ?**

— ვგრძნობ, რომ ვილაცები რაღაცას „მა-ი-მუ-ნო-ბენ“, მაგრამ ვერ შემაწუხებენ, რადგან მე უკვე მყავს ჩემი რჩეული, რომლის ვინაობასაც ვერ გაგიმხელთ (*იღიმის*).

— **ვერო, შენც შეყვარებული ხომ არ ხარ?**

— არა, ჯერჯერობით არავინ მყავს... რაც შეეხება ნუცასთან მსგავსებას, ჩემს გმირს მეც არაფრით ვგავარ. მის გამოხდომებზე ძალიან ვხალისობ, მაგრამ ზოგჯერ მეცოდება, გუგა ყურადღებას რომ არ აქცევს. ნუცას ადგილას ცოტა მეტ ეშმაკობას გამოვიჩენდი და გუგას სხვანაირად დავაინტერესებდი, თუ არა და, შევეშვებოდი.

— **როგორც ვიცი, მაია ასათიანი შენი ნახევარდაა...**

— დიახ და თავიდან ცოტა არ იყოს, მეშინოდა, ხალხმა როგორც მაიას და, ისე არ გამიცნოს-მეთქი. მინდოდა, წარმატებისთვის დამოუკიდებლად მიმეღწია და მგონი, ასეც ხდება... მაიკომ პოპულარობა ნელ-ნელა მოიპოვა. როცა „პროფილი“ დაიწყო და ხალხი მასზე კომპლიმენტებს მეუბნებოდა, ძალიან მიხაროდა.

— **ბოლო დროს მაიას და მის გადაცემა „პროფილს“ ხშირად აკრიტიკებენ...**

— ამ ყველაფერს თავიდან ძალიან განვიცდიდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ნერვიულობით ვერაფერს შევცვლიდი. რასაც მაია აკეთებს, მე გულწრფელად მომწონს. ოჯახის წევრები მის პროფესიასა და საქმეში არ ვერევით, რადგან ეს ვიცით, არ მოეწონება და მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, არც თვითონ ერევა ჩვენს საქმეში.



**რომ არა მაია, ამა თუ იმ სიტუაციაში შეიძლება, რაღაც ისეთი სისულელე ჩამედინა, რასაც მთელი ცხოვრება ვინანებდი**

— **დებს როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— შესანიშნავი. ის ჩემზე 15 წლით უფროსია და ბევრ კარგ რჩევას მაძლევს; რომ არა მაია, ამა თუ იმ სიტუაციაში შეიძლება, რაღაც ისეთი სისულელე ჩამედინა, რასაც მთელი ცხოვრება ვინანებდი.

— **ერეკლე, შენს მშობლებზეც ვისაუბროთ. როგორი შეგრძნებაა, როცა ცნობილი მსახიობების შვილი ხარ? მათ თუ სურდათ, რომ მსახიობი გამხდარიყავი?**

— ჩემი პროფესიული არჩევანი არ მოეწონათ. არ უნდოდათ, მსახიობი გავმხდარიყავი და უფრო მეტიც — ხელოვნებასთან რაიმე კავშირი მქონოდა. ბავშვობაში ძალიან კარგად ვსწავლობდი ფიზიკას, ქიმიასა და მათემატიკას. ტექნიკური აზროვნება მაქვს.



**არ უნდოდათ, მსახიობი გავმხდარიყავი და უფრო მეტიც – ხელოვნებასთან რაიმე კავშირი მქონოდა**

— **ვერო, გუგას რაღაცნაირად, გაწელილად ეძახი ხოლმე. ეს სცენარისტების იდეა იყო?**

— რეპეტიციაზე რეჟისორმა მითხრა, — გუგას ცოტა ხმადაბლა დაუძახე, მაგრამ ისე, რომ გაიგონოს და გარეთ გამოვიდესო. რეპეტიციებზე ამას ჩვეულებრივად ვაკეთებდი, ჩაწერის დროს კი მომინდა, სხვანაირად დამეძახა. ხალხს ეს მოეწონა და სცენარისტებმაც მითხრეს, — ასე დაუძახე ხოლმეო.

— **მსახიობმა ანა ქურთუბაძემ მითხრა, — ერთხელ შეყვარებულს კორპუსის წინ ვუმღერეო. მგონი, სახალისო გამოვა, ნუცამ გუგას რომ უმღეროს...**

— არ არის გამორიცხული, ერთხელ ასეთი რაღაცაც რომ იკისროს (*იცინის*).

— **გადაღებების დროს ალბათ, კურიოზიც ხშირად ხდება. საინტერესოა, თქვენსავე ტექსტებზე არ გეცინებათ?**

— კი, ამაზე ბევრს ვხალისობთ, უფრო მეტიც — ზოგჯერ ისეთი სიცილი გვიტყდება, ვერ გვაჩერებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ერეკლე:**

— ერთხელ, გენერალურ რეპეტიციაზე შემთხვევით, კარის ჩარჩოს მივარტყი ხელი და მთელი დეკორაცია თავზე ჩამომემხო...

**— ყველა არტისტის სურვილია, თეატრის სცენაზე ითამაშოს. ამ მხრივ რაიმე გამოცდილება თუ გაქვთ?**

— სხვათა შორის, არაერთ სპექტაკლში ვმონაწილეობდი — მარჯანიშვილის თეატრში, რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენასა და ვაკის თეატრალურ სარდაფში მითამაშია. ასევე, ეტიუდების ფესტივალში ვმონაწილეობდი. მოლდოვაში რეჟისორ რევაზ შატაკიშვილის ერთ-ერთი სპექტაკლი გვქონდა წაღებული, რომელსაც იმ კონკურსზე პრიზი მიენიჭა. იქაური პუბლიკა ქართულისგან საკმაოდ განსხვავებულია, სპექტაკლს სულ სხვა თვალით უყურებენ და სხვანაირადაც აფასებენ.

**ვერო:**

— ყველა ჩემი ოცნება ჩემს პროფესიასთანაა დაკავშირებული და უბედნიერესი ადამიანი ვიქნები, თუ სამსახური თეატრშიც მექნება და ტელევიზიაშიც. ■



ვგრძნობ, რომ ვილაცები რაღაცას „მა-ი-მუ-ნო-ბენ“, მაგრამ ვერ შემაწუხებენ, რადგან მე უკვე მყავს ჩემი რჩეული

# ანჯელინა ჯოლი — რეჟისორის ამპლუაში



ჰოლივუდის ვარსკვლავის ფილმი — „სისხლისა და თაფლის მხარეში“ 1992-1995 წლების ომის დროს, ბოსნიელი ქალისა და სერბი მამაკაცის სიყვარულის ამბავს მოგვითხრობს. გადაღებები სერბხორვატულ და ინგლისურ ენაზე ერთდროულად მიმდინარეობდა.

ანჯელინა ჯოლის ნამუშევარი ამერიკის შეერთებული შტატების ეკრანებზე 23 დეკემბერს, შეზღუდული ტირაჟით გამოვა. მისი ხილვის საშუალება თავდაპირველად, ლოსანჯელესისა და ნიუ-იორკის მკვიდრთ ექნებათ. ფილმის სათაური იმ პოპულარულ თეორიას ეფუძნება, რომლის თანახმადაც, ტოპონიმი „ბალკანეთი“ თურქული სიტყვების — „ბალ“ (თაფლი) და „კან“ (სისხლი) შერწყმის შედეგად წარმოიქმნა... სამწუხაროდ, რეალური ეტიმოლოგია ბევრად პროზაულია. თურქულ ენაზე „ბალკან“ „ტყეებით დაფარულ ქედს“ ნიშნავს.

ფილმისთვის სცენარი ანჯელინა ჯოლიმ დაწერა, გადაღებებს კი კომპანია GK Films აწარმოებდა. სურათში მთავარ როლს 27 წლის ბოსნიელი მსახიობი ზანა მარიანოვიჩი ასრულებს, რომელსაც პარტნიორობას ხორვატი მსახიობი — რედე შებერჯია უწევს. სხვათა შორის, დანარჩენი მსახიობებიც ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკებიდან არიან. საგულისხმოა, რომ თავად ანჯელინა ჯოლი ფილმში არ თამაშობს. ■



# ქსენია სობჩაკი თხოვდება



ქსენია სობჩაკის დაბადების დღის ალსანიშნავად გამართულ ბანკეტში მისმა საქმრომ, სერგეი კაპკოვმა 5 მილიონი რუსული რუბლი გადაიხადა. როგორც ამბობენ, სტუმრებს შორის იყვნენ მილიარდერი მიხეილ პროხოროვი, ქსენიას ყოფილი ბოიფრენდი — მოცეკვავე და ქორეოგრაფი ევგენი პაპუნაშვილი და მსახიობი მიხეილ ეფრემოვი. ბანკეტი რესტორნის დახურულ დარბაზში ჩატარდა და იუბილარის სტუმრებმა „მომაბეზრებელი“ ჟურნალისტების გარეშე მოილხინეს. ქსენიამ სტუმრებს ცეკვა აჩუქა, ხოლო სერგეი კაპკოვმა ტელევარსკვლავს სიყვარული საჯაროდ აუხსნა. ასე რომ, რუსეთის მაღალი საზოგადოების სკანდალურად ცნობილი ქალის ცხოვრებაში შესაძლოა, დიდი ცვლილება მოხდეს და მან ოჯახი შექმნას.

უნდა ითქვას, რომ ეს ოფიციალური ზეიმი იყო, ხოლო ნამდვილი დაბადების დღე — 5 ნოემბერი ქსენია სობჩაკმა ფლორენციაში გაატარა. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პლანეტის ყველაზე სექსუალური მამაკაცი



ჟურნალმა People პლანეტის ყველაზე სექსუალურ მამაკაცად 36 წლის ბრედლი კუპერი აღიარა, რომელსაც მაყურებელი ფილმებიდან — „ბიჭების ქეიფი 2: ვეგასიდან ბანგკოკში" და „წყვდიადის სამყარო" იცნობს.

„ვფიქრობ, კარგია, რომ ეს ტიტული იმ მამაკაცმა მიიღო, რომელსაც მოდელის გარეგნობა არა აქვს, — განაცხადა ბრედლი კუპერმა და იქვე დასძინა: — მე შემიძლია შესანიშნავადაც გამოვიყურებოდე და „საშინლადაც", საერთოდ კი „ნორმალურად" გამოვიყურები ხოლმე". მსახიობმა ისიც აღნიშნა, რომ პლანეტის ყველაზე სექსუალურ მამაკაცად მისი აღიარება ყველაზე მეტად დედას გაუხარდება.

რეიტინგის მეორე ადგილი 21 წლის ავსტრალიელმა მსახიობმა, ლიამ ჰემსვორთმა დაიკავა, მესამე ადგილი კი ბრიტანელ მსახიობ იდრის ელბას ხვდა წილად. პლანეტის ყველაზე სექსუალური მამაკაცების სიაში მოხვდნენ მსახიობები: კრის ევანსი, რაიან გოსლინგი, ალეკ ბოლდუინი და მომღერალი ტიმ მაკგრო. ■

# შერონ სტოუნის ახალი როლი



შერონ სტოუნი ბიოგრაფიულ ფილმ „ლავლეისში" თამაშობს, რომელიც პორნომსახიობ ლინდა სიუზან ბორმანის, იმავე — ლინდა ლავლეისის ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. სტოუნი მთავარი გმირის დედის როლში მოგვევლინება, თავად ლინდას კი ამანდა სეიფრიდი განასახიერებს. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ამ როლს კეიტ ჰადსონი მოირგებდა, მაგრამ მსახიობმა ორსულობის გამო პროექტში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

ფილმის ძირითადი თემა ლინდასა და მისი მეუღლის, ჩაკ ტრეინორს შორის დამოკიდებულება იქნება. მოგეხსენებათ, რამდენიმე პორნოფილმში, მათ შორის, გახმაურებულ „ღრმა ყელში" თამაშისკენ ლინდას სწორედ ჩაკმა უბიძგა. ტრეინორის როლზე ჯეიმს ფრანკოსა და პიტერ სარსგაარდის კანდიდატურები განიხილება.

# მაიკლ ჯეკსონის საწოლი იყიდება

მაიკლ ჯეკსონის სასიკვდილო სარეცელი, უზარმაზარი საწოლი ჰოლივუდის პრესტიჟული აუქციონის Julien ლოტია. აუქციონის ასეულობით ექსპონატს შორის არის ჯეკსონის ჰოლმბი-ჰილზზე მდებარე სახლი, რომელშიც 6 საძინებელი ოთახი, სპორტული დარბაზი, სასტუმრო ოთახი, ელეგანტური ფოიე, საოჯახო კინოთეატრი, მარანი, ღია და დახურული აუზები და 6 ბუხარია. აუქციონზე ის ნივთებიც არის გატანილი, რომლებიც ამ შესანიშნავ სახლს ოდესღაც ამშვენებდა — უძვირფასესი ანტიკვარული ავეჯი, ქანდაკებები და ნახატები. იყიდება ჯეკსონისა და მისი სამი შვილის — პერისის, პრინცისა და უმცროსი მაიკლის პირადი ნივთებიც, მათ შორის, გრიფელის დაფა, რომელზეც წერია — „მე მიყვარს მამა" და იქვე დახატულია მოღიმარი სახე... ■



# პრინცი უილიამისა და კეიტ მიდლტონის განშორება



მომავალ წელს პრინცი უილიამი და კეტრინ მიდლტონი ერთმანეთს დაშორდებიან, საბედნიეროდ — მხოლოდ მცირე ხნით: წყვილი ერთმანეთს 2 თვის განმავლობაში ვერ შეხვდება, რადგან 29 წლის უილიამი ბრიტანეთის სამხედრო საჰაერო ძალების შემადგენლობაში, ფოლკლენდის კუნძულებზე სამაშველო ვერტმფრენის პილოტად იმსახურებს. ექვსთვიანი სამსახური პრინცის პროფესიონალური სამხედრო სწავლების დასკვნითი ნაწილია. წყვილი მოხარულია, რომ 9 იანვრისთვის მაინც, როდესაც კეტრინს 30 წელი შეუსრულდება, ერთად ყოფნას შეძლებს, რადგან ადრე არსებული ინფორმაციის თანახმად, უილიამის მივლინება სწორედ ცოლის დაბადების დღეს ემთხვეოდა.

იძულებით განშორებამდე სამეფო წყვილი მაღალი საზოგადოების ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობს. ამ დღეებში კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინია St James-ის სასახლეში საქველმოქმედო ვახშამს დაესწრნენ, რომლის შემოსავალი სტაფორდშირის ეროვნულ მემორიალურ პარკს მოხმარდება; რამდენიმე დღით ადრე კი კოპენჰაგენში Supply Division-ის UNICEF-ის ცენტრი მოინახულეს. ■

*რუბრიკა მოამზადა*
*ნატო მანჯავიძემ*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცხოვრება

## „ჭრილობები ძალიან მტკიოდა, მაგრამ მაინც გახარებული ვიყავი — ცხინვალი დავიბრუნეთ-მეთქი“

**ასობით გმირულად დაღუპული მეომრის გარდა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომმა უამრავი ცოცხალი გმირი შემოგვინახა, რომელთა შესახებ „გზაში“ არაერთი სტატია მოგვიმზადებია, მაგრამ რაც დრო გადის, ვხვდებით, რომ მათზე კიდევ ბევრია მოსაყოლი და გასახსენებელი... ომის დაწყებამდე, რეზო გაბიტაშვილი იმ ბატალიონში მსახურობდა, რომელსაც ყველაზე დიდი დანაკარგი ჰქონდა. IV ბატალიონის სერჟანტი ცხინვალის ნაძვნარში დატრიალებულ ჯოჯოხეთზე მოგვითხრობს.**



*ლალი პაპასქირი*

— ომის დაწყებამდე, რამდენიმე დღით ადრე, 3 აგვისტოს, ოსური პოზიციებიდან ინტენსიური სროლის ხმა ისმოდა. მოწინააღმდეგე ქართულ სოფლებს ბომბავდა და ჩვენი ბატალიონი თავდაცვის მიზნითა და პოზიციების გასაძლიერებლად, ცხელ წერტილში გადაისროლეს. რამდენიმე დღის შემდეგ, ისევ ნაწილში დავბრუნდით. 6 აგვისტოს, სამხედრო ნაწილში ჩვეულებრივი დილა გათენდა. როგორც ყოველთვის, პირადი შემადგენლობის ერთი ჯგუფი შვებულებაში იყო, დანარჩენები ბრიგადაში არსებულ დღის განრიგს ვასრულებდით. იმავე საღამოს, 3 საათზე განგაში გამოცხადდა, ნაწილში გვიბარებდნენ. ალბათ, სასწავლო განგაშია-მეთქი, — ვიფიქრე. ვიცოდი, ცხინვალის მხარეს რაც ხდებოდა, მაგრამ ომის დაწყებას არ ველოდი. ცხინვალის მიმართულებით დავიძარით. ბიჭები გზაში ვლაპარაკობდით, ალბათ, მორიგი შეტევაა-თქო. სპეციალობით მეკავშირე ვარ, ქვეით ჯართან მიწევდა ყოფნა. უკან არტილერია მოგვყვებოდა. მეთაურებს კოორდინატებს გადავცემდით...

**— გზადაგზა წინააღმდეგობები გხვდებოდათ?**

— სანამ ცხინვალის მისადგომებს მივუახლოვდებოდით, გზაში, რამდენჯერმე, ორლობეებიდან „სამოქალაქოები“ გამოგვიხტნენ — ზოგი ქვეითად, ზოგიც ჩვეულებრივ მანქანაში იჯდა. „კალაშნიკოვის“ ავტომატები ჰქონდათ... მცირე წინააღმდეგობებით გავიარეთ სოფლები — ხეთაგუროვი, ტბეთი, თამარაშენი...

ცხინვალის მისადგომებთან მოწესრიგებულად მივედით. არც ერთი შეცდომა არ დაგვიშვია... პირველი ჭურვი რომ წამოვიდა, მაშინ მივხვდით, რომ ომი დაიწყო... მეორესა და მესამე აფეთქებას უკვე მომზადებულები შევხვდით. რეალურ ომში პირველად მოვხვდი და სიკვდილსაც პირველად ჩავხედე თვალებში, უფრო სწორად, ვნახე, როგორ იხოცებოდნენ ადამიანები — ბიჭები, ვისთან ერთადაც ვიყავი... მაგრამ თანდათან შევძელი და თავი ხელში ავიყვანე...

**— ვიცი, რომ გვერდში ბევრი გამოცდილი მებრძოლი გყავდათ...**

— დიახ, ალეკო თანდაშვილი, ერეკლე ყულოშვილი და კიდევ უამრავი ბიჭი იყო, ვისი იმედიც მქონდა და მათი დახმარებით ემოციებს მოვერიე (სამწუხაროდ, ერეკლე და ალეკო ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ)... მთლიანად ჩემს საქმეზე ვიყავი გადართული და ვფიქრობდი, დავალება სწორად შემესრულებინა... ჩვენი ჯარი უკვე ცხინვალში იყო და სიფრთხილე უნდა გამოგვეჩინა, რომ შეტევის დროს ისინი არ დაგვეზარალებინა. ამიტომ, ბრძანებას ცხინვალის მისადგომებთან ველოდებოდით. იმ პერიოდში ავიამოიერიშეებიც გამოჩნდნენ, რამაც დაგვაბნია — ზოგს ეგონა, რომ ქართული სამხედრო ავიაცია წამოგვეშველა, არადა, მოწინააღმდეგეები იყვნენ, ისინი გააქტიურდნენ და შემოგვიტიეს. სნაიპერის ტყვიამ, რამდენიმე თანამებრძოლი თვალწინ მომიკლა და რამდენჯერმე ტყვია მცირე მანძილით ამცდა. მეკავშირე გახლდით, სამმეტრიანი ანტენით დავდიოდი და ალბათ, ადვილი სამიზნე ვიყავი მათთვის. ერთი სიტყვით, როცა რუსული ავიამოიერიშე წამოვიდა, კავშირი გაწყდა, რასაც ნაწილში არეულობა მოჰყვა. იმ დროს ნაძვნარს ვიყავით შეფარებულები. ჩემ უკან, ნაწილის მეთაური — ერეკლე ყულოშვილი მითითებებს მაძლევდა (არ შემიძლია, ერეკლე როგორც კარგი არტილერისტი, თავისი საქმის პროფესიონალი და შესანიშნავი ადამიანი რამდენიმე სიტყვით არ გავიხსენო. არასდროს გაგრძნობინებდა, რომ უფროსი იყო და სხვაზე მეტი იცოდა. მის გვერდით არაფრის მეშინოდა. გამოსავლის პოვნა ყველანაირ სიტუაციაში შეეძლო), შორიახლოს ალეკო თანდაშვილიც ტრიალებდა. მისი დახმარებით, რამდენჯერმე დაბომბვას გადავურჩით. ალეკომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითხრა: — დაბომბვის დროს ეცადე, ორმოში ჩაწვე და გადარჩებიო, მაგრამ როცა გარშემო ბომბები სკდება და გამაყრუებელი ხმაურია, ძნელია, თავის ხელში აყვანა და საიმედო თავშესაფრის პოვნა.

**— იმ დროს ოსი ტყვეებიც თან გყავდათ?**

— დიახ, ვიდრე ინტენსიური დაბომბვა დაიწყებოდა, ისინი ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ. ერთ-ერთმა რუსულად მთხოვა, — სიგარეტის მოწევა შეიძლებაო? — მოწიე-მეთქი და მივაწოდე. მის ადგილას ჩემი თავი წარმოვიდგინე. ტყვეების მიმართ აგრესია არავის გამოუხატავს. არადა, ომის შემდეგ ინტერნეტში ვნახე კადრები, როგორ სასტიკად სცემდნენ ოსები ქართველ სამხედროებს, მათ შორის, დაჭრილებს და სიბრაზისგან თვალთ დამიბნელდა...

**— რეზო, ნაძვნარის დაბომბვისას დაიჭერით?**

— დიახ. როცა საჰაერო იერიში დაიწყო, თვითმფრინავიდან ტყვიამფრქვევი გადაგვატარეს. ჩემ გვერდით მყოფი ბიჭი ბარძაყში დაიჭრა. ექიმს ვეძახდი საშველად, თან, იარაღი მეჭირა და ვისროდი. ქალაქში ერთი გზა შედიოდა. ირგვლივ შენობები იყო, საიდანაც გვესროდნენ... მახსოვს, ერეკლემ დამიძახა, — რეზო, დაწექი, გვბომბავენ!.. ეს მისი ბოლო სიტყვები იყო. შემდეგ დაბომბვა დაიწყო და აღარ მინახავს. იმავე ადგილზე ათმეთაური — ალეკო თანდაშვილიც დაიღუპა... შემდეგ დავინახე, რუსულმა ავიციამ „კასეტური“ ბომბები თუ როგორ ჩამოყარა. რამდენიმე ნაძვნარს დაეცა, გასკდა და გაიშალა... ყველაფერი ისე ელვისებურად მოხდა, მიწაზე დაცემაც ვერ მოვასწარი, მხოლოდ ფეხის გადადგმა შევძელი. აფეთქების ძალამ ჰაერში ამაგდო. გამაყრუებელი ხმაურისგან სმენა და მხედველობა დავკარგე. ვყვიროდი და საკუთარი ხმა არ მესმოდა. თითქოს გონებაც დავკარგე. რამდენიმე წამის შემდეგ, ენით აუწერელი ტკივილი ვიგრძენი, მეგონა, აფეთქების დროს ფეხი მომწყდა, მაგრამ როგორღაც გავინძრი და მივხვდი, რომ ზედ მიწა მეყარა. მუხლს ქვემოთ ხორცი მოგლეჯილი მქონდა. ჰაერში საშინელი დამწვრის სუნი ტრიალებდა. პირველად ერეკლე დავინახე, — მუცლით იწვა მიწაზე. იქნებ ცოცხალი იყოს-მეთქი და მისკენ ფორთხვით წავედი. ჭრილობები მტკიოდა, აღჭურვილობაც მამძიმებდა; თან, ჯავშანჟილეტი მეცვა და განძრევა მიჭირდა. თავშიც დაჭრილი ვიყავი და სისხლი თვალებში ჩამდიოდა. ერეკლეს ხელი მოწყვეტილი ჰქონდა და სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა... რამდენიმე მეტრის იქით კიდევ ერთი ბიჭი დავინახე, კაპრალი — მამუკა ალთუნაშვილი. ისიც დაჭრილი იყო (როგორც შემდეგ გავიგე, ფილტვი ჰქონდა გახვრეტილი და ტყვია კისერშიც მოხვედრილი), მაგრამ ლაპარაკი შეეძლო. ბავშვებივით გაგვიხარდა ერთმანეთის დანახვა; ცოცხლები ვართ-თქო, — ვამბობდით. შემდეგ ჩვენებისთვის ხმის მიწვდენას ვცდილობდით. უცებ ალთუნაშვილმა კანკალი დაიწყო და გონება დაკარგა. მის დანახვაზე ტკივილი დამავიწყდა. ძალა მოვიკრიბე და ყვირილი ავტეხე, — კაცი კვდება-მეთქი... ყვირილს ვამბობ, თორემ ყელიდან ხავილი ამომდიოდა.

**— გარშემო არავინ იყო?**

— ორი სამხედრო ექიმი გვყავდა და ისინიც დაგვიჭრეს... თავი როგორღაც წამოვწიე და „პიკაპებსა“ და „ჰაელუქსებს“ მოვკარი თვალი, სადაც უამრავი ადამიანი ირეოდა. მათკენ ხოხვით მივიწევდი, თან, ხელებს ზევით ვწევდი და დახმარებას ვითხოვდი. შემამჩნიეს და მანქანაში ჩამსვეს. ვუთხარი, ნაძვნარში კიდევ ერთი ბიჭია, ალთუნაშვილი, ცოცხალია და უშველეთ-მეთქი. მძღოლმა მანქანის დაქოქვაც ვერ მოასწრო, რუსების ქვეითი ჯარი წამოვიდა შეტევაზე და „პიკაპი“, რომლითაც სამშვიდობოს უნდა გავსულიყავით, დაცხრილეს. ჩემ გვერდით 2 ბიჭი მოკვდა. მივხვდი, რომ მეც მათ ბედს გავიზიარებდი და მანქანის კარი გაჭირვებით გამოვაღე... მაგრამ როცა დავინახე, ჯავშანტრანსპორტიორში დაჭრილებს ათავსებდნენ, კეთილი ვინებე და მათკენ გავხოხდი. არ ვიცოდი, ვინ იყვნენ ის ბიჭები და მაშინ არც თავად უკითხავთ რამე, ისე ჩამსვეს მანქანაში. მერე გავიგე, კონტრდაზვერვის თანამშრომლები ყოფილან... ავნევში პირველადი დახმარება აღმომიჩინეს, მაგრამ იმან არ მიშველა. ყველას ვეხვეწებოდი, წყალი დამალევინეთ-მეთქი. არ გვაქვსო, მპასუხობდნენ: თურმე არ შეიძლებოდა. ერთმა ექიმმა რომ დამხედა, თავი უიმედოდ გაიქნია — თბილისამდე თუ ჩააღწია, შეიძლება იქ გადავარჩინოთო... ტკივილმა გაგიჟებამდე მიმიყვანა და სამედიცინო პერსონალს ვეხვეწებოდი, არაფერი გამიკეთოთ, მაინც ვკვდები-მეთქი და „მამაო ჩვენოს“ ლოცვა დავიწყე... იქიდან ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში გადავუყვანივართ. რამდენიმე დღის შემდეგ კი გონს მოვედი. როგორც ჩანს, სიკვდილი არ მეწერა.

**— დაჭრილ ალთუნაშვილზე არაფერი გაგიგიათ?**

— მამუკა გადარჩა, ერთმანეთს საავადმყოფოში შევხვდით. იქ ჩემს სანახავად ეტლით მოვიდა. მალე გამოჯანმრთელდა და სამხედრო სამსახურს აგრძელებს... საავადმყოფოში გონზე რომ მოვედი, მეგონა, ყველანაირი ოპერაცია დასრულებული იყო, მაგრამ ოპერაციებისა და მკურნალობის კიდევ რამდენიმე ეტაპი დამჭირდა... 6 თვის განმავლობაში ფეხზე ვერ ვდგებოდი. 2 მეტრამდე ნაწლავი ამომაჭრეს. ტკივილები დღემდე მაწუხებს... მაშინ მეგონა, რომ ომი მოვიგეთ და ვამბობდი, ჯანდაბას ჩემი თავი, სამაჩაბლო დავიბრუნეთ-მეთქი. ოჯახის წევრები არაფერს მეუბნებოდნენ, მაგრამ ერთ დღეს, სამედიცინო პერსონალში პანიკა ატყდა, — დაჭრილები ქალაქის მე-8 საავადმყოფოში უნდა გადაგიყვანოთო. გავოცდი, — რატომ-მეთქი? — შეიძლება დაგვბომბონო... ვინ უნდა დაგვბომბოს, ჩვენ ხომ გავიმარჯვეთ-მეთქი?! ერთ-ერთმა ექიმმა სინანულით მითხრა, — არა, შვილო, დავმარცხდითო... ამის შემდეგ მხოლოდ ის მახსოვს, რომ ექიმებს ვუძალიანდებოდი, — თავი დამანებეთ-მეთქი... დიადი მიზნისთვის კაცი სიცოცხლესაც დათმობს, მაგრამ როცა უახლოეს ადამიანებსა და ჯანმრთელობას წაგებულ ომს შესწირავ, ცხოვრების გაგრძელება ძნელია!..

**— ახლა სად მსახურობთ?**

— 1-ელი საარტილერიო ბრიგადის სერჟანტი, ბატალიონის კავშირგაბმულობის უფროსის თანაშემწე ვარ... 2008 წლის ომის შემდეგ, იმ დღეებზე ბევრს ვფიქრობ. წაგების პირველი და მთავარი პრობლემა უთანასწორო ბრძოლა იყო, მაგრამ სხვა, შიდა პრობლემებიც გვქონდა, რაზეც ალბათ უფრო გამოცდილმა ადამიანებმა უნდა ილაპარაკონ. ■


წაგების პირველი და მთავარი პრობლემა უთანასწორო ბრძოლა იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იქნებ მათთვისაც მოიცალოს ვინმემ...

გიორგი ბერიძე

**სოფელი გაგლოანთკარი ატენის ხეობაშია, მდინარე ტანას აყოლებაზე. ხეობის 15 სოფელში ახალგაზრდები ცოტანი არიან. აქაურობას, ძირითადად, მოხუცები შერჩენიან. ვისაც ოჯახი აქვს და ჯანი ერჩის, სოფლიდან ქალაქში მიდის საცხოვრებლად, დარჩენილ ბავშვებს კი სკოლაში სასიარულოდ კილომეტრების გავლა ფეხით უწევთ.**

გაგლოანთკარი გორიდან 32 კილომეტრით არის დაშორებული. ტალახიანი და ოღროჩოღრო გზის გამო ქალაქიდან სოფლამდე ასვლას ავტობუსი 3 საათს ანდომებს.

ხეობაში არც ფიჭური კავშირგაბმულობაა. მხოლოდ „მაგთიფიქსით" შეიძლება გარე სამყაროსთან დაკავშირება, თუმცა არა ნებისმიერი ადგილიდან. სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოსაძახებლად მოსახლეობას რამდენიმე კილომეტრის გავლა უწევს. შორი მანძილისა და ცუდი გზების გამო აქაურებისთვის „სასწრაფო დახმარებაც" ფასიანია.

*„ეს პრეზიდენტი რომ დარბის დასავლეთში და იქაურობა აყვავა, აქაურობასაც მოხედოს და იკითხოს, რა გვიჭირს, რა გვილხინს, იქნებ ჩვენც დავუძახოთ: მიშა, მიშა! სანამ ამ დანგრეულ გზაზე „სასწრაფო" ამოვა, მანამდე დავიხოცებით. ეს „მაგთიფიქსი" რომ არ გვქონდეს, ექიმსაც ვერ გამოვიძახებდით, მაგრამ რომ ამოიდეს, ფული უნდა გადავიხადოთ. 50 ლარს ვიხდით, აბა, ისე ამ დანგრეულ გზაზე ვინ ამოვა?"* — ამბობს **შურა გაგლოშვილი**.

გაგლოანთკარელების მსგავსად, სხვა სოფლელებმაც საკრებულოს დეპუტატი იმ იმედით აირჩიეს, რომ იქაურობას მიხედავდა, თუმცა მურად თოფჩიშვილი ხეობის მოსახლეობას ჯერ არ უნახავს.

ხეობის ზედა სოფლებში ამორტიზებული გადამცემი ხაზების გამო ელექტროენერგიის მიწოდება ფერხდება, ხშირად კი სოფლები უშუქოდ რჩება. სიძველის გამო გადაზნექილია ხის ბოძებიც.

**ლამარა ხაბელაშვილი:** *„ეს ხეობა მიგდებულია და ბოლოს სოფლები სულ დაიცლება. დეპუტატი ისე აგვარჩევინეს, არც ვიცით, ვინ არის. არ მოსულა და არც უკითხავს, რა გვიჭირს და რა გვილხინს, რითი ვარსებობთ. თუ აგვარჩევინეს, ნება იბოძოს და ჩვენც დაგვარჩინოს. დენი ხშირად გვეთიშება და მონტიორს რომ მოვიყვანთ, ისე „სტოლბაზე" არ ავა, ფულს ითხოვს. ან რატომ უნდა ავიდეს მუქთად? რომ დავრეკავთ გორში, გვეუბნებიან, ჩვენ არ გვეხებაო. სახელმწიფოს არ ეხება, დენი გვექნება თუ არა? აბა, ვის ეხება, გაგვაგებინოს ვინმემ? თუ სწერამს ჩვენი „სოჩიკი" 3 ლარს, ჩვენ 4-5 ლარს ვიხდით, გვეუბნებიან, დენის ნაწილი გზაში იკარგებაო. ადრე რატომ არ იკარგებოდა? გაგვატყავეს ამ დენის გადასახადებით".*



ტალახიანი და ოღროჩოღრო გზის გამო ქალაქიდან სოფლამდე ასვლას ავტობუსი 3 საათს ანდომებს

თუ გაგლოანთკარში დენი იშვიათად მაინც აქვთ, სოფლის ზედა უბანში, სადაც 3 კომლი ცხოვრობს, 20 წლის წინ ნათურა რომ ჩაქრა, აღარც ანთებულა. სოფლიდან ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას სოფელ ტუსრების მოსახლეობამ ტრანსფორმატორი მოხსნა და წაიღო. მას შემდეგ სოფლის ელექტრიფიკაციაზე არავის უზრუნია.

ელენესა და მისი ორი მეზობლისთვის ტელევიზორი უსარგებლო ნივთია. რა ხდება ქვეყანაში, მოსახლეობამ არ იცის. მხოლოდ ის გაუგიათ, რომ მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტია.



გაგლოანთკარის ზედა უბანში, სადაც 3 კომლი ცხოვრობს, 20 წლის წინ ნათურა რომ ჩაქრა, აღარც ანთებულა (მარჯვნივ ელენე გაგლოშვილი)

**ვოვა გაგლოშვილი:** *„ხალხს რომ ვხედავთ, პირში ვეცემით ხოლმე, გვიგოთ, საქართველოში რა ხდება. სხვანაირად ამბებს ჩვენ ვერ ვიგებთ. როგორც „სოჩიკი" სწერამდა, ისე ვიხდიდით ფულსა, მაგრამ ეხლა ის არი საკითხავი, შედიოდა კი ეს ფული სახელმწიფოს სალაროში?"*

**ელენე გაგლოშვილი:** „მეც არ ვიცი, მანტიორს სად მიჰქონდა ფული. როცა ფული არ მქონდა, ყველი მიჰქონდა ხოლმე დენის საფასურის ნაცვლად".

მოსახლეობამ საკრებულოს თავმჯდომარეს დახმარებისთვის არაერთხელ მიმართა, თუმცა დაპირება დაპირებად რჩება.

სოფელ გაგლოანთკარში ყველაზე საჭირო ნივთი ისევ ნავთის ლამპაა. ტელევიზორები და მაცივრები ყოველი შემთხვევისთვის შენახული აქვთ, იქნებ ხელისუფლების დაპირება მათთვისაც ასრულდეს და ელექტრიფიკაცია გაგლოანთკარშიც აღდგეს.

გაგლოანთკარის შემდეგ ბოლო სოფელი ლევიტანაა, სადაც აზერბაიჯანელები ცხოვრობენ. მოსახლეობის თქმით, სოფლის უმთავრესი პრობლემა სკოლაა. ვინც ვერ ახერხებს ფეხით კილომეტრების გავლას, დაწყებით განათლებასაც ვერ იღებს.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლები ახალგაზრდებისგან იცლება, ერთმა თბილისელმა პირი სოფლისკენ იბრუნა. ამ ხეობაში წლების წინ შემთხვევით მოხვდა და დამკვიდრება გადაწყვიტა.

თამაზ ორაშვილს პოლიტიკოსები და შოუბიზნესის წარმომადგენლები კარგად იცნობენ. ის საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის, თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების ექსპრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ვიზიტის სატელევიზიო ეთერის, არაერთი სამთავრობო კონცერტისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მუსიკალური კლიპის პროდიუსერია. მას გათვლილი და დატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვს, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად დედაქალაქიდან სოფელში გადავიდა.

**თამაზ ორაშვილი:** *„სიწყნარე, სიმშვიდე, სუფთა ჰაერი, არა ტელევიზორი და ტელეფონი — აქ მშვიდად შეგიძლია იცხოვრო. ჩემი საყვარელი ნივთი ფოტოაპარატია. გადაღებული მაქვს არაერთი პორტრეტი, ჩემს ობიექტივში მოხვდა პრეზიდენტის ინაუგურაციის, ბუშის ვიზიტის კადრებიც. მართალია, სოფელში ვცხოვრობ, მაგრამ ჩემს საქმეს მოწყვეტილი არა ვარ — როცა საჭიროა, ვუბრუნდები თბილისს და ვერთვები სერიოზულ პროექტებში“.*

სოფელ ორმოცის მკვიდრის, ტარიელ გიგაურის განცხადებით, თუ ადგილობრივი ხელისუფლება გზას მიხედავს, ზაფხულობით აქაურობას დამსვენებელი და ტურისტი არ მოაკლდება.

**ტარიელ გიგაური:** *„ზამთარში დიდი თოვლი მოდის, გზა იკეტება ხშირად და მშივრები რომ არ დავრჩეთ, ვიმარაგებთ ზამთრის სარჩოს — გორიდან ამოგვაქვს, რაც ზამთარში დაგვჭირდება. გამგებელი კი დადის*



„დეპუტატი ისე აგვარჩევინეს, არც ვიცით, ვინ არის. თუ აგვარჩევინეს, ნება იბოძოს და ჩვენც დაგვარჩინოს“

*და კითხულობს ჩვენს ამბებს, მაგრამ მარტო მოკითხვა არ გვიშველის, სოფელს დახმარება უნდა, მით უფრო — მაღალმთიან დასახლებებს“.*

ატენის ხეობის სოფლები ზღვის დონიდან 1000-1700 მეტრ სიმაღლეზეა. ნიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, ალპური ზონა და მინერალებით მდიდარი წყაროები საუკეთესოა ტურისტული ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, მაგრამ უგზოობისა და სხვა პრობლემების გამო ეს უნიკალური ადგილები ჯერჯერობით უპერსპექტივო ჩანს. თუმცა, აქაურები იმედს არ კარგავენ — იქნებ მათთვისაც მოიცალოს ვინმემ.

■

# „ცნობილი ჰოკეისტი — პაველ ბურე ჩემთან პირადად მოვიდა და მითხრა, — ქართველები მართლა მაგრები ხართო“

**ლევან პაწრიკანაშვილი ჯერ კიდევ 22 წლის იყო, როდესაც ურთულეს პრობლემას დამოუკიდებლად დააღწია თავი. როგორც ჩანს, სასწაულებს ზოგჯერ ჩვეულებრივი ადამიანებიც ახდენენ... ლევანი კრივში ვარჯიშობდა, როდესაც ხერხემლის არეში საშინელი ტკივილი იგრძნო. მეგობრებმა შინ წელში მოხრილი მიიყვანეს. 3 კვირის განმავლობაში, ლოგინიდან წამოდგომა ვერ შეძლო. ექიმებმა მისი გამოჯანმრთელების იმედი დაკარგეს. მათი აზრით, ის არათუ ვარჯიშის გაგრძელებას, ხეირიანად სიარულსაც ვერ შეძლებდა...**

*ხათუნა ბახტურიძე*

*ლევანმა ხეირიანად სიარულიც შეძლო, ვარჯიშიც გააგრძელა და მსოფლიოს ჩემპიონატშიც მიიღო მონაწილეობა; თავად კარატე ნეკორიუს წარმომადგენელმა, კიოკუშინ კარატეს წარმომადგენელი (იაპონელი ჩემპიონი) კიოკუშინის წესებითვე დაამარცხა. ლევანი 1-ელი არაიაპონელია, რომელმაც ამ ქვეყნის აბსოლუტურ ჩემპიონს სძლია. აღსანიშნავია ისიც, რომ პაწრიკანაშვილი მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთია, რომელსაც მსოფლიოს სუპერჩემპიონის ქამარი აქვს მოპოვებული. 2005 წელს დავით ნამგალაურმა (საქართველოს სპორტის დეპარტამენტის მაშინდელი თავმჯდომარე) 2004 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა. ახლა ერთ-ერთ ძალოვან უწყებაში მუშაობს და თავისი საქმის პროფესიონალია.*

— **გვიამბე როგორ მოახერხე განკურნება?**

— ვარჯიშით.

— **სიარულს თუ ვერ ახერხებდი, ვარჯიში როგორ შეძელი?**

— ძალიან განვიცდიდი, რომ 22 წლის კაცი ლოგინში ვიყავი გაშოტილი და დამოუკიდებლად საპირფარეშოში შესვლასაც ვერ ვახერხებდი. ხერხემლის მალები მქონდა ერთმანეთისგან დაცილებული და ყოველი მოძრაობისას, საშინელი ტკივილები მტანჯავდა. ექიმების დახმარებითა და საკუთარ თავზე ძალდატანებით ლოგინიდან წამოდგომა შევძელი. გამართულად ვერა, მაგრამ წელში მოხრილი, ნელ-ნელა დავდიოდი, რაც უკვე კარგი იყო. მერე იმდენი მოვახერხე, რომ ორძელთან სკამი მივიტანე, ზედ ავედი და აზიდვების კეთება დავიწყე.

— **აზიდვების კეთება ექიმის რეკომენდაციით დაიწყე?**

— არა, რას ამბობ, ექიმმა მითხრა, საერთოდ აღარასდროს ივარჯიშოო. ამ მითითებას ვერ დავემორჩილებოდი. ეს ჩემთვის სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ვარჯიშის დროს საშინელ ტკივილებს ვგრძნობდი, მაგრამ საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ არ უნდა დავნებებულიყავი; აუცილებელი იყო გამეძლო, თორემ ხეიბარი დავრჩებოდი. 3 თვე ამ დღეში ვიყავი. მერე ნელ-ნელა გავიმართე... სპორტულ დარბაზში მივდიოდი, დავჯდებოდი და სხვების ვარჯიშს ვუყურებდი. ძველ ფორმაში ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ჩავდექი და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადება დავიწყე. ჩხუბი შემეძლო, მაგრამ ტკივილები ისევ მაწუხებდა. შეჯიბრების წინაღამეს შვიდი ტკივილგამაყუჩებელი ნემსი გავიკეთე. ექიმმა მითხრა, — რისკავ, შეიძლება ტატამზე დარჩეო.



იმ შეჯიბრების შემდეგ ტკივილი საერთოდ აღარ მიგრძნია

მერე დასძინა: მაგრამ ვერ დაგიშლი, ვიცი, ეს შენთვის როგორი მნიშვნელოვანია და შეიძლება, ასეთ შეჯიბრებაში მონაწილეობის შანსი სხვა დროს აღარც მოგეცესო. შეჯიბრების ორგანიზატორებს რომ სცოდნოდათ, რაც მჭირდა, მონაწილეობის უფლებას არ მომცემდნენ.

— **მაინც რითი იყო ის შეჯიბრება ასეთი მნიშვნელოვანი?**

— კარატე კიოკუშინკაიში პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდებოდა, თანაც, — მოსკოვში, პუტინის პატრონაჟით. ლონისძიებაზე გენერალური შტაბის ორკესტრი უკრავდა. ხომ წარმოგიდგენიათ, იქ ქართველის წარმატებას რამხელა მნიშვნელობა ექნებოდა?

— **რუსები თქვენს წარმატებას როგორ შეხვდნენ?**

— არ ესიამოვნათ, მაგრამ... ცნობილი ჰოკეისტი — პაველ ბურე ჩემთან პირადად მოვიდა და მითხრა, — ქართველები მართლა მაგრები ხართო! მართალია, კარატე იაპონელების მოგონილია, მაგრამ რუსები მათზე მეტად ქართველ მეტოქეებთან შერკინებისას ნერვიულობენ. ეს ჩემპიონატი 2005 წელს ჩატარდა. ამის მერე, 2008 წელსაც გაიმართა შეჯიბრება, მაგრამ იმ პერიოდში, აგვისტოს ომი ახალი დამთავრებული იყო და ჩვენ პროტესტის ნიშნად, მონაწილეობა აღარ მივიღეთ. იმ წელს, მსოფლიოს ჩემპიონები სულ რუსები გახდნენ... ერთხელ საბერძნეთში ვიყავი ჩასული და ბერძნებმა მითხრეს, ყველაფრის მიუხედავად, რუსები მაინც აღიარებენ, რომ ქართველებს საუკეთესო მებრძოლები გყავთო.

— **ხერხემალი აღარ გაწუხებს?**

— ყველა მაგას მეკითხება. იმ შეჯიბრების შემდეგ ტკივილი საერთოდ აღარ მიგრძნია. იმ ამბავმა დიდი სტიმული მომცა, ისეთ ტკივილს გავუძელი და ისეთი პრობლემიდან გამოვძვერი, არ ვიცი, ანი რაღა უნდა მოხდეს, რომ გამტეხოს. რამდენიმე კვირის წინ, ფეხზე ძარღვი ამეყარა. ექიმმა მითხრა, — ფეხი თაბაშირში უნდა ჩაგისვა და 2 კვირა უნდა იწვეო. ვკითხე, — მოტეხილი ხომ არ მაქვს-მეთქი? — არაო. — მაშინ კარგად იყავი-მეთქი. 2 დღე მაინც დავრჩი სახლში. მესამე დღეს სამსახურში წავედი და ჩვეულებრივი დატვირთვით ვივარჯიშე.



2 ვაჟი მყავს — 3 წლის ავთანდილი და 1 წლის გოგა

— **კარატეში ვარჯიში ბავშვობიდან დაიწყე?**

— კი, ვარჯიში 12 წლის ასაკიდან დავიწყე. სოხუმიდან დევნილი გახლავართ. აფხაზეთის ომის დაწყებამდე, თელავში ჩამოვედით და ტურბაზაში დავსახლდით. ჩვენს მეზობლად, ახალგაზრდა ბიჭი — გია ცხოვრობდა. კარატისტი იყო. ძალიან მომწონდა მისი ცხოვრების წესი, ადამიანებთან დამოკიდებულება, აზროვნება... ერთი სიტყვით, ჩემთვის მისაბაძი ახალგაზრდა იყო. ერთხელაც, გიამ შემომთავაზა, კარატეში ერთად გვევარჯიშა და მაშინვე დავთანხმდი. ვფიქრობ, კარგად მოვიქეცი. კარატემ მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა, უფრო სწორად — ცხოვრების სტიმული მომცა და პიროვნებად ჩამომაყალიბა.

— **მავნე ჩვევები არ გაქვს?**

— როგორ გითხრათ, ვვარჯიშობ, არ ვეწევი, არ ვსვამ. მაგრამ, როდესაც მეგობრებთან ერთად ვარ, ღვინოზე უარს არ ვამბობ. ერთი ჩემი მეგობარი მეტყვის ხოლმე, — ღვინო მადლიანია, დალიეო. კახურად მოესიყვარულება ხოლმე ამ ღვთიურ სასმელს.

— **შენი პროფესიული არჩევანი კარატეს სიყვარულმა ხომ არ განაპირობა?**

— კი, ძალოვან უწყებაში იმიტომ დავიწყე მუშაობა, რომ აქ ვარჯიშის საშუალება მეძლევა. მთელი ცხოვრება სპორტსმენი ვერ იქნები. ასაკი რომ გემატება, მენტალიტეტიც გეცვლება, უკვე შეჯიბრებაში მონაწილეობა აღარ გინდა. არადა, ორგანიზმი ვარჯიშს გთხოვს. ამიტომ ამ სამსახურში თავს კარგად ვგრძნობ. სულ რეჟიმში ვარ.

— **რამდენი წლის ხარ?**

— 30-ის და მირჩევნია, ჩემი ცოდნა და გამოცდილება ბავშვებს გავუზიარო. სამსახურის პარალელურად, პატარებსაც ვავარჯიშებ. ძალიან მინდა, რომ მეც გავზარდო ჩემპიონები. დარწმუნებული ვარ, ჩემი შეგირდები გამიმართლებენ, შეჯიბრებაში თავს ისახელებენ...

— **სუპერჩემპიონის ტიტულის მიღების შემდეგ თუ დამარცხებულხარ?**

— რა თქმა უნდა, დავმარცხებულვარ. ყოველთვის ვერ მოიგებ. შეიძლება ფორმაში არ იყო და ისე მოგიწიოს ტატამზე გასვლამ, ან უბრალოდ, რაღაც მომენტში არ გაგიმართლოს. მარცხის გამო დეპრესიაში არ უნდა ჩავარდე, დღეს წააგებ, ხვალ მოიგებ.

— **როგორც გავიგე, სუპერჩემპიონის ქამრის მოგება მეტოქის მწვრთნელმაც კი მოგილოცა...**

— კი, ასე იყო, მეტოქის მწვრთნელი მოვიდა და შუბლზე მაკოცა. ჩემი მეტოქე ირანელი ბიჭი იყო. სხვათა შორის, კარგად ჩხუბობდა.

— **მეუღლე და მშობლები შენს გადაწყვეტილებას როგორ შეეგუვნენ?**

— ისინი ჩემი გულშემატკივრები არიან. თუმცა, დედაჩემი ზოგჯერ შეჯიბრებაზე ზურგშექცევით იჯდა და გვერდით მჯდომს ეკითხებოდა, — ლევანი რას შვრებაო? მეუღლეს თვითონაც უყვარს კარატე და ვაჟკაცურად მგულშემატკივრობდა.

— **ალბათ, კარატე შენს შვილებსაც უყვართ, არა?**

— კი, უყვართ. 2 ვაჟი მყავს — 3 წლის ავთანდილი და 1 წლის გოგა. ძალიან მინდა, რომ ისინიც სპორტსმენები იყვნენ. მგონი, ვარჯიში მოსწონთ. დილით სახლიდან გასვლამდე ყოველთვის ვვარჯიშობ. ეს მათთვის მაგალითია. მართალია, პატარები არიან, მაგრამ ცდილობენ მომბაძონ... ■



მეუღლეს თვითონაც უყვარს კარატე და ვაჟკაცურად მგულშემატკივრობდა

_თეა ხურცილავა_

# სამების ტაძარი

## ქართველი ხალხის ავტოპორტრეტი

**„ყოველმა რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანმა ხანამ ჩვენი ისტორიისა დატოვა იმჟამინდელი ხუროთმოძღვრების შედევრი. ვამაყობ, რომ საუკუნემ, რომელშიც დავიბადე, ვიცხოვრე და დავბერდი, კიდევ ერთი შედევრი დაუტოვა ქართველი ერის მომავალსა და ისტორიას. ღმერთო, შეწევნა და მფარველი ხელი არ მოაკლო მშენებლებსა და არქიტექტორს!“ — ეს ბარათი 10 წლის წინ, 2001 წლის 17 ოქტომბერს, ბატონმა ჭაბუა ამირეჯიბმა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის დათვალიერების შემდეგ დაწერა. იგი დღემდე სათუთადაა შემონახული გაზეთ „სამების ტაძრის“ რედაქციაში. ტაძრის მშენებლობის არქივის დიდი ნაწილი ახლა სწორედ იქ არის თავმოყრილი და უამრავ საინტერესო ამბავს ინახავს.**



*წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, თავისი არქიტექტურით, მასშტაბითა და სიმბოლური დატვირთვით, მართლაც განსაკუთრებულია. როგორც ცნობილია, ქრისტეშობის 2000 და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავთან დაკავშირებით, გრანდიოზული ტაძრის აშენების იდეა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს — ილია II-ს ეკუთვნის.*

*16 წლის წინ, 1995 წლის 23 ნოემბერს, გიორგობას, ელიას მთაზე წმინდა სამების ტაძრის საძირკვლის გაჭრა დაიწყო. გაზეთ „სამების ტაძრის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი — ენძელა მაჭავარიანი ამბობს, რომ სიამაყით ევსება გული, როცა ამ ულამაზეს ტაძარს უყურებს. იგი მშენებლობის დაწყების პირველი დღიდან, უწმინდესისა და უნეტარესის კურთხევით, მშენებლობის ფონდის პრესსამსახურს ხელმძღვანელობდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ დიდებული ტაძრის მემატიანეა.*

**ენძელა მაჭავარიანი:**

— წმინდა სამების საკათედრო ტაძარი ნათელი გამოხატულებაა იმისა, თუ რა შეუძლია, თუნდაც ძნელბედობის ჟამს, ერთად მდგომ ქართველობას. დიდებულ ტაძარს, რომელიც ელიას მთაზე ერთიანი, ძლიერი საქართველოს სიმბოლოდ არის აღმართული, უწმინდესმა და უნეტარესმა ქართველი ხალხის ავტოპორტრეტი უწოდა. პატრიარქმა 2004 წლის 23 ნოემბერს, ტაძრის კურთხევისადმი მიძღვნილ ქადაგებაში ბრძანა: „შეჭირვების ჟამს, ქართველმა ხალხმა შეძლო აღეშენებინა დიდებული ტაძარი ესე წმიდა სამებისა, სადიდებლად ღვთისა და მოსაქცევად ერისა ჩვენისა, მაგრამ, მოწყალე ღმერთო, ჩვენ ვიყავით ოდენ მდაბალნი მუშაკნი შენნი. ეს შენ მოგვეცი გულისხმისყოფა და ძალა, რათა შენს სადიდებლად და ჩუენდა ნუგეშად მოგვერთმია ეს შესაწირი...“

მახსოვს, ამ მშენებლობას მაშინ ბევრი სკეპტიკურად შეხვდა, რადგანაც ქვეყანაში უდიდესი გაჭირვება იყო. ბევრი ცნობილი ადამიანი საყვედურს გამოთქვამდა, — რა დროს ტაძრის მშენებლობაა, როცა ხალხს ლუკმაპური უჭირს; რა საჭიროა ასეთი მასშტაბური სასულიერო ნაგებობა, ის ხომ მრევლით არასოდეს გაივსებაო.

ჩვენი მიზანი, ტაძრის მშენებლობის მატიანის შექმნასთან ერთად, ისიც იყო, რომ საზოგადოების ცნობიერება ამ დიდებული იდეის განხორციელებისთვის მოგვემზადებინა. გვჯეროდა, რომ პატრიარქის ლოცვას უფალი შეისმენდა და შეისმინა კიდეც... გვახსოვს და ასახულიც გვაქვს ტაძრის საძირკველში, ღია ცის ქვეშ გადახდილი წირვა-ლოცვები და პარაკლისები... 5 წლის განმავლობაში მიწას ვერ ავცდით, რადგანაც მიწის ქვეშ დიდი სამუშაო ჩატარდა. მთლიანად დაბეტონდა ყველაფერი, აშენდა ქვედა სართული, რომლის სიმაღლე — 32 მეტრზე მეტია და სწორედ იქ ჩატარდა ქრისტეშობის 2000 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო წირვა... ტაძრის მაკეტებს რაიონებში დავატარებდით და ხალხს ასე ვაწვდიდით ინფორმაციას. საქმე ცარიელი ხელებით და ენთუზიაზმით დავიწყეთ, ბევრი ადამიანი რამდენიმე წელი ისე ვმუშაობდით, რომ შრომის ანაზღაურებაზე არც გვიფიქრია...

**— როდის ჩაერთო ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი მშენებლობის პროცესში?**

— მახსოვს, როცა ედუარდ შევარდნაძეს მეორე ვადით პრეზიდენტად ირჩევდნენ, საარჩევნო კამპანია სამების ტაძრის მშენებლობის მონახულებით დაასრულა და ცხადია, მშენებლებსაც შეხვდა. პროექტის ავტორმა — არჩილ მინდიაშვილმა (რომელიც მშენებლობის მთავარი არქიტექტორიცაა) მას მშენებლობის მასშტაბები გააცნო. — კი, მაგრამ ამდენი რამის გაკეთებას რომ აპირებთ, ფული გაქვთო? — იკითხა გაოცებულმა შევარდნაძემ. ხუროთმოძღვარი არ დაიბნა და ღიმილით უთხრა, ფული არ გვაქვს, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ თქვენ გვიშოვითო. დარბაზში ხმამაღალი სიცილიც გაისმა; ბატონი ედუარდი მშენებლებს



ვამაყობ, რომ საუკუნემ, რომელშიც დავიბადე, ვიცხოვრე და დავბერდი, კიდევ ერთი შედევრი დაუტოვა ქართველი ერის მომავალსა და ისტორიას

დახმარებას დაჰპირდა. მართლაც, მალე, მშენებლობას გენერალური სპონსორი გამოუჩნდა, უდიდესი ქველმოქმედი — ბატონი ბიძინა ივანიშვილი. 2001 წელი ახალი დამდგარი იყო, როდესაც ბატონი ბიძინა მშენებლობის ფონდში მობრძანდა. ფონდის თავმჯდომარე — ირაკლი ანდრიაძე (მაშინ სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელობდა) გახლდათ, რომელსაც კაბინეტი კანცელარიის შენობაში ჰქონდა და შეხვედრაც იქ შედგა. ივანიშვილმა მშენებლობის სრულად დაფინანსების სურვილი გამოთქვა... მახსოვს, ყველანი დერეფნისკენ ვიყურებოდით, ივანიშვილის ნახვა გვინდოდა. მოგეხსენებათ, მაშინ ამ პიროვნების ნახვა კი არა, მისი სურათისთვის თვალის შევლებაც დიდი ამბავი იყო. მისი პიროვნების უბრალოებით გაკვირვებული ანდრიაძე მთელი დღე იმეორებდა, — ვინ წარმოიდგენს, ასეთი მოკრძალებული და თავმდაბალი პიროვნება მილიარდერი რომ არისო. ეკონომიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე კი ხუმრობდა, სანამ ფულს არ გადმორიცხავს, წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლებაო. საქველმოქმედო ფონდმა — „ქართუმ" უდიდესი წვლილი შეიტანა ამ მშენებლობაში, შესრულებული სამუშაოს 96% ივანიშვილმა დააფინანსა. წმინდა სამების კომპლექსში 9 ტაძარი ფუნქციონირებს: ხარების, მთავარანგელოზის სახელობის, წმინდა იოანე ნათლისმცემლის, წმინდა



პატრიარქის ხელითაა შესრულებული სამების მთავარი ხატი

## მისი უწმინდესობა დღეში რამდენჯერმე მოდიოდა ტაძრის ტერიტორიაზე, ხშირად მუშებისთვის სადილი მოჰქონდა

ნინოს, წმინდა ანდრია პირველწოდებულის, წმინდა ნიკოლოზის, ყოველთა წმინდათა სახელობის, თორმეტი მოციქულის და წმინდა გიორგის სახელობის ტაძრები. სამების ეზოში ასევე წმინდა ილია თეზბითელის სახელობის ტაძარია აღმართული, იქვეა წყალკურთხევის აუზი.

— **იქნებ მშენებლობის პერიოდიდან, საინტერესო ამბები გაიხსენოთ...**

— მახსოვს, თერმოიზოლაციის, ელექტროგაყვანილობის, გათბობა-განიავებისა და სანკვანძების დანადგარების მონტაჟი 3 თუ 4 დღის დაგვიანებით დასრულდა. სამუშაო საკმაოდ რთული იყო და მშენებლები მადლობასაც კი ელოდნენ, მაგრამ ანდრიაძემ საყვედურებით დაიწყო... ერთ-ერთი სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, უაღრესად პატივსაცემი პიროვნება — ომარ მეტრეველი წამოდგა და ღიმილით თქვა, — მგონი, ადრეც კი ჩავაბარეთ სამუშაოო. — ეს როგოროო? — გაცხარდა ანდრიაძე. — როგორ და, დაფიქრდით, ბატონო ირაკლი, რამდენი ორგანიზაცია ვმუშაობდით ამ საქმეზე და მათი ხელმძღვანელების გვარები ნახეთ: ჩალაძე — რაჭველი, გიორგობიანი — რაჭველი, მაცაბერიძე — რაჭველი, გამყრელიძე — რაჭველი, მიკუჩაძე — რაჭველი და მეც რაჭველი გახლავართ. კოორდინაციასაც ჯაფარიძე გვიწევდა და ამდენმა რაჭველმა ადრეც კი დავამთავრეთ საქმეო.

სამრეკლოს მშენებლობა რომ დასრულდა, ედუარდ შევარდნაძემ მოინახულა ტაძრის ტერიტორია. სამრეკლო გერმანიაში დამზადებული უნიკალური ზარებით (დედოზარის წონა 7,5 ტონაა) მართლაც გამორჩეულია მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში. ააჟღერეს ზარები. როგორც კი მელოდია დასრულდა, შევარდნაძეს ჟურნალისტები მისცვივდნენ და პოლიტიკური დისკუსია გაჩაღდა... საერთოდ, შევარდნაძე ამბობდა, მშენებლობის მხოლოდ საპატიო თავმჯდომარე კი არ ვარ, ფულსაც ვიხდიო. პირადად მისი შეწირული თანხა — 36.000 დოლარზე მეტი — როგორც ამბობდა, საკუთარი ჰონორარებიდან გაიღო... როდესაც ტაძრის ეზოში მდებარე დეკორატიული აუზის მშენებლობა დასრულდა, იქ გედების მოყვანა გაჭიანურდა. ერთხელაც, ისე, რომ მისი უწმინდესობის ღვთიური სიმშვიდე არც კი შეშკრთალა, დაბეჯითებით იკითხა, — კი, მაგრამ გედების მოყვანას როდისღა აპირებთო? ბატონი ირაკლი შეწუხდა, მალეო, ვეღარ უპასუხა და შორიდან დაიწყო. თქვენო უწმინდესობავ, ახლა ფრინველთა გრიპი რომ არის, ეს საქმე ამიტომ შეფერხდაო... უწმინდესმა მშენებლობის ხელმძღვანელს ღიმილით უთხრა, — ის გედები ჯობია, აქ დროულად მოვიყვანოთ, კარგად მოვუვლით და გრიპი აღარ დაემართებათო... მალე გედები მართლაც მოიყვანეს და დამშვენდა კიდეც აუზი... ტაძრის მშენებლობის ყველა დეტალი პატრიარქთან თანხმდებოდა, მისი უწმინდესობა დღეში რამდენჯერმე მოდიოდა ტაძრის ტერიტორიაზე, ხშირად მუშებისთვის სადილი მოჰქონდა, მათ ეფერებოდა და ეხუმრებოდა კიდეც... სამონასტრო კომპლექსის ტერიტორია 13 ჰექტარზეა გაშლილი. აქვე ფუნქციონირებს მამათა მონასტერი. ეზოში უნიკალური ჯიშის დეკორატიული ხეებია გაშენებული, რომლებიც პატრიარქის შერჩევითა და ბიძინა ივანიშვილის შეკვეთით, უცხოეთიდან ჩამოიტანეს... ახლა ტაძრის მშენებლობის შესახებ, ტაძრის მთავარ კონსტრუქტორთან, ემზარ კიზირიასთან ერთად, მშენებლობის ისტორიის ამსახველ წიგნს ვამზადებთ. ვცდილობთ, ისეთი წიგნი გამოვიდეს, რომელიც სრულად და ობიექტურად ასახავს ამ დიდებული ტაძრის მშენებლობის მატიანეს.

— **თქვენი გაზეთი უსასყიდლოდ ურიგდება მრევლს?**

— ჩვენს გაზეთს, რომელსაც თამამი სახელწოდება — „სამების ტაძარი" ჰქვია, უწმინდესისა და უნეტარესის საჩუქარია ტაძარში მოსული მრევლისთვის; გაზეთს მალე 15 წელი შეუსრულდება.

მის თითოეულ ნომერში დიდი შრომა, სითბო და სიყვარულია ჩაქსოვილი. ამ გამოცემაზე პატრიოტი ადამიანები ზრუნავენ და მინდა, მადლობა გადავუხადო მათ ამ გულისხმიერებისათვის. მახსოვს, 1-ელი ნომერი რომ დავბეჭდეთ, უწმინდესის კურთხევით, საჩუქრად პატარა სანთლები დავურთეთ. გაზეთზე ჩვენთან ერთად, პოეტი და ჟურნალისტი — ლია ჭილლაძე მუშაობდა. ლია სამაჩაბლოდანაა და მისი ძმა და დედა კონფლიქტის ზონაში ცხოვრობდნენ, ძმას თავისი ოჯახი არ ჰქონდა, რასაც ლია ძალიან განიცდიდა. როდესაც მან წიგნში ჩადებული სანთელი დაანთო, სწორედ ძმის დაოჯახება ინატრა. მეორე დღეს გახარებულმა დაგვირეკა, ძმა დამიქორწინდაო. შეიძლება, ეს უბრალო დამთხვევა იყო, მაგრამ მჯერა, რომ გულწრფელ ნატვრას უფალი ყოველთვის შეიწყნარებს. ახლა უკვე საახალწლო ნომერზე ვმუშაობთ და გვინდა, ისევ გავახაროთ ჩვენი მკითხველი. უფლის სასწაულის იმედი გვაქვს, გვჯერა, ყველა კეთილი და ლამაზი სურვილი ასრულდება.

— **როგორც ამბობენ, ტაძრის მთლიანად მოხატვა უკვე გადაწყვეტილია...**

— დიახ. დაგეგმილია ტაძრის სრულად მოხატვა. ამჟამად დასრულებულია მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის მოხატვა. მთავარი მხატვარი, კათოლიკოს-პატრიარქის ხელდასხმით — ამირან გოგლიძეა. შეუძლებელია, ამ ფრესკებმა ადამიანი აღტაცებაში არ მოიყვანოს... პატრიარქის ხელითაა შესრულებული სამების მთავარი ხატი და მის მიერ დაწერილი კიდევ რამდენიმე ხატი ამშვენებს ჩვენს ტაძარს... ამჟამად ტაძარში დაბრძანებულია ასლი ულამაზესი ხატისა, რომელსაც „საქართველოს იმედი" ჰქვია. ხატი უწმინდესის კურთხევით შეიქმნა. ყოველ პარასკევს, 3 საათზე, წმინდა სამების მამათა ლავრის წინამძღვრის მოადგილე, არქიმანდრიტი ილია, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სადიდებელ პარაკლისს აღავლენს და მრევლი ამ დიდებული ხატისთვისაც ლოცულობს. „საქართველოს იმედის" ხატის ორიგინალის ოქროთი მოპირკეთება მიმდინარეობს, რაც ცხადია, გულისხმიერებასთან ერთად, საკმაოდ დიდ მატერიალურ სახსრებს მოითხოვს. სამუშაოს გარკვეული ნაწილი უკვე შესრულებულია, მაგრამ ჭეშმარიტ მორწმუნეებს ჯერ კიდევ გვაქვს საშუალება, მონაწილეობა მივიღოთ ხატის გამშვენებაში. ვისაც აქვს სურვილი და საშუალება, წვლილი შეიტანოს ამ საშვილიშვილო საქმეში, ვაცნობებთ საბანკო რეკვიზიტებს.

სს „თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი.

საბანკო კოდი **TBCBGE22**

მიმღების დასახელება — წმინდა სამების საკათედრო ლავრის მამათა მონასტერი.

ანგარიშსწორების ანგარიში — **GE69 TB79315**36080100001.

აგრეთვე შეგვიძლია შესაწირავი, თანხა ან ოქროს ნივთები, ჩავაბაროთ წმინდა სამების საკათედრო ტაძარში. შემომწირველნი მოხსენიებულნი იქნებიან ლოცვებში და მათი სახელები ჩაიწერება შემომწირველთა წიგნში.



ტაძრის მშენებლობის ყველა დეტალი პატრიარქთან თანხმდებოდა

წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ცენტრში ახალგაზრდა სტუდენტების ნამუშევარი დგას, კათოლიკოს-პატრიარქის ტახტ-სავარძელი, რომელიც ეროვნული ორნამენტებით არის მოჩუქურთმებული. ტახტ-სავარძელი კაკლის ხეშია ნაჩუქურთმევი. ქართული ორნამენტები და შტრიხები უდიდესი სიფაქიზით ამოუკვეთიათ ახალგაზრდა ოსტატებს. ტახტის წინ ფიანდაზად გაშლილი გობელენი კი მხატვრული ქსოვილების კათედრის ასპირანტების ხელით არის მოქსოვილი. ■



ეროვნული ბიბლიოთეკა

# წუნდებული ყანწები...

ინგა ჯაყელი

კომუნისტების პერიოდში შაქრო კერამიკული საამქროს წუნმდებელი იყო. მის მოვალეობაში მზა პროდუქციის შემოწმება შედიოდა: რაიმე ნაკლი რომ გაპარულიყო, საწარმოს შეიძლებოდა, სოლიდური ჯარიმაც დაჰკისრებოდა... ხშირად მის მიერ დაწუნებულ დოქებს, ლარნაკებსა და ფიალებს ერთი შეხედვით, არანაირი ნაკლი არ ჰქონდა — დიდი-დიდი საღებავი ჰქონოდა აჭრელებული, ან ყელი ოდნავ მოღრეცილი, რასაც ალბათ, ჩვეულებრივი მყიდველი ვერც შეამჩნევდა, მაგრამ საბჭოთა კავშირში ვინ გაპატიებდა მყიდველის მოტყუებას?!.

მოკლედ, კვირის განმავლობაში, უამრავი კერამიკული „წუნი“ გროვდებოდა, რომლებსაც საამქროს უფროსთან შეთანხმებით, შაქრო ხშირად შინ ეზიდებოდა — მერე კი ახლობლებს დაბადების დღეებზე ჩუქნიდა. ნაჩუქარ ცხენს ხომ კბილი არ გაესინჯება და თანაც, გითხარით, შაქროს მახვილ თვალს არ გამოეპარებოდა წუნი, თორემ კაციშვილი, რომც აგეხსნა, ვერ მიხვდებოდა, რას ნიშნავდა „სტანდარტში არჯდომა“.

დროთა განმავლობაში, კერამიკა მოდური აღარ იყო და საბოლოოდ, პენსიაში გასულ შაქროს, გარაჟში იმდენი წუნდებული პროდუქცია დარჩა, იმას რომ ოდესმე ისევ დაედოს ფასი, მისი შთამომავლები მილიონერები გახდებიან. ახლა კი, ყუთებში ჩაწყობილი ნაკეთობები მხოლოდ დავის საგანია ოჯახში. ხან შვილი ეჩხუბება შაქროს და ხანაც — მოსწრებული შვილიშვილები:

— გავიტანოთ და გადავყაროთ ეს ნაგავი, როდემდე უნდა იკავებდეს ადგილს? მანქანა ძლივს გაგვყავს და შემოგვყავს გარაჟში...

— სანამ ცოცხალი ვარ, ხელს ვერ დააკარებთ! — გაჯიუტებულია შაქრო. — რა იცით, რა ხდება, იქნებ დრო მოტრიალდეს და კერამიკას ისევ დაედოს ფასი... აგერ, ათასობით ტურისტის შემოყვანას გვპირდება ჩვენი პრეზიდენტი და იქნება კი შევასაღოთ მათ ეს ყველაფერი...

ტურისტების შემოსვლა რა ხეირს დააყრიდა შაქროს, ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ ცოტა ხნის წინ, სრულიად შემთხვევით კი ლამის მილიონის მფლობელი გახდა (ჯერ არ დაუთვლია, თორემ შეიძლება, ასეცაა).

შვილიშვილს დაბადების დღე ჰქონდა და სტუმრებმა განსაკუთრებული სასმისით ინებეს მისი სადღეგრძელოს შესმა. რძალმა, ამ მიზნით, ხან რა მოიტანა და ხან — რა. ყველა დაიწუნეს და მაშინ გაახსენდა შაქროს გარაჟში დაწყობილი წუნდებული ყანწები. გავიდა, ყველაზე დიდს ხელი დაავლო და შემოიტანა:

— ამის დამლევს აქ ვერავის ვხედავ, თორემ უკეთეს განსხვავებულს ვერც ინატრებთ! — ეშმაკურად მოჭუტა თვალები და სტუმრები დააინტრიგა ორაზროვანი ნათქვამით. ისინიც წამოეგნენ ანკესს და:

— რას ჰქვია, ვერ დავლევთ! აბა, ჩვენი კაცობა რაღა ყოფილა?!

შემდეგ შაქრომ ყანწი რძალს გადააწოდა.



— კარგად გარეცხე, ხომ იცი, უხმარია, თანაც, ნადები, ხალხი არ დავწამლოთ!

ცოტა ხანში რძალმა სამზარეულოში მამამთილი იხმო. მზიას ისეთი სახე ჰქონდა, შაქროს გულს შემოეყარა:

— რა იყო, წყალი გააპარა?!

— წყალი კი არა, სიზმარში მგონია, თავი — ნახე, რა იყო ყანწის ძირში ჩაჩურთული?! — გახსნა ქალმა სამზარეულოს მაგიდაზე დადებული ძველებური ნაჭერი და... ათასფრად აბრჭყვიალდა მასზე დაყრილი ძვირფასი თვლები, კაი ვაჟკაცის ხელისგულზე რომ არ დაეტეოდა.

— შენ ვერ მოაგროვებდი ამდენ ბრილიანტს, ზურმუხტს და ლალს, საიდან გაჩნდა ეს ქონება ამ ძველ ყანწში?! — გაოცებული მიაცქერდა არანაკლებ დაბნეულ შაქროს, რომელსაც უეცრად გაახსენდა ძველი ამბავი: კერამიკის კომბინატის გვერდით საიუველირო ქარხანა იყო. ერთხელაც, სამსახურში მისული ხალხი კომბინატში არ შეუშვეს: წუხელ საიუველირო ქარხანა გაიძარცვა და ქურდებმა სავარაუდოდ, კომბინატს შეაფარეს თავი, ისინი უნდა ვიპოვოთო...

მერე ხმა გავარდა:

— ქურდები კი აიყვანეს, მაგრამ ნაძარცვის გატანა მოუსწრიათ და ვერსად პოულობენო...

ამ ძარცვიდან ათ წელზე მეტი იქნებოდა გასული, 2 კაცი რომ დახვდა გზაში შაქროს და მის მეწყვილეს:

— დაწუნებულ პროდუქციას რას უშვრებით?!

— რა უნდა ვუყოთ, ზოგს ხელახლა ამუშავებენ, ზოგიც ნაგავსაყრელზე გააქვთ! — ზოგადი პასუხით მოიშორეს თავიდან არამკითხე მოამბეები და კიდევ კარგი, შაქროს არ გაუმხელია, სახლშიც რომ ბლომად ჰქონდა გაზიდული. მაშინ ის კაცები სახელმწიფოს მიერ მოგზავნილი კონტროლიორები ეგონა. ახლა კი მიხვდა, რომ საიუველირო ქარხნის მძარცველები იქნებოდნენ, ციხიდან გამოსულებმა ნაძარცვი რომ მოიკითხეს...

მოკლედ, აშენდა შაქრო ნაპოვნი განძით და აღარც იმაზე წუწუნებს, დამსახურებული პენსია რომ არ აღირსა სახელმწიფომ — შური იმით იძია, რომ არც თავად უფიქრია სახელმწიფოსთვის კუთვნილის დაბრუნება...

■

# მიტოვებული შეყვარებულები

## მიზეზი, რის გამოც საქმროსგან (საცოლისგან) გაქცევის სურვილი უჩნდებათ

**ამას წინათ ჩვენმა მკითხველმა რჩევისთვის მოგვმართა და რასაკვირველია, საკუთარი თავგადასავალი გვიამბო: გოგონა საყვარელმა ადამიანმა ნიშნობის დღეს მიატოვა. მის მესიჯს უამრავი გამოხმაურება მოჰყვა. ვიცოდი, რომ ქორწინების შემდეგ ბევრი ოჯახი ინგრევა, რომ ხალხი ცალმხრივი სიყვარულისგან იტანჯება ან წყვილს მშობლებთან ექმნება პრობლემა და ა.შ., მაგრამ სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, ჩვენ გარშემო ზუსტად ქორწილის, ნიშნობის დღეს საქმროსგან ან საცოლისგან მიტოვებულ-იმედგაცრუებული ამდენი ადამიანი თუ იყო.**

*ლიკა ქაჯაია*



**მაკა**, *23 წლის:*

— საქმრომ ქორწილის დღეს მიმატოვა. ქუთაისელი გახლავართ. ჯვრისწერა გელათში გვქონდა დაგეგმილი, საქორწილო კაბაც მზად იყო, მაგრამ... უკვე სარკესთან ვტრიალებდი, როცა დამირეკა და მითხრა: აღარ დამელოდო. შენთან დასამშვიდობებლად ვრეკავო. მას მერე აღარც მინახავს და აღარც მისი ხმა გამიგონია...

— **მასთან ურთიერთობის გარკვევა არ გიცდია?**

— ამის სურვილი დღემდე მაქვს, მაგრამ არავინ იცის, მიწამ ჩაყლაპა თუ ზღვის ფსკერზე უნდა ვეძებოთ. ადამიანი ისე გაქრა, მის შესახებ ვერაფერი შევიტყვეთ.

— **ისიც ქუთაისელი იყო?**

— არა, მაგრამ მის მშობლებს, სანათესავოს ვიცნობდი. სხვათა შორის, მათთან დღემდე ვურთიერთობ. ერთადერთი, რაც ჭორის დონეზე გავრცელდა, ისაა, რომ ვიღაც ზესტაფონელ გოგოსთან ერთად გაიპარა. თურმე, იმ გოგოსთან დროის სატარებლად, ხშირად დადიოდა. მერე ის გოგო დაფეხმძიმებულა, ჩემი ყოფილი საქმროს მშობლებს კი მასთან დაქორწინების უფლება არ მიუციათ. არ მუშაობდა და იმის ფულიც არ ჰქონდა, რომ საყვარელთან ერთად გაპარულიყო, ოჯახი დამოუკიდებლად ერჩინა და ამიტომაც, ყველას ისე მოაჩვენა თავი, თითქოს იმ ქალთან ურთიერთობა გაწყვიტა და მე შევუყვარდი. მისი მშობლები ამბობენ: ეტყობა, ეს ქორწინება იმიტომ დაგეგმა, რომ ჩვენთვის ფული დაეცინცლაო. თურმე მას, როგორც სიძეს, იმ დღეს საკმაოდ სოლიდური თანხა მისცეს, მან კი დრო იხელთა და „მოხია“...

— **დავიჯერო, შენი ყოფილი საქმროს ოჯახს იმ ქალის ძებნა არ დაუწყია?**

— როგორ არა, მაგრამ მის კვალსაც ვერსად მიაგნეს... გასაგებია, რომ მე კი არა, ის ვიღაც უყვარდა, მაგრამ თუ ასე იყო, მე რას მერჩოდა, რატომღა გამაუბედურა? მის ხელში იარაღი აღმოვჩნდი. თითქმის უცნობი კაცის სიტყვები ვირწმუნე და ბრმად შევიყვარე — აი, ამაში ვარ დამნაშავე. მე მესმის მიტოვებული გოგონების და მინდა, თითოეულ მათგანს ვუთხრა: ოდესმე ჩვენი დროც დადგება და შურს ვიძიებთ უღირს მამაკაცებზე! ისინი ჩვენს ფეხებთან დაიწყებენ ფორთხვას და სწორედ მაშინ უნდა გამოვიჩინოთ სულის სიმტკიცე! მათ წარსულში ჩადენილი დანაშაული არამც და არამც არ უნდა ვაპატიოთ!

**ზურა**, *25 წლის:*

— ის გოგონა, რომელმაც წერილი მოგწერათ, საქმრომ ნიშნობის დღეს მიატოვა, მე კი საცოლე ჯვრისწერის შემდეგ გამექცა. მოკლედ, ჯვარი დავიწერეთ და სახლში მივედით, სადაც 200 კაცი მაინც გველოდებოდა. შუა ქეიფის დროს ნია სადღაც დაიკარგა. დიდხანს ვეძებდით, მაგრამ უშედეგოდ. რამდენიმე დღის შემდეგ ოჯახის წევრებს დაუკავშირდა და უთხრა: ზურა არ მიყვარდა, მას უსიყვარულოდ გავყევი. ახლა ბედნიერი ვარ, რადგან საყვარელი ადამიანის გვერდით გახლავართ და იმედია, ჩემს სიყვარულს თქვენც მიიღებთო.

— **მერე, მიიღო ოჯახმა სხვა სიძე?**

— თავიდან მამამისი იმუქრებოდა, — ჩემი ხელით გამოვჭრი ყელსო, მისი ძმებიც ყველაფერს ბღლვნიდნენ და დედამისიც მპირდებოდა: შენ გარდა ოჯახში არავის მივიღებო, მაგრამ... წლები გავიდა და ნიას ოჯახს წყენა დაავიწყდა. ახლა ის ბიჭი მათი საამაყო სიძე გახდა, მე კი ისე მიყურებენ, როგორც მტერს...

— **ნია აღარ გინახავს?**

— ერთხელ ბაზარში ვნახე, უზარმაზარ ჩანთებს მიათრევდა. რომ დამინახა, შევატყვე, დაიბნა და ლამის სირბილით გამეცალა. არ გავკიდებივარ — რა აზრი აქვს იმ ქალის დევნას, რომელსაც არაფრად უღირხარ? მან გული საშინლად მატკინა, მაგრამ ყველაზე ცუდი ისაა, რომ არ ვიცი, ოდესმე ქალებისკენ გავიხედავ თუ არა; ყველა მოღალატე მგონია, ვერც ერთს ვერ ვენდობი. საკუთარ დასაც კი, რომელიც გათხოვილია და შესანიშნავი ქმარი ჰყავს, უკან დავდევ — მეუღლეს არ ულალატოს-მეთქი და ჩემი ეს ავადმყოფური ეჭვიანობა ლამის, მისი ოჯახის დანგრევის მიზეზად იქცა. თუმცა, ამაზე ლაპარაკი არ მინდა.

— **ახლა რას აპირებ?**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უკვე მივხვდი, რომ ქალთან მკაცრი უნდა იყო. როგორც უნდა გიყვარდეს, არ უნდა აგრძნობინო და ბოლომდე არ უნდა ენდო. მეგონა, ნიას სიგიჟემდე ვუყვარდი, მაგრამ მწარედ მოვტყუვდი. მერწმუნეთ, იმაზე მტკივნეული არაფერია, როცა გღალატობენ.

**ქეთა**, *18 წლის:*

— მეც სწორედ მაშინ მიმატოვეს, როცა მეგონა, რომ ოჯახს დღე-დღეზე შევქმნიდით. სხვათა შორის, ეს სულ ახალახან მოხდა. მე და ლუკას 3 წელი გვიყვარდა ერთმანეთი. ჩვენი ურთიერთობის საწინააღმდეგო მშობლებსაც არაფერი ჰქონდათ და როცა მეგონა, მის თავს ვერავინ წამართმევდა, სწორედ მაშინ შევცდი — ის სხვასთან გაიქცა, ვიღაც „მამიკოს გოგოს“ გაეკიდა, მე კი მხოლოდ ორიოდე სიტყვა გადმომიდგო: მიყვარხარ, მაგრამ სხვა უფრო მჭირდებაო.

**— მისი ეს სიტყვები როგორ გაიგე? შენი აზრით, ის გოგო უსიყვარულოდ შეირთო?**

— კი, ასეა! ყოველთვის ვიცოდი, ლუკა პლანს რომ ეწეოდა, მაგრამ წამალს თუ იკეთებდა, ამას ვერც წარმოვიდგენდი. ახლა გავიგე, რომ არც წამლით კაიფზე ამბობდა უარს, ის გოგო კი თურმე, „მამიკოს ფულებით ხშირად აფინანსებდა. როგორც გავიგე, ელენე ჰქვია და ბათუმელია. ჰოდა, თუ ჩემს მესიჯს წაიკითხავს, მინდა იცოდეს, რომ ბედნიერი ვერასდროს იქნება. სხვის უბედურებაზე საკუთარ ბედნიერებას ვერავინ ააგებს!.. ლუკა თუ მართლა ნარკომანია, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს მისი თავი. ჩემთვის მიუღებელია ისეთ ადამიანთან ერთად ცხოვრება, რომელიც საკუთარი კაიფისთვის ოდესმე ცოლშვილსაც გაყიდის, ნარკომანებისგან კი ეს გამორიცხული არაა.

**— ასე იმიტომ ხომ არ ლაპარაკობ, რომ ლუკამ მიგატოვა?**

— რომ არ მივეტოვებინე და სიმართლე გათხოვების შემდეგ გამეგო, ოჯახი მაინც დამენგრეოდა. მადლობა ლუკას, გასაუბედურებლად ბოლომდე რომ ვერ გამიმეტა და ცოლად არ მომიყვანა. უბრალოდ, როცა მიტოვებული ადამიანის როლში ხარ, ეს არა მარტო თავმოყვარეობას გილახავს, არამედ გულს გტკენს, შენს სულსაც შეუხორცებელ ჭრილობას აყენებს... ■

# რისთვის გადაუხდიდით მადლობას ექსშეყვარებულს?



SUNNY_FLOWER:

„ჩვენ გარშემო არიან ადამიანები, ვისგანაც ბევრ რამეს ვსწავლობთ, შედეგად კი ვიზრდებით და ვიცვლებით. როგორც ამბობენ, ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე დიდ კვალს სიყვარული ტოვებს... მაინტერესებს, რის გამო გადაუხდიდით მადლობას ექსშეყვარებულს?“

AKREATON:

„იმისთვის, რომ დღეს ჩემთან აღარ არის...“

**მაკ-კი:**

„X-ი არ მყავს, მაგრამ გეტყვით, რომ საყვარელი ადამიანისგან ბევრი რამ ვისწავლე: უფრო გულისხმიერი გავხდი, უფრო ძლიერი, საკუთარი თავის ფასი, გრძნობების გამოხატვა, საკუთარი და მისი ინტერესების დაცვა ვისწავლე, უფრო დამთმობი გავხდი და ბუნება, ცხოვრება შემიყვარდა. ჰოდა, ამ ყველაფრისთვის მადლობას ვუხდი... კიდევ, მივხვდი, რა არის სიყვარული. ერთადერთი, რაც არ მომწონდა, ეს იყო ეჭვიანობა და ამის საფუძველზე რაღაცების ბრალდება, რამაც ჩვენი ურთიერთობა შეაფერხა... ახლა უკვე ვისწავლე, როგორ არ ვაეჭვიანო, ის კი მიხვდა, რომ არაფრად ჩასაგდები ხალხი თავადაც არაფრად არ უნდა ჩააგდოს“.

ARTHASA:

„ჩემო ძვირფასო „ექსო“, დიდი მადლობა იმისთვის, რომ მიმახვედრე, როგორი არ უნდა ვიყო; დიდი მადლობა იმისთვის, რომ რაღაც პერიოდი ძალიან ბედნიერი ვიყავი, ყოველი დღის გათენება მიხაროდა და ყოველი წუთი, რომელიც კი შენთან გამიტარებია, ამქვეყნიური სამოთხე იყო; დიდი მადლობა იმისთვისაც, რომ ასე საყვარლად იცოდი შემოხედვა, რის გამოც სუნთქვა მეკვროდა და ყველაფრისთვის მზად ვიყავი; დიდი მადლობა იმისთვისაც, რომ ჩემი გამოცდილება გაამდიდრე (თუმცა ამას რა თავში ვიხლი); დიდი მადლობა იმისთვისაც, რომ შეგიძლია, ამდენი გულისტკენის შემდეგ მაინც იმეგობრო ჩემთან, მაგრამ ყველაზე დიდი მადლობა იმისთვის, რომ არ გიყვარდი, წახვედი და თუ ოდესმე რამეს არ გაპატიებ, ის იქნება, თუ ჩემთან დაბრუნებას გადაწყვეტ. P.S. მხოლოდ ერთ „ექსს“ ეხება, სხვებს თავში ნუ აუვარდებათ“.

SUNNY_FLOWER:

„მეც ბევრი რამ მასწავლა ყოფილმა შეყვარებულმა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ გავიგე, სინამდვილეში როგორი ძლიერი ვყოფილვარ!“

**პარიკუტინი:**

„კოკა! დიდი მადლობა, რომ მასწავლე ლოდინი, მოთმენა და დათმობა; დიდი მადლობა, რომ მასწავლე, არ ვთქვა სიტყვა „მიყვარხარ“ თუნდაც მაშინ, როცა ამ სიტყვის თქმა ძალიან მინდა; მადლობა იმისთვის, რომ თავის დროზე ბევრი მატირე და ახლა ცრემლი აღარ მაქვს, ვეღარ ვტირი; მადლობა იმისთვის, რომ დღესდღეობით გულგრილი და ძლიერი ადამიანი ვარ, რომ გამომფიტე და სითბოს ნატამალი აღარ შემრჩა; მადლობა, რომ მუსიკალური გემოვნება შემიცვალე; მადლობა იმისთვისაც, რომ ლოდინით დამღალე და ახლა მნიშვნელობა აღარ აქვს, ჩემი ცხოვრებიდან ვინმე წავა თუ არა... მადლობა, რომ შენნაირ ყინულად, ისეთ მონსტრად მაქციე, რომელსაც აღარავინ უყვარს და აღარავის ელის...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

EINE18:

„მადლობა იმისთვის, რომ ახლა ვიცი, როგორია ნამდვილი მამაკაცი“.

SAILOR:

„ნელ-ნელა ვისწავლე სიამაყიდან „ჩამოსვლა“ და ჩამოვედი ბოლომდე, ვიყავი იქ, სადაც არაფერია — არც სიამაყე და არც — ღირსება... და მერე ისევ მაღლა ასვლა ვისწავლე, ოღონდ — არა სიამაყეზე, არამედ ღირსებაზე. ნელ-ნელა ვისწავლე სიყვარულის გამოხატვა, არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც და ვისწავლე თუ არა, ამას ვაკეთებდი დაუსრულებლად, უღირსებამდეც კი... თანდათანობით კი ღირსებაც დამიბრუნდა და საყვარელი ადამიანის „დაპაშოლებაც“ შევძელი... ჰო, რთული გზა იყო და ამ გზის გავლისას რამდენჯერმე შევცვალე ობიექტი (ზოგს ერთი ყოფნის და მე რა გამოვდექი ასეთი)... ახლა, ასე ვთვათ, გავივაკე და მაინტერესებს, მომდევნო ურთიერთობა რას მასწავლის ან თუ ექნება ამ ყველაფერს დასასრული. ადრე ჩემს გულს ერთი სარკმელი ჰქონდა, ახლა მეორეც გაუჩნდა და „სკვაზნიაკია“ უკვე, გრძნობა აღარ მიჩერდება. კიდევ ის ვისწავლე, რომ ურთიერთობისას არ უნდა გაიხეთქო თავი იმაზე ფიქრით, იქნებით თუ არა ერთად... ნუ აჰყვები საყვარელი ადამიანის დაკარგვის შიშს... დატკბი მასთან გატარებული ყოველი წამით და ნუ გადადებ ხვალისთვის იმას, რაც შეიძლება დღეს გააკეთო, იმიტომ, რომ შეიძლება, ხვალ ცოცხალი აღარ იყო!.. და ბოლოს: მადლობა ყველა იმ გოგონას, რომელიც მიყვარდა; მადლობა, რომ ისინი ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდნენ. მათი ხსოვნა ჩემი ცხოვრების თანამგზავრი იქნება“.

**ლეტოდინიუსი:**

„საკუთარი თავის ფასი გამაგებინა... ღირსებას ვიბრუნებ და ამისთვისაც მადლობა. სიყვარული მასწავლა, უფრო სწორად, ამ გრძნობის გამოხატვა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. მივხვდი, რომ თუ არ გინდა, მომავალში გული გეტკინოს, ადამიანებს ადვილად არ უნდა ენდო... მოკლედ, ამ ყველაფრისთვის და კიდევ ბევრი რამისთვის მადლობა მას...“

UMBR_ELLA:

„ძალიან ბევრი ლამაზი წუთი და ბედნიერი წლები მაჩუქა...“

NITE:

„მადლობა იმისთვის, რომ დამანახვა, თუ რა დამპალი შეიძლება იყოს ცხოვრება და შემანჯღრია“.

**7171:**

„ცხოვრება მშვენიერია! უბრალოდ, ზოგი დროულად ვერ მოდის აზრზე და მერე ყველაფერს ცხოვრებას აბრალებს“.

MADAME:

„მადლობა ჩემს ყოფილ სიყვარულს იმისთვის, რომ ვუყვარდი და იმისთვისაც, რომ მიყვარდა...“

**გუნდა:**

„არ ვიცი, რით დავიწყო. ალბათ, ცხოვრების სიყვარულიც მასწავლა. სანამ ჩემს ყოფილს გავიცნობდი, მეგონა, არავის მოვეწონებოდი და სიყვარულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ის დრო ძალიან კარგად მახსენდება... დრო მიდის, ზოგჯერ ძალიან სწრაფადაც, მაგრამ მასზე მოგონებები არ ნელდება, გრძნობები ისევ რჩება“.

RAVI_SHEN:

„გამხადა ასეთი ძლიერი, ცივი გონებით მოქმედება მასწავლა და ამისთვის უდიდესი მადლობა მას!“

## „დაქალმა შეყვარებული წამართვა...“

**ქრისტინე:**

„ეროვნებით სომეხი ვარ. ძალიან მიყვარს ქართველები და ყველაფერი ქართული, საქართველოც საკუთარ სამშობლოდ მიმაჩნია და ეს ბუნებრივიცაა, რადგან აქ დავიბადე, გავიზარდე. მოკლედ, როგორც ამბობენ, — საქართველომ მაწოვა ძუძუ... შეყვარებულიც ქართველი მყავდა და ამით ვამაყობდი. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ (ქართველებს ხომ სომეხი გოგონების რძლობის სურვილი არა აქვთ), ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგი მისი მშობლებიც არ იყვნენ. დედამისს სარძლოდ მოვწონდი და ყოველთვის მეუბნებოდა: მერე რა, რომ სომეხი ხარ? ბევრი სომეხი სჯობია ბევრ ქართველსო... გარეგნულად მართლაც, არაფერი დამეწუნება, მაგრამ ეროვნების გამო ბევრჯერ გავმხდარვარ ქილიკის ობიექტი და ამას ყოველთვის მწარედ განვიცდიდი, ახლა კი მივხვდი, რომ ჩემი ეროვნება ჩემი დიდი ტვირთია, მაგრამ ვერაფერს ვიზამ, ცხოვრების ბოლომდე მისი ტარება მომიწევს. ამას რატომ ვამბობ? იმიტომ, რომ ახლახან „ლოვემ“ მიმატოვა. ის საკუთარმა დაქალმა „ამახია“. მხოლოდ იმით მაჯობა, რომ ქართველია; ირაკლის ახლა ძმაკაცები აღარ ეტყვიან: სომეხს ცოლად როგორ მოიყვანო?..

ნელკა მედაქალებოდა, სინამდვილეში კი ერთი გულღრძო ადამიანი აღმოჩნდა. ალბათ, ირაკლისაც არ ვუყვარდი სათანადოდ, თორემ მის მეგობრებს რაც არ უნდა ეთქვათ, მაინც ჩემ გვერდით იქნებოდა. სასაცილო იცით, რა არის? როგორც კი ირაკლიმ მიმატოვა, მისმა ძმაკაცმა დამიწყო ჩალიჩი. არადა, ადრე სწორედ ის უსვამდა ხაზს ჩემს ეროვნებას და მეგობარს ხშირად ახსენებდა, რომ მე მართლმადიდებელი, მაგრამ მაინც, სომეხი ვიყავი. ახლა ვხვდები, რომ ამას სპეციალურად აკეთებდა. თურმე თავად სურდა ჩემი „დათრევა“, მაგრამ ირაკლისგან განსხვავებით, მე საყვარელი ადამიანის მეგობარს სხვა თვალით ვერასდროს შევხედავ! ხალხნო, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? როგორ მივახვედრო ირაკლი, რომ მას საკუთარმა ძმაკაცმა, ჩემს დაქალთან ერთად დაუგო მახე? ნელკას როგორ გადავუხადო სამაგიერო? ირაკლი რომ არ დამიბრუნდეს, ალბათ, ცხოვრებაზე ხელს ჩავიქნევ. გთხოვთ, დამეხმარეთ, თქვენი იმედი მაქვს“. ■

## „როგორ დავძლიო სიმარტოვე?“

SPIRIT:

„თავს მარტოსულად მივიჩნევ: არც და მყავს, არც ძმა და არც — „ლოვე“. მარტო ვარ და ამას ყველაზე მეტად, მთელი სიმძაფრით მაშინ განვიცდი, როცა ქუჩაში გავდივარ და შეყვარებულ წყვილებს ვხედავ. მორჩა, მეტი აღარ შემიძლია! ყველას ჰყავს „ლოვე“ ან მეგობარი, მე კი ამ ბედნიერებას მოკლებული ვარ და ახლა რჩევას ამიტომაც გთხოვთ: მითხარით, როგორ უნდა მოვიქცე, რომ სხვების ყურადღება მივიპყრო? რით დავძლიო ეს სიმარტოვე?“ ■

*P.S. მაშ ასე, თუ ქრისტინეს და SPIRIT-ის წერილების წაკითხვის შემდეგ მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სამყარო

## „ვის“ აბანავებდა კობა ხაბაზი ღამის 4 საათზე

**დეპუტატი კობა ხაბაზი ქოთნის ყვავილების კოლექციონერი გახლავთ. განსაკუთრებულად ორქიდეები უყვარს. ცდილობს, კოლექციისთვის ნაკლებად ფაქიზი მცენარეები შეიძინოს, რადგან მათი გახმობა ტკივილს აყენებს...**

**ბატონ კობას ქოთნის ყვავილების ნაწილი პარლამენტში, საკუთარ კაბინეტში აქვს და მათ დიდი რუდუნებით უვლის...**

*ეთო ყორღანაშვილი*

— მიმაჩნია, რომ მცენარეებს სილამაზეში ბადალი არ ჰყავს (ქალის გარდა). თვით მაცხოვარი ამბობს: ყვავილები არ ფიქრობენ როგორ შეიმოსონ, მაგრამ გინახავთ ვინმე ყვავილზე უკეთესად შემოსილიო? მათი მშვენიერება საოცარ სიმშვიდეს მანიჭებს.

— **ყვავილებით როდის დაინტერესდით?**

— მამა არომატული და სამკურნალო მცენარეების საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი იყო, დედა — ბოტანიკოსი. ბავშვობაში მამასთან ერთად ტყეში მივდიოდი. მას მცენარეები საოცრად უყვარდა. ნებისმიერის ქართულ და ლათინურ სახელწოდებასთან ერთად, ისიც იცოდა, თუ რას უწოდებდნენ ამა თუ იმ მცენარეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გარკვეულწილად ამანაც იმოქმედა, რომ ყვავილები ბავშვობიდან მიყვარს.

— **ახლა მცენარეებში თქვენც კარგად ერკვევით?**

— ყვავილებში კარგად რომ ერკვეოდე, ალბათ, სპეციალისტი უნდა იყო, რადგან უამრავი სახეობა არსებობს. სხვადასხვა ქვეყნიდან ორიგინალური მცენარე ჩამომაქვს. უცხოეთში ყოფნისას, პიჯაკსაც კი ვკეცავ და ჩემოდანში ვდებ; ხელში ქოთნის ყვავილს ვიჭერ და საქართველოში ჩამომაქვს. ხშირად ეს ხუმრობის საგანი ხდება. როცა ქოთნის ყვავილს ვყიდულობ, მათ მოვლასთან დაკავშირებულ გარკვეულ ინსტრუქტაჟს ვიღებ. ბევრი მათგანის მოვლა ჭირს. უნიკალური ორქიდეა მქონდა — „ვენერას ჩექმებს“ უწოდებენ. ყოველ 7 საათში ერთხელ უნდა „გებანავებინა“: ქოთანს წყალში ჩაყოფდი, 1 წუთის მერე კი გვერდზე გადადგამდი... ზოგჯერ „ბანაობა“ ღამის 4 საათზე უწევდა. ვერაფრით მოვუარე.:. ამიტომ ვცდილობ, ნაკლებად ფაქიზი ყვავილები ვიყიდო, რადგან მათი გახმობა ტკივილს მაყენებს...


უნიკალური ორქიდეა მქონდა — „ვენერას ჩექმებს“ უწოდებენ

— **პარლამენტში თქვენი კოლექციისთვის პირველი ყვავილი რომელი იყო?**

— ჰოლანდიიდან ვეფხვისებრი ორქიდეა ჩამოვიტანე. სამწუხაროდ, რთული მოსავლელია. მისი ყვავილობა დაახლოებით, 2 თვეს გრძელდება, ძალიან ლამაზია! ხშირად მართმევენ... უცხოეთიდან ხათუნა გოგორიშვილისა და ეკა ხერხეულიძისთვის ქოთნის ყვავილები ყოველთვის მომაქვს. წიგნების საკმაოდ კარგი კოლექციაც მაქვს (დედა ბიბლიოთეკარი მყავდა). წიგნის გაჩუქება არ მენანებოდა, თუ ვიცოდი, რომ წაიკითხავდნენ და მოუვლიდნენ. ცხადია, ყვავილს წაკითხვა არ სჭირდება, მაგრამ უნდა ვიცოდე, რომ უყვართ და მოუვლიან.

— **ამჟამად რამდენი ყვავილი გაქვთ?**

— დაახლოებით — 50. ნაწილი პარლამენტში მაქვს, ნაწილი — ქობულეთში. ალბათ, ერთ-ერთი ყვავილი ფილმიდან — „ლეონი“ (რომელშიც ნატალი პორტმანი თამაშობს) გეცნობათ. ასევე, მექსიკური „სიყვარულის ხე“ მაქვს, რომელსაც „ბედნიერების ხესაც“ უწოდებენ. მასთან დაკავშირებით მითი არსებობს: მეფესთან მებაღე მივიდა და სთხოვა, — შენი ქალიშვილი მიყვარს, ცოლად გამაყოლეო. მეფე გაბრაზდა. ხელში კვერთხი (მცენარის გამხმარი ღერო) ეჭირა, რომელიც მიწაში ჩაარჭო და მებაღეს უთხრა: როცა ეს გაცოცხლდება, ჩემს ასულს ცოლად მაშინ გამოგაყოლებო. მებაღე გამხმარ ღეროს ყოველდღე წყალს უსხამდა იმ იმედით, რომ გაცოცხლდებოდა. მცენარე მართლაც გაცოცხლდა, მეფემ კი პირობა შეასრულა — მებაღეს თავისი ასული

ცოლად მიათხოვა. ამიტომ ამ მცენარეს „სიყვარულის ხე" ჰქვია, პირობითად. მართლაც, გამხმარი ტოტი ვიყიდე, რომელსაც დახლოებით 3 თვის განმავლობაში, წყალს ვუსხამდი და საბოლოოდ, გაცოცხლდა. ახლა ულამაზესია!

მტაცებელი ყვავილიც მქონდა, რომლის ფოთოლზეც ღერო იყო, ღეროზე — „დოქი". ნამდვილი დოქისგან ვერ გაარჩევდით — თიხისფერი იყო. ძირში სითხის მსგავსი ნივთიერება ესხა. შიგნით ბუზი რომ ჩაძვრებოდა, ეწებებოდა — მცენარე ასე იკვებებოდა. პარლამენტში ბუზები არ არიან. ამიტომ ხორცი ვიყიდე, მაცივარში შევინახე და ყოველდღე ფრჩხილისოდენა ნაჭრებს „დოქში" ვყრიდი, მაგრამ მცენარემ გაყინული ხორცი არ „შეჭამა"...

ჯუჯა ნაძვის ხეს ვერ მოვუარე: მას გარეთ, სიცივეში ყოფნა უნდა, პარლამენტის ფანჯრები კი იმის საშუალებას არ მაძლევს, რომ ქოთნის ყვავილი გარეთ დავდგა. ჯუჯა ხეებიდან მხოლოდ ერთი შევინარჩუნე... აგავების ჯიშის საკმაოდ ლამაზი ყვავილი მაქვს. ერთხელ უკვე აყვავდა. მისი მეორედ აყვავება მსოფლიოში ვერავინ მოახერხა. გვერდით ახალი ნაყოფი გამოიტანა, რომელსაც „ჩავჭრი", დავაფესვიანებ და გავამრავლებ...

მორცხვი მიმოზა (რომელიც ერთწლიანი კულტურაა) 15-20 სანტიმეტრის სიმაღლის იზრდება., ბევრი და პატარა ფოთოლი აქვს. როგორც კი შეეხები, მაშინვე შეიკუმშება — თითქოს, რცხვენია. თუ ღეროზე შეეხე, მოიხრება. ეს ყვავილი მებრალება, რადგან როცა ვინმეს ვეტყოდი, — მორცხვი მიმოზაა-მეთქი, ყველანი მიადგებოდნენ და ჩამოურბენდნენ ხოლმე (ეტყობა, სადიზმისკენ მიდრეკილება გვაქვს). ამის გამო, სულ „ჩამოყრილი" ფოთლები ჰქონდა...

**— ყვავილების მოვლაში ვინმე გეხმარებათ?**

— როცა საზღვარგარეთ ან ქობულეთში გამგზავრება მიწევს, ყვავილებს დამლაგებელი უვლის: მცენარეები მასაც ძალიან უყვარს და იცის, რომელს როგორ მოუაროს. ყველაზე მძიმე დღეები მაშინ გამოვიარე, როცა ოპოზიცია პარლამენტი ალყაში ჰქონდა მოქცეული. შეიძლებოდა, გარკვეულ პროვოკაციებზე წამოსულიყვნენ. ამიტომ სამსახურში გვთხოვეს, შენობაში ნუ შეხვალთო. განვაცხადე: მათ გამო ჩემს ყვავილებს არ გავახმობ-მეთქი! ყოველდღე, დილის 7 საათზე პარლამენტში მოვდიოდი და მცენარეებს ვრწყავდი (*იცინის*). ინციდენტიც არ მომხდარა და ყვავილებიც გადავარჩინე.



მცენარემ გაყინული ხორცი არ „შეჭამა"...



აგავების ჯიშის საკმაოდ ლამაზი ყვავილი მაქვს

**— ოთახის მცენარეებს ზოგი ესაუბრება კიდეც. ამბობენ, — ყვავილებს საალერსო სიტყვების „მოსმენა უყვართ" და უკეთ ხარობენო.**

— ყვავილებს არ ვიცი, მაგრამ მე ნამდვილად მიყვარს (*იცინის*).

## ყველაზე მძიმე დღეები მაშინ გამოვიარე, როცა ოპოზიციას პარლამენტი ალყაში ჰქონდა მოქცეული

მცენარეებთან ასეთი დამოკიდებულება არ მაქვს. ყვავილები სილამაზეა და ხასიათზე კარგად მოქმედებს. გურამ დოჩანაშვილი „სამოსელი პირველში" ამბობს: როცა რაღაც წიგნს კითხულობ, ცოტათი უკეთესი ხდები, ვიდრე სინამდვილეში ხარო. ყვავილების შემთხვევაშიც ასეა: როცა მათ ვუყურებთ, უკეთესები ვხდებით. ბუნების სილამაზე ადამიანში აგრესიას აცხრობს, სიკეთისკენ მოგვიწოდებს. „ფანტასტიკის მეფედ" აღიარებულ მწერალ აიზე კაზიმოვს აქვს მოთხრობა — „ფონდი" (რომელიც ყველა დროის საუკეთესო წიგნად მიიჩნევა): მილიონი წლის მერე, დედამიწა 500-მეტრიანი ბეტონის შენობებითაა დაფარული. მიწის ნაგლეჯიც არსად ჩანს... მსურს, ყველა ადამიანს მოვუწოდო: რაც უნდა ინდუსტრიალიზაცია მოხდეს, არ დაგვავიწყდეს, რომ ბუნება გვასულდგმულებს, ჩვენში ღირებულს ტოვებს... ყველას შეუძლია, სახლის ფანჯრის რაფაზე ერთი ყვავილი მაინც დადგას — თბილისი საოცრად ლამაზი იქნება! მინახავს ქალაქები, სადაც სახლების ფანჯრების რაფებზე ქოთნის ყვავილების დადგმა სავალდებულოა. მინდა, თბილისში ადამიანებმა ეს საკუთარი სურვილით გააკეთონ — უკეთესები გახდნენ და ამაში სხვებსაც დაეხმარონ... ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

1. კობრა ოცი წელი ცოცხლობს.

2. პეკატოფობია ცოდვის ჩადენის შიშია.

3. მოსავლის დაზღვევა ბენჯამინ ფრანკლინმა შემოიღო.

4. სილვიო ბერლუსკონი ბარაკ ობამას გარუჯულ ბიჭს ეძახდა.

5. „კრასივო ჟიტ ნე ზაპრეტიშ, ნო პამეშატ მოჟნო“, — ამბობენ რუსები.

6. ლატვიის დედაქალაქ რიგაში ლატვიელებზე მეტი უცხოელი ცხოვრობს.

7. იაპონელებმა კაპიტულაციას სამხედრო ხომალდ „მისურიზე“ მოაწერეს ხელი.

8. სურათის გადაღებისას სვანებს „გაიღიმეს“ ნაცვლად ხუმრობით — „მომე ნასოსიო“, ეუბნებიან.

9. დმიტრი მედვედევი პირველი იყო რუსეთის ლიდერებიდან, ვინც კურილიის კუნძულებზე ჩავიდა.

10. ლონდონის საფოსტო განყოფილებები დღესაც იღებენ წერილებს, რომლებიც ბეიკერ-სტრიტ 221 ბ-ში მცხოვრები შერლოკ ჰოლმსისათვის არის განკუთვნილი.

11. ბელგიის დედოფალი ჰენრიეტა სპეციალურად წვრთნიდა სამეფო ბაღში მობინადრე ლამას, რათა მას ბაღში მოსეირნეთათვის ეფურთხებინა.

12. რომის პაპი იოან XXIII, რომელიც 1958-1963 წლებში სათავეში ედგა კათოლიკურ ეკლესიას, პირველი მსოფლიო ომის დროს იტალიის არმიის სერჟანტი გახლდათ.

13. ბრიტანეთის მმართველობის პერიოდში ინდოეთში 38 მილიონი ინდოელი დაიღუპა შიმშილით. ეს მაშინ, როცა ქვეყნის პორტები ხშირად სავსე იყო ინგლისში წასაღებად გამზადებული სურსათით.



14. გლეხების აჯანყება ემელიან პუგაჩოვის წინამძღოლობით 1773-1775 წლებში უდიდესი იყო თავისი მასშტაბით. მან მოიცვა ორენბურგის მხარე, ურალი, ურალისპირეთი, დასავლეთ ციმბირი, შუა და ქვემო ვოლგის-

# ყველაზე ექსტრემალური „ფერარი“

ერთ-ერთმა ინტერნეტგამოცემამ სატრეკო სუპერავტო Ferrari 599XX-ის ყველაზე ექსტრემალური მოდიფიკაციის, Evoluzione-ს არაოფიციალური ფოტოები გამოაქვეყნა. ამ ავტომობილის მსოფლიო პრემიერა მომავალი წლის მარტში, ჟენევის მოტორშოუზე შედგება. რჩეულ კლიენტებს კი ბრენდმა იგი უკვე წარუდგინა. სიახლე კლიენტებისთვის განკუთვნილი პროგრამითაა აგებული, რომელსაც Ferrari Corse Clienti ეწოდება. მის ფარგლებში კლიენტები სპეციალურ ტრეკ-დღეებში მონაწილეობენ. ამ ღონისძიებისას „ფერარი“ ავტომობილს ავტოდრომზე მიიყვანს და რბოლებისას სუპერავტოს მომსახურებისთვის ტექნიკოსებს წარუდგენს. ჩვეულებრივისაგან სიახლე დიდი უკანა ანტიფრთით, რეგულირებადი წინა სპოილერით, უფრო მოზრდილი სამუხრუჭე მექანიზმებით გამოირჩევა. სავარაუდოდ, 6,3-ლიტრიანი, 12-ცილინდრიანი ძრავას სიმძლავრე Evoluzione-სთვის 730-დან 800 ცხძ-მდე გაიზრდება. ■





# რესტაილირებული „მუსტანგი“



კომპანია „ფორდმა“ „მუსტანგის“ ოჯახის რესტაილირებული ავტომობილების შესახებ გამოაქვეყნა ინფორმაცია. პუბლიკა მანქანებს ცოტა ხანში ლოს-ანჯელესის მოტორშოუზე იხილავს, ხოლო ამერიკულ ბაზარზე მათი გაყიდვა გაისიდან დაიწყება. ავტომობილებს უფრო მოდერნიზებულად გაფორმებული ექსტერიერი აქვს რადიატორის რელიეფური ცხაურით, სხვა კაპოტითა და სპოილერით, შუქდიოდური სექციების მქონე შუქფარებითა და უკანა შუქდიოდური ფარებით. კარის გაღებისას უკანა ხედვის სარკეების კორპუსებიდან ასფალტზე მოდელის — მომავალი „მუსტანგის“ საფირმო ემბლემა აღიბეჭდება. ასევე ავტომობილისთვის მომზადებულია 17 და 19-დუიმიანი ბორბლების დისკების ახალი ხაზი. Mustang V6-სა და GT-ის კუპესა და კაბრიოლეტის პაკეტთა შორის აღსანიშნავია Recado-ს ტყავის სპორტული სავარძლები, Brembo-ს სამუხრუჭე მექანიზმები და Performance Package-ს სპორტ-პაკეტი (19-დუიმიანი ბორბლების დისკები, განსაკუთრებული სტაბილიზაციის სისტემები, უფრო მძლავრი მუხრუჭები და განსხვავებული ზამბარები), რაც პირველად ხელმისაწვდომი სიჩქარის გადაცემათა ავტომატური კოლოფის მქონე მანქანებისთვის გახდა. გარდა ამისა, „მუსტანგებს“ დაუმონტაჟეს Track Apps სისტემა, რომელსაც ხელსაწყოთა პანელის ფერად, 4,2-დუიმიან ეკრანზე ავტომობილის ყველა სისტემის შესახებ ინფორმაცია და ტელემეტრიული მონაცემები გრაფიკული სახით გამოაქვს. არ შეცვლილა საბაზო 3,7-ლიტრიანი, 6-ცილინდრიანი ძრავა, რომელიც კვლავაც 309 ცხძ-ს ავითარებს. GT-ის ვერსიის 8-ცილინდრიანი, 5-ლიტრიანი მოტორის სიმძლავრე ამჟამად 425 ცხძ-ა, რაც 18 ცხძ-ით მეტია წინამორბედზე. „მექანიკის“ გარდა „მუსტანგებისთვის“ საფეხურების სახელურით შეცვლის შესაძლებლობის მქონე სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი კოლოფიც ხელმისაწვდომი იქნება. ■

# ახალი თაობის Honda CR-V

ლოს-ანჯელესის მოტორშოუზე ახალი თაობის კროსოვერ Honda CR-V-ს პრეზენტაცია შედგა, რომელიც აშშ-ის ბაზრისთვისაა განკუთვნილი. სიახლის გაბარიტული სიგრძე 4533 მმ-ია, სიგანე — 1818 მმ, სიმაღლე — 1653 მმ, ხოლო ბორბლების ბაზა — 2618 მმ. 5-ადგილიანი კროსოვერი მოძრაობაში მცირედ მოდერნიზებულ 4-ცილინდრიან, 2,4-ლიტრიან, 185 ცხძ-იან i-VTEC-ის ბენზინის ძრავას მოჰყავს. მოტორი წინამორბედზე 5 ცხძ-ით უფრო მძლავრი გახდა, მაგრამ ისევ სიჩქარის გადაცემათა ავტომატური 5-საფეხურიანი კოლოფითაა აგრეგატირებული. „ჰონდას“ წარმომადგენელთა თქმით, ავტომობილის საწვავის ეკონომიურობა წინამორბედთან შედარებით ოდნავ გაუარესდა (საშუალოდ 0.8-1 ლიტრით) როგორც წინა, ასევე სრული აძვრის მოდიფიკაციისთვის. აღსანიშნავია, რომ კროსოვერი CR-V Real Time All-Wheel-Drive ახალი, სრული აძვრის ტრანსმისიით აღიჭურვება, რომელიც ოთხივე ბორბალს მუდმივი გაწევის უნარით უზრუნველყოფს. გარდა ამისა, კროსოვერს საჭის მართვის ელექტროგამაძლიერებელი და ახალი მულტიმედიური სისტემა დაუმონტაჟეს, რომელიც Blackberry-ის ტელეფონების OC Android-ის ბაზაზე ჩართვის შემთხვევაში მიღებულ SMS-ებს დაიმახსოვრებს, ხოლო მძღოლს შეეძლება მენიუში წინასწარ დაყენებული ვარიანტებიდან შერჩევით, საპასუხო შეტყობინება გაგზავნოს. ასევე კლიენტებს შეეძლებათ მანქანისთვის შეუკვეთონ უკან მსხდომი მგზავრებისთვის განკუთვნილი გასართობი სისტემა სახურავში ჩამონტაჟებული 7-დუიმიანი დისპლეით, უსადენო ყურსაცვამებითა და DVD საკრავით. ამერიკული დილერების სალონებში ეს მანქანა დეკემბრიდან გამოჩნდება. ამავე თვეში წარმოდგენილი იქნება მოდელის განსხვავებული ვერსია იაპონური ბაზრისთვის, ხოლო ევროპაში მსურველებს ამ მანქანის შეძენა მხოლოდ მომავალი წლის შემოდგომიდან შეეძლებათ. ■



# საფლაგმანო Mercedes-Benz S-Class

მომავალი თაობის საფლაგმანო Sedan Mercedes-Benz S-Class აღიჭურვება სისტემით, რომელიც ავტომობილს 40 კმ/სთ-მდე სიჩქარით მძღოლის გარეშე მოძრაობის შესაძლებლობას მისცემს. კომპანიის ინჟინერ შტეფან შვეხერის თქმით, ახალი სისტემა საგზაო მოძრაობის გარდა „მძღოლს სხვა რამეზე კონცენტრირების საშუალებას აძლევს“. „მერსედესის“ ნოვაცია სპეციალური სენსორებისა და კამერების გამოყენებით ადაპტური კრუიზკონტროლის პრინციპით იმუშავებს და გზაზე უახლოესი ავტომობილების სიჩქარესა და მდებარეობას გააკონტროლებს. აღნიშნული სისტემის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია ამ ეტაპზე ცნობილი არაა. გარდა ამისა, S-Class-ს ახალი თაობის comand-ის სისტემა ექნება, რომელიც მანქანაში მსხდომებს სოციალური ქსელებით, Google-ის რუკებით სარგებლობისა და Street View-ის პანორამების დათვალიერების შესაძლებლობასაც აძლევს. „ახალი S-Class — ესაა აუდიოტექნოლოგიის სფეროში ჩვენი გარღვევა. ავტომობილს უფრო დიდი და ზეხარისხიანი დისპლეი დაუმონტაჟდება სალონში“, — განაცხადა კომპანიის ინჟინერმა. მომავალი S-Class მოდულის პლატფორმაზე აიგება, მას უფრო ეკონომიური და ეკოლოგიური ძრავები, 9-საფეხურიანი სიჩქარის გადაცემათა კოლოფი, „სტარტ-სტოპისა“ და მუხრუჭისას ენერგიის რეკუპერაციის სისტემები, ასევე სრულიად ახალი ძარა ექნება, რომელშიც ფართოდ გამოიყენებენ ალუმინის. მოდელი შესრულებულია კონცეპტ-ავტოების, — F125 და F800 Style — მოტივებზე. Mercedes-Benz S-Class-ის მოდიფიკაციათა გამაში შედის სტანდარტულ და დაგრძელებულ ბაზებზე აგებული სედანები, ლიმუზინი Pullman, კუპე (მოდელ CL-ს შეცვლის) და კაბრიოლეტი რბილი, დასაკეცი სახურავით. ჩვეულებრივი სედანები მომავალი წლიდან გაიყიდება, ლიმუზინი და ორკარა — 2013 წლიდან, ხოლო ღია ვერსია — 2014-დან. ■



ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

პირეთი. აჯანყებულთა რიცხვი 100 ათასს აღწევდა. რუს გლეხებთან ერთად აჯანყებაში ბაშკირები, თათრები, ყალმუხები, ყირგიზები, ყაზახები და მოლდოველები მონაწილეობდნენ.

15. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში საავადმყოფოში მწოლ მსახიობ ტატიანა პელტცერს მორიდებით სთხოვეს, თუ უფლებას მოგვცემთ, თქვენს პორტრეტს სარეკლამოდ გამოვიყენებთო. პელტცერმა უპასუხა: ახალგაზრდობაში ერთი ოცნება მქონდა, ჩემი სახე აფიშებზე მეხილა; ახლა კი ტუალეტის ქაღალდზე ნუ იქნება და რაზეც გინდათ, იმაზე დაბეჭდეთო.

16. სალვადორ დალი გენერალი ფრანკოს მხარდამჭერი იყო. „იგი ყველაზე დიდია დღევანდელ პოლიტიკოსთა შორის“, — განაცხადა ერთ ინტერვიუში მხატვარმა. — „ქვეყანაში სილატაკის პრობლემა რომ ვერ გადაჭრა?“ — შეეკამათა მას ჟურნალისტი ქალი. დალიმ მხრები აიჩეჩა: — „სილატაკე კარგია, მე მომწონს სილატაკე. ინკვიზიციაც კარგია... ადამიანი სწორედ ასეთ დროს არის ბედნიერი. თუ გინდა, ბულბულმა კარგად იგალობოს, თვალები უნდა დასთხარო და სატუსაღოში ჩასვა. სატუსაღო დიდებული რამ არის!“

17. ბუასტი მკაცრი მორალური პრინციპების ადამიანი იყო, რის გამოც მის მიერ შედგენილ ფრანგული ენის განმარტებით ლექსიკონში არ არის არც ერთი უხამსი სიტყვა თუ გამოთქმა. ლექსიკონს გამოცემისთანავე დიდი მოწონება ხვდა. ერთ-ერთ მიღებაზე ბუასტს მიუახლოვდა მისი ნაშრომით აღფრთოვანებული ქალბატონი, რომელიც განსაკუთრებულ აღფრთოვანებას გამოხატავდა იმის გამო, რომ წიგნში არ შევიდა არც ერთი უხამსი სიტყვა. ბუასტი მალე მიხვდა, რომ ქალბატონს გადაშლილიც არ ჰქონდა მისი ნაშრომი და მოკლედ მოუჭრა: „საიდან გაიგეთ, ქალბატონო, რომ წიგნში არ არის ამგვარი სიტყვები?! თქვენ რა, მათ ეძებდით?!“

# „ეს უნდა დაწერო? საქვეყნოდ თავი მომეჭრა“

როცა მარჯანიშვილის თეატრის დასის მმართველს, მსახიობ ქეთი კანტიძეს დავუკავშირდი და „ერუდიტისთვის“ შეხვედრა ვთხოვე, იუარა — არა მგონია, ამ რუბრიკისთვის კარგი კანდიდატურა ვიყოო. ბოლოს შეხვედრაზე მაინც დამთანხმდა და თეატრში მიმიპატიჟა. მის კაბინეტში რომ შევედი, ღია ფანჯარასთან იდგა. ღიმილით მითხრა, — მოდი, ჩემს მეუღლეს გაგაცნობო. ფანჯრის მიღმა მსახიობი ნუგზარ ჩიქოვანი („გოგონა გარეუბნიდან“ ვალერის როლის შემსრულებელი) იდგა და სერიალის მომავალი სცენის გადაღებაზე ლაპარაკობდნენ.

# ქეთი კანტიძე 64-ე გამოცდაზე

თამუნა კვინიკაძე

## პრეამბულის მაგიერ

— **სერიალში რა ხდება? დოდოსა და ვალერის ოჯახს დანგრევა ხომ არ ემუქრება?**

— საქმე ისე კარგად ვერ აქვთ, როგორც ქორწინების პირველ პერიოდში. მათ ურთიერთობაში ბზარი ჩნდება, ძიძა ცუდ როლს თამაშობს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, ეს სცენარისტებზეა დამოკიდებული. მიხარია, რომ სერიალი უფრო და უფრო პოპულარული ხდება.

— **კარგი მეხსიერება გაქვთ?**

— კი. როლს რომ მომცემენ, ერთი წაკითხვით ვიმახსოვრებ. ეს ყველა რეჟისორმა იცის, ვისთანაც მიმუშავია.

— **ჩემი რესპონდენტები „ერუდიტის“ კითხვებზე პასუხის გაცემას ხშირად გამოცდაზე გასვლას ადარებენ...**

— გამოცდა არ გამაგონო! კონსერვატორიაში 7 წლის მანძილზე ვაბარებდი და წელიწადში 9 გამოცდაზე გავდიოდი ანუ 63 გამოცდა მაქვს ჩაბარებული. ხან ქულა მაკლდებოდა, ხან ჩემზე მეტი სტაჟის მქონეს ანიჭებდნენ უპირატესობას. მერე მუსიკას თავი დავანებე და თეატრალურში ჩავირიცხე. გამოდის, რომ დღეს ჩემი 64-ე გამოცდაა.

— **ლიტერატურაში რომელი ჟანრი გიტაცებთ?**

— ნოველები. ქართველი ავტორებიდან, გურამ რჩეულიშვილის, გურამ დოჩანაშვილის, ძმები ჭილაძეების შემოქმედება მიყვარს, უცხოელებიდან — სელინჯერის, ლონდონის, საროიანის... მახსოვს, ერთხელ ბიბლიოთეკიდან „თამაში ჭვავის ყანაში“ მოვიპარე. არ მინდოდა, ეს ამბავი ვინმეს გაეგო და წიგნზე ბიბლიოთეკის შტამპი ამოვშალე. ეს უნდა დაწერო?

— **რა თქმა უნდა.**

— საქვეყნოდ თავი მომეჭრა! მაშინ კარგი ლიტერატურის შოვნა ჭირდა. ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“ ფურცლებზე გადაბეჭდილი მომიტანეს და ისე წავიკითხე.

— **რომელი ლიტერატურული პერსონაჟი მოგწონთ? რომელთან იმეგობრებდით?**

— ბრეტი ეშლისმაგვარი ქალი ვიქნებოდი (ჰემინგუეის „აღმოხდების მზე — ფიესტა“). ის ფრანგულ კაფეებში ბერეტით დადიოდა, ცოტა დალევაც უყვარდა; მეც მიყვარს. ბოჰემური პერსონაჟია. რომელთან ვიმეგობრებდი? დოჩანაშვილის ვასიკო კეჟერაძესთან („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“). ეს პერსონაჟი იმით მხიბლავს, რომ განათლებული, კეთილშობილი და მიმტევებელია.



— **ამ ქართველი რეჟისორის მამა რუსეთის არმიის პოლკოვნიკი იყო. ფრანგულიდან თარგმნა დიუმას „ორი დიანა“; ხოლო მამიდა, პუბლიცისტ სერგეი მესხის დედა და მსახიობ ვერიკო ანჯაფარიძის დიდი ბებია იყო. დაასახელეთ ეს რეჟისორი.**

— კოტე მარჯანიშვილი. სწორად გიპასუხე?

— **დიახ. ვინ იყო მსოფლიოში პირველი მილიარდერი?**

— არ ვიცი. მილიარდერები ჩემგან ძალიან შორს არიან.

— **ჯონ როკფელერი. რა პროფესიის იყო არტურ კონან დოილი?**

— თუ არ ვცდები, ექიმი იყო. ოღონდ არ ვიცი, რომელი პროფილის.

— **ოფთალმოლოგი. რა აქვთ საერთო ბალტიის, ხმელთაშუა, ეგეოსის ზღვებს?**

— ზღვებია, სხვა რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ?

— **სამივე, ატლანტის ოკეანის აუზს მიეკუთვნება. პირველად ამ კალენდრის გამოშვება ინგლისელმა ფრენსის მაიერმა 1700 წელს დაიწყო. დღეს ის არაერთ ქვეყანაშია პოპულარული. რომელ კალენდარზეა ლაპარაკი?**

— ასტროლოგიურ კალენდარზე. ვცდები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— **სწორი პასუხია. რამდენი წამია საათში?**

— მაგას რა დაიანგარიშებს? (*ფიქრობს*) 3600 გამოდის.

— **ვინ არის კომპოზიტორი ილია ჭავჭავაძის ლექსზე შექმნილი სიმღერისა — „ჩემო კარგო ქვეყანავ"?**

— რევაზ ლაღიძე.

— **„მე ვხედავ მზეს", „როცა აყვავდა ნუში", „ერთი ცის ქვეშ", „აურზაური სალხინეთში", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე" — ვინ არის ამ ფილმების რეჟისორი?**

— ლანა ღოღობერიძე.

— **„მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" დამდგმელი რეჟისორიც გავიხსენოთ.**

— თენგიზ აბულაძე.

— **რამდენი ყოფილა თქვენი ხელფასი, თუ 100%-ით გაზრდის და შემდეგ 20 ლარით შემცირებისას იგივე დაგრჩებათ?**

— რას მეკითხები, კარგად ვერ გავიგე. (*გამეორების შემდეგ*) 20 ლარი.

— **სწორი პასუხია. წელიწადის 12 თვიდან რომელ 2 თვეს დაერქვა სახელი რომის იმპერატორთა პატივსაცემად?**

— ივლისს — იულიუს კეისრის პატივსაცემად დაერქვა; მეორე თვე რომელია?

— **აგვისტო. რა ერქვა ოთარაანთ ქვრივს?**

— (*ფიქრობს*) ეს ნაწარმოები რამდენჯერ მაქვს წაკითხული და ამ პერსონაჟის სახელი გონებიდან ისე ამომივარდა, ვერ ვიხსენებ.

— **მას სახელი არ ჰქონია და როგორ გაიხსენებთ?!**

— (*იცინის*) მართალია. ძალიან დამაბნიე.

— **ძველ რომში, როცა კონსული თანამდებობას იბარებდა, ფიცს დებდა, რომ კანონებს კეთილსინდისიერად დაიცავდა. რას აკეთებდა 1 წლის შემდეგ, როცა თანამდებობიდან მისი წასვლის დრო დადგებოდა?**

— არ ვიცი.

— **იფიცებდა, რომ სიტყვა პირნათლად შეასრულა. რომელი პოეტის ლექსზე შეიქმნა სიმღერა — „ქარი გიმღერის ნანასა"?**

— ანა კალანდაძის. მისი შემოქმედება ძალიან მიყვარს. ერთ დროს, ლექსებსა და მოთხრობებს თავადაც ვწერდი, მაგრამ არავის ვაკითხებდი.

— **სად არსებობდა ძველი მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ბიბლიოთეკა — ათენში, ალექსანდრიაში, როდოსში თუ სირაკუზში? მას „სამეფო ბიბლიოთეკას" უწოდებდნენ.**

— თუ სწორად მახსოვს, ალექსანდრიაში იყო.

— **დიახ. „სარკმელი საღამომ და ფარდამ დაბურა,/ სანთელი მბჟუტავი მთლად გაუდაბურდა,/ მას შემდეგ, რაც შენი სახება ბინდბუნდზე/ სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა". ვის უძღვნა გალაკტიონმა ეს სტროფი?**

— სამწუხაროდ, არ ვიცი.

— **მეუღლეს, რომელიც 1937-ში გადაუსახლეს. XIII საუკუნეში მოგზაურების წყალობით, ევროპაში გაჩნდა აღმოსავლეთის ქვეყნების აღწერილობა. დაასახელეთ იმ პერიოდის ცნობილი ვენეციელი მოგზაური, რომლის მარშრუტიც ერთ-ერთმა ცნობილმა იტალიელმა მოგზაურმა, კარლო მაურიმ გაიმეორა.**

— ვერ გიპასუხებ.

— **მარკო პოლო. 1912 წლის შემდეგ ეს სახელწოდება არც ერთი ხომალდისთვის არ დაურქმევიათ.**

— „ტიტანიკი".

— **„ვინც ლაფში თავიდან ბოლომდე ამოსვრილია, არ შეიძლება, ისე შეეხოს სხვას, რომ ლაფი მასაც არ მოაცხოს". დაასახელეთ ამ სიტყვების ავტორი.**

— ილია ჭავჭავაძე. ვცდები?

— **სწორად მიპასუხეთ. თავდაპირველი მნიშვნელობით, ეს ტერმინი ტყავის ტომარას ნიშნავდა. ინგლისის ხაზინის კანცლერი, ქვეყნის პარლამენტის წინაშე, მოსალოდნელი შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მოხსენების დროს, ტყავის ტომრით ხელში წარდგებოდა. მასში საფინანსო დოკუმენტაცია ეწყო. დროთა განმავლობაში, ამ სიტყვამ თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგა და დამკვიდრდა, როგორც ქვეყნის მთავარი საფინანსო დოკუმენტის აღმნიშვნელი ტერმინი. რომელ ტერმინზეა ლაპარაკი?**

— ბიუჯეტი. მაგრამ ტყავის ტომარას ასე ერქმეოდა? არ ვიცი.

— **სწორია, ბიუჯეტზეა ლაპარაკი. ვინ იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ქართველი სტუდენტი?**

— არ ვიცი, მინიშნებას თუ მეტყვი, კარგი იქნება.

— **მან იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის დააპატიმრეს და გადაასახლეს. მალე ჭლექით გარდაიცვალა.**

— ვერ გიპასუხებ.

— **სოლომონ დოდაშვილი. დედამიწის გარშემო მოგზაურობაზე გიოცნებიათ?**

— ამაზე სულ ვოცნებობ; ველოდები, როდის ამიხდება.

— **ამისთვის არაფერს აკეთებთ?**

— რა უნდა გავაკეთო? მგონი, რაღაც იცი, აბა, მასწავლე.

— **1972 წელს ერთმა ახალგაზრდა ინდუსმა მისწერა ჯონ ლენონს, რომ იგი დედამიწის გარშემო მოგზაურობაზე ოცნებობდა, მაგრამ ფული არ ჰქონდა, და სთხოვა, მისთვის საჭირო თანხა გაეგზავნა. ლენონმა უპასუხა: „დაკავდი მედიტაციით და ნახავ მთელ მსოფლიოს, შენს წარმოდგენაში"...**

— (*მაწყვეტინებს*) მეც მედიტაციით დავკავდე?..

— **მე ამას არ გირჩევთ. კითხვას დავასრულებ: 1995 წელს ინდუსმა ოცნება მაინც აისრულა. როგორ?**

— (*პაუზის შემდეგ*) წერილს გაყიდდა, არა?

— **გამოიცანით. სად უფრო მეტი მგრძნობელობა აქვს ადამიანს — თითებში თუ ტუჩებზე?**

— თითებში მგონია: უსინათლოები ბრაილის შრიფტს ალბათ ამიტომ კითხულობენ. არა, არა, ტუჩებზე მეტი იქნება.

— **რა თქმა უნდა, თან — 200-ჯერ მეტია. რომელი უღელტეხილი აერთებს ერთმანეთთან ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიას?**

— ჯვრის უღელტეხილი.

— **დაბოლოს, დაასრულეთ აინშტაინის ცნობილი გამონათქვამი: „ადამიანი, რომელიც არასდროს უშვებს შეცდომებს, არასდროს აკეთებს..."**

— საქმეს.

— „...რაიმე ახალს".

■

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სოლომონ მეფე-წინასწარმეტყველი

**დავით მეფე-წინასწარმეტყველის შემდგომ ისრაელის სამეფოს ტახტზე ავიდა დავითის ძე — სოლომონი, რომელსაც სოლომონ ბრძენის სახელითაც მოიხსენიებენ. სოლომონი ღვთისგან წინასწარმეტყველების ნიჭითაც იყო დაჯილდოებული და ერთ-ერთია, სხვა წინასწარმეტყველთა შორის. ამჯერად სწორედ სოლომონ მეფე-წინასწარმეტყველზე ვისაუბრებთ...**

*შორენა მერკვილაძე*

სოლომონმა სამეფო ტახტზე ასვლისთანავე შესწირა სამადლობელი მსხვერპლი. როდესაც უფალმა უთხრა, რაც გინდა მთხოვეო, შესთხოვა სიბრძნე, სამართლიანად რომ ემართა სამეფო. მას არ უთხოვია არც სიმდიდრე, არც მტრების განადგურება თუ სხვა მიწიერი სურვილები, არამედ ითხოვა ყველაზე ალმატებული. როგორც ბიბლია გვაუწყებს, „მოეწონა ღმერთს სოლომონის სათხოვარი და მიუგო მას: „რადგან მე არ მთხოვე არც დიდხანს სიცოცხლე, არც დიდება, არც მტრების სული, არამედ გონიერება მთხოვე სიმართლის განსაკითხავად; აჰა, მომინიჭებია შენთვის ბრძენი და გონიერი გული, ისე, რომ შენი მსგავსი არც შენამდე ყოფილა სადმე და არც შენ შემდეგ გამოჩნდება შენი მსგავსი. რაც არ გითხოვია, იმასაც მოგცემ: სიმდიდრესაც, დიდებასაც, ისე, რომ ვიდრე ცოცხალი ხარ, არავინ იქნება შენი მსგავსი“.

სოლომონი ღვთის ტაძარში წავიდა და სამადლობელი მსხვერპლი შესწირა უფალს. სწორედ მაშინ გამოავლინა მან პირველად საღვთო სიბრძნე: მეფესთან ორი დედაკაცი მივიდა. ერთმა მათგანმა მოახსენა მეფეს, — მე და ეს დედაკაცი ერთ სახლში ვცხოვრობთ, სადაც ჩვენ გარდა არავინაა. მე ვაჟი შემეძინა, მეორე დღეს მასაც შეეძინა ვაჟი, მაგრამ ძილში უნებურად ბავშვს დააწვა და ჩვილი შემოაკვდა. როდესაც ჩამთვლიმა, თავისი მკვდარი შვილი მე შემომიწვინა, ჩემი კი თვითონ მიითვისა. ახლა მიმტკიცებს, ჩემი შვილიაო. დედაკაცებმა ერთხანს იდავეს მეფის წინაშე. მაშინ სოლომონმა ბრძანა, „მახვილი მოიტანეთ, ბავშვი ორად გაჭერით, ერთი ნახევარი ერთ ქალს მიეცით, მეორე — მეორესო“. „არა მეფეო, ოღონდ ნუ მოკლავთ და მაგას ჰყავდეს“, — უთხრა პირველმა დედაკაცმა, მეორე კი ითხოვდა — „გაჭერით, არც მე და არც მაგასო“. სოლომონმა პირველ დედაკაცზე მიანიშნა და ბრძანა: — „ნუ მოკლავთ ბავშვს, ამ დედაკაცს მიეცით“. ბრძენი მეფე მიხვდა, რომ ნამდვილი დედა შვილს სასიკვდილოდ ვერ გაიმეტებდა.



## იერუსალიმში სოლომონის ტაძრის აგება

როგორც ვიცით, ისრაელიანებს ჰქონდათ ადგილი, სადაც ლოცულობდნენ და მსახურებას აღასრულებდნენ. ეს იყო მოძრავი კარავი, რომელიც პირველად მოსემ ააგო უდაბნოში, შემდგომში დავით მეფე-წინასწარმეტყველმა გაამშვენიერა და გადაიტანა იერუსალიმში, მაგრამ უფლის ნებით, იერუსალიმში უნდა აგებულიყო უძრავი ტაძარიც, რათა ისრაელიანები მთლიანად დამკვიდრებულიყვნენ და განმტკიცებულიყვნენ აღთქმულ მიწაზე. უფლის ნებითვე, ეს საქმე სოლომონს უნდა აღესრულებინა. სოლომონ მეფე ტახტზე ასვლისთანავე შეუდგა ტაძრის მშენებლობას. მან შვიდ წელიწადში ააგო უძრავი ტაძარი, რომელიც იერუსალიმის, შემდგომში კი სოლომონის ტაძრად იწოდა. მისი ბადალი მსოფლიოში არ მოიპოვებოდა. თლილი მარმარილოს კედლები ოქროთი და ძვირფასი ქვებით იყო შემკული. ტაძრის ყველა ნივთი ოქროსი გახლდათ. უძრავი ტაძარიც ისევე იყო აგებული, იმავე ნაწილებისგან შედგებოდა, რისგანაც მოძრავი ტაძარი, დანიშნულებაც იგივე ჰქონდა, მაგრამ მისგან განსხვავებით, მიწიერი თვალსაზრისით, უფრო გრანდიოზული იყო.

მშენებლობის დასრულების შემდეგ, სადღესასწაულოდ გადააბრძანეს მასში მოძრავი ტაძრიდან აღთქმის კიდობანი. ტაძრის კურთხევის დროს დიდება ღვთისა ნათელი ღრუბლის სახით გადმოვიდა და მთელი ტაძარი აავსო. სოლომონმა დაიჩოქა და უფალს შეევედრა, მიეღო ამ ტაძარში აღვლენილი ლოცვა ისრაელის ერისა. უფალმა აღუთქვა სოლომონს, რომ თუ ებრაელები იქნებოდნენ მორჩილნი და აღმსრულებლები ჭეშმარიტი სჯულისა, მიიღებდა ამ ტაძარში აღვლენილ ლოცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ღმერთი უარყოფდა ამ ადგილს და ისრაელიანებს მთელ მსოფლიოში მიმოფანტავდა. ვიცით, რომ საუკუნეების შემდეგ ეს ყველაფერი აღესრულა.

სოლომონის აღვლენილ ლოცვას მთელი ერი ისმენდა და ყველამ იცოდა, თუ ისრაელიანები ღვთის მცნებებს აღასრულებდნენ, სამარადჟამოდ დამკვიდრდებოდნენ აღთქმულ ქვეყანაში — ისრაელის ტერიტორიაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, განადგურდებოდა სოლომონის ტაძარიც, იერუსალიმიც და ებრაელი ერიც მიმოიფანტებოდა მთელ ქვეყანაზე...

ტაძრის შემდეგ სოლომონ მეფემ იერუსალიმში ააშენა სამეფო სასახლე, უამრავი დიდებული სახლი, გააშენეს ბაღები... ამის შემდეგ იერუსალიმი არა მარტო სულიერად, მიწიერადაც გახდა უკვე ისრაელის დედაქალაქი.

## სოლომონის მეფობის ხანა

სოლომონის მეფობის ხანა იყო აბსოლუტურად მშვიდობიანი, ორმოცმა წელმა ისე განვლო, რომ ისრაელიანებს ერთი ბრძოლაც არ ჰქონიათ უცხო ერებთან. ისრაელის სამეფომ მიწიერი და მატერიალური კეთილდღეობის მწვერვალს მიაღწია. ისრაელის ხალხს არასოდეს ჰქონია ისეთი ბედნიერი ცხოვრება, როგორიც სოლომონის მეფობის ხანაში. მეზობელი ქვეყნები კეთილგანწყობილნი იყვნენ ისრაელის სამეფოს მიმართ, კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ისრაელის ბრძენთაბრძენ მეფესთან. მეზობელი ქვეყნების მეფეები ხშირად მიდიოდნენ მისი სიბრძნის მოსასმენად და რჩევის საკითხავად. ყველა ცდილობდა, მეფე სოლომონთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფემ დაწერა სალმრთო წერილის რამდენიმე წიგნი, რომლებშიც კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინა თავისი სიბრძნე და ბევრი რამ იწინასწარმეტყველა მაცხოვარზე, კაცობრიობის გამოხსნაზე. სოლომონის მიერაა დაწერილი „ეკლესიასტე“, „სიბრძნე სოლომონისი“, „იგავნი სოლომონისი“...

## სოლომონის შეცოდება და სინანული

მიუხედავად ესოდენ დიდი სიბრძნისა და ღვთის წინაშე მართალი ცხოვრებისა, მოხუცებულობის ჟამს სოლომონ მეფესაც მოუხდა კერპთმსახურების ცოდვაში ჩავარდნა. სოლომონ მეფეს მრავალი ცოლი ჰყავდა, მათ შორის იყვნენ კერპთაყვანისმცემლებიც. როგორც „ბიბლია“ მოგვითხრობს, მოხუცებულობის ჟამს სოლომონ მეფე მიენდო თავისი წარმართი ცოლების ნებას, უფლება მისცა, წარმართული კერპები დაედგათ და მათ წინაშე წარმართული მსახურებები აღესრულებინათ. შემდეგ თავადაც დაიწყო კერპების წინაშე ლოცვა. ღმერთის ბრძანებით, მას აქია წინასწარმეტყველი გამოეცხადა, ამხილა იგი და აუწყა, რომ ამ შეცოდების გამო მისი გარდაცვალების შემდეგ ისრაელის სამეფოს ერთიანობა დაირღვეოდა, ორად გაიყოფოდა — ისრაელისა და იუდეის სამეფოებად. ეს წინასწარმეტყველება სოლომონის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ აღსრულდა. ისრაელიანთა უმეტესობაც განუდგა ნელ-ნელა ჭეშმარიტ ღმერთს.

სოლომონმა იგრძნო უმძიმესი შეცოდება, წრფელი გულით შეინანა და ღვთისგანაც მიეტევა; ესოდენ მძიმე შეცოდებაში ჩავარდნა სოლომონსაც ადამიანური, დაცემული ბუნების გამო მოუხდა. როგორც მამები გვასწავლიან, სოლომონმა რაღაც მომენტში ღვთისგან ბოძებული სიბრძნე თავისად მიიჩნია, თითქოს დაავიწყდა, რომ მას კი არა, უფალს ეკუთვნოდა და მის სადიდებლად უნდა გამოეყენებინა.

სოლომონის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა მისი ძე — რობოამი, რომლის დროსაც მოხდა ისრაელის სამეფოს ორად გაყოფა. ისრაელიანებს ყველაზე მეტი წინასწარმეტყველი სწორედ ამ პერიოდში ჰყავდათ მივლინებული ღვთისგან, რადგან სამეფოს ორად გაყოფის შემდეგ, ხშირად განუდგებოდნენ ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს და კერპთმსახურებისკენ მიიდრიკებოდნენ. ■

# „თვითმფრინავიდან რომ გამოვედი, ქართული მიწის კოცნა მომინდა“

**„საფრანგეთში უცნაური ფრანგი ვარ, საქართველოში კი — უცნაური ქართველი. აქ რომ ჩამოვდივარ, ქართველად ვგრძნობ თავს“, — მეუბნება სიმპათიური მაღალი მამაკაცი. ეს რევაზ ნიკოლაძეა — საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საფრანგეთში წასული ემიგრანტის პირველი ვაჟი. საოცარი მოსასმენია მისი ფრანგულაქცენტიანი ქართული, მისი მონათხრობი კი ძალზე საინტერესო:**

*იზო რიკაძე*



**რევაზ ნიკოლაძე:**

— მამაჩემი შოთა ნიკოლაძე იუნკერი იყო. მესამე კურსზე იყო იუნკერთა სკოლაში, როდესაც ომი დაიწყო. ტაბახმელასა და კოჯორთან ხიშტით იბრძოდა, გადარჩა და თავის ხუთ მეგობართან ერთად გენერალ კვინიტაძეს გაჰყვა. 1921 წლის მარტში საქართველოს მთავრობა ერთი გემით წავიდა ბათუმიდან სტამბოლისკენ, მეორე გემით კი — იუნკრები და გენერალი კვინიტაძე. სტამბოლიდან საბერძნეთში გადავიდნენ. იქ ორ წელიწადს დარჩნენ. ამასობაში საბერძნეთში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა, ძალაუფლება ხელში სამხედროებმა აიღეს და იუნკრები პოლონეთში გადავიდნენ. მამა ამ დროს 21 წლის იყო. პოლონეთში ბევრი იუნკერი დარჩა, რომლებიც პოლონეთის არმიაში შევიდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს ბევრი მათგანი კატინში წითელ არმიასთან ბრძოლის დროს დაიღუპა. მამაჩემმა ვარშავიდან პარიზში ამოყო თავი, სადაც საქართველოდან წასული 20-25 წლის ახალგაზრდები მრავლად იყვნენ. მამამ იქ მყო-

## აკაკი წერეთელი დედაჩემის, მედეა ღამბაშიძის ნათლია იყო

ფი ქართველები გაიცნო და დაუახლოვდა მომავალ სიმამრს — ვახტანგ ღამბაშიძეს, რომელიც სათვისტომოს თავმჯდომარე იყო. მამას იუნკერი მეგობრები დიმიტრი ამილახვართან მივიდნენ და უცხოელთა ლეგიონში გააგრძელეს სამსახური, მამამ კი სამოქალაქო სამსახური დაიწყო და ცოლად შეირთო ვახტანგ ღამბაშიძის უფროსი ქალიშვილი — მედეა ღამბაშიძე.

## ბაბუა – ვახტანგ ღამბაშიძე

— ბაბუაჩემი, ვახტანგ ღამბაძიშე ექიმი იყო. 1927-დან 1947 წლამდე საქართველოს სათვისტომოს თავმჯდომარეობდა და ყველას უყვარდა. ის ქუთაისის პირველ გიმნაზიაში სწავლობდა. იხსენებდა, მასწავლებლები როგორ აიძულებდნენ ბავშვებს რუსულად ლაპარაკს. ვისაც ქართული სიტყვა წამოსცდებოდა, ჯიბეში ქვას უდებდნენ. მოსწავლე გაფაციცებული უნდა ყოფილიყო, თუ რომელიმე თანატოლს ქართული სიტყვა წამოსცდებოდა, ქვა მისთვის უნდა გადაეცა. ვისაც ქვა სადილობის წინ აღმოაჩნდებოდა, უჭმელს ტოვებდნენ. ბაბუა არავის აძლევდა ქვას და მშიერი რჩებოდა. რადგან სულ ბაბუა ისჯებოდა, მასწავლებელმა ხელი აიღო ამ სისულელეზე. მოგვიანებით ბაბუა პეტერბურგში წავიდა მედიცინის შესასწავლად. 1898 წელს კი ცოდნის გასაღრმავებლად, პეტერბურგიდან იენაში ჩავიდა. იქ გაიცნო მომავალი მეუღლე — ვანდა, რომელიც ამერიკელი იყო. ბებია და ბაბუა იენაში დაქორწინდნენ და 1900 წელს ზესტაფონში დაბრუნდნენ. 1904 წელს ბაბუაჩემმა პატარა ცემში სანატორიუმი დააარსა. ჩემს დიდ ბაბუას, დავითს, დიდ დეკანოზსაც უწოდებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ. მისი ახლო მეგობრები იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. აკაკი წერეთელი დედაჩემის, მედეა ღამბაშიძის ნათლია იყო. ბაბუაჩემი პეტრე მელიქიშვილის მეგობარი იყო და უნივერსიტეტში, სამედიცინო ფაკულტეტზე ასწავლიდა, ბებიაჩემი კი ინგლისური ენის პედაგოგი იყო. დედაჩემი ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი გახლდათ და 3 წელი იარა უნივერსიტეტში... უნივერსიტეტის 50 წლის იუბილეზე დასასწრებად დედამ ოფიციალური მიპატიჟება მიიღო თბილისიდან, მაგრამ თურმე ზოგიერთმა აუკრძალა საქართველოში დაბრუნება. ამის გამო ძალიან უტირია დედას.



ეთერ ფაღავა, რეზო ნიკოლაძე, სანდრო დავრიშაშვილი, ეთერ თაყაიშვილი, ნათელა ნიკოლაძე. პარიზი, 1940 წლის 26 მაისი

1945 წელს, ქართველთა კოლონიაში ტრაგედია მოხდა. რადგან ბაბუა სათვისტომოს თავმჯდომარე იყო, მასთან საქართველოს კა-გე-ბეს წარმომადგენლები მივიდნენ, — სათვისტომოს წევრებს უთხარი, რომ სამშობლოში დაბრუნდნენ, ყველა ემიგრანტს კარგად მივიღებთო. ბაბუა მაშინვე მიხვდა კა-გე-ბეს განზრახვას და არავისთვის ურჩევია საბჭოთა საქართველოში დაბრუნება. ლევან ზურაბიშვილი, სალომე და ოთარ ზურაბიშვილების მამა, ყველას ეუბნებოდა, რომ კომუნისტურ ქვეყანაში არ უნდა დაბრუნებულიყვნენ. ვინც დაბრუნდა, ყველა დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. ერთი ოჯახის მამამ გადაწყვიტა საქართველოში წამოსვლა და მისმა მეუღლემ თავი მოიწამლა. ჩემი ნაცნობი ნეზეირიძეები დაბრუნდნენ, მაგრამ რადგან მათი მამა ვერმახტში ქართულ ლეგიონში მსახურობდა, დაიჭირეს და ციმბირში გადაასახლეს.

## ქართველები ემიგრაციაში

— დედამ და მამამ ოციანი წლების ბოლოს დაიწერეს ჯვარი. ჩემი დედ-მამის ქორწინების დღიდან მალე დეიდაჩემი, ჟორჟეტა ღამბაშიძე პარიზში ცოლად გაჰყვა ნიკო ნიკოლაძის ვაჟს, გიორგის. იმავე წელს გიორგი და დეიდაჩემი ჟორჟეტა საქართველოში დაბრუნდნენ. გიორგი ქარხანაში მუშაობდა და სულ სწერდა მამას, საქართველოში გადაღებულ სურათებს უგზავნიდა. მოგვიანებით, ხშირად ვათვალიერებდი ბიძაჩემის გადაღებულ კავკასიონისა და პატარა ცემის ფოტოებს. საუბედუროდ, ბიძაჩემი 1931 წელს, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა და დეიდაჩემი სახლში გამოკეტეს. ლავრენტი ბერია მისი კლასელი იყო და არ უნდოდა, ჟორჟეტა საფრანგეთში დაბრუნებულიყო, — მამაშენი წავიდა და შენ არ გაგიშვებო, მაგრამ დეიდამ მოსკოვში გაპარვა მოახერხა. აბელ ენუქიძე დაეხმარა, რომ საბჭოთა კავშირიდან გამოეღწია და პოლონეთში გადასულიყო. მე 1930 წელს დავიბადე. ყოველ 26 მაისს, მამას საქართველოს პატარა დროშით მივყავდი ჩვენი სათვისტომოს შეკრებაზე, სადაც ვმღეროდი: „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი"...

მამამ პარიზში ქართველებისთვის საბავშვო ბაღი დააარსა, სადაც კვირაში ორჯერ დავდიოდით. ვსწავლობდით ქართულ წერა-კითხვას, ცეკვას, სიმღერასა და ისტორიას. სკოლაში ფრანგული წერა-კითხვა შევისწავლე. 26 მაისსა და შობას ქართულ ეკლესიაში ვხვდებოდით, რომელიც ილამაზ დადეშქელიანმა და მამა გრიგოლ ფერაძემ დააარსეს 1931 წელს.

## „ჯვარი ორჯერ დავიწერე"

— ბაბუასავით მეც ექიმობა გადავწყვიტე. დედას უცხოელი რძალი არ უნდოდა და სულ მეუბნებოდა, რუსი სახლში არ შემოიყვანო, სომეხიც არ მინდა, ფრანგის შერთვა ხომ კატასტროფა იქნებაო, მაგრამ ხომ იცით, ახალგაზრდები მშობლებს არ უჯერებენ. 24 წლის ვიყავი, როდესაც ფრანგი გოგო შევირთე... მე და ჩემმა მეუღლემ ორჯერ დავიწერეთ ჯვარი. ერთხელ კათოლიკურ ეკლესიაში და მეორედ — მართლმადიდებლურში, რადგან არ მინდოდა, მშობლებისთვის მეწყენინებინა. ოთხი შვილი შეგვეძინა. უფროს ვაჟს არნო დავარქვით, ქართულად — შოთა. სამი ქალიშვილი მყავს. ჩემი ვაჟი ალპინისტი იყო და 10 წლის წინ ელვამ მოკლა ეტნაზე. ჩემმა ვაჟმა მოასწრო და ოცნება აისრულა, — ერთხელ იყო საქართველოში ქართველი ალპინისტების მოწვევით. დასანანია, რომ ჩემმა შვილებმა ქართული ვერ ისწავლეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამშობლოში დაბრუნების შანსი აღარ იყო და აზრიც აღარ ჰქონდა, ჩემს ცოლსა და შვილებს ქართული ესწავლათ.

## უნახავი სამშობლოს მონატრება

— 1982 წელს ავინიონში ფესტივალზე რობერტ სტურუა ჩამოვიდა სპექტაკლებით — „რიჩარდ III" და „კავკასიური ცარცის წრე". მე და ჩემი და ნათელა ვიყავით თარჯიმნები, რადგან რუსთაველის თეატრის ოფიციალური თარჯიმანი, სინამდვილეში კა-გე-ბეს წარმომადგენელი, სულ მთვრალი იყო. ფრანგებს ქართული არ ესმოდათ და ორგანიზატორებმა არ იცოდნენ, რა ექნათ. სწორედ ამ დროს ვიკისრეთ მე და ჩემმა დამ თარჯიმნობა. გავიცანი რობიკო და მსახიობები. ძალიან საინტერესო ადამიანები აღმოჩნდნენ. საბჭოთა რეჟიმი ცოტა რომ შესუსტდა, საფრანგეთში სუხიშვილების ანსამბლი ჩამოვიდა. მამა ორი კვირის განმავლობაში ყოველდღე მიდიოდა კონცერტზე და სიხარულით ტიროდა, როცა სცენაზე ქართულ ცეკვას უყურებდა. ამის შემდეგ გამოვიდა ფილმი — „ჯარისკაცის მამა"; დღეში სამჯერ უჩვენებდნენ და ქართველთა სათვისტომო სამივე სეანსს ესწრებოდა. საოცარი ნოსტალგია ჰქონდათ, მაგრამ იცოდნენ, რომ სამშობლოში ვერ დაბრუნდებოდნენ. მამები რატომღაც არ უყვებიან სამშობლოზე შვილებს და მერე შვილიშვილები იწყებენ ფესვების ძიებას. მამების თაობა შეიკრიბებოდა სუფრასთან, ღვინოს სვამდნენ და საქართველოს ადღეგრძელებდნენ. მამამ და დედამ სამშობლო ვეღარ ნახეს და საქართველოს ნატვრაში დალიეს სული.

საქართველოში პირველად 1969 წელს ჩამოვედი. ქართველთა სათვისტომოდან ზოგიერთი კა-გე-ბესთვის მუშაობდა. როგორც ჩანს, ჩემ-

ზე ცუდი არაფერი უთქვამთ და ვიზა მომცეს. საქართველოში ლამბაშიძეების მოწვევით ჩამოვედი. თვითმფრინავიდან რომ ჩამოვედი, საოცარი განცდა დამეუფლა. მშობლიური მიწის კოცნა მომინდა. გული ამოვარდნაზე მქონდა, თითქოს ერთიანად ცეცხლი მომედო. უამრავი ნათესავი დამხვდა. ჩემს მეუღლეს ეშინოდა, საქართველოში არ დარჩესო, მაგრამ არ მიფიქრია დარჩენა საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ადამიანები აივანზეც კი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. მას შემდეგ შვიდჯერ მაინც ვიყავი საქართველოში და ყოველთვის მგონია, რომ სამოთხეში ჩამოვდივარ. 1994 წელს, როდესაც ქართველთა კონგრესი გაიმართა, მითხრეს, დაგიბრუნებთ ქონებას პატარა ცემში და ჩამოდითო, მაგრამ უარი ვუთხარი, — ეს თქვენი მიწაა, მე უცხოელი, ფრანგი ქართველი ვარ".

## შტრიხი პორტრეტისთვის

**ნონა ლამბაშიძე**, *საქართველოს დოკუმენტური კინოსტუდია „მემატიანეს" მთავარი რედაქტორი:*

— მე და რეზო ნიკოლაძე მამიდაშვილები ვართ. ბაბუაჩემი ქსენოფონტე და რეზიკოს ბაბუა ვახტანგ ლამბაშიძე ძმები იყვნენ. მათი მესამე ძმა, დავითი, დამოუკიდებელი საქართველოს წარმომადგენელი იყო ინგლისში და მერე ემიგრაციაში წავიდა. დავითს ახალგაზრდობაში სტალინთან (როდესაც ჯერ კიდევ კობას ეძახდნენ) ჰქონდა ურთიერთობა. იმ დროის ინტელიგენციაში მოდური იყო რევოლუციონერობა და დავითიც ამ წრეში იყო. ამის გამო ბათუმში დაიჭირეს, დიდმა ბაბუამ გამოიხსნა. მაიმუნობა გეყოფაო, უთხრა და ინგლისში გაუშვა სასწავლებლად. როცა სტალინი ქვეყნის მეთაური გახდა, დავითს შეუთვალა, ოღონდ დაბრუნდი და დიდ თანამდებობაზე დაგნიშნავო. დავითს კი უპასუხია, — მიმიფურთხებია იმ ქვეყნისთვის, სადაც შენ პირველი კაცი ხარო... რეზო მიკროპედიატრია. 1984 წელს ორი კვირით ჩამოვიდა საქართველოში. იმ დროს შატილში გადაღებაზე მივდიოდი და რეზო დავპატიჟე. ავედით სოფელში და ეთნოგრაფი თინა ოჩიაური შემხვდა. შეწუხებული იყო, ჩვენი სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს დიდხანს შვილი არ ჰყავდა, როგორც იქნა, ვაჟი შეეძინა; ბავშვი რამდენიმე თვისაა და მძიმედ გახდა ავად, სამი დღეა არაფერი უჭამია; მამა დუშეთშია თათბირზე, სოფელში კი არც ექიმია და არც ექთანი, პატარა კვდებაო. ბედი ჰქონია იმ ბავშვს, რომ საფრანგეთში ცნობილი პედიატრი იმ დროს შატილში აღმოჩნდა. რეზოს ახალი გაკეთებული ჰქონდა გულის ოპერაცია და წამლებით სავსე ჩანთას დაატარებდა. გავაგებინე თუ არა ბავშვის ამბავი, დაავლო წამლებს ხელი და წავედით. როგორც კი ხელში აიყვანა, პატარამ ტირილი შეწყვიტა. ფონენდოსკოპი იქ სად ექნებოდა, ბავშვი ყურით გასინჯა და თან ყველას აწყნარებდა, ნუ გეშინიათო. ბავშვს ნემსი გაუკეთა და დედას უთხრა, პატარა ახლა დაიძინებს და ეცადეთ, სიმშვიდე არ დაურღვიოთო. მეორე დღეს, კარგად გათენებულიც არ იყო, რეზო თავზე დამადგა, ბავშვთან წავიდეთო. წყვდიადი იყო, თან, კოკისპირულად წვიმდა. ჯერ გათენდეს-მეთქი. — არა, ბავშვს ახლა დასჭირდება ჩემი დახმარებაო. ცელოფანის პარკები ჩამოვიფხატეთ თავზე და წავედით. ბავშვს კიდევ ერთი ნემსი გაუკეთა და გადაარჩინა. მესამე დღეს ბავშვის მამა ჩამოვიდა. თან გადაჰყვა რეზოს და წამოსვლისას ნაბადი აჩუქა. ■

წინ: სანდრო, თამარ ლაღიძე, გიორგი ნიკოლაძე, ჟორჟეტა ლამბაშიძე-ნიკოლაძე; უკან: მედეა ლამბაშიძე-ნიკოლაძე, ლადო ლაღიძე, თამარ ლამბაშიძე-თოხაძე, შოთა ნიკოლაძე. პარიზი, 1927





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეფექტიანი იაპონური დიეტა

**თუ არ იცით, რომელ დიეტას მიმართოთ წონის ეფექტურად და სწრაფად დასაგდებად, მაშინ გაეცანით ამ სტატიას. მანამდე კი რჩევის სახით გეტყვით, რომ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე ყოველთვის მიირთვით ერთი ჭიქა მწვანე ჩაი. იაპონური დიეტის მთავარი წესის მიხედვით, დღის მანძილზე ერთი ლიტრი მწვანე ჩაი მაინც უნდა მიიღოთ. შუალედებში წყურვილი შეგიძლიათ უბრალოდ მინერალური წყლით მოიკლათ. არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ საჭმელი დიეტით დადგენილ კვებათა შუალედებში.**



ბალჩეულიდან გამორიცხეთ პომიდორი, ხილიდან კი ყურძენი და ბანანი.

ორი თვის შემდეგ, როცა წონას საგრძნობლად დაიგდებთ, შეგიძლიათ გადახვიდეთ კვების ჩვეულებრივ, ძველებურ რეჟიმზე, მაგრამ ყოველდღიურად მაინც უნდა მიიღოთ თითო ჭიქა მწვანე ჩაი. ამგვარად წონაში ნელ-ნელა, ეტაპობრივად დაიკლებთ, რაც თავიდან აგარიდებთ „ფორთოხლის ქერქისებურ“ და „ჩამოკიდებულ“ კანს.

## ორი კვირის მენიუ

### 1-ელი და მე-14 დღე

**საუზმე:** ერთი ჭიქა მწვანე ჩაი და 100 გ უცხიმო ხაჭო;

**სადილი:** ორი ცალი მაგრად მოხარშული კვერცხი, 250 გ მოშუშული კომბოსტო და ერთი ჭიქა ვაშლის წვენი;

**ვახშამი:** 250 გ ორთქლზე მოხარშული თევზის ფილე, მწვანილთან და ბოსტნეულის სალათასთან ერთად.

### მე-2 და მე-13 დღე

**საუზმე:** ერთი ჭიქა მწვანე ჩაი, რამდენიმე ნაჭერი მაგარი ყველი, კრეკერი ან ორცხობილა;

**სადილი:** 250 გ მოხარშული თევზი, უმი კომბოსტოს სალათა მცენარეული ზეთით და ერთი ჭიქა მწვანე ჩაი;

**ვახშამი:** 2 მაგრად მოხარშული კვერცხი, 250 გ მოხარშული ძროხის ხორცი, კიტრის ან უმი კომბოსტოს სალათა მცენარეული ზეთით და ერთი ჭიქა მწვანე ჩაი.

### მე-3 და მე-12 დღე

**საუზმე:** ერთი ჭიქა მწვანე ჩაი და 2-3 ნაჭერი დიეტური პური ან ნამცხვარი;

**სადილი:** მოხარშული ყვავილოვანი კომბოსტო ან ყაბაყი, ერთი ჭიქა მწვანე ჩაი და 2 ვაშლი;

**ვახშამი:** ორი მაგრად მოხარშული კვერცხი, 250 გ ძროხის მოხარშული ხორცი, ბოსტნეულის სალათა მწვანილითა და მცენარეული ზეთით, ერთი ჭიქა მწვანე ჩაი.

### მე-4 და მე-11 დღე

**საუზმე:** ერთი ჭიქა მწვანე ჩაი და 100 გ უცხიმო ხაჭო;

**სადილი:** თოხლოდ მოხარშული კვერცხი, სამი მოხარშული სტაფილოს, მცენარეული ზეთისა და ერთი ს/კ ყველისაგან მომზადებული სალათა, ერთი ჭიქა მწვანე ჩაი;

**ვახშამი:** ხილის სალათა (უმჯობესია ვაშლისა და ციტრუსის), ერთი ჭიქა მწვანე ჩაი.

### მე-5 მე-10 დღე

**საუზმე:** ერთი ჭიქა მწვანე ჩაი და ორი ტოსტი ჯემით;

**სადილი:** მოხარშული თევზი, ერთი ჭიქა ტომატის წვენი;

**ვახშამი:** ბოსტნეულისა და კუბურებად დაჭრილი მაგარი ყველის სალათა, ერთი ჭიქა მწვანე ჩაი.

### მე-6 და მე-9 დღე

**საუზმე:** ერთი ჭიქა მწვანე ჩაი და 2-3 დიეტური პური ან ორცხობილა;

**სადილი:** მოხარშული ნახევარი ქათამი, ცოცხალი კომბოსტოს სალათა, ერთი ჭიქა მწვანე ჩაი;

**ვახშამი:** ორი მაგრად მოხარშული კვერცხი, უმი, გახეხილი სტაფილოსა და მცენარეული ზეთის სალათა, ერთი ჭიქა მწვანე ჩაი.

### მე-7 და მე-8 დღე

**საუზმე:** ერთი ჭიქა მწვანე ჩაი, რამდენიმე ნაჭერი მაგარი ყველი, კრეკერი ან ორცხობილა;

**სადილი:** 250 გრამი მოხარშული ძროხის ხორცი ბოსტნეულთან ერთად, მწვანე ჩაი და ხილი;

**ვახშამი:** ნებისმიერი ვახშამი ზემოთ ჩამოთვლილთაგან, გარდა მესამე დღისა.

## ფლავი კარტოფილითა და კვერცხით

**მასალად საჭიროა:**

500 გ ბრინჯი;
4 ცალი კარტოფილი;
3 სუფრის კოვზე ცხიმი;
4 ცალი კვერცხი.



**მომზადების წესი:**

ბრინჯი მოხარშეთ ჩვეულებრივი წესით, გადაიტანთ თუშფალანგზე და გადაავლეთ წყალი. შეაზავეთ მარილითა და ცხიმით.

ქვაბის ძირზე დააწყვეთ გათლილი და რგოლებად დაჭრილი კარტოფილი, დააყარეთ მომზადებული ბრინჯი, დაახურეთ თავსახური და შედგით ცეცხლზე. თავსახური ხშირად მოხადეთ, მასზე წარმოქმნილი წარმოქმნილი წვეთების გადასაწურად. როდესაც ზედმეტი სითხე აღარ წარმოიქმნება, თანაბარ ფენად დაასხით ათქვეფილი კვერცხი და ისევ დაახურეთ თავსახური. 3-5 წუთის შემდეგ კერძი მზად იქნება. ■



რუბრიკა მოამზადა ეკა ბუნთაიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „კამელინი“ — ათასობით გადარჩენილი სიცოცხლე

**ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში ქირურგმა, ბენედიქტე-ძაგული მალლაკელიძემ დაიწყო თაფლის სამკურნალო თვისებების შესწავლა. ამ დროიდან იწყება პრეპარატ „კამელინზე“ ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევები, როგორც თბილისის, ასევე მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის ონკოცენტრებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. ამ პერიოდის განმავლობაში პრეპარატი მოიხმარა ათასობით ონკოდაავადებულმა, მათ შორის უმძიმეს სტადიაში მყოფმა ავადმყოფებმაც. უმეტეს შემთხვევაში პრეპარატი სიმსივნეთა ზოგიერთი ფორმის ზრდაზე ინჰიბიტორულ მოქმედებას ავლენდა, მათ სრულ რეგრესიამდე. მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად დადასტურდა „კამელინის“ ანტიბლასტომური ქმედება. დღესაც „კამელინის“ თითქმის ყველა მომხმარებელი კამელინოთერაპიის დროს თავს უკეთ გრძნობს და კურსის დასრულების შემდეგ პერიოდულად აგრძელებს პრეპარატის მიღებას, პროფილაქტიკის მიზნით.**

**რუსუდან კოპალეიშვილი,** *54 წლის, (ტელ: 273.87.37; 597.73.87.37)*

— 20 წლის წინ მოვხვდი სეფსისის ცენტრში, გრამ (-) სეფსისის, სეფსისური ენდოკარდიტის დიაგნოზი დამისვეს, ჰემატოლოგის მიერ ლეიკოზიც დამიდგინდა; ტომოგრაფიული კვლევით კი ელენთის ქვეშ ლიმფური კონგლომერატი დაფიქსირდა. თამარ ბოჭორიშვილის პატრონაჟის ქვეშ ვიმყოფებოდი, რომლის დანიშნულებითაც ძალიან ძვირად ღირებული პრეპარატებით ვმკურნალობდი. ქალბატონი თამარი აწარმოებდა წლების მანძილზე დაკვირვებას დაავადების გამომწვევ მიზეზებზე. საბოლოოდ დადგინდა, რომ ყველაფერს თირკმლის პათოლოგია — ქრონიკული პიელონეფრიტი განაპირობებდა. თირკმელი დაწეული იყო, სადინარები დეფორმირებული და შარდი ილვრებოდა თირკმელში, რამაც სისხლში ინფექცია გამოიწვია. ჩამიტარდა მარჯვენა თირკმლის ოპერაცია. რეაბილიტაციის პერიოდი ძალიან დიდხანს გაგრძელდა, მას თან დაერთო ღვიძლის ვენის კარში კისტის არსებობა. 1999-2007 წლებში მწოლიარე ავადმყოფად ვითვლებოდი მანამ, სანამ პრეპარატ „კამელინის“ არსებობის შესახებ შევიტყვე ახლობლის წყალობით, რომელიც ფარისებრი ჯირკვლის ავთვისებიანი სიმ-




სივნით დღესაც ცოცხალი და შრომისუნარიანია, „კამელინის“ საშუალებით. „კამელინ მ 1“ ინიექციის გაკეთება დავიწყე. პირველივე კურსიდან მომემატა ენერგია, გამიუმჯობესდა სიცოცხლის ხარისხი. ნოემბრიდან აპრილამდე ჩავიტარე მკურნალობა, შემდგომ ჩავიტარე კვლევები, ლიმფური კონგლომერატი და კისტა აღარ ისინჯებოდა. მე-5 წელია შევწყვიტე ყველანაირი პრეპარატის მიღება. ყოველ წელს პროფილაქტიკის მიზნით დღესაც ვიტარებ მხოლოდ კამელინოთერაპიას — „კამელინ მ 2“-ით.

**ნინო თორაძე (ტელ: 222-23-13)**

— 8 წლის წინ დედაჩემს, ლია ახალკაციშვილს აღმოაჩნდა ყელის ავთვისებიანი სიმსივნე (IV სტადია). ოპერაციის შემდეგ მისი მდგომარეობა უფრო დამძიმდა და უიმედო გახდა. დიდი ხნის სიცოცხლის შანსს ექიმები ვერ გვაძლევდნენ. დავუწყეთ „კამელინის“ ინიექციების გაკეთება; ჩავუტარეთ 6 კურსი. შედეგი გამაოგნებელი და დაუჯერებელი გახლდათ. დღეს დედა თავს შესანიშნავად გრძნობს, შრომისუნარიანია და ცალკე ცხოვრობს. მას შემდეგ წელიწადში 2-3 ჯერ მხოლოდ პროფილაქტიკის მიზნით იღებს „კამელინ მ 2“ კაფსულებს.

**პაციენტი ნ.კ.**

— 3 წლის წინ დამისვეს მკერდის სიმსივნის დიაგნოზი. ორჯერ ჩავიტარე ქიმიოთერაპია, გამცვივდა თმა, ვიღებდი უამრავ ტკივილგამაყუჩებელს, დაეცა სისხლში ლეიკოციტებისა და ჰემოგლობინის რაოდენობა. დავიწყე „კამელინ მ 1“ ინიექციების გაკეთება, ტკივილები პირველი კურსიდანვე მომეხსნა, მომემატა ენერგია, თანდათან გამიუმჯობესდა საერთო მდგომარეობა, ამიტომ გადავწყვიტე გამეგრძელებინა მკურნალობა. მეორე კურსიდან შედეგები უკვე თვალში საცემი იყო: ტკივილების სრული კუპირება, სიმსივნური პროცესის შეჩერება, მოცულობაში შემცირება, მკერდის დვრილის წინ წამოწევა, დარბილება, საერთო მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება. დღეს მხოლოდ პროფილაქტიკური მიზნით ვიტარებ კამელინოთერაპიას.

**არჩილ სალუქვაძე (საზერძნეთი):**

— დაახლოებით 3 წლის წინ ჩემს ცოლს აღმოაჩნდა მკერდის სიმსივნე. მრავალი პრეპარატით ვუმკურნალეთ. ახლობელმა შემატყობინა საქართველოში წარმოებული, ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური პრეპარატის — „კამელინის“ თაობაზე. რა თქმა უნდა, ასე ხელაღებით ვერ გავბედავდით მის გამოყენებას. მოვიძიე მრავალი ინფორმაცია „კამელინზე“ ჩატარებულ კვლევებზე და სწორედ ამის შემდეგ დავაწყებინე ცოლს მისი მიღება. შედეგი იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდით.

**პაციენტი ნ.მ. (55 წლის):**

— 5 წლის წინ დამეწყო აუტანელი ტკივილები წვივის არეში, რომელმაც თანდათან სისტემატური ხასიათი მიიღო. ხელის მოკიდებით ისინჯებოდა კვერცხისოდენა მოძრავი სიმაგრე. ონკოლოგიურში დამიდგინდა ფიბროსარკომა. ოპერაციიდან 3 თვის შემდეგ მდგომარეობა გაუარესდა. მოხდა სიმსივნის რეციდივი. სწორედ ამ დროს დავიწყე „კამელინით“ მკურნალობა. მე-2 კურსის ჩატარების შემდეგ რენტგენოგრაფიით აღმოჩნდა, რომ სიმსივნე ზომაში საგრძნობლად დაპატარავდა, ხოლო სიმსივნური კვანძების უმეტესობა გაქრა. მე-3 კურსის შემდეგ კი სიმსივნე აღარ ისინჯებოდა. დღეს შრომისუნარიანი ვარ.

*ესაუბრა მაია ცომაია*

„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა. დარეკეთ: 2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-45-33-68; 2-22-26-68; 2-75-04-08; 599-33-10-89; 599-58-09-07; 577-73-56-51; 599-23-03-33; www. Camelyn.ge R

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# შაკიკი ანუ ჰემიკრანია

შაკიკი ანუ ჰემიკრანია გავრცელებული, ნევროლოგიური დაავადებაა, რომელსაც ძლიერი, მოულოდნელად აღმოცენებული შეტევითი და განმეორებითი ხასიათის თავის ტკივილი ახასიათებს. ძლიერი ტკივილი შეიძლება 4-დან 72 საათამდე გაგრძელდეს.

შაკიკი ქალებში 4-ჯერ უფრო ხშირია. პირველი შეტევა შეიძლება მოზარდობის ასაკში განვითარდეს, შუახნის ასაკში კი გაქრეს. შეიმჩნევა შაკიკისადმი ოჯახური წინასწარგანწყობა.



## რატომ გვტკივა თავი

შაკიკის დროს ადგილი აქვს თავის ტვინში სისხლძარღვოვან არასტაბილურობას: შეტევისას სისხლძარღვები თავდაპირველად ვიწროვდება, შემდეგ კი მკვეთრად ფართოვდება. ამ დროს ძლიერდება თრომბოციტების შეწებება. მნიშვნელოვან როლს ასრულებს სეროტონინი, რომლის რაოდენობაც ჯერ იმატებს, შემდეგ კი მკვეთრად იკლებს. გარდა ამისა, დიდი რაოდენობით თავისუფლდება ტკივილის გამომწვევი ნეიროპეპტიდები, ხოლო ტრიგემინული (გამშვები) სისტემა აძლიერებს ტკივილის აღქმას.

## რატომ იწყება შეტევა

შაკიკის პროვოცირება შეუძლია როგორც გარეგან, ისე შინაგან ფაქტორებს. გარეგან ფაქტორებს მიეკუთვნება:

საკვები და სასმელი — შოკოლადი, კაკაო, ყავა, ციტრუსები, თხილი, კაკალი; პროდუქტები, რომლებიც შეიცავს სოდიუმ ნიტრიტს — ჰოთდოგი, ბეკონი, ძეხვი, „სალიამი"; რძის ზოგიერთი პროდუქტი — ყველი, არაჟანი; პროდუქტები, რომლებიც შეიცავს ნატრიუმის გლუტამატს — ცხარე ჩინური სოუსები; პროდუქტები, რომლებიც შეიცავს თიამინს — დამარილებული ქაშაყი, ქათმის ღვიძლი, პარკოსნები, ლობიო; ასევე: წითელი ღვინო, ლუდი, შამპანური, ხელოვნური დამატკბობლების შემცველი პროდუქტები, გაზიანი სასმელები — „კოკაკოლა" და სხვა;

სითხის უკმარისობა;

შიმშილი და ჰიპოგლიკემია — შიმშილის დროს სისხლში შაქრის ოდენობა მცირდება, ეს თავის ტვინის სისხლძარღვების გაფართოებას იწვევს, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა შაკიკის შეტევას დაუდოს სათავე;

გარემო პირობები — სიცხე, სიცივე, კაშკაშა სინათლე, ქარი, ძლიერი ხმაური, მკვეთრი სუნი;

მედიკამენტები (ვაზოდილატატორები, ორალური კონტრაცეპტივები, ინდომეტაცინი).

შინაგან ფაქტორებს მიეკუთვნება:

ხანგრძლივი ძილი ან უძილობა;

გადაღლილობა და ფსიქოემოციური გადატვირთვა;

ფიზიკური აქტიურობა, მათ შორის — სქესობრივი კონტაქტი;

ჰორმონული ძვრები: პუბერტატული პერიოდი, მენსტრუაცია, ორსულობა, კლიმაქსი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება გენეტიკას. განსაკუთრებით — დედის მხრიდან, ხოლო თუ შაკიკს ორივე მშობელი უჩივის, ბავშვს ათიდან მხოლოდ ერთი შანსი აქვს, დარჩეს ჯანმრთელი. ხშირად შეტევის პროვოცირებას რამდენიმე ფაქტორის ერთდროული ზემოქმედება ახდენს. მაგალითად, თუ ქალს მენსტრუალური ციკლის შუაში თეთრი ღვინო, ყველი ან შოკოლადი სიამოვნებას ანიჭებს, უშუალოდ მენსტრუაციის დროს იმავე პროდუქტებმა შესაძლოა შაკიკის შეტევა გამოიწვიოს.

რამდენიმე სახის შაკიკი არსებობს და წარმოადგენს თავის ტკივილის მთელ კლასს, რომლის ცალკეული სახეობა დამოუკიდებლად იშვიათად გვხვდება და ხასიათდება შედარებით სტერეოტიპული, მკვეთრი, ინტენსიური, შეტევისებური და განსხვავებული (კონკრეტული სახის მიხედვით) ხანგრძლივობის ტკივილებით.

ამ ტიპის ყველა თავის ტკივილი ქრონიკული ხასიათისაა. გამწვავებებისა და რემისიის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ტკივილის კონკრეტულ სახეობაზე და პაციენტის ინდივიდუალურ თავისებურებებზე.

ჰემიკრანიით დაავადებულთა უმეტესობას აქვს აურა. აურა არის მდგომარეობა შეტევის განვითარებამდე 10-30 წუთით ადრე. ამ დროს ზოგი ხედავს მოციმციმე წერტილებს, ხდება მხედველობის დაქვეითება და სხვა. შაკიკის სხვა ფორმას არ ახასიათებს აურა. შაკიკის შეტევები მეორდება გარკვეული პერიოდულობით — თვეში 2-4 შეტევა.

## დიაგნოსტირება

უნდა ჩატარდეს ნევროლოგიური გამოკვლევა, თავის ტვინის მაგნიტორეზონანსული კვლევა.

თავის ტკივილი შეიძლება სხვა დაავადებების სიმპტომი იყოს, ამიტომ თუ ტკივილი არ შემცირდება 24 საათის განმავლობაში, თუ ახლავს მას მაღალი ტემპერატურა ან კისრის კუნთების რიგიდულობა, აუცილებელია ნევროლოგთან დაუყოვნებლივი ვიზიტი.

ზემოთ დასახელებული კვლევები საჭიროა, რომ არ გამოგვეპაროს თავის ტკივილის გამომწვევი სიცოცხლისათვის საშიში დაავადებები (სიმსივნე, სისხლძარღვოვანი ანომალია და სხვა). მკვეთრი, შეტევისებური ტკივილის ან ტკივილის გახანგრძლივებისა და გახშირების შემთხვევაში აუცილებელია ნევროლოგის კონსულტაცია.

აურის გარეშე მიმდინარე შაკიკის დიაგნოზის დასასმელად ანამნეზში უნდა იყოს 5 შეტევა. ძალიან მნიშვნელოვანია ანამნეზში თავის ტკივილის ლოკალიზაციის ცვლილებების შესახებ მითითება. თუ თავის ცალმხრივი ტკივილი ადამიანს დიდი ხნის განმავლობაში აწუხებს, მაშინ საჭიროა ტკივილის სხვა მიზეზების ძებნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მკურნალობა

შაკიკის შეტევის მოხსნის საუკეთესო გზა მისი დასაწყისშივე ალკვეთაა — სანამ თავის ტკივილი ჯერ კიდევ არ განვითარებულა, მაგრამ მისი წინამორბედი სიმპტომები უკვე აშკარაა. ბევრი შეტევას ძილით ებრძვის. ძილის დროს სიმპტომები ხშირად ისე გაივლის, რომ შეტევა შესაძლოა აღარც კი განვითარდეს, მაგრამ ზოგჯერ თავის ტკივილი სწორედ ძილში იწყება. შაკიკის მწვავე შეტევებს ეფექტიანად ხსნის სეროტონინის აგონისტები — ზოლმიტრიპტანი, ნარასტრიპტანი, სუმატრიპტანი, რომლებიც გაფართოებულ სისხლძარღვებზე მოქმედებს. შაკიკს ხშირად უკავშირებენ კუჭში საკვების შეგუბებას, ამიტომ მის მკურნალობას იწყებენ ჩვეულებრივი ანალგეტიკით (ასპირინი), მანამდე კი აძლევენ ღებინების საწინააღმდეგო საშუალებას (მეტოკლოპრამიდი). შაკიკიან ავადმყოფებს დიდი რაოდენობით სჭირდებათ B ჯგუფის, C და E ვიტამინები, მინერალები, ამინომჟავები, პოლიუჯერი მჟავები, ფერმენტები და სხვა ბიოაქტიური ნივთიერებები. ყურადღების ღირსია მაგნიუმი, რომელსაც უამრავი დადებითი თვისება აქვს — აფართოებს სისხლძარღვებს, აწესრიგებს სისხლის რეოლოგიურ თვისებებს, არეგულირებს ძილს. ასე რომ, ეფექტურად მოქმედებს შაკიკის განვითარების ყველა რგოლზე. ზოგჯერ დამხმარე საშუალებად მანუალურ თერაპიასაც იყენებენ. ეს მეთოდი კარგად მოქმედებს იმ პაციენტებზე, ვისაც ტკივილი ძირითადად კეფაში აქვს ლოკალიზებული.

## პროფილაქტიკა

პროფილაქტიკური მიზნით გამოიყენება ასპირინი, არასპეციფიკური ანთების საწინააღმდეგო საშუალებები, ბეტა ბლოკერები, ტრიციკლური ანტიდეპრესანტები, სეროტონინის ანტაგონისტები, ფსიქოთერაპია. პროფილაქტიკის ყველაზე ეფექტიანი საშუალება ცხოვრების ჯანსაღი წესია — ერთმანეთს ჰარმონიულად უნდა შეუნაცვლოთ მუშაობა და სუფთა ჰაერზე დასვენება. ამასთანავე, კარგად დააკვირდით საკუთარ თავს და შეისწავლეთ მაპროვოცირებელი ფაქტორები, რათა შეტევის თავიდან აცილება შეძლოთ. გახსოვდეთ, საუკეთესო მკურნალობა დაავადების პროფილაქტიკაა.

■

**გთავაზობთ მოსახლეობის მიერ გამოგზავნილ შაკიკის სამკურნალო რეცეპტებს. ამ და სხვა რეცეპტებს იხილავთ თამარ მამაცაშვილის წიგნში — „კარაბადინი“. ამ წიგნის შეძენა შეგიძლიათ წიგნის მაღაზიებში.**

მაწუხებს შაკიკი და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ძალიან ვიტანჯებოდი, მაგრამ ახლა რეგულარულად ვიყენებ იმ გამოცდილებას, რომელიც წლების განმავლობაში დამიგროვდა და მდგომარეობა შედარებით შემიმსუბუქდა. მინდა, ეს გამოცდილება თქვენც გაგიზიაროთ. თავი რომ არ აგტკივდეთ, დილაობით, უზმოზე უნდა სვათ მაგარი მწვანე ჩაი, შეგიძლიათ დაამატოთ პიტნა და სასურველია, უშაქროდ მიიღოთ. თუ ტკივილი მაინც დაგეწყებათ, ხელები იდაყვამდე ჩაყავით ცხელ წყალში და გააჩერეთ ტკივილის გავლამდე. მწვავე შეტევისას კეფაზე დაიდეთ მდოგვის ან გახეხილი შავი ბოლოკის კომპრესი. მერწმუნეთ, ეს მარტივი საშუალება შვებას აუცილებლად მოგგვრით და თანაც, არც ძვირად ღირებული წამლები დაგჭირდებათ.

*ნანიკო ლ. ქუთაისი.*

**ექიმის კომენტარი:** მკითხველის მიერ მოწოდებული რჩევები დარღვეული სისხლის მიმოქცევის აღდგენაში დაგეხმარებათ, ეს კი შაკიკის დროს დადებით ეფექტს მოიტანს. ასე რომ, გაითვალისწინეთ პრაქტიკული გამოცდილება და თავადაც გამოიყენეთ.

გთავაზობთ შაკიკის მკურნალობის ხალხურ მეთოდს: როცა შეტევა დაგეწყებათ, 2-3 თავი ქართული ნიორი დანაყეთ, მიღებული მასა მოათავსეთ კოლჰოტის ნაჭერში, შუბლზე (მტკივან ადგილზე) დაიდეთ და შეიკარით დაახლოებით 10 წუთით. შედეგს აუცილებლად მიიღებთ. გაითვალისწინეთ: თუ ნიორს კანზე 10 წუთზე მეტხანს გააჩერებთ, კანი დაგეწვებათ და შუბლზე ლაქა დაგრჩებათ.

*მერაბ გ.*

**ექიმის კომენტარი:** ნიორი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი მცენარეა და სწორედ ეს განაპირობებს მის გამოყენებას სხვადასხვაგვარი დაავადების მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის. ნივრის ბოლქვში შემავალ ნივთიერებებს აქვს ანტიმიკრობული, სოკოსა და ჭიების საწინააღმდეგო მოქმედება, აძლიერებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სეკრეციულ და მოტორულ ფუნქციას, ნაღვლის სეკრეციას. ნიორი ნახველის გამათხელებელი და ამოსახველებელი საშუალებაცაა. იგი ასტიმულირებს გულის მუშაობას, აფართოებს კორონარულ სისხლძარღვებს. ნივრის პრეპარატები გამოიყენება ნაწლავებში დუღილისა და ლპობის პროცესების დასათრგუნავად, აგრეთვე, ღვიძლის, ზემო სასუნთქი გზების დაავადებების, ქრონიკული ბრონქიტის, ბრონქოექტაზიური დაავადებების, პნევმონიის, ზოგჯერ ბრონქული ასთმის დროს. ნიორი გამოიყენება პროფილაქტიკისათვის გრიპის ეპიდემიისას, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიული დაავადებისა და გულის ნევროზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის. შაკიკის დროს ნივრის გარეგანი გამოყენება შესაძლოა ნერვულ დაბოლოებებზე მის მასტიმულირებელ ზემოქმედებასთან იყოს დაკავშირებული. ამასთან, ნივრის ეთეროვან ზეთს ძლიერი დიფუზურობა ახასიათებს, რაც იმას ნიშნავს, რომ გარეგანი ხმარებისას იგი ღრმად მდებარე ქსოვილებამდე აღწევს და კლინიკურ ეფექტს იძლევა. ■



P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 5(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

## წვეთი პოეზია

### ო, მაპატიეთ



ბედმა უცნობი გზით გამაქანა,
თქვენ დარჩით შორი... ცაზედაც შორი...
და, როგორც ჯარტში აგურის ქალებს,
გქონდათ ქერა თმა და ყელი ბროლის.
მე გპირდებოდით, რომ დავბრუნდები,
რომ თქვენი თმები დამაბრუნებენ,
მაგრამ დღეები, როგორც ქურდები,
ჩემს შეპირებას ანადგურებენ.
და სადმე ტყვია თუ გააციებს
გულს საშინელი განადგურებით,
თქვენ მაპატიეთ, ჰო, მაპატიეთ,
დანაშაული არდაბრუნების.

*მირზა გელოვანი*

## სახსოვარი



### გალაკტიონ ტაბიძე

* ყოველი კაცი ქვეყანაზე არის ის განძი, რომელსაც უნდა აღმოჩენა და დაფასება.

* როგორ ბევრია შვილი ადამის, როგორ ცოტაა ადამიანი!

* წინამძღვრში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი!

* იმ მდინარის გეშინოდეს, რომელიც არ ხმაურობს!

* სხვა გიჟებს სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს.

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

### მ

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-46, 2011

**მოლი** — ახლად ამოსული ხშირი და წმინდა ბალახი.

**მოლოზანი** — იგივეა, რაც მონაზონი.

**მოლოზანა** — საშუალო სიმაღლის ბუჩქი, ისხამს წითელ, წვნიან ერთკურკიან ნაყოფს.

**მოლოცნა** (კუთხ.) — იგივეა, რაც მოგერისება (მცირე ხნით მოაწოვებინებს ძუძუს, წველის დაწყებამდე).

**მონაგარი** — 1. გარჯით ნაშოვნი (ქონება, ფული); 2. შვილები, შთამომავლობა.

**მონაგერება** — ყანის აღების ან ხილის მოკრეფის შემდეგ დარჩენილი ჭირნახულის ან ხილის მოძებნა-მოგროვება (გურიაში).

**მონასპა** (ისტ.) — სასახლის მცველი მეომარი; სასახლის მსახური.

**მონოლითი** ბერძნ. — მთლიანი ქვის ლოდი ან მისგან გამოთლილი საგანი.

**მონტიორი** ფრ. — 1. მანქანების ამწყობი და დამდგმელი — მემონტაჟე; 2. იგივეა, რაც ელექტრომონტიორი.

**მონუმენტი** ლათ. — დიდი ძეგლი.

**მოოჭვილი** — ძვირფასი ქვებით შემკული.

**მორბედი** (ძვ.) — 1. მორბენალი; 2. ვისაც გაგზავნ-გამოგზავნიდნენ ხოლმე სხვადასხვა დავალებით; ხელზე მოსამსახურე; 3. იგივეა, რაც წინამორბედი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩანაწერები უბის წიგნაკიდან

ნოდარ დუმბაძე

***

ადამიანი ყველაფერს შეიძლება შეეგუოს — უხარისხო ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, პურს, უფრო მეტიც — ადამიანმა შეიძლება გაუძლოს შიმშილს, სიშიშვლეს, სიცივეს, სიღატაკეს, მაგრამ სულიერ სიღატაკეს ჩვენი ხალხი ვერასოდეს ვერ შეეგუება.

***

პირდაპირ განსაცვიფრებელი ფენომენია ქართული სიმღერა, სასწორზე რომ დადო, ოქროს ზოდივით აიწონება. მაგალითად, „მრავალჟამიერი" მილიონ ტონას აიწონის. ავიღოთ თუნდაც გურული ანდა სვანური სიმღერა. ყველა სიმღერას თავისი წონა აქვს, მაგრამ მეგრული სიმღერა მზის სხივსა ჰგავს — საიდანღაც მოდის შორიდან, ძალიან შორიდან... „ვოი ნანა, დიდავოი ნანა". ამ სიმღერას ვერ აწონი, ამას წონა არ აქვს, ეს მზის სხივია, საიდანღაც შორიდან მოღწეული...

რასაც ახლა ვიტყვი, ალბათ დიდი ხნის აღმოჩენილია, მაგრამ ამ აღმოჩენებს ჩემთვის ვაკეთებ. სულ ერთი კვირის წინ აღმოვაჩინე, რომ ფრანგული სიტყვა ლაზარეთი, რომელიც ლექსიკონში საველე ჰოსპიტლად არის განმარტებული, ლაზარედან მოდის. ამას რომ მიხვდე, აუცილებელი არ არის იყო ენათმეცნიერი ან ლინგვისტი. მერე ერთ ლინგვისტს გავუმხილე ვარაუდი, ალბათ ლაზარედანაა, ქრისტემ რომ გააცოცხლა ლაზარე-მეთქი. ძალიან გაუკვირდა.

შემდეგ ლექსიკონში ჩავიხედე, ბერძნულად „ლაზარე" — ღვთის წყალობას ნიშნავს. რა თქმა უნდა, ღვთის წყალობაა, კაცს რომ გააცოცხლებ. თქმა არ უნდა, ეს შეიძლება ლინგვისტმაც არ იცოდეს. ლაზარე რომ იცოდე, სახარება უნდა გქონდეს წაკითხული, ხოლო ჩვენი ლინგვისტების უმრავლესობას სახარება არა აქვს წაკითხული, თანაც უნდა გქონდეს წაკითხული ოთხთავი მთლიანად, იმიტომ, რომ ლაზარეს სასწაული მარტო იოანეს სახარებაშია. ეს თუ არა გაქვს წაკითხული, ვერ მიხვდები. ასე რომ, ეს აღმოჩენა ჩემი უმეცრების ბრალი კი არ არის, არამედ იმის დამსახურებაა, რომ ოთხივე სახარება წაკითხული მაქვს და მივხვდი, ის ლაზარეა... ამიტომ ვფიქრობ, რომ ოთხთავი ენათმეცნიერსა და ლინგვისტს მაინც უნდა ჰქონდეს წაკითხული, როგორც სავალდებულო წიგნი. ძველ აღთქმაზე აღარაფერს ვამბობ.

***

სულ რამდენიმე პროფესიაა დედამიწაზე, რომელიც ძალიან ჰგავს მწერლის პროფესიას:

1. მარგალიტის მაძიებელი
2. ექიმი
3. არტეზიული ჭის მთხრელი საჰარაში
4. მშენებელი
5. ჯარისკაცი

ზოგიერთ ბრიყვს მწერალი მწვერვალთა დამპყრობი ჰგონია. მოვიდა მწერალი, შეუდგა თავის ოლიმპს თუ ჯომოლუნგმას. თუ დაიპყრო, ხომ კარგი, თუ არადა ან მოკვდება, ან შუაგზიდან მობრუნდება, ანდა დაპყრობის შემდეგ დაუძლურებული და გაბითურებული დაბრუნდება უკან.

არა, მწერალი თავად აშენებს თავის პირამიდას, სვეტსა და მწვერვალს. და ქვევით იმიტომ კი არ ეშვება და ბრუნდება, რომ ბითურდება (ჯერ ერთი, ის რად ღირს, ქვეყანას რომ ზემოდან გადმოხედავ არწივივით), არამედ იმიტომ, რომ დაუშვას, განზე გადგეს, მისი და მის მიერ შექმნილის პროპორცია დაინახოს და ახლა ქვევიდან დატკბეს თავისი აშენებული ტაძრის, სვეტის თუ პირამიდის სიმაღლითა და მშვენიერებით. ეს, მხოლოდ ეს არის მწერლის მისია და მოვალეობა. ესეც რომ არ იყოს, ადამიანი რამდენიმეჯერ აშენებს პირამიდებს და რამდენიმეჯერ ადის და ჩადის.

იმ მწვერვალზე, სვეტზე, პირამიდაზე და ტაძრის გუმბათზე დარჩენა, დგომა და ჯდომა, პატივმოყვარე კრეტინთა ავადმყოფობა და ლტოლვაა. ყველაფერი ეს მკვდართა, გარდაცვლილთა ხვედრია და ბედნიერია ის გარდაცვლილი შემოქმედი, რომელსაც შთამომავლობა მის მიერვე აშენებულ პირამიდაზე, სვეტზე, მწვერვალზე აიყვანს ან მის მიერ ნაგებ ტაძარში შეასვენებს. სხვა გზა არ არსებობს, მხოლოდ ასე.

***

მწერალი პერპეტუუმ მობილე არ გახლავთ. მწერლის ცხოვრებაშიც დგება კრიტიკული მომენტი, როცა იგი შემოქმედებითად იხარჯება და თავდება. ამას სხვაზე უკეთ თვითონ მწერალი გრძნობს, მაგრამ ვერ თმობს ვერც თანამდებობას და ვერც ადგილს. ეშინია დათმობა იმ ადგილისა, რომელზეც თავისი ცხოვრების უმეტესი დრო გაუტარებია. ეს შიში გასაგებია, რადგან, სამწუხაროდ, არაერთი მაგალითი გვაქვს იმისა, როგორ მისცემია დავიწყებას საზოგადოებრივი ასპარეზიდან წასული მოღვაწე.



***

კახეთში ვიყავი, ჭავჭავაძეების მამულში. ფრანგი ტურისტები შემოვიდნენ. ქალები ახლდნენ ფრანგებს გრაციოზულნი, ნარნარნი და ჰაეროვანნი. საღამოს ბანკეტზე დათვრნენ საცოდავები და ქართველის გაგებით „უზნეოდ" იქცეოდნენ, კოცნიდნენ გლეხებს. აივანზე გამოვედი.

ერთი შეზარხოშებული კახელი ელაზღანდარებოდა მეორეს.

— თედო, ერთი მაგ მადმუაზელსა მანდ მიაზილე!!! — თან ქირქილებდა.

ღმერთო, როგორ მიყვარან ეგ კახელები, რა გულუბრყვილო, პირდაპირი და განსაცვიფრებელი იუმორი აქვთ.

***

ჩემში ეჭვს იწვევს — ღირს თუ არა იმის გამო ტირილი, რაც სულერთია, ახლა აღარ იქნებოდა. ეს მახსოვრობის ყველაზე დიდი მანკიერი მხარეა.

ნეტა ვინ მოიგონა?

— რომ არ მომკვდარიყო, ახლა გენერალი იქნებოდაო. ან — რომ არ მოეკლათ, ლეიტენანტი კი არა, ახლა გენერალი იქნებოდაო.

კაციშვილმა არ იცის, რომ არ მოეკლათ, იქნებ ის ლეიტენანტობაც ჩამოერთმიათ. ვინ იცის?

დასაწყისი იხ. „გზა" №39-46

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება
შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com



[illegible]

# ვალეტი

რუსუდან ბერიძე

— ვის ემუქრებიან?

— სამივეს.

— სოფიო ბიბილაშვილსაც?

— მასაც.

— ახლავე მანდ გავჩნდები.

— რა მოხდა? — მაშინვე დაინტერესდა ლევიძე, როგორც კი ჩავლეიშვილმა ყურმილი დადო.

— ღვინიაშვილმა ადვოკატების ოფისში მუქარის წერილები აღმოაჩინა. მგონი, მართლა შანტაჟთან უნდა გვქონდეს საქმე...

— როგორც კი გაარკვევ სიტუაციას, მაშინვე დამირეკე, — უთხრა ლევიძემ ჩავლეიშვილს გამომშვიდობებისას, რის შემდეგაც ირაკლი პირდაპირ ალადაშვილების ოფისისკენ გაემართა.

მაია ლობჟანიძე მისაღებში ისევ მარტო იჯდა.

— დანარჩენები სად არიან? — ჰკითხა მას ჩავლეიშვილმა.

გოგონამ ხელი სათათბირო ოთახისკენ გაიშვირა. გამომძიებელი მაშინვე ოთახში შევიდა. მაგიდას ღვინიაშვილი და ხარაიშვილი უსხდნენ.

— აბა, რა ხდება? — თავადაც მაგიდას მიუჯდა ირაკლი.

— ხომ გითხარი, მუქარის წერილები ვიპოვეთ-მეთქი, — დაიწყო ხარაიშვილმა.

— სად?

— კარადაში, დოკუმენტებთან ერთად ეწყო, — მოყავისფრო კონვერტი და რეზინის ხელთათმანი გაუწოდა გამომძიებელს ღვინიაშვილმა და შემდეგ დასძინა: — წერილები დოკუმენტების ქვეშ იყო ამოდებული. ისინი არც ერთ ჟურნალში არ არის გატარებული. როგორც ჩანს, უბრალოდ წაიკითხეს და რაც შეიძლება ღრმად ჩაჩურთეს.

ჩავლეიშვილმა ხელთათმანი წამოიცვა და კონვერტი გახსნა. იქ კიდევ ორი, ცოტა უფრო პატარა თეთრი კონვერტი იდო. საფოსტო შტემპელების გარკვევა ჭირდა. ერთ-ერთ კონვერტზე ტექსტის ნაწილიც მელნით იყო მოსვრილი. ჩავლეიშვილმა კონვერტებიდან წერილები ამოიღო და წინ დაიწყო. ისინი საკმაოდ მოკლე და გაკრული ხელით ნაწერი აღმოჩნდა.

„სამართლიან შურისძიებას ვერც ერთი თქვენგანი ვერ გაექცევა. ყველანი ჩაძაღლდებით. შენც, ამირან ალადაშვილო, შენი შვილიცა და თქვენი მდივანი ბიბილაშვილიც", — ეწერა პირველ მათგანში. მეორე წერილი კიდევ უფრო მოკლე იყო. ამჯერად მისი ავტორი (ხელწერა იგივე იყო) სამად სამი სიტყვით — „უსამართლობა მალე დაისჯება" — შემოფარგლულიყო. პირველი წერილი 19 ივნისით იყო დათარიღებული, მეორე — 26 აგვისტოთი. ორივეს ვინმე ლექსო ბორაშვილი აწერდა ხელს.

ჩავლეიშვილმა წერილები გვერდზე ფრთხილად გასწია და ხელთათმანი წაიძრო.

— მონაცემთა ბაზაში ვძებნეთ, მაგრამ არც ამირან ალადაშვილს და არც მის შვილს ამ სახელისა და გვარის კლიენტი არ აღმოაჩნდათ, — უთხრა ირაკლის ხარაიშვილმა.

— ეს კაცი რაღაც უსამართლობაზე წერს... — ჩაერთო საუბარში ღვინიაშვილიც.

— რაღაც კი არა, ძალიან სერიოზულ უსამართლობაზე, — გააწყვეტინა მას შეფიქრიანებულმა ჩავლეიშვილმა. — წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია, ადამიანმა სამმაგი მკვლელობის ჩადენა განიზრახოს.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... — დაბნეულად ჩაიბურტყუნა ღვინიაშვილმა.

ირაკლის კი ისევ ის უცნაური შეგრძნება დაეუფლა, რომ ცოტაც და რაღაცას მიხვდებოდა, მაგრამ ეს „რაღაც" მაინც გამუდმებით ხელიდან უსხლტებოდა.

— მიჩვენეთ ის ადგილი, სადაც კონვერტი ნახეთ, — სთხოვა მან კოლეგებს და ფეხზე წამოდგა.

ხარაიშვილი მას სოფიო ბიბილაშვილის ოთახში შეუძღვა და კუთხეში მდგარი დოკუმენტებით სავსე დიდი კარადის ქვედა თაროზე ანიშნა. თარო ბოლომდე საქაღალდეებით იყო გამოტენილი.

— მაია ლობჟანიძეს დაუძახეთ! — გასცა განკარგულება ჩავლეიშვილმა.

ორ წუთში ღვინიაშვილი გოგონასთან ერთად დაბრუნდა. მას ნერვიულობა ეტყობოდა, თუმცაღა თავად ირაკლი რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ საადვოკატო ფირმაში მომხდარ იდუმალ მოვლენებთან ამ გოგონას არაფერი აკავშირებდა.

— ვის ჰქონდა ამ კარადის გასაღები? — ჰკითხა მას გამომძიებელმა.

— ქალბატონ სოფიოს, — ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა მაიამ.

— ცოტა ხმამაღლა, თუ შეიძლება.

— სოფიო ბიბილაშვილს, — გაიმეორა გოგონამ.

— მხოლოდ მას ჰქონდა?

— ადვოკატები საკუთარი გასაღებებით სარგებლობდნენ.

— კარადა, ჩვეულებრივ, დაკეტილი იყო ხოლმე?

— ქალბატონი სოფიო მას სამსახურში მოსვლისას აღებდა და წასვლისას ისევ კეტავდა.

— თუ ასეა, დღეს ის ვინ გააღო?

— ჩვენ, — პასუხის გაცემა დაასწრო მაიას ხარაიშვილმა, — სოფიო ბიბილაშვილმა გასაღები ხელწერილით ჩაგვაბარა.

— მაშინ ყველაფერი გასაგებია, — თავი დაუქნია მას ჩავლეიშვილმა და შემდეგ დასძინა: — რას ფიქრობ ამ ყველაფერზე?

— რას და იმას, რომ ამ წერილების ავტორი სასწრაფოდ უნდა დავაკავოთ.

— სხვა რამეს გეკითხები — საერთოდ რას ფიქრობ-მეთქი?

— ადვოკატის სამუშაო ყოველთვის რისკთანაა დაკავშირებული, — ისევ ჩაერია საუბარში ღვინიაშვილი. — ამიტომაც, ადრე თუ გვიან, ალბათ ყველა ადვოკატი იღებს მსგავს წერილებს. ისე, ზუსტი სტატისტიკის გამოთხოვაც შეიძლება.

— კარგს იზამ, თუ გამოითხოვ, — წერილები ისევ ყავისფერ კონვერტში შეინახა ჩავლეიშვილმა. — ამას თან წავიღებთ. მართლა, ანა სადღაა? — გაახსენდა მას უეცრად.

— დედა გაუხდა ავად.

— აუ, რას გაიხარებდა ილო ბიბილური! — ქვეშ-ქვეშ ჩაეღიმა ხარაიშვილს.

— რას გულისხმობ? — უცბად ვერ მიუხვდა ირაკლი.

— ანას ამბავს. სულ იმის დამტკიცებას ცდილობს, — გამომძიებელი ქალი, ზედმეტი თავის ტკივილის გარდა არაფერია.

— ბიბილური ყოველთვის რაღაცის დამტკიცებას ცდილობს, — შენიშნა ღვინიაშვილმა, — მაგრამ ძირითადად, უშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგოდ. საერთოდ კი ალბათ, იმ გამომძიებლისგანაც ბევრი არაფერი გამოვა, გამუდმებით კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე რომ დარბის...

— კარგი, — გააწყვეტინა მას ირაკლიმ, — ბიბილურს ჩვენ ნამდვილად ველარ გამოვასწორებთ. ამიტომ მოდი, ისევ საქმეს მივხედოთ. შენ სტატისტიკას დაადგენ, შენ კი, — მიუბრუნდა ის ხარაიშვილს, — იქნებ შოთა გუმბერიძეს შეეხმიანო და სთხოვო, შტემპელის ამბავი გაგვირკვიოს.

ამის შემდეგ გამომძიებლები პოლიციის სამმართველოში დაბრუნდნენ. ცოტა ხანში ირაკლის კაბინეტში შოთა გუმბერიძე გამოჩნდა, რომელსაც კომბინეზონის მუხლისთავები ტალახით ჰქონდა მოსვრილი.

— როგორ მიდის საქმე? — მაშინვე დაინტერესდა გამომძიებელი.

— მძიმედ, — ჩაიბურტყუნა გუმბერიძემ, — თუმცაღა სხვას არც ველოდი. სათამაშოსთან კი არ გვაქვს საქმე, ნაღმია, რომელსაც მილიონ ნაწილად გაფანტვაც კი შეუძლია.

— ამაზე რაღას იტყვი? — მაგიდაზე გაშლილ კონვერტებსა და წერილებზე ანიშნა ექსპერტს ირაკლიმ.

— გააჩნია, რის გაგება გინდა?

— პირველ რიგში იმის, თუ საიდან გამოგზავნეს ეს წერილები და რა არის ნაშლილი აი, ამ კონვერტზე. დანარჩენი მოიცდის.

შოთა გუმბერიძემ სათვალე გაიკეთა, მაგიდის ნათურა აანთო და კონვერტებისა და წერილების დათვალიერებას შეუდგა.

— შტემპელების ამბავს გავარკვევთ, ამისთვის მიკროსკოპი არსებობს, — ხმადაბლა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მან. — ამ კონვერტზე კი წარწერა ტუშითაა მოთხვრილი. შემიძლია, ცოტა ამოვფხიკო. თუ გაგვიმართლა, საკუთარი ძალებით გავარკვევთ ყველაფერს...

— იცოდე, სასწრაფოდ მინდა.

— შენ ყოველთვის ყველაფერი სასწრაფოდ გინდა... — სათვალე მოიხსნა გაღიზიანებულმა გუმბერიძემ. — მე კი, სულ მცირე, ერთი საათი მაინც დამჭირდება. უფრო სწრაფად არ გამოვა.

— რამდენიც საჭიროა, იმდენი მოახმარე, — დაუყვავა მას ჩავლეიშვილმა. — ვიცი, რომ დროს ფუჭად არასდროს კარგავ.

გუმბერიძემ წერილებს ხელი წამოავლო და ოთახიდან უსიტყვოდ გავიდა. დერეფანში ღვინიაშვილსა და ხარაიშვილს გადაეყარა.

— ჰა, გამოდის რამე? — თვალი ეშმაკურად ჩაუკრა მას ხარაიშვილმა.

— შოთას და რამე არ გამოუვიდეს?! — მხარი აუბა მას ღვინიაშვილმაც.

— თქვენღა მაკლდით! — ერთი შეუღრინა გამომძიებლებს გუმბერიძემ და გზა განაგრძო.

— ბორაშვილის გვარი პოლიციის მონაცემთა ბაზაშიც არ არის, — ოთახში შესვლისთანავე მოახსენა ხარაიშვილმა ირაკლის.

— ცუდია, — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია მან. — დაველოდოთ, გუმბერიძე რას გვეტყვის. წერილებში საკმაოდ შთამბეჭდავი მუქარის ტექსტებია, თუმცაღა ცოტა ბუნდოვანიც...

მარტო დარჩენილი ჩავლეიშვილი სკამზე მოხერხებულად მოეწყო, ქსოვრელის სახლიდან წამოღებული ტყავის საქაღალდე გახსნა და მთელი საათი იმის გარკვევას ცდილობდა, თუ რას წარმოადგენდა ბიზნესმენის იმპერია. საქმეს კარზე კაკუნმა მოსწყვიტა. გუმბერიძე იყო, რომელსაც დასვრილი კომბინეზონი ჯერაც არ გამოეცვალა.

— გადავრჩით? — მაშინვე ჰკითხა მას ირაკლიმ.

— როგორც ყოველთვის, — სკამზე მოწყვეტით დაჯდა გუმბერიძე. — ორივე წერილს თბილისის შტემპელი აქვს. ტუშით კი სასტუმრო „ძველი ეზოს“ სახელი იყო მოთხვრილი.

ჩავლეიშვილმა ყველაფერი ბლოკნოტში ჩაინიშნა.

— ეს კიდევ „ძველი ეზოს“ მისამართი და ტელეფონი, — ჯიბიდან ოთხად მოკეცილი ფურცელი ამოიღო და გამომძიებელს მაგიდაზე დაუდო გუმბერიძემ.

— მაგარი ხარ! — აღფრთოვანება ვერ დაფარა ირაკლიმ.

— ჯერ არ დამიმთავრებია, — ხელის აწევით შეაჩერა ის გუმბერიძემ. — ჩვეულებრივ, მხოლოდ იმას ვაკეთებ, რასაც მთხოვენ, მაგრამ რადგან წერილების გაშიფვრა ძალიან სწრაფად მოვახერხე, ცოტა კიდევ ნავიმუშავე.

— მერე?

— მითითებულ ნომერზე დავრეკე და ისიც გავარკვიე, რომ სასტუმრო „ძველი ეზო“ აღარ არსებობს.

— აღარ არსებობს? — შეცბა ირაკლი.

— სამწუხაროდ, ასეა. ეკა ხადურმა კი არ დაიზარა და ისიც დაადგინა, რომ სასტუმრო ერთი წლის წინ დაუხურავთ.

ამის შემდეგ გუმბერიძე ფეხზე წამოდგა:

— ახლა კი წავალ, ცოტას წავიხემსებ...

— სწორადაც მოიქცევი, — წააქეზა ის ჩავლეიშვილმა. — დიდი მადლობა დახმარებისთვის.

გუმბერიძე ოთახიდან გავიდა. ირაკლი კი რამდენიმე წუთი გაუნძრევლად იჯდა და მის ნათქვამზე ფიქრობდა. შემდეგ ღვინიაშვილსა და ხარაიშვილს დაურეკა და ორივე თავისთან იხმო. რამდენიმე წუთში სამივე მაგიდას უჯდა.

— სასტუმრო დახურულია, — დაიწყო ჩავლეიშვილმა.

— ცუდია, — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია ღვინიაშვილმა.

— ნეტავ ასეთ შემთხვევებში სარეგისტრაციო ჟურნალებს რას უშვრებიან? — დაინტერესდა ხარაიშვილი. — ანადგურებენ თუ მათი შენახვა სავალდებულოა?

— ეს ყველაფერი სასწრაფოდ უნდა გავარკვიოთ და ერთ საათში ისევ აქ შევიკრიბოთ, — მაგიდაზე გაშლილი წერილები კონვერტში სწრაფად ჩააბრუნა ჩავლეიშვილმა.

ღვინიაშვილისა და ხარაიშვილის გასტუმრების შემდეგ ირაკლიმ ეკა ხადურს დაურეკა და თბილისის სატელეფონო ცნობარებში ბორაშვილის გვარის მოძებნა სთხოვა. ყურმილის დადება ვერ მოასწრო, რომ ტელეფონი ისევ აწკრიალდა. მამა ურეკავდა.

— ხომ არ დაგავიწყდა, რომ საღამოს უნდა შემომიარო? — ჰკითხა მან.

— აუცილებლად შემოგივლი, — შეჰპირდა მოხუცს ირაკლი.

— რომელი საათისთვის?

— ასე, შვიდისთვის.

— ვნახოთ...



— რას ნიშნავს, „ვნახოთ“? — გაღიზიანდა ჩავლეიშვილი. — ამით რისი თქმა გინდა?

— ვნახოთ, მართლა მოხვალ თუ არა...

— გითხარი, მოვალ-მეთქი? ესე იგი, მოვალ! — ჩასძახა გაღიზიანებულმა ირაკლიმ და ყურმილი დადო.

კაბინეტში ეკა ხადურმა შემოიხედა:

— ლექსო, უფრო სწორად, ალექსი ბორაშვილის გვარ-სახელის აბონენტი ჯერჯერობით ვერსად აღმოვაჩინე, — უთხრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან გამომძიებელს. — განვაგრძო ძებნა?

— არა, ჯერჯერობით არ არის საჭირო.

— მაშინ სხვა საქმეებს მივხედავ.

— კარგს იზამ.

ეკამ კარი უხმაუროდ გაიხურა. ირაკლიმ კი ისევ ტყავის საქაღალდე გადაშალა, მაგრამ ახლა ღვინიაშვილი წამოადგა თავზე:

— შეგიძლია, მომილოცო, — თვალი ეშმაკურად ჩაუკრა მან, — თბილისის სასტუმროებზე უკვე თითქმის ყველაფერი ზეპირად ვიცით. ორ-სამ წუთში ლევანიც აქ იქნება და დავიწყოთ.

ხარაიშვილი მართლაც მალევე გამოჩნდა, კაბინეტის კარი სწრაფად მიხურა, მაგიდას მიუჯდა და ბლოკნოტი ამოიღო.

— სასტუმრო „ძველი ეზო“ ვინმე ბაკურ ცეცხლაძეს ეკუთვნოდა, — დაიწყო მან, — პატარა ოჯახური სასტუმრო იყო და დიდხანს არ უარსებია. ახლა იმ ადგილზე მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს აშენებენ. მაგრამ ცეცხლაძის ტელეფონი მაქვს და შეგვიძლია დავურეკოთ და შინ მივაკითხოთ.

— აბა მიკარნახე, — ტელეფონის ყურმილს დასწვდა ირაკლი.

ხარაიშვილმა ნომერი სწრაფად უკარნახა, ზარიც მაშინვე გავიდა, მაგრამ ყურმილს კარგა ხანს არავინ იღებდა. ბოლოს ქალმა უპასუხა.

— მოგესალმებით, ქალბატონო, — ჩასძახა ყურმილში ჩავლეიშვილმა, — ბაკურ ცეცხლაძეს ხომ ვერ დამალაპარაკებთ?

— ბაკური შინ არ არის, — მშვიდად უპასუხა ქალმა. — ვინ კითხულობს?

— მე გამომძიებელი ირაკლი ჩავლეიშვილი გახლავართ.

— გამომძიებელი? — ხმა შეეცვალა ქალს.

— დიახ. მაგრამ ნუ ღელავთ, ცუდი არაფერი მომხდარა. უბრალოდ, თქვენი მეუღლის სასტუმროსთან დაკავშირებით მქონდა რამდენიმე შეკითხვა. ხომ ვერ მეტყვით, შინ როდის იქნება?

— მხოლოდ ათი საათისთვის.

— გადაეცით, რომ აუცილებლად შემოვუვლი. და ძალიან გთხოვთ, ალარ ინერვიულოთ.

— სულაც არ ვნერვიულობ, — იხტიბარი არ გაიტეხა ქალმა, — ჩემი ქმარი ძალიან პატიოსანი ადამიანია.

ჩავლეიშვილი ქალს დაემშვიდობა და ყურმილი დაკიდა.

— ის კაცი კია ცეცხლაძე, მაგრამ არ მესმის, შენ რატომღა წაიკიდე ცეცხლი? — გაუკვირდა ღვინიაშვილს. — ხვალ დილით რომ გენახა, რა მოხდებოდა?

— არც არაფერი, მაგრამ საქმეს წინ წავიგდებ...

ერთი საათის შემდეგ ყველა ოპერატიულ თათბირზე შეიკრიბა. ანდრო მიროტაძემ მათ გამოუცხადა, — უფროსობასთან ვარ დაბარებული, ამიტომ თათბირს ვერ დავესწრებიო, — და ოთახი მაშინვე დატოვა. სამაგიეროდ თათბირზე ანა მორჩილაძე გამოცხადდა: უფროსი და დაბრუნებულიყო მოვლინებიდან და დედამისთან ის დარჩენილიყო. ყველანი შეთანხმდნენ, რომ პირველ რიგში, მუქარის წერილების ამბავი უნდა გაერკვიათ. ოპერატიული თათბირის შემდეგ ანა და ირაკლი ერთხანს დერეფანში შეჩერდნენ.

— თუ სასტუმროს მეპატრონესთან დღეს ნამდვილად წახვალ, იქნებ მეც გამიყოლო, — სთხოვა ანამ ჩავლეიშვილს.

— სიამოვნებით გაგიყოლებ, მაგრამ ისე, ამის აუცილებლობა ნამდვილად არ არის.

— მესმის, მაგრამ მაინც მინდა წამოსვლა.

ჩავლეიშვილმა თანხმობის ნიშნად, ქალს თავი დაუქნია. მოილაპარაკეს, რომ ერთმანეთს ცხრა საათისთვის, სამმართველოს გასასვლელთან შეხვდებოდნენ...

ირაკლიმ მამასთან მისვლა მხოლოდ რვა საათისთვის მოახერხა. გზაში ნამცხვრები და ყავა იყიდა. ცოტნე, როგორც ყოველთვის, სახელოსნოში აღმოჩნდა. მოლბერტის წინ იდგა და ერთ წერტილს მიშტერებოდა. უფროსი ჩავლეიშვილი მთელი ცხოვრება შემოდგომის პეიზაჟებს ხატავდა და ყიდდა. „მამაჩემისნაირებს ალბათ „ბაზრის მხატვრებს“ ეძახიან, — გაიფიქრა ირაკლიმ, — მე კი თავს „ბაზრის პოლიციელად“ ვგრძნობ.

ცოტნეს ახალგაზრდა ცოლი მშობლების სანახავად იყო წასული. მამაშვილმა ერთხანს ბანქო ითამაშა. ირაკლი ყველანაირად შეეცადა, სამსახურზე არ ელაპარაკა, თუმცა არც ცოტნეს უკითხავს რამე. ერთი სიტყვით, მათმა შეხვედრამ ამჯერად სრულიად მშვიდად ჩაიარა. მამისგან გამოსულმა ჩავლეიშვილმა ვერაფრით გაიხსენა, ბოლოს ასე უპრობლემოდ როდის დასცილდნენ ერთმანეთს.

ირაკლის ანა დათქმულ ადგილზე დახვდა და ცოტა ხანში სასტუმროს მეპატრონესთან გასწიეს. ანას სასიამოვნო სუნამო ესხა. ჩავლეიშვილმა ამ სურნელს ფიქრში რატომღაც, „უპრეტენზიო“ უწოდა. ერთხანს ხმას არც ერთი არ იღებდა. ირაკლი იმ უსიამოვნო საუბარზე ფიქრობდა, რომელიც წინ ელოდა.

— მომიყვები, პოლიციაში რამ მოგიყვანა? — ჰკითხა მან შემდეგ ანას.

— ახლა — არა... სხვა დროს.

— იმედია, ეს „სხვა დრო“ ოდესმე მართლა დადგება.

— უცნაურია... — თავისთვის ჩაილაპარაკა ანამ, რომელიც მანქანის გვერდითა სარკეს თვალს აღარ აცილებდა.

— რა არის უცნაური? — დაინტერესდა ირაკლი.

— ცხოვრებაში პირველად ვიღაც მომდევს, უფრო სწორად — მოგვდევს. თუმცალა შენ ალბათ მსგავს სიტუაციაში ბევრჯერ ყოფილხარ.

ჩავლეიშვილი მიხვდა, რომ ქალი არ ხუმრობდა და სარკეში ჩაიხედა.

— შენი აზრით, რომელი მანქანით მოგვდევენ?

— „მერსედესით“.

— ოჰო, „მერსედესი“ კარგია...

— სულ ტყუილად ხუმრობ, — გაეცინა ანა.

— საიდან დაასკვენი, რომ მაინცდამაინც ჩვენ მოგვდევენ?

— იქიდან, რომ თავიდანვე კვალში ჩაგვიდგნენ. თითქმის პოლიციის სამმართველოდან მოგვყვებიან.

— დარწმუნებული ხარ? — ახლა კი მართლა დასერიოზულდა ჩავლეიშვილი.

— დარწმუნებული რომ არ ვიყო, ხმას საერთოდ არ ამოვიღებდი.

უეცრად ირაკლიმ იგრძნო, შიში მტაცებელივით როგორ მიეპარა...

შემდგომში ხშირად იხსენებდა ამ წუთებს. მოეჩვენა, თითქოს ვიღაცამ ყელში ხელი გამეტებით წაუჭირა. ეს იმდენად ცხადი შეგრძნება იყო, რომ ერთი წამით სული მართლა შეეხუთა და კინაღამ საჭეს ხელი უშვა. ერთადერთი, რაც იმ წუთებში უნდოდა, მანქანაში მარტო დარჩენა იყო — მაშინ ყველაფერი ბევრად უფრო მარტივად გადაწყდებოდა, რადგან ანას არაფერი დაემუქრებოდა.

უეცრად წინ დიდი, გაჩახჩახებული ავტოგასამართი სადგური გამოჩნდა. ჩავლეიშვილმა მაშინვე იქითკენ შეუხვია. „მერსედესმა“ კი გზა მშვიდად გააგრძელა. მანქანის ნომრის გარჩევა ვერც ერთმა ვერ მოახერხა. გარკვევით არც ის ჩანდა, თუ შიგნით რამდენი ადამიანი იჯდა. ჩავლეიშვილმა მანქანა გააჩერა.

— მგონი, მაინც შეცდი, — უთხრა მან ანას.

— არა, — უარის ნიშნად თავი გამეტებით გაიქნია ქალმა. — ნამდვილად ჩვენ მოგვყვებოდნენ. თავიდან ყურადღება არ მიმიქცევია. მაგრამ როცა ორჯერ ზუსტად იქ შეუხვიეს, სადაც შენ და ერთხელაც კი არ სცადეს გასწრება, თუმცალა სიჩქარეს უკლებდი ხოლმე, მაშინ უკვე ყველაფერს მივხვდი.

ირაკლი მანქანიდან გადავიდა, კაპოტი ახადა და თან, ირგვლივ ყველაფერს ყურადღებით ათვალიერებდა. შემდეგ ავზი ბოლომდე აავსებინა და ისევ მანქანაში დაბრუნდა.

— შენი აზრით, ვინ უნდა იყოს? — ჰკითხა მან ქალს.

პასუხად ანამ მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

„მგონი, მაინც მოეჩვენა“, — თავისთვის დაასკვნა ჩავლეიშვილმა და იგრძნო, შიშმა ნელ-ნელა როგორ გაუარა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ უკან „მერსედესი" მართლაც აღარ გამოჩენილა.

— ხომ ხედავ, არანაირი „მერსედესი" აღარ მოგვდევს, — გადაულაპარაკა კმაყოფილმა ირაკლიმ ანას.

— „მერსედესი" — არა, თეთრი „აუდი".

— რა?

— ახლა უკვე თეთრი „აუდი" მოგვდევს. წინ ორნი სხედან. შესაძლოა, კიდევ ერთი უკან იჯდეს, — ვითარება მშვიდად აუხსნა ჩავლეიშვილს ანამ.

მან კი მაშინვე ტელეფონი გაუწოდა:

— ღვინიაშვილს დაურეკე. ორივე მანქანის ნომრები უკარნახე და უთხარი, ძალიან სასწრაფოა-თქო.

— რა არის ძალიან სასწრაფო?

— თვითონ მიხვდება.

ღვინიაშვილმა ზარს მაშინვე უპასუხა. ანამ ნომრები უკარნახა და შემდეგ ყურმილი ირაკლის გადასცა:

— შენთან უნდა დალაპარაკება.

ირაკლიმ ქალს ყურმილი უკმაყოფილო სახით გამოართვა.

— რა იყო? — ჰკითხა მან ღვინიაშვილს.

— ეს საქმე ხვალამდე ვერაფრით მოიცდის? — კითხვაზე კითხვით უპასუხა ღვინიაშვილმა. — ძლივს სახლში ცოტა ადრე მოვახერხე გამოძრომა.

— ვერ მოიცდის, — ცივად მოუჭრა ჩავლეიშვილმა.

— მაინც რა მანქანებზეა ლაპარაკი?

— ამის ახსნის დრო არ მაქვს. ხვალ მოგიყვები ყველაფერს. ახლა კი საქმეს მიხედე და როგორც კი რამეს გაარკვევ, მაშინვე დამირეკე.

— რატომ არავინ მენდობა? — ხმაში წყენა დაეტყო ანას. — მაინცდამაინც შენთან რატომ უნდა გადაამოწმონ ყველაფერი?

— ნუ ბრაზობ, — დაუყვავა მას ჩავლეიშვილმა. — აქ უნდობლობა არაფერ შუაშია. უბრალოდ, შენმა გამოჩენამ ყველა დააბნია, რადგან განყოფილებაში ქალი არასდროს გვყოლია.

— ეგ უკვე ვიცი.

— კარგია, რომ იცი. ახლა კი დროა, ისიც დაიმახსოვრო, რომ დაგეშილი მწევრების ხროვა გახვევია გარს და თავისი შეხედულების შეცვლა ყველას ძალიან უჭირს.

— მათ შორის შენც?

— რა თქმა უნდა.

— როგორ ფიქრობ — ჩვენს მდევრებს რა ამოძრავებს? — საუბრის თემა სასწრაფოდ შეცვალა ანამ.

— არ ვიცი... ამ საქმეში საერთოდაც ბევრი უცნაურობაა. ხანდახან ისიც კი მეჩვენება, რომ სულ სხვაგან და სულ სხვა რამეს ვეძებთ.

— მე კი ვფიქრობ, რომ უბრალოდ ერთ ადგილს ვტკეპნით.

— ანდა ერთსა და იმავე წრეზე დავდივართ, მაგრამ ამას ვეღარ ვამჩნევთ...

ამასობაში მათ უკან მომავალი „აუდიც" სადღაც გაქრა. ჩავლეიშვილმა კი ქალაქის ძველ და ძალიან მყუდრო უბანში შეუხვია და მანქანა მითითებულ მისამართზე გააჩერა. ზარის ღილაკზე თითის დაჭერა და კარის გაღება ერთი იყო. ზღურბლზე სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი, ხანში შესული მამაკაცი გამოჩნდა და გამომძიებლები უნდოდ შეათვალიერა.



ირაკლიმ მაშინვე მოწმობა ამოიღო:

— მე გამომძიებელი ჩავლეიშვილი გახლავართ. ეს კი ჩემი კოლეგა ანა მორჩილაძეა.

სანამ მამაკაცი მოწმობას აკვირდებოდა, ზღურბლზე მასსავით ხანში შესული ქალი გამოჩნდა და სტუმრები გულღიად შეიპატიჟა შინ:

— მობრძანდით, რა კარში დგახართ?!

მამაკაცი იძულებული გახდა, განზე გამდგარიყო და გამომძიებლები სახლში შემოეშვა.

ფართო ოთახში, სადაც მასპინძლები სტუმრებს შეუძღვნენ, დაბალ მაგიდაზე ნამცხვრებიანი თეფში და ყავადანი იდგა, რომელსაც ორთქლი ასდიოდა. კმაყოფილი ჩავლეიშვილი უკვე სავარძელში მოხერხებულად მოკალათებას აპირებდა, როცა უეცრად კედელზე რაღაც ნახატს მოჰკრა თვალი. „შეუძლებელია", — გაიფიქრა მან. მერე ნახატს მიუახლოვდა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კედელზე, გამოსაჩენ ადგილას, მამამისის მიერ შესრულებული შემოდგომის პეიზაჟის ერთ-ერთი ვარიანტთაგანი ეკიდა. ამის შემდეგ გამომძიებელს სახეზე ისეთი გაკვირვება გამოესახა, რომ მისმა შემხედვარე ანამ წამით ისიც კი იფიქრა, რაღაც სამხილს ხომ არ მიაგნოო?.. მაგრამ მერე ჩავლეიშვილმა თავი ისე გააქნია, თითქოს აბეზარი ფიქრების გაფანტვას ცდილობსო და სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა.

— ასე გვიან შეწუხებისთვის ბოდიშს გიხდით, — დაიწყო მან, — მაგრამ საქმე არ იცდის.

— ყავას მაინც ხომ მიირთმევთ? — დაინტერესდა დიასახლისი.

— სიამოვნებით, — თავი დაუკრა ირაკლიმ ქალს და თან, მეორე სავარძელში მოკალათებულ ანას გვერდულად გახედა.

ჩავლეიშვილი ცოტა არ იყოს უხერხულად გრძნობდა თავს, რადგან დარწმუნებული იყო, ანა ცეცხლაძეების ოჯახში მხოლოდ იმისთვის გამოჰყვა, რომ ენახა, ამ ადამიანებს როგორ დაჰკითხავდა. „ნეტავ, რისი იმედი აქვს? — გაიფიქრა მან. — რა უნდა ისწავლოს ჩემისთანა ადამიანისგან, ვისაც მგონი, თავადაც ყველაფერი ხელახლა აქვს დასაწყები?"

— ერთი წლის წინ სასტუმრო გქონდათ სახელწოდებით...

— „ძველი ეზო", — კითხვის ბოლომდე დასმა არ აცადა ცეცხლაძემ.

— დიახ.

— ასეთი სასტუმრო ნამდვილად გვქონდა. თანაც, ერთი და ორი კი არა, მთელი ათი წელი ვამუშავებდით.

— ათი წელი არც ისე მცირე დროა. მერე რა მოხდა?

— მერე, მაგდანას ლურჯასი არ იყოს, არც ვაჭმევდით, არც ვასმევდით და... — სიმწრით გაეღიმა ცეცხლაძეს. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით... ერთი წლის წინ ძალიან შეგვავიწროეს და ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინეთ.

— ვინ შეგავიწროვათ?

— გრძელი და ტრივიალური ამბავია, დღეს ჩვენს ქალაქში ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ ხდება, ისეთი...

— კომპენსაცია მაინც თუ გადაგიხადეს?

— კი. და არცთუ ურიგო, მაგრამ საყვარელი საქმის დაკარგვას ვერანაირი კომპენსაცია ვერ აზინაზღაურებს. თან, ძალიან შეურაცხყოფილადაც ვგრძნობ თავს. ჩემი შვილი რომ არა, ასე ადვილად მაინც არ დავნებდებოდი.

— შვილი თბილისში ცხოვრობს?

— არა, საფრანგეთში. მაგრამ დღედღეზე დაბრუნებას აპირებს და პრობლემები აღარ დავახვედრე. არადა, იცით, უკვე რამდენი მუდმივი კლიენტი გვყავდა და თან, რამდენი ცნობილი ადამიანი ჩერდებოდა ჩვენთან?! სხვათა შორის, ყველა ჟურნალი შენახული მაქვს. შემიძლია, თქვენც გაჩვენოთ.

ირაკლიმ და ანამ ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს: მთავარ კითხვაზე პასუხი მათ პრაქტიკულად უკვე ჯიბეში ედოთ...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

სევდა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com



დასაწყისი

# წამებული ანგელოზი

ბესო კიბის ბოლოში ელოდებოდა. ნანათე ზემოდან მოადგა მოაჯირს, გაღიმებული და ოდნავ ანერვიულებული. იქნებ ძალიანაც, თუმცა, ცდილობდა, არ შეემჩნია. სარკემ, რომელშიც გამოსვლის წინ ჩაიხედა, უთხრა, არაჩვეულებრივად გამოიყურებიო. ბესომ ამოხედა და მისმა თვალებმა მეტი უთხრეს, ვიდრე საკუთარმა სარკემ. ამას მიხვდა ნანათე და იმასაც, რომ რაღაც ვერ იყო რიგზე, ოღონდ, ამის გაფიქრებაც არ უნდოდა. ბოლო დროს რამდენმა „ახარა", ბესო ვიღაც გოგოსთან ერთად დავინახეთ, საეჭვოდ ჩახუტებულები შარდენზე სეირნობდნენო. როცა იგი ამის გარკვევას შეეცადა, მამაკაცს წარბიც არ შეუხრია, ჩემი ბავშვობის მეგობარია, პრობლემები აქვს და ვეხმარებიო... როგორც ჩანს, მართლა გაუჩნდა ბესოს პრობლემები, ოღონდ, არა იმასთან, ვისთანაც ბოლო დროს სეირნობდა, არამედ მასთან, ნანათესთან. ახლავე გაირკვევა ყველაფერი. ნელა ჩამოუყვა საფეხურებს, რაც შეიძლებოდა ლამაზად, როგორც სჩვეოდა, რხევა-რხევით. კარგად დააკვირდეს ვაჟბატონი და მიხვდეს, როგორ ქალს კარგავს.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

მშრალად მიესალმნენ ერთმანეთს. ბესო თვალს ვერ უსწორებდა შეყვარებულს... ალბათ, უკვე ყოფილს. ამას აშკარად გრძნობდა ნანათე.

რამდენიმე წუთი არც ერთი ხმას არ იღებდა.

— სულ ეს არის? — ცალყბად გაიღიმა გოგონამ.

— ჰმმმმმ! — ყრუდ ამოიგმინა ბესომ და პიჯაკის საყელო ისე აიწია, თითქოს სიცივემ შეაწუხაო.

— ალბათ, ჩემსავით საწყალი არ არის, რადგან ასე მოგხიბლა, — ცივად დაასკვნა ნანათემ.

— მართლა ძალიან ვწუხვარ, ნან, არ მეგონა, ასე თუ წავიდოდა საქმე, — ტუჩები ლამის ყელის კოვზზე მიიბჯინა მამაკაცმა.

— არა უშავს, — მშვიდად უპასუხა გოგონამ და ხელისგული კისერზე მოისვა, — მჯერა შენი, მაგრამ ალბათ უმჯობესია, წავიდე. არაფრის ახსნა არ არის საჭირო.

— მაგრამ მე...

— ძალიან გთხოვ! ნუ მაიძულებ, სცენები გაგიმართო! ხომ იცი, არ მიყვარს! ახლა მარტო მირჩევნია ყოფნა. წადი და შენს სინდისზე იყოს! — მეორე ხელი გაშლილად აიფარა წინ, თითქოს შეაჩერა მამაკაცი, მერე გამომცდელად შეხედა მის აღელვებულ სახეს და ნიშნის მოგებით გაიღიმა.

ბესომ თმაზე გადაისვა ხელი, ასეთი დაბნეული ნანათეს ჯერ არ უნახავს იგი. იქნებ არ ეთმობა?

— კარგი, წავალ. ალბათ, მართლა ჯობია, თავი დაგანებო, — ძლივს გასაგონი ხმით ჩაიბურტყუნა და თავი დახარა.

იცოდა ბესომ, რომ ის ღალატს არასდროს აპატიებდა და არც მის ბოდიშებს მიიღებდა. ამიტომ, ახლა საუკეთესო გამოსავალი იყო, სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას.

ასეც მოიქცა. თავი უაზროდ გადაიქნია, ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო და ხტუნვა-ხტუნვით ჩაუყვა საფეხურებს.

ნანათემ ნაღვლიანი მზერა გააყოლა... ცრემლიანიც. აი, ამ წამს იგრძნო, როგორ აუწყლიანდა ლამაზი თვალები... რა ჯიუტია ეს ცრემლი! როცა ნანათეს სურს ტირილი, მაშინ არა და არ აეტირება და როცა არ უნდა, მაინცდამაინც იმ მომენტში წვიმის წვეთებივით დაეკიდება თვალის უპეებზე! ამ დროს საკმარისია, ქუთუთოები აახამხამოს, რომ მლაშე ცრემლები წკაპანით ჩამოუგორდება ღაწვებზე. არა უშავს, იტიროს, მერე რა? მთავარია, ბესომ არ დაინახოს. ოღონდ ახლა არ ამოიხედოს მაღლა, ოღონდ ახლა არ შეამჩნიოს ფრთებდაჭრილი და სასოწარკვეთილი თეთრი ანგელოზის ცრემლები.

თეთრი ანგელოზი... გაცნობის დღიდან ასე შეარქვა მამაკაცმა. აწი ვინღა შეადარებს ანგელოზს, თანაც თეთრს? არც არავინ. რა ქნას, ხომ არ დაუძახოს? იქნებ მოაბრუნოს? ასე როგორ გაუშვას? არ სჯობია, გულში დაგროვილი ბოღმა მასზე გადაანთხიოს და შვება იგრძნოს? მაგრამ მოჰგვრის კი შვებას ისტერიკა და წივილ-კივილი? რომ არ სჩვევია ასე? ყოველთვის მდუმარედ რომ ხვდება ხოლმე რთულ სიტუაციებს? მუდამ ვაჟკაცურად რომ იტანს ბედისწერის შემოტევებს? არა, არ დაუძახებს...

ის მაინც ეთქვა, რაც წამის წინ მოხდა. რომ სულ სხვა სამყაროში გადაინაცვლა ამ შეხვედრის შემდეგ, ბნელ, ცივ, უწყლო და უჰაერო სივრცეში, სადაც თვალთან თითს ვერ მიიტანს ადამიანი... ხოლო მისი სამყარო, ჩვეულებრივი, თბილი, ნათელი და ბედნიერებით გაჯერებული, წამში ნამსხვრევებად იქცა

ეროვნული ბიბლიოთეკა



და არც კი შეეცადა ამ ნამსხვრევების შეგროვებას და შეკოწიწებას.

რა უნდოდა საერთოდ, რას ერჩოდა? რატომ შეაყვარა თავი, თუკი ასე გაწირავდა? ჯერ მხოლოდ 6 თვეა, ერთად არიან და უკვე ყველაფერი მორჩა. ბესომ შინაგანად აიძულა, ნანათეს მისთვის ყურადღება მიექცია, შეემჩნია, ეგრძნო იგი, ეფიქრა მასზე. აიძულა, სიხარულით მეცხრე ცაზე აფრენილიყო და ბოლოს მონადირის ტყვიით ჩამოგდებული მერცხალივით დანარცხებოდა ქვაფენილს. თანაც, როგორი ტკივილი იგრძნო დაცემისას. მიზეზი მათი განშორებისა, ერთდროულად, მარტივიც იყო და რთულიც, ისევე, როგორც ცხოვრება. ეს მიზეზი ერთ უბრალო და ძალიან ლამაზ სიტყვაში ეტეოდა — სიყვარული. ნანათეს უყვარდა ბესო, ბესოს კი სხვა... ხოლო ის სხვა მასზე ყოჩაღი აღმოჩნდა, მასზე მოხერხებული. ერთი თვეც არ დასჭირვებია, რომ აეწაპნა ნანათესთვის საყვარელი მამაკაცი. სულ რაღაც ერთი თვე!

ბესო თავდგირიძე! მისი თანამშრომელი. ოფისის უფროსი მენეჯერი. პირველად რომ დაინახა, ეგრევე შეუქანდა გული. მიხვდა, რომ მის თავს რაღაც უცნაური ხდებოდა. ჯერ შორიდან ესიყვარულებოდა, არაფერი უგრძნობინებია. ის ლამაზი იყო, მოხდენილი, ქალების გულთამპყრობელიო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი, თანაც შეუბღალავი რეპუტაციით სარგებლობდა თანამშრომლებში. სწორედ ამით იზიდავდა ყველას. მერე, დროთა განმავლობაში, ნანათე სხვა ქალებისგან „გამოაცალკევა“ და თავისი ყურადღების ღირსად ჩათვალა, რამაც საგონებელში ჩააგდო გოგონა. ვერ დაიჯერა, რომ მას ხვდა პატივი წილად, ბესოს რჩეული დარქმეოდა. არადა, მის დაქალებს არასდროს მოსწონდათ იგი. ძალიან თავმომწონეა, ეგოისტი, ზემოდან გვიყურებს, აშკარად გვაგრძნობინებს, რომ ჩვენზე მაღლა დგასო... და რატომ? რით იყო ბესო მასზე და მის მეგობრებზე უკეთესი? მხოლოდ იმით, რომ სიმდიდრე ჰქონდა. მამამისი ცნობილი ბანკირი იყო და მათ ოჯახს თბილისში ყველა იცნობდა. შესაბამისად — ბესო სასურველ სასიძოდ მიიჩნეოდა დედაქალაქში.

ნანათე კი კბილებით იცავდა შეყვარებულს. გოგონებს არწმუნებდა, თქვენ მას ახლოს არ იცნობთ და ასე იმიტომ მსჯელობთო. თქვენ ისე არ გესმით მისი, როგორც მე მესმისო. მისი ეგოიზმი კი აღზრდის ბრალია, თორემ შინაგანად პატარა ბავშვივითაა, მიმნდობი და გულუბრყვილოო. ზერელედ არ ამბობდა ამას, მართლა სჯეროდა თავისი სიტყვების. ეგონა, რომ ერთადერთი, რაც ბესოს ცხოვრებაში აკლდა, კარგი ქალის სიყვარული იყო... ისიც ეგონა, რომ სწორედ თავად იყო ასეთი ქალი და ადვილად შეძლებდა მის გარდაქმნას. რა სულელი ყოფილა! ბესო ბესოდ დარჩა, თვითონ კი სწორედ რომ შეიცვალა.

მორჩა! დამთავრდა მისი სიყვარულის ისტორია, ბესომ დანა გამოუსვა ამ ისტორიას ყელში და მოკლა!

ნანათემ ამოიკვნესა, თან ისე მწარედ, რომ ცრემლი ღვარად დაედინა ლაწვებზე. მუშტებით ამოისრისა თვალები და კიბეს მძიმედ აუყვა. ახლა აღარ იგრძნობოდა მის მიმოხრაში წელანდელი გრაცია. ახლა აღარაფერი უხაროდა, აღარავის ეპრანჭებოდა და არც არავისთვის უხდებოდა დამტკიცება, როგორ ქალს კარგავდა მისი სახით...

3 დღე აწყნარებდნენ ცისია და მეკო. 3 დღე გვერდიდან არ მოსცილებიან დაქალები. ორ ხმაში აგინებდნენ ბესოს, ლანძღავდნენ. წამითაც არ დაინდვეს მოღალატე შეყვარებული და არც ნანათეს დააკლეს საყვედურები — ხომ გეუბნებოდით, რა ნაგავიც იყო, შენ კი არ გჯეროდაო.

პარალელურად, სამსახურიდან ურეკავდნენ, რატომ არ დადიხარ, ცუდად ხომ არ ხარო. ცდილობდა, მხიარულად ეპასუხა, წამოვედი თქვენგან, ახალი სამსახური ვიშოვე, უკეთესი პირობებით და უკეთესი თანამდებობითო. არადა, ისეთ დღეში იყო, სად ეცალა სამუშაოდ! დანა პირს არ უხსნიდა. ისე, მეორე დღესვე დაურეკა დირექტორს და უთხრა, მუშაობას თავს ვანებებ, ამ დღეებში გამოვალ და საბუთებს წავიღებო.

ასეც მოიქცა. მეოთხე დღეს გამოიპრანჭა. ისე ლამაზად გამოიყურებოდა, როგორც არასდროს და მაღალ ქუსლებზე შესკუპებულმა სულ პაკიპუკით შეაღო ოფისის კარი. მის დანახვაზე ატყდა ერთი ჟრიამული, ხვევნა-კოცნა, მოკითხვები, გამოკითხვები... ძლივს გაითავისუფლა თავი თანამშრომლებისგან, მერე კადრების განყოფილებაში გადავიდა, განცხადება დაწერა გათავისუფლების თაობაზე და საბუთებიც წამოიღო.

ბესო არ უნახავს. ან არ იყო იმ დროს ადგილზე, ან დაემალა. აბა, სად ჰქონდა გამოსაჩენი თავი. სამსახურში ისედაც მალავდნენ ურთიერთობას. ბესო სულ ეუბნებოდა, არ მინდა, ვინმემ გაიგოს ჩვენი ამბავი. რაც მეტს ეცოდინება ჩვენ შესახებ, მით მეტი ჭორი აგორდებაო. როგორც ჩანს, სამსახურებრივ რომანს გაურბოდა. სხვანაირად როგორ აიწევდა კარიერისტულ კიბეზე მისნაირი რეპუტაციის „ყმაწვილი“!

ახლა როგორ მოიქცეს? ისედაც როგორ უჭირს. ჯერ იყო და, მთელი წელი ნაქირავებში ცხოვრობდა, მერე ცისიამ შეიკედლა. უფრო სწორად, თვითონ გათხოვდა და თავისი ოროთახიანი ბინა ნანათეს გადაულოცა, სანამ გაგიხარდება, იცხოვრე, მე ისეთი მდიდარი კახა შემხვდა, ბინის გაქირავებაც კი არ მჭირდებაო. გაახარებს ღმერთი! გადაარჩინა ბავშვობის მეგობარმა.

როგორ გაუმართლა ცისიას. კარგია, რომ ასეთი მეგობრები ჰყავს. ნეტავ, ყველა მდიდარი იყოს და ყველამ ასე იზრუნოს მასზე. რაღა უჭირდა მაშინ! აი, მეკოსაც რომ ასე გაუმართლებდეს, მის ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. ისიც ამოუდგება მხარში. ჰმ!.. გაეღიმა. მთელი ცხოვრება ასეა. სულ სხვებზე ფიქრობს, სულ სხვებზე ზრუნავს და თავისთვის ერთხელ არ ინატრებს არაფერს.



აი, მეკო დროებით მასთან გადმოსახლდა. შეეცოდა დაქალი, დარდისგან არ გაგიჟდესო და „სოლიდარობა“ გამოუცხადა. კარგია, რომ გადმოვიდა. ერთად რომ იქნებიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლებად შეაწუხებს სულის ტკივილი.

შინ დაბრუნებულს მეკო თვალებგაბრწყინებული დახვდა.

— აი, რა მოვიპოვე! — თაბახის ფურცელი ააფრიალა და შიშველი ფეხებით ლოგინზე ახტა.

— ეს რა არის? — მის მაღლა აწეულ ხელს მზერა გააყოლა ნანათემ.

— მისამართები.

— რა მისამართები?

— ვაკანსიების. ჩვენ უკეთეს სამსახურს ვიშოვით! — წამოიძახა მეკომ და ისე ახტუნავდა საწოლზე, თითქოს ბატუტზე იდგა.

— რა ვაკანსიებია?

— უამრავი. ინტერნეტით უნდა გადავგზავნოთ შენი სივი და დაველოდოთ. სხვა თუ არაფერი, შენს ფოტოს რომ დაინახავენ, მარტო მაგის გამო მიგიღებენ.

— კარგი, რა, ნუ სულელობ! — უიმედოდ ჩაიქნია ხელი ნანათემ.

— აგერ ნახავ, თუ ვსულელობ! მაცალე ცოტა ხანს!

ნანათემ ამოიოხრა და საბუთებიანი ფაილი მაგიდაზე მოისროლა.

— ჰო, მართლა, ცისია იყო მოსული და 100 ლარი დატოვა.

— 100 ლარი? რისთვის?

— ისე, უბრალოდ, საჭმელი არ მოიკლოთო.

— ბევრი მაქვსო? — სამზარეულოში გასულმა ნანათემ თავი გამოყო და ისე გამოსძახა მეგობარს.

მეკო საწოლიდან ჩამოხტა და ხალათის ჯიბიდან ასლარიანი ამოიღო.

— ასეთები იმდენი მაქვსოოოო! — რაც შეიძლებოდა, მხიარულობდა, რომ მეგობრისთვის სევდა გაექარვებინა.

— მერე მეტი ვერ დატოვა, მაგდენი თუ აქვს? — გაიხუმრა ნანათემაც და ყავის მოდუღებას შეუდგა.

— თქვენი აზრით, საათის რომელია?

წარბებშეჭმუხნილმა გოკიელმა მისკენ ირიბად გამოიხედა. ნანათემ კედლის თეთრ საათს ახედა.

— ახლა ეეე... თითქმის ათის ნახევარია, — ქოშინით ამოთქვა.

— და რომელზე გეწყებათ სამსახური?

— ცხრაზე.

— ყოჩაღ! — თეატრალური ტაშით „დააჯილდოვა" ახალმა უფროსმა გოგონა.

ნანათემ იგრძნო, როგორ გაუხურდა ღაწვები. ახლა ალბათ შემწვარ კიბორჩხალას დაემსგავსა. რა საშინლად გამოიყურება, როცა გაწითლებულია. ვერ იტანს თავის თავს ამ დროს. ოფლმა დაასხა და უხერხულობის დასაფარავად ჩაახველა. უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა. აბა, რა ქნას? მეტროდან აქამდე მთელი გზა სირბილით გამოიარა და მაინც დააგვიანდა, არადა, დროულად გამოვიდა სახლიდან. რა მისი ბრალია, თუკი ხელოვნური პრობლემა შეექმნა გზაში? ლიფტში რომ ჩაჯდა, პირველ რიგში ჩაჩხული კოლჰოტი ამოიწია და მერე ჩაიხედა სარკეში. ლამაზად დაყენებული თმა ისე გასწეწოდა, როგორც ზღაპრებში ბოროტ ჯადოქრებს. ესეც ასე! დღე ბრწყინვალედ დაიწყო, აი!

თან რა საცოდავად გამოიყურება ახალ უფროსთან შედარებით! ილია გოკიელი შავ პიჯაკსა და ნაცრისფერ შარვალში, ნაცრისფერივე პერანგითა და შავი ჰალსტუხით თვალისმომჭრელად გამოიყურებოდა. „ეს ღილი მაინც შეეხსნა პიჯაკზე", — გაიფიქრა ნანათემ, — „რა მრისხანე გამომეტყველება აქვს!"

მამაკაცს მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა, ხოლო ამღვრეული ტალღისფერი თვალები გაბრაზებულს კიდევ უფრო ამღვრეოდა. საუბრისას შავ წარბებს მორიგეობით აზიდავდა ხოლმე. ამწუთას ტუჩები ძლიერად მოეკუმა და მის გამოხედვაში მრისხანების მეტი არაფერი იკითხებოდა.

— იცით, რომ დააგვიანეთ? — თითქოს დასცინა ილიამ.

— ვიცი, რომ დავაგვიანე, — ირონიულად დაეთანხმა გოგონა და, როგორც იქნა, ქოშინი შეწყვიტა, — მაგრამ ვიღაც მოხუც ქალს დავეხმარე. მეტროში ვერ ჩადიოდა საწყალი და ჩავაცილე...

— თქვენ გარდა, სხვა არავინ გამოჩნდა გამცილებელი?

— არ ვიცი... ალბათ გამოჩნდებოდა, მაგრამ მან მე მთხოვა და რა მეთქვა? იცით, ბებო, სამსახურში მაგვიანდება და ვერ დაგეხმარებითმეთქი? წამით ჩემი თავი წარმოვიდგინე სადღაც, მაგალითად... — სერიოზულად ჩაფიქრდა ნანათე, მნიშვნელოვან შედარებას ეძებდა, — ეეე... მაგალითად, ჯუნგლებში რომ დავკარგულიყავი და ვინმესთვის დახმარ...

— შეწყვიტეთ უაზრო ლაპარაკი, თუ შეიძლება! — გაუწყრა ახალი უფროსი. — საერთოდ არ მაინტერესებს, რატომ დააგვიანეთ. ერთადერთი, რაც ახლა მანაღვლებს, თქვენი უპასუხისმგებლობაა. ასეთ პრესტიჟულ ფირმაში მუშაობა თქვენ რა, ღომის ჭამა გგონიათ? — დაღლილი მზერა ესროლა გოკიელმა.

— არა, არ მგონია, — თავი გააქნია გოგონამ, — ღომის ჭამა სულაც არ არის ადვილი, განსაკუთრებით, დანა-ჩანგლით.

— როგორც ჩანს, ჩვენ ვერ მოვრიგდებით ასე! — ხმას აუწია უფროსმა. — თუ ასე გააგრძელებთ, ვადაზე ადრე დავემშვიდობებით ერთმანეთს! იცით, ელისო როგორი მოწესრიგებული მენეჯერია? არ მახსოვს, ერთხელ მაინც მიმეცა მისთვის შენიშვნა. მასზე ყოველთვის შემეძლო დაყრდნობა, თქვენ კი დამაღალატეთ.

„მოწესრიგებული!" — ეს სიტყვა უკვე ყელში ჰქონდა ამოსული ნანათეს, უკვე მერამდენედ ესმოდა. არ გაუხურა საქმე ამ ელისოთი?! წარმოუდგენია, როგორი იქნება! მოჰბეზრდა უკვე იდეალური ელისოს ხოტბების გაგონება. თურმე ისეთი კვალიფიციურია, რომ მისნაირს მეორეს ვერ იპოვი, საქმეში სწრაფი, გონებაგახსნილი და იდეების გენერატორი! ნეტავ, რატომ გაიკეთა ცხვირის ოპერაცია? გრძელი და მოკაუჭებული ცხვირი ჰქონდა? თუ ამ ბებერს ეპრანჭება?! — ღიმილის დამალვა სცადა გოგონამ.

დაიღალა ნანათე. უკვე ერთი კვირაა მუშაობს და ვერა და ვერ დაუდო გული საქმეს, ვერ შეეგუა აქაურობას. არ მოსწონს არც თავისი კაბინეტი, რომელიც სინამდვილეში ელისოს ეკუთვნის, არც თავისი უცხვირპირო უფროსი, სულ რომ ჯუჯღუნებს და დისციპლინას მოითხოვს და არც თანამშრომლები მაინცდამაინც, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ დაუახლოვდა. ვინ იცის, იქნებ იმიტომაც, რომ დროებითია მისი სამსახური? მხოლოდ ელისოს გამოსვლამდე უნდა იმუშაოს, ეგ არის და ეგ. არც ეს უნდოდა, მაგრამ მეკომ ტვინი შეუჭამა, თავი გამოიჩინე, დაანახვე, რომ შეგიძლია და ვინ იცის, იქნებ დაგტოვონ კიდევაცო. უჰ... ტყუილი იმედია. დატოვებას პირი არ უჩანს. დატოვება კი არა, ახლა ისეთი დღე დააყარა ილიამ, შეიძლება დღესვე დაითხოვოს სამსახურიდან. არადა, სხვა არც არავინ გამოეხმაურა მის სივის. ან კი ვინ დაინტერესდებოდა მისით? რომელი მდიდარი სივი მას აქვს? ერთი კინკილა უნივერსიტეტი დაამთავრა და ორი წელი იმუშავა ბანკში. მორჩა! ისე, ბანკში ნამუშევარი ალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათ მაცდურად ჟღერს. იქ ხომ ყველაზე მოწესრიგებული ატმოსფეროა, საათივითაა აწყობილი მუშაობის მექანიზმი. ჰმ!.. ეს გარედან ჩანს ასე, თორემ... არც იქ არის ყველაფერი რიგზე. თუმცა, დისციპლინას იქაც მკაცრად ითხოვდნენ. აბა, ერთი კარგი დედის შვილი იყავი და ერთი წუთით დაგგვიანებოდა?! ეგრევე გაფრთხილებას მოგაკრავდნენ შუბლზე...

მაგრამ აქ უარესი პირობებია. უარესი კი არა, კაბალური! დაგვიანებისთვის ჯარიმებია დაწესებული. არავითარი გაფრთხილება, პირდაპირ ჯარიმა და მორჩა! პირველ ჯერზე ხელფასის ერთი პროცენტი, მერე სამი, მერე ხუთი, მერე ათი და ბოლოს... „მშვიდობიიიიით, უკან მოხედვა ძნეეელიააა!“ — გონებაში ერთი უნიჭო სიმღერის მელოდია ამოუტივტივდა ნანათეს. კვლავ გაეღიმა.

ილია კი არ ჩერდებოდა, ბურტყუნებდა და ბურტყუნებდა თავისთვის.

— მე ხომ მოგიხადეთ ბოდიში, მეტი რა ვქნა? — ველარ მოითმინა ბოლოს გოგონამ და შეწუხებული სახით შეხედა უფროსს.

მისმა ნათქვამმა ილიაზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. მისი ისედაც ლურსმანივით გამოხედვა უარესად გამჭოლი და ბრაზიანი გახდა. მან ვაჭრული მზერით აათვალიერა გოგონა ქვემოდან ზემოთ და ბოლოს მის განეწილ თმას დააშტერდა დაჟინებით. ვინ იცის, ამწუთას იქნებ ფიქრობს — ამან რა უნდა გამიკეთოს, საკუთარი თმა ვერ დაუვარცხნია წესიერადო! ამის მაგივრად უფროსმა სხვა რამე თქვა.

— მე ხელფასს ვუხდი ჩემს თანამშრომლებს და მოვითხოვ, პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთ საქმეს. თქვენ ალბათ, გგონიათ, რომ ხელფასს მხოლოდ ლამაზი თვალების გამო გიხდიან!

ნანათეს თანდათან ელეოდა მოთმინება. რა სიამოვნებით მიატოვებდა ახლა აქაურობას, პრობლემები რომ არ ჰქონდეს! როგორი ხისთავიანი კაცია! ხომ მოუბოდიშა? რატომ აგრძელებს ისევ თავისას? თვითონაც იცის, რომ დააგვიანა და დამნაშავეა, მეტი რა ქნას?

— გარდა ამისა, სხვებსაც უშლით ხელს მუშაობაში, მათი გაცდენის მეტს არაფერს აკეთებთ!

ამის გაგონებაზე ყბა ჩამოუვარდა.

— მე... მე არავის ვაცდენ! — შეეცადა, წყობილებიდან არ გამოსულიყო და ყვირილი არ დაეწყო, ისე გაგულისდა.

— რა ვიცი, მთელი დღე ან დერეფანში დგახართ, ან რომელიმე ოთახიდან ისმის თქვენი ლაპარაკის ხმა.

— იცით, რა? მე იმისთვის ველაპარაკები სხვებს, რომ გავიცნო და ეს ხდება, სხვათა შორის, ძალიან იშვიათად. აქ, როგორც ვატყობ, რობოტების საწარმოა, სადაც ადამიანებმა სამუშაო საათებში ერთმანეთს ხმა არ უნდა მიაწვდინონ. მე ასე არ ვარ მიჩვეული. ერთი კვირაა, დავდივარ და თქვენგან ერთ „დილა მშვიდობისას“ ვერ ვეღირსე! — გააპროტესტა ნანათემ და თვალები დააკვესა.



ილიას შავი წარბები ღრუბლების გროვას დაემსგავსა.

— წუწუნებთ კიდევაც? ელისოს ასე არ...

— ელისო ელისოა, — თავხედურად გააწყვეტინა, — მე მე ვარ! მას ალბათ მოსწონს, როცა პრინტერივით ექცევიან. ჩადებენ შიგ ქაღალდს და ისიც მორჩილად ამობეჭდავს.

მამაკაცმა გაოცებით შეხედა. ნათლად ჩანდა, თანამშრომლებისგან ამგვარ პროტესტს არ იყო მიჩვეული.

— თქვენ რა გინდათ, ნანათე? დაგიჯდეთ ყოველ დილით და გეჭორაოთ? მე ამის დრო არ მაქვს! — გაღიზიანდა ილია.

— ზრდილობიან მისალმებას ბევრი დრო სულაც არ მიაქვს, ბატონო ილია! — არ დაიხია გოგონამ უკან. — სულაც არ არის აუცილებელი. დამიჯდეთ და მეჭორაოთ. ძალიან მარტივი სიტყვებითაც შეიძლება დილა დაიწყოს. მაგალითად, „როგორ ხართ, ნანათე?“ „იმედია, სამუშაო განწყობაზე ხართ“ ან რამე ამდაგვარი. და ეს როცა გამოგივათ, მერე შედარებით რთული ფრაზების გამოყენებასაც შეძლებთ, როგორიცაა: „გმადლობთ დახმარებისთვის“.

ილიას სიცილი წასკდა. ეს ლაწირაკი გოგო თანამშრომლებთან ურთიერთობას ასწავლიდა!

— როგორც ვატყობ, ამ რთული ფრაზის გამოყენება აღარ დამჭირდება, სანამ თქვენ აქ მუშაობთ, — კვლავ სერიოზული სახით გააგრძელა, — და თუ თქვენ აქამდე ვერ შენიშნეთ, რომ აქ უფროსი მე ვარ და მე ვიძლევი განკარგულებებს, მაშინ გავაფრთხილებ კადრების განყოფილებას, ახალი კანდიდატურა მიპოვოს.

ოოო! საუბარმა აშკარად სხვა მიმართულება მიიღო. ნანათე მიხვდა, რომ უნდა გაჩუმებულიყო, თორემ სამსახურს დაკარგავდა. ისედაც ძლივს იშოვა ადგილი. თავისი გამოცდილებით მენეჯერად ვინ დანიშნავდა? თუნდაც უმცროს მენეჯერად.

— მაპატიეთ... ზედმეტი მომივიდა... უბრალოდ, რაღაცები არ მომწონს და მგონი, მაქვს უფლება, ვთქვა, — ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა და თვალი თვალში გაუყარა ილიას.

— თქმის უფლება გაქვთ, მაგრამ არ არის აუცილებელი, ყველაფერი მოგწონდეთ. მე რომ აქ ყველას მოწონებაზე ვიარო, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი ქაოსი დატრიალდება? ასე რომ, დავანებოთ თავი ამ უაზრო ლაპარაკს და შევუდგეთ მუშაობას. დღეს ბევრი საქმე გველის, ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ. დაჯექით და ჩაინიშნეთ, რასაც გიკარნახებთ!

ნანათემ ძლივს მოასწრო ლაბადის გახდა და სკამზე გადაკიდება, რომ ილიამ მთელი სისწრაფით დაიწყო კარნახი. გოგონამ წესიერად დაშოშმინებაც ვერ მოასწრო. გამალებით შეუდგა წერას. ცოტა ხანში ტელეფონმა დარეკა და შვებით ამოისუნთქა. მხოლოდ მაშინ იგრძნო, როგორ დაღლოდა ცერი და საჩვენებელი თითი. როგორც ჩანს, მთელი ძალით უჭერდა კალამს.

სანამ ილია ტელეფონზე საუბრობდა, ნანათე მას აკვირდებოდა. მამაკაცი შიგადაშიგ რეპლიკებს ისროდა, ხან უწონებდა ვიღაცას საქციელს, ხან უსწორებდა ნათქვამს, პარალელურად ბლოკნოტში კვადრატებს ხატავდა და ხელის გამალებული მოძრაობით აშავებდა მათ.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გამოაშკარავებული ღალატი

მარი ჯაფარიძე

**ჰოი, საოცრებავ, ისევ მოვიდა ხუთშაბათი და ისევ ვწერ „გზავნილებს“ და პირველი შემთხვევაა, რომ შესავალზე კარგა ხანს ვფიქრობ — არც კი ვიცი, რა დავწერო. არადა, იცით, სათქმელი რამდენი მაქვს? ვერ გადამიწყვეტია, როგორ მოვიქცე. ხომ გაგიგონიათ, „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო?“ ჰოდა, მოდი, ამ კვირაში კიდევ „ასჯერ გავზომავ“ და თუ „გაჭრა“ გადავწყვიტე, მომავალ კვირაში ყველაფერს ვიტყვი. წინასწარ კი იცოდეთ, რომ ზოგიერთ მგზავნელს კარგი დღე არ დაადგება. ახლა კი — ღალატი და მისი შედეგები.**

## ყველაფერი ქარის ბრალია

„ერთ კურიოზული ამბავს მინდა მოგიყვეთ, თემასთან დაკავშირებით. კურიოზული ჩვენთვის, თორემ ეს ამბავი ვისაც გადახდა, სასაცილოდ ნამდვილად არ ჰქონდა საქმე... კახა ჩემი ვირტუალური მეგობრის ძმაა და ეს ამბავიც სწორედ მან მიამბო. ერთ დღეს კახა ძმაკაცთან წასულა საქეიფოდ, გზაში მეგობარი ბიჭისთვის უნდა გაევლო და მანქანა მისი ბინის წინ გააჩერა. V სართულზე ხმა ვერ მიაწვდინა და ასვლა გადაწყვიტა, მანქანის დაკეტვა კი მისდა ჭირად, დაავიწყდა. შარს რომ ვერსად დაემალები, ეს ყველამ ვიცით და არც კახა აღმოჩნდა გამონაკლისი. უეცრად, ქარმა დაუბერა, ზედა სართულიდან ქალის წითელი საცვალი ჩამოფრინდა და ზედ კახას მანქანაზე „დაიდო ბინა“. იქვე მოთამაშე ბავშვებმა დაავლეს ხელი ტრუსს და კახას მანქანაში, უკანა სავარძელზე მიუჩინეს ადგილი. 5 წუთის შემდეგ კახაც გამოვიდა მეგობართან ერთად და გაემართნენ საქეიფოდ. შინ სალამო ხანს დაბრუნდნენ, კარგა ნასვამები. კახა ეგრევე საწოლზე მიესვენა და ის იყო, ტკბილ ძილს უნდა მისცემოდა, რომ ცოლის განწირული კივილი შემოესმა. ალბათ მიხვდით მიზეზს — მარიკამ ქმრის მანქანაში ქალის წითელ საცვალს მიაგნო. გაცოფებული, უშვერი სიტყვებით ლანძღავდა კახას, შე ასეთო და ისეთო, როგორ გაბედე, როგორ მიღალატეო?! კახამ წაიშინა თავში ხელები, თურმე მართლა ღალატობდა ცოლს. ატეხილ ხმაურზე მარიკას დედამთილ-მამამთილი და მული გამოცვივდნენ და წივილ-კივილი და კახას ლანძღვა-გინება მაშინ უნდა გენახათ.



უშვერი სიტყვებით ლანძღავდა კახას, შე ასეთო და ისეთო, როგორ გაბედე, როგორ მიღალატეო?!

მარიკა რომ ველარ დაშოშმინდა, კახამ მისი დამშვიდება სცადა — კარგი, რა, ქალო, მთელი უბნის კაცები იმ ქალთან დადიან, მეც ერთხელ გავიარე და წამიერი გატაცების გამო ნუ დავანგრევთ ოჯახსო, — მუხლებში ჩაუვარდა ცოლს. ასე გამოაშკარავდა კახას ღალატის ამბავი. ეგონა, ცოლმა ყველაფერი გაიგოო და რადგან უარყოფას აზრი აღარ ჰქონდა, აღიარა დანაშაული. მეორე დღეს კი, როცა მანქანაში ის შეჩვენებული ქალის ტრუსი ნახა, სიმწრისგან მთელი ძალით დასცხო მანქანას მუშტები, — ვინ მექაჩებოდა ენაზეო? — ინანა, მაგრამ რაღა დროს? იფიქრა, ალბათ ძმაკაცებმა გამიჩალიჩესო, მაგრამ ყველამ უარყო. ძლივს დაადგინა, საიდან აღმოჩნდა მის მანქანაში ის ტრუსი, რომლის გამოც ამხელა ამბავი ატყდა და კახას საიდუმლოსაც ფარდა აეხადა. ლუნა“.

## საკუთარ ცოლს ხელს ნუ ახლებ...

„ლალი აღმოსავლეთიდან დასავლეთში გათხოვდა, ერთ ქუთაისელ ბიჭზე. მეზობლის ქალები ხშირად ეუბნებოდნენ, — დიმა პატარა გოგონებს უჟუჟუნებს თვალებს, ერთ-ერთთან კი ახლო ურთიერთობაც ჰქონიაო. ამის მიუხედავად, ლალის ქმრის ერთგულებაში ეჭვი არ ეპარებოდა. ერთ დღეს, დიმა ცოლთან ერთად თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამშრომლის ოჯახში ნავიდა საქეიფოდ. დიმას არ გამოუტოვებია არც ერთი ჭიქა, თამადასაც არ გამოლია სადღეგრძელოები. თამადისგან ნებართვა აილო და თამბაქოს მოსაწევად გავიდა. დერეფანში საშინლად ბნელოდა და მისკენ მიმავალი ადამიანი ვერ შეამჩნია... ქალის სხეულის შეხებამ ტანში ჟრუანტელი მოჰგვარა, ზრდილობის ნიშნად ბოდიშის მოხდა დააპირა, მაგრამ რაღაც ძალამ უბიძგა და მანდილოსანს წელზე მოხვია ხელი, მიიზიდა... გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. თავისთვის ფიქრობდა, რა ბედნიერია ამის ქმარიო... ფიქრის დასრულებაც ვერ მოასწრო, რომ ნაცნობი ხმა ელვასავით ჩაესმა ყურებში და გულში ისარივით მოხვდა: — რამ მოგიარა, კაცო, ასე მოგენატრე? — ეჭვნარევი ტონით უთხრა ცოლმა. რაკი ასე სასიამოვნო აღმოჩნდა სხვის დერეფანში საკუთარი ცოლი, დიმამ „საქმის“ გაგრძელება გადაწყვიტა, მაგრამ ლალიმ ქოქოლა დააყარა და ისიც უმალვე მოვიდა გონზე. შინ მისულ დიმას ცოლმა ერთი ამბავი დააწია, — შენ გგონია, ვერ მივხვდი, სხვა რომ გეგონე, შე მოღალატევ? თურმე მართალს მეუბნებოდნენ მეზობლებიო, — დასძინა და... იმ დღის მერე დიმას სიცოცხლე აქვს გამწარებული, ლალი დღეში 10-ჯერ მაინც ურეკავს და აკონტროლებს, სადაა, რას აკეთებს და როდის მივა სახლში. განძის მაძიებლის მაძიებელი“.



ჩამოგვიარა და ზოგს თმაზე შეეხო, ზოგს – ხელზე, ზოგს ტანისამოსზე...

## ლიუსინკას ჯარისკაცის ვნებანი

„ეს ამბავი ჩემს ახალგაზრდობაში მოხდა. საბჭოთა ჯარში ვმსახურობდი, ქალაქ ტულაში. ჰოდა, მთელი წელიწად-ნახევარი მქონდა უკვე ნამსახურები, როცა ჩვენს ერთ-ერთ მეთაურთან „ზაფხულის არდადეგებზე“ ცოლი ჩამოვიდა. მაღალი, ლამაზი ქალი იყო, ჯიშიან ცხენს ჰგავდა. პირველად სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე რომ დავინახეთ, იმდენმა ჯარისკაცმა ამოიოხრა, ლამის ყაზარმის კედლებიც კი შეზანზარდა. მოკლედ, დავიწყეთ მისი ნაფეხურების დევნა. გამოლაპარაკებაც კი უზომო სიამოვნებას გვგვრიდა კაცს. ისიც გვეკეკლუცებოდა, იცოდა ჩვენი გაჭირვების ამბავი და ხალისობდა. ერთხელ, როცა მორიგე ვიყავი და ყაზარმაში სულ რამდენიმე ჯარისკაცი ვიყავით დარჩენილი, შემოვიდა ლიუსინკა პარტოთახში (ადრე არსებობდა ასეთი ოთახები, სადაც ლენინისა და სხვა ბელადების სურათები იყო გამოკრული და პოლიტმეცადინეობები გვიტარდებოდა ხოლმე), სადაც ჩემთვის, წყნარად ვიჯექი და დედას წერილს ვწერდი. გასწია ჩემი წერილი გვერდზე, პირდაპირ მაგიდაზე ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და ნიკაპში ხელი ამომდო. რა თქმა უნდა, არ დავბნეულვარ და ვუთხარი, თუ პაემანზე დამთანხმდები, ის დღე არასოდეს დაგავიწყდება-მეთქი. დამთანხმდა და 2 დღის შემდეგ დათქმულ ადგილზე მოუთმენლად ველოდი. მოვიდა, კაფეში დავპატიჟე, ბლომად არაყი დავლიეთ, შემდეგ თავისთან დამპატიჟა, — ამაღამ ჩემი ქმარი არ მოვაო. სიხარულისგან თუ სასმლისგან ფეხზე აღარ ვიდექი. მაღაზიაში ერთი ბოთლი არაყი კიდევ ვიყიდე, იღლიაში ამოვიჩარე და ცუნცულ-ცუნცულით გავყევი უკან. ლოგინში რომ დავწექით, ისეთი მთვრალები ვიყავით, თვალებში გამოსახულება მიორდებოდა. მოკლედ, შუა „საქმეში“ ვართ და კარის ხმა გავიგონეთ. — ჩემი ქმარი მოვიდაო, წამოხტა ლიუსინკა, მეც დავავლე ხელი ჩემს ტანისამოსს, ვიშვირე ფეხი და ფანჯრიდან გადავხტი. სამშვიდობოს რომ გავედი, სული მოვითქვი, ჩავიცვი და სანამ მეთაური ნაწილში დაბრუნდებოდა, მივასწარი და ლოგინში ვდურთე თავი. მეორე დღეს, მთელი ნაწილი რიგში მოგვაწყვეს და კარგა ხანს გვალოდინეს. ვერ ვხვდებოდით, რა ხდებოდა. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ლიუსინკა გამოჩნდა. ჯარისკაცების წინ დადგა, ჯერ ყველას თვალი მოგვავლო, მერე ჩამოგვიარა და ზოგს თმაზე შეეხო, ზოგს — ხელზე, ზოგს ტანისამოსზე... ჩემთან რომ მოვიდა, გამიღიმა და ხელზე ხელი მომიჭირა. შემდეგ წავიდა. ჩვენი მორიგი პაემანი მისი ინიციატივით, რამდენიმე დღის შემდეგ შედგა. მაშინ გავიგე, რა მოხდა იმ დღეს. თურმე, ლიუსინკას ქმრისთვის უთქვამს, აქაურ მეგობრებთან ერთად დავლიე, შინ მთვრალი მოვედი, დავწექი, ცოტა ხნის შემდეგ ვიღაც მომიწვა, ტანისამოსით მივხვდი, რომ სამხედრო იყო, შენ მეგონე და დავნებდი, თურმე სხვა ყოფილაო. მეორე დღეს იმ „უნამუსო“ ჯარისკაცის ამოსაცნობად მოიყვანა ქმარმა, რომელიც მის საძინებელში შეიპარა და თავი ქმრად „მიასაღა“. ქალმა კი რა თქმა უნდა, „ვერ ამოიცნო“. ასე გამოაშკარავდა ცოლის ღალატი, მაგრამ ქმარმა აპატია და ალბათ დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ, სიცოცხლის ბოლომდე. პატივისცემით, ლიუსინკას ჯარისკაცი“.

## ვისია გასაღები?

„40 წლის, უცოლო კაცი ვარ და ბუნებრივია, როგორც ჩემნაირ, თავისუფალ მამაკაცს შეეფერება, ისე ვცხოვრობ. კერძოდ — ჩემს სახლში ნაირ-ნაირი ქალები მიდი-მოდიან და გართობასა და დროს ტარებას არ ვიკლებ. ამის მიუხედავად, ერთი ქმრიანი ქალი ჩამივარდა გულში და კარგა ხნის დევნის, ხვეწნის, ჩალიჩისა და გვარიანი თანხის დახარჯვის შემდეგ, მაინც დავითანხმე. კარგა ხანს ვხვდებოდით ერთმანეთს. თვითონ ჩემთან მოსვლაზე კატეგორიულ უარს აცხადებდა და ამიტომ, მე მიწევდა ხოლმე მასთან მისვლა. თავისი მანქანის ქვეშ სახლის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალებს მიტოვებდა, კარს ვაღებდი და უხმაუროდ შევიპარებოდი ხოლმე. მორიგი მისვლისას, ჩემი




მანქანა მისი მანქანის გვერდით გავაჩერე, კარი ღია დავტოვე (რომ დავეფარე), მუხლებზე დავდექი და მისი მანქანის ქვეშ შევიხედე. ის იყო, გასაღებისკენ ხელი წავიღე, რომ მეორე მხრიდან ვიღაცის ხელი შემოძვრა, ელვისებურად ამაცალა ცხვირწინ გასაღები და ხელი ისევ გაქრა. უცებ წამოვხტი ფეხზე და იქით გავიხედე, სადაც ხელის პატრონი მეგულებოდა. ახალგაზრდა მამაკაცი იდგა და მიყურებდა. — ეს ჩემი სახლის გასაღებია, — მითხრა და გასაღებების აცმულა ხელში შეათამაშა. — თქვენი იყოს, ვინ გართმევთ? — სერიოზული სახით ვუთხარი, მანქანის კარი დავკეტე და სულ სხვა სადარბაზოსკენ გავემართე. — მისამართი შეგეშალა, ბოლო სადარბაზოში უნდა შეხვიდე, — წამომეწია და შემაჩერა. — შენ შარზე ხომ არ ხარ, ძმაო, — მისი ხელი მხრიდან მოვიშორე და ისევ ჯიუტად განვაგრძე გზა. მხარზე ძლიერად მომექაჩიდა, შემაბრუნა და სახეში მუშტი ისეთი ძალით მთხლიშა, თვალებიდან ნაპერწკლები გადმომაყრევინა. მეც ვუპასუხე, მაგრამ აშკარად დამჯაბნა. კაი გვარიანად ნაცემი წამოვედი იქიდან, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვა, ამის გამო გული არ დამწყვეტია, რადგან ვიმსახურებდი. საქმე კი ის ყოფილა, რომ თურმე ცოლი გამოუტეხავს ღალატში, იმას ყველაფერი დაუფქვავს და ამასაც სამაგიეროს გადახდა ასე გადაუწყვეტია. კიდევ კარგი, ოჯახი არ დანგრეულა, თორემ ალბათ იმ ქალის ცოლად მოყვანა მომიწევდა და ამის არანაირი სურვილი არ მქონდა".

## ქალი... ქალი და კიდევ — ქალი...

„ჩემი ქმრის ღალატი გამოაშკარავდა და თანაც ისე, რომ დღემდე სანანებლად აქვს საქმე. 4 წლის ოჯახი გვქონდა, როცა თავის „შეფინიასთან" დაიჭირა კავშირი. მიზეზს ალბათ ხვდებით — სამსახურში პრივილეგია, დაწინაურების პერსპექტივა და ა.შ. თორემ თავისზე 15 წლით უფროსი ქალი რა ჯანდაბად ენდომებოდა? რა თქმა უნდა, ამის შესახებ არაფე-




რი ვიცოდი. ჩემი ქმრის სამსახური ისეთ შენობაშია განთავსებული, რომელიც მრავალსართულიანია და უამრავ ფირმას აქვს ნაქირავები. მოკლედ, სხვა ოფისის გოგონა გაუცნია და იმასთანაც რომანი გაუბამს. ეს ამბავი შეფის ყურამდე მისულა, ის დასდარაჯებია და გამოუჭერია ღალატში. სამსახურიდან დაითხოვეს და დარჩა უმუშევარი. ისეთი რამე მოხდა იქ, უკან აღარ დავბრუნდებიო, ამბობდა. მისგან მალულად დახმარება გადავწყვიტე და მის ყოფილ სამსახურში, შეფთან მივედი. ვთხოვე, უკან მიეღო. — ვინ ხარო? — მკითხა. — ცოლი-მეთქი. გაეცინა და ყველაფერს გულახდილად მომიყვა. — მაგას სამსახურს კი არა, ოჯახსაც დავაკარგვინებო, — დაამატა ბოლოს. განბილებული წამოვედი იქიდან. რა თქმა უნდა, ჩემი ქმრისთვის არაფერი მითქვამს, ჩუმად ვაპატიე ყველაფერი, ხელი არ ვკარი და დღესაც ერთად ვცხოვრობთ, მაგრამ — ჩემს კისერზე. ის დღემდე უმუშევარია და თვალი ისევ სხვა ქალებისკენ უჭირავს, მაგრამ ბავშვებს გვერდიდან არ ვაშორებ და არსად გასვლის საშუალებას არ ვაძლევ. შორიდან კი უყუროს, ვისაც უნდა და ნერწყვი ყლაპოს".

## ამას სიკვდილი, იმას — ჩამოხრჩობა!

„გამარჯობა, მარი. მე თქვენი ერთგული არა, მაგრამ მოერთგული მკითხველი ვარ, თუმცა პირველად გწერთ. მართალია, თქვენს თემას არ ეხება ეს ამბავი და არ ვიცი, გამომიქვეყნებთ თუ არა, მაგრამ დიდ იმედს ვიტოვებ, მოწყალე თვალით გადმომხედავ. მაშ ასე, 1 წლის წინანდელი ამბავია: სკოლა ისე დავამთავრე, რომ შეყვარებული არ მყოლია. ის კი არა, მოწონებითაც არავინ მომწონებია. უნივერსიტეტში მესამე კურსზე ვიყავი და მაინც არავისკენ ვიყურებოდი — სწავლაზე ვფიქრობდი. ჰოდა, ერთ მშვენიერ, მზიან დღეს უნივერსიტეტისკენ მივუყვებოდი გზას, როცა გვერდით დაბურულმინებიანი მანქანა გაჩერდა. უცხო ბიჭი გადმოვიდა და მკითხა, ქეთი ხარო? — კი-მეთქი, ვუპასუხე და ყურადღებით შევათვალიერე, ვიცნობ თუ არა-მეთქი, მაგრამ ვერ

**ყურადღება!** თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში" დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

ამოვიცანი. უცნობმა არც აცია, არც აცხელა, მანქანისკენ მიბრუნდა და გასძახა: — ის არის! აბა, დროზე!.. — გონზე მოსვლაც ვერ მოვასწარი, ორი ბიჭი გადმოხტა მანქანიდან და დამებღაუჭნენ, ცდილობდნენ, მანქანაში შევეგდე. შიშისგან ხმა ჩამიწყდა. ყვირილი მინდოდა, მაგრამ სუსტი ხავილი ამომდიოდა ყელიდან. გამწარებული ვიბრძოდი, რომ როგორმე გავსხლტომოდი. ერთ-ერთმა, — შენი დედაო, დაიყვირა გაბრაზებულმა. არ ვიცი, რა დამემართა, მაგრამ ამის გაგონებაზე თვალებზე ბინდი გადამეკრა და მაგრად შეკრული მუშტი ვთხლიშე სახეში. დაბარბაცდა, დაელმებული თვალებით შემომხედა და ჩაიკეცა. დანარჩენი ორი უზომოდ გაოცდა. მეც ამით ვისარგებლე და უკვე მანქანაში ნახევრად „შეტენილი“ გადმოვფოფხდი და ფეხი ამოვარტყი ერთ-ერთს „აკრძალულ ადგილზე“. ის ტკივილისგან წელში მოიკაკვა, ძირს დაგდებულ, წიგნებით გატენილ ჩანთას ვეცი და ხმალივით დავიწყე ქნევა, ის მესამე არ მომეპაროს-მეთქი. ამასობაში ხალხიც შეგროვდა, საიდანღაც პატრულის სირენის ხმაც მოისმა. ეცნენ უკვე მოგერიებული ტიპები მანქანას, სასწრაფოდ შეცვივდნენ და დაგაზეს. მერე არ ვიცი, რა მოხდა, რადგან გადატანილი მღელვარებისგან გონება დავკარგე. გონზე რომ მოვედი, სახლში, ჩემს საწოლში ვიწექი, ოთახში კი დედაჩემი და პატრულის ფორმაში გამოწყობილი ბიჭი რაღაცას ლაპარაკობდნენ. ცნობიერებაზე მოსულს, რაღაცები გამომკითხა ამ მეტად სიმპათიურმა პატრულმა, მაგრამ უსარგებლო ინფორმაცია მივაწოდე, რადგან დღემდე არ ვიცი, ვინ სცადა ჩემი მოტაცება... უნდა აღვნიშნო, რომ იმ დალოცვილმა ერთი კეთილი საქმე მაინც გააკეთა — ბედი მაპოვნინა. ის სიმპათიური პატრული — ზაზა და მე უკვე დაქორწინებას ვაპირებთ“. ■

*მომდევნო ნომრის თემა იქნება — „როცა ცდუნებას ავყევი“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com*

# ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა



ამ ფოტოსთვის შესაფერისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61

ჩემეული ვერსია კი ასეთია:

## ის ასე ცხოვრობს... შენც გაქვს შენი იდეალური სამყარო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „დედის გადაწყვეტილებას გაგებით უნდა მოეკიდო“

**„გზის“ №45-ში დაიბეჭდა სალის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ მისი მშობლები გაიყარნენ. „მამამ მალევე შეირთო ცოლი, დედამ კი მხოლოდ ამის შემდეგ მისცა თავს უფლება, ბედი ხელახლა ეცადა და სიყვარულის ობიექტს დაუწყო ძებნა. მოკლედ, ეძება, ეძება და იპოვა კიდეც! გელა მეგობარმა გააცნო. ისიც ცოლსაა გაშორებული, მაგრამ შვილი არა ჰყავს. მუშაობს და არა მარტო დედას, არამედ მე და ჩემს დასაც გვანებივრებს საჩუქრებით, მაგრამ ჩვენი გული ბოლომდე ვერ მოიგო... ახლა დედამ გამოგვიცხადა: უნდა გავთხოვდე და იმედია, გამიგებთო. ჩემმა დამ უკვე გაუგო, მე კი ამის გაკეთება ძალიან მიჭირს. ასე მგონია, მათი ქორწინება რომ მოვიწონო, ამით მამას ვატკენ გულს“.**

## „ის ჯერ ქალია და მერე – დედა...“

**შორენა:**

„შენს ადგილას, ბედს შევეგუებოდი. მშობლების სიყვარულისა და პატივისცემის ხათრით, ახალ დედ-მამას მივიღებდი, მათ ხელს არ ვკრავდი. ორი დედ-მამის ყოლა მაგარია! P.S. ისე, შენს სიტუაციაში რომ ვიყო, მშობლებს ხუმრობით ხშირად გავკრავდი კბილს და ვეტყოდი: სამი ან ოთხი დედ-მამა უფრო მაგარია და იქნებ ბედი სხვა ვინმესთანაც გეცადათ-მეთქი... სალი, ნუ ნერვიულობ, ეს ტრაგედია არაა, ცხოვრებაში ასეთი რალაცებიც ხდება“.

**მარია:**

„მამად რატომ უნდა მიიღო? უბრალოდ, პატივი ეცი, როგორც ადამიანს. დედაშენიც მაგარი აზროვნების ყოფილა, ჩემმა მზემ... მოკლედ, ძია გელასთან შეჩვევა მოგიწევს“.

**ლეკა:**

„მამას ამით გულს არ ატკენ. სხვა თუ არაფერი, პირველად ხომ თავად მოიყვანა ცოლი?! შენს ადგილას, დედას ყველაფერს ვაპატიებდი. ის ჯერ ქალია და მერე — დედა. ბედნიერებას ისიც იმსახურებს“.

**ქისქისა:**

„სიმართლე გითხრა, ძალიან ცუდად იქცევი. მართალია, გელა მამას ვერ შეგიცვლის, მაგრამ შეეცადე, თავს მოერიო და დედას გაუგო. ბედნიერებას ისიც იმსახურებს“.

**ლეკო 27:**

„საყვარელო, ჩვენ, შვილებმა თუ არ გავუგეთ მშობლებს, სხვა ვინ გაუგებს და ამოუდგება მხარში? არაა აუცილებელი, „მამა“ დაუძახო. უბრალოდ, მიიღე როგორც კარგი ადამიანი და შენი დედიკოს დამფასებელი. თან, თავადაც ხომ აღნიშნე, — კარგი ადამიანიაო. ჰოდა, მიეცი უფლება, ბედნიერები იყვნენ. P.S. ასეთ სიტუაციაში მარტო შენ არ ხარ. სამწუხაროდ, ბევრ წყვილს ენგრევა ოჯახი, მაგრამ ეს ტრაგედია არაა. იცოდე, ყველას აქვს ბედნიერების უფლება — ქალსაც და კაცსაც. გაკოცე“.

**შამანკა:**

„არა მგონია, მამინაცვალმა მოგთხოვოს, — „მამა“ დამიძახეო, რადგან ის ისედაც გყავს. შეიძლება მამა მართლა ძალიან გიყვარს და არ გინდა, გული ატკინო, მაგრამ გაითვალისწინე, მან პირველმა მიატოვა დედაშენი. გირჩევ, ყველაფერზე კარგად დაფიქრდე, სანამ შენი პროტესტით დედას გულს ატკენ“.

**ბარტყი:**

„დედის გადაწყვეტილებას გაგებით უნდა მოეკიდო. მას მამაშენი ძალიან ცუდად მოექცა და ახლა ცხოვრების აწყობის უფლებაც არა აქვს? სცადე და ამ ყველაფერს სხვა თვალით შეხედე. წარმატებები!“

**უცნობი:**

„ვინ გთხოვს, მამად მიიღეო? თუ მასთან ერთად ცხოვრება არ გინდა, ადექი და ნამდვილ, ბიოლოგიურ მამასთან გადადი, მისი ცოლი კი „დაიკიდე“.

**სეიტო:**

„შენი არ მესმის: მამას თუ აპატიე, დედამ რა დაგიშავა? ისიც ხომ ადამიანია, მასაც ხომ აქვს ბედნიერების უფლება? შენი ნათქვამიდან ჩანს, რომ გელა კარგი პიროვნებაა. არაფერი დაშავდება, თუ ის და დედაშენი დაქორწინდებიან. გირჩევ, დედას გაუგო“.

**ინტერელი:**

„ვინმე გაძალებს, გინდა თუ არა, გელა მამად უნდა მიიღოო? ერთს გირჩევ: რადგანაც შენი მშობლების ერთად ყოფნა უკვე შეუძლებელია, მოდი, დედასაც ნუ შეუქმნი პრობლემებს. ის ახალგაზრდა ქალბატონი იქნება და უფლება აქვს, იმასთან იცხოვროს, ვისთანაც სურს; მით უმეტეს, რომ თავადვე ამბობ, — გელა კარგი ადამიანიაო. ნუ დაუძახებ მამას, მასთან ურთიერთობისას დისტანცია დაიცავი და ჩვეულებრივი ურთიერთობა გქონდეს. წარმატებები!“

**სვანის ასული:**

„მესმის, რომ მშობელი ეგოისტურად გიყვარს, მაგრამ ვფიქრობ, პროტესტით ვერაფერს შეცვლი. ყველაფერს სჯობს, იმაზე იფიქრო, რომ გაგიმართლა, რადგან დესპოტის ნაცვლად, კარგი მამინაცვალი გეყოლება და მამას, რომელსაც ასე აიდეალებ, შენს ცხოვრებაში ისევ თავისი ადგილი ექნება (ისე, ჯობდა, საკუთარი იდეალურობა სხვა რამეებით დაემტკიცებინა)“.

**მარტოხელა:**

„შენიც მესმის. ვიცი, შვილები, ცოტა არ იყოს, ეგოისტები ვართ, მაგრამ აბა, დაფიქრდი — დედაშენი ბედნიერებას არ იმსახურებს? როცა შენ და შენი დაიკო ოჯახს შექმნით, ის ხომ მარტო დარჩება?! მიეცი უფლება, ბედნიერი იყოს“.

**ნანა, ძართლელი:**

„თავს ტყუილად იტანჯავ. მამაშენმა ახალი ოჯახი ხომ შექმნა? ჰოდა, დედას რატომღა არ აქვს უფლება, ასეთივე ნაბიჯი გადადგას და ბედნიერი იყოს, მით უმეტეს, რომ თავადვე აღიარებ, — გელა კარგი კაციაო! სალი, დედაშენი ახალგაზრდა ქალია და სრული უფლება აქვს, ცხოვრება ისე აიწყოს, როგორც გაუხარდება. შენი ვალია, მას გვერდით დაუდგე. გაიზრდები, დაქალდები და მერე მიხვდები, რასაც ვამბობ. მამა შეუცვლელია, მაგრამ გელა დედაშენს გააბედნიერებს, დამიჯერე“.

**ZY:**

„აი, შენი ახლობელი ან და რომ ვიყო, აუცილებლად გცემდი. ამ წერილს რომ ვკითხულობდი, შენი გაწიწკვნა მომინდა. ნეტავ, რამდენი წლის ხარ?.. ვინ გთხოვს, გელას მამა დაუძახო? იცოდე, დედას გული არ ატკინო!.. აუ, გამაბრაზე, რა“.

**წარსულის აჩრდილი:**

„დედაშენს აქვს უფლება, ბედნიერი იყოს, მის გადაწყვეტილებას პატივი ეცი. P.S. გელას მამას ნუ დაუძახებ და არც ღვიძლი მამა გაგინაწყენდება“.

**ლუნა:**

„სიმართლე გითხრა, ძალიან გამაბრაზე. შენ რჩევა კი არა, ცემა გჭირდება. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს მამა ამქვეყნად ყველაზე მეტად გიყვარს, დედის ბედი კი არ გადარდებს. მამაშენს თუ აქვს ბედნიერების უფლება, დედამ რა დააშავა? არ ვიცი, რა უნდა გითხრა. უფალი გფარავდეს“. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ნამდვილ სიყვარულს გაფრთხილება სჭირდება“

## „მეც ნაცოლარი ვარ“

„გზის“ №45-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ მისი „ლოვე“ ნაცოლარი აღმოჩნდა და ამ ამბავს ძალიან განიცდის. „მან ეს ამბავი დამიმალა... სიმართლეში მას მერე გამომიტყდა, როცა მიხვდა, რომ უკვე ძალიან მიყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ უზომოდ მიყვარს, მისთვის ამ ყველაფრის პატიება მიჭირს. თან დარწმუნებული ვარ, ჩემს მშობლებსაც არ მოეწონებათ, ნაცოლარს რომ გავყვე და მას სიძედ არ მიიღებენ... შეყვარებულს უკვე დავშორდი, მაგრამ მის გარეშე ყოფნა მიჭირს. თავადაც ხვდება, გული რომ მატკინა და ახლა ყველაფრის პატიებას მთხოვს. მითხრა: მრცხვენია, ასე რომ მოვიქეცი. როგორ ფიქრობთ, ღირს თუ არა მასთან დაბრუნება?“



**ლუნა:**

„გთხოვ, ისეთი ნაბიჯი არ გადადგა, რომელიც მომავალს დაგიმახინჯებს. შენი შეყვარებული გამოცადე — უნდა დარწმუნდე, უყვარხარ თუ უბრალოდ, შენით ერთობა. ამ ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მეეჭვება, მშობლებმა ნაცოლარ კაცზე გათხოვების უფლება მოგცენ. მოკლედ, კარგი იქნება, თუ იმ ბიჭის დავიწყებას შეძლებ. ისე, ძალიან საინტერესოა, ცოლს რა მიზეზით გაშორდა?..“

**ბუცა:**

„რა მნიშვნელობა აქვს, ნაცოლარია თუ არა? მთავარია, უყვარდე. იმას, რომ სიმართლე დაგიმალა, სხვა მხრიდან შეხედე: შენი რეაქციის ეშინოდა. აპატიე და დატკბი სიყვარულით“.

**ინტერელი:**

„გენაცვალე, მერე რა, რომ ნაცოლარია, შენი სიყვარულის უფლება ამიტომაც არა აქვს? გასაგებია და მართლაც კარგი იქნებოდა, სიმართლე თავიდანვე რომ ეთქვა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შენი დაკარგვის შეეშინდა და ბუნებრივია, როცა „დაბრო“ მიიღო, ყველაფერი მერე გითხრა. P.S. დაუბრუნდი და მშობლებიც დაარწმუნე იმაში, რომ მის გარდა ვერავის შეიყვარებ. გაგვაგებინე, მოვლენები როგორ განვითარდება“.

**გულისტუზა:**

„ჩემო კარგო, ამ მიზეზის გამო ბედნიერებაზე უარის თქმა არ ღირს. მართალია, დააშავა, სიმართლე რომ დაგიმალა, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ შენი დაკარგვის შეეშინდა! თუ მართლა გიყვარს და მის გრძნობებშიც დარწმუნებული ხარ, აუცილებლად უნდა აპატიო. მნიშვნელობა არა აქვს, ცოლი ჰყავდა თუ არა, ცხოვრების თავიდან დაწყების უფლება ყველას აქვს. აბა, შენ იცი, წარმატებები! უფალი გფარავდეს“.

**უცნობი:**

„თუ მართლა გიყვარს, მის წარსულს ასეთ მნიშვნელობას რატომ ანიჭებ? ჩემო კარგო, მთავარი ადამიანი და ის გრძნობაა, რომელიც გაკავშირებთ. მეორეც: რატომ ხარ დარწმუნებული, რომ შენი მშობლები არ მიიღებენ? ერთ რამეს გეტყვი: ნამდვილ სიყვარულს გაფრთხილება სჭირდება და არა — უარყოფა. P.S. მეც ნაცოლარი ვარ, მაგრამ ჩემს შეყვარებულს ამაზე გართულება არ ჰქონია. მისთვის მთავარი წარსული კი არა, მე ვარ. კარგად დაფიქრდი, გადაწყვეტილების მიღებისას შეცდომა არ დაუშვა...“

**ბარტყი:**

„მერე რა, რომ ნაცოლარია? მთავარია, დარწმუნდე, რომ მასაც ისე უყვარხარ, როგორც შენ გიყვარს, რომ თქვენი ოჯახი ძალიან მყარი იქნება და სხვა ყველაფერს მნიშვნელობა არა აქვს. რაც შეეხება მშობლებს, მათ შეგიძლია, ეგ ამბავი საერთოდ არ უთხრა — ჩემი ახლობელი ეგრე მოიქცა და მერწმუნე, ახლა ძალიან ბედნიერია. წარმატებები!“

**ლამაზუკა:**

„იმის გამო, რომ ნაცოლარია, ნუ მიატოვებ. სიმართლე ალბათ, იმიტომ ვერ გითხრა, რომ შენი დაკარგვის შეეშინდა. მისი წარსული დაივიწყე. მომავლით იცხოვრე, თორემ დაიტანჯები. გულით გირჩევ, აპატიო. აბა, შენ იცი“.

**შამანკა:**

„ნაცოლარსა და ცოლიანს შორის განსხვავებას ვერ ხედავ? ის ხომ ცოლს მანამ გაშორდა, ვიდრე შენ გაგიცნობდა? ჰოდა, რა იცი, იქნებ მართლა უყვარხარ? მოკლედ, საყვარელო, თუ ნამდვილად გიყვარს, შეურიგდი, მერე კი მშობლებს დაელაპარაკე და უთხარი, რომ შენი რჩეული აუცილებლად უნდა მიიღონ. იცოდე, მისი დაკარგვა სანანებელი არ გაგიხდეს. წარმატებები!“

**ლიკო 27:**

„მის საქციელს არ ვამართლებ, მაგრამ ერთ შანსს ნებისმიერი ადამიანი იმსახურებს. მიეცი საშუალება, აგიხსნას, თუ რატომ მოგატყუა, თან ისიც ჰკითხე, — ცოლს რატომ გაშორდითქო? თუ გიყვარს, აპატიე, მაგრამ ბრმად არ ენდო. P.S. შეეცადე გაიგო, რა მოხდა, ოჯახი რატომ დაინგრა და ამის მერე მიხვდები, არის თუ არა შენი პატიების ღირსი. წარმატებები!“

**THE LITTLE:**

„ბედნიერია შენი ყოფილი „ლოვე“, რომ მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე და დაგშორდა. შენი აზრით, ადამიანს ერთხელ დანგრეული ცხოვრების განახლების უფლება არა აქვს? მაგარი „სტარამოდნი“ ტიპი ხარ, რა“.

**შორენა:**

„თუ ნამდვილად გიყვარს და მის გარეშე ვერ ძლებ, თუ გული ტკივილით გაქვს სავსე, მაშინ ღირს დაუბრუნდე ნაცოლარსაც და სამჯერ ნაცოლარსაც. იცი, რას გეტყვი? — ესაა გზა, რომელსაც თუ დაადგები, ინანებ, თუ მასზე არ გაივლი — მაინც ინანებ. ასე რომ, არჩევანი შენზეა. სამწუხაროა, მშობლების წინააღმდეგ რომ მოგიწევს წასვლა. P.S. დედ-მამის დალოცვის ფასი არ ვიცით და არც ის ვიცით, მათი წყევლა რა საშინლად მოქმედებს ჩვენს ბედ-იღბალზე. მოკლედ, ეს შენი ცხოვრებაა და გადაწყვეტილებაც თავად უნდა მიიღო. აბა, შენ იცი“.



# მობილი-ზაცია

*იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ. მესიჯის ფასი 50 თეთრი*

## ქალები



1. გავიცნობ სერიოზულ, დამოუკიდებელ მამაკაცს, ოჯახის შექმნის პერსპექტივით. ვარ 42 წლის.

2. გთხოვთ, მომცეთ 45-ე ნომრის მე-19 მესიჯის ავტორის ნომერი.

3. ვეხმაურები 2 ნოემბრის მე-18 მესიჯის ავტორს. ვთხოვ, გამომეხმაუროს.

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35-დან 40 წლამდე ასაკის, სერიოზულ მამაკაცს. ვარ 34 წლის, გასათხოვარი, სერიოზული, სიმპათიური გოგო. მანანა.

5. სმს მეგობრობისთვის გავიცნობ სერიოზულ მამაკაცს. არანაირი შეხვედრა. უბრალოდ, სმს-მეგობრობა. პატარები ნუ შემაწუხებთ.

6. გთხოვთ, მომცეთ „გზის“ 43-ე ნომერში გამოქვეყნებული, მე-18 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი ან მისცეთ ჩემი.

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ კაცს, 40 წლამდე.



## მამაკაცები

8. გავიცნობ 30 წლამდე ასაკის, სიმპათიურ, მარტოობით დაღლილ მანდილოსანს, სამეგობროდ. ვარ 34 წლის. დათო.

9. გავიცნობ 30 წლამდე გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 35 წლის. გოგა.

10. ვარ 21 წლის, თბილისელი ბიჭი, კარგი გარეგნობის, სამსახურითა და ბინით უზრუნველყოფილი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 17-დან 24 წლამდე ასაკის, კარგი გარეგნობის გოგოს.

11. გავიცნობ 20-25 წლამდე გოგოს. ვარ 26 წლის.

12. გავიცნობდი 35 წლამდე ასაკის ქალბატონს, ერთგულსა და პატიოსანს.

13. თუ თბილისში ხარ, თუ ვისიცა ხარ, ვერ გაიგო მან შენი ფასი, თუ შენც ჩემსავით გულში სითბო მოგნატრებია, დამეკონტაქტე. ზურა, 37 წლის.

14. გთხოვთ, მომცეთ 45-ე ნომრის მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი.

15. გთხოვთ, მომცეთ ჟურნალ 46-ის მე-4 მესიჯის ავტორი გოგონას მობილურის ნომერი. გრიცკო ვარ, მარი, ძალიან გთხოვ.

16. „გზა“ №46, მე-4 სმს-ის ავტორის ნომერს გთხოვთ.

17. ვარ 32 წლის, სამსახურით, ბინითა და მანქანით უზრუნველყოფილი. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის ლამაზ მანდილოსანს.

18. ვარ 26 წლის, ბათუმელი ბიჭი. დასაქმებული, მანქანიანი. გავიცნობ გოგოს.

19. სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ, 40 წლამდე ქალს. 40 წლის ვალერი.

20. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ 42, თათიას ტელეფონის ნომერი.

21. მინდა, თბილი, ქართული ოჯახი შევქმნა ქალიშვილ, პატიოსან, 27-32 წლის გოგოსთან. ვარ 37 წლის, მაღალი, ეკლესიური, დასაქმებული ბიჭი, ხაშურიდან.

22. 45-ე ნომერში გამოქვეყნებული მესიჯის ავტორის ნომერი მომეცით, თუ შეიძლება. მაკა ჰქვია, 25 წლის, მეც ოჯახის შექმნის მიზნით მინდა მისი გაცნობა. აჩიკო.

23. ვარ თბილისელი, 38 წლის. არ ვეწევი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თუნდაც განათხოვარ, თბილისელ გოგოს. ვარ დასაქმებული. დანარჩენი — პირადად.



## სხვადასხვა

• პატარავ, გენაცვალე, როგორ ხარ, დე? ალბათ ისევ წუწუნის ხასიათზე... ერთად ვიწუწუნოთ, სიხარულო... იცი, დედას როგორ ენატრები და

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საზღვარგარეთ მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | a | მ | m | ღ | gh |
| ბ | b | ნ | n | ყ | y |
| გ | g | ო | o | შ | sh |
| დ | d | პ | p | ჩ | ch |
| ე | e | ჟ | zh | ც | c |
| ვ | v | რ | r | ძ | dz |
| ზ | z | ს | s | წ | w |
| თ | t | ტ | t | ჭ | wh |
| ი | i | უ | u | ხ | x |
| კ | k | ფ | f | ჯ | j |
| ლ | l | ქ | q | ჰ | h |

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ უნდა შენი გულში ჩაკვრა? ამას წინათ ვფიქრობდი, მე თვეში ერთხელ მაინც განახულობ, ბევრს შვილი საზღვარგარეთ ჰყავს და 5-6 წელი ვერ ნახულობს. დე, მალე გავა დრო და ისევ ისე იცუნცულებ სახლში და ქალაქში. ისე, ახლა კარგი დასანახავი კი იქნები, ჯინსის ქურთუკსა და სპორტულ შარვალში. ჩემი ლეგენდა ხარ შენ... 15 წუთში მოვალ... დე, სადარბაზოში ვარ უკვე და ამოვალ... ა, აგერ ვარ, კართან და ღმერთმა იცის, რამდენი კილომეტრით იყავი მაგ დროს სახლიდან დაშორებული... ის გახსოვს? წიგნს რომ ვკითხულობდი ან კომპიუტერთან ვიჯექი ხოლმე, მოხვიდოდი, დე, ადე, დე... ადე, დე... და მეც, გაუცნობიერებლად ვდგებოდი და ადგილს გითმობდი ხოლმე. ხმამაღლა რომ გაიცინებდი, მერე ვხვდებოდი, რომ ხუმრობდი. ისევ მოვა ეგ დრო დე, მთავარია, ცოტა ხანს გავუძლოთ. ბიძაშენმა შემოგითვალა, ნუ იბუტება და კაცურად გაუძლოს ყველანაირ გასაჭირსო... იქითა ხუთშაბათს ვნახავთ. საბა გკითხულობს, ახალ წელს შენგან საჩუქარს ელოდება. „მამაო ჩვენო" იცის ზეპირად და დილა-საღამოს ხატებთან ლოცულობს. ღმერთი მის თხოვნას მაინც შეისმენს. გიორგობას გილოცავ, მისი ძალა გფარავდეს, ჩემო საყვარელო. ღმერთის შემწეობას გისურვებ. გეხუტები, გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალებს. დედა.

• ჩემო სიხარულო, როგორ ხარ? ჩვენ ვართ ისე, როგორც ყოველთვის. ახალი არაფერია, ყველაფერი ძველებურადაა, წერილში დაწვრილებით მოგწერ. სიხარულო, ახლა საბას ნახატებსაც გიგზავნი და ნახე, რა ნიჭიერია. დილით როგორც კი იღვიძებს, ტირილს იწყებს, ფული მინდაო და მიადგება მარის. სანამ არ მისცემს, არ ჩუმდება. ყველა პატარა ხვიჩას ეძახის. ეზოში ყველაფერი ძველებურადაა. თურალა რუსთავშია და ბიჭის მამა გახდა. სხვა ის, რომ მენატრები და მიყვარხარ ძალიან. ჩემთვის უშენოდ არაფერს აქვს აზრი. მე შენ მჭირდები. ჩემი ფიქრები სულ შენთანაა. ღმერთმა ქნას, მალე დამიბრუნდე, რომ მერე სულ ჩემთან იყო. მართლა ძალიან ძნელია უშენოდ ყოფნა. წარმომიდგენია, შენ როგორ ხარ. გიორგობას გილოცავ, დაგიფაროთ შენ და ბადრი და დაგეხმაროთ. მენატრები საშინლად. როდის გნახავ, რომ შორიდან მაინც მოგეფერო. ასე ფიქრით, ტკივილითა და სიყვარულით ვწერ ყველა წერილს. ნეტავ მალე მოხდეს ისე, რომ წერილების წერა აღარ დამჭირდეს. დროებით და იცოდე, რომ უსაზღვროდ მიყვარხარ. ნინო.

• 668, ჩემო საყვარელო, როგორ ხარ? ხომ არ გცივა ნეტავ? ჩვენ არა გვიშავს, ძველებურად ვართ, დედას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუმჯობესდა, შედარებით უკეთაა და დავისვენეთ ცოტა. სხვა ახალი არაფერია, ყოველდღე ერთი და იგივე. ამას შენ არ უნდა გეუბნებოდე, იმიტომ, რომ შენი ყოველდღიურობა უფრო ერთფეროვანია ალბათ, მაგრამ ასეა და... მომავალ კვირაში განახავთ. მოგვენატრე ძალიან. გიორგობას გილოცავ, ჩემო ლამაზო, გფარავდეს მისი ძალა. მიყვარხარ, გკოცნი, შენი დაიკო.

• დათუ, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ასეთ გარემოში მომიხდებოდა დაბადების დღის მოლოცვა. წმინდა გიორგი გფარავდეს. მჯერა, მომავალ დაბადების დღეს ერთად შევხვდებით. რას არ გავიღებდი, შენ ახლა შენი შვილების გვერდით რომ იყო. შენ ჩემი ბედნიერება ხარ. დათო, გადაყვანასთან დაკავშირებით წერილი მივიღეთ და როგორც კი ნაკადი იქნება, მაშინვე გადაგიყვანენ. შეწყალებაზეც დავწერეთ განცხადება და აწი უფალს მივენდოთ. ბოლოს რომ გნახე, უიმედოდ მეჩვენე. მე სულ შენ გვერდით ვიქნები, რაც უნდა მოხდეს. დაღამება მიხარია, რადგან სიზმარში გხედავ ყოველღამე. მიყვარხარ, დათუ, და ასე იქნება მანამ, სანამ ვისუნთქებ... შენი ცირა.

• დათ, იმ სახელზე ვერ ჩავრიცხეთ, კოდი უნდაო. ლაშა აღარ არის შენი ადვოკატი, ახლა ვიღაც ქალია, ელიკომ აიყვანა. არ ვიცი, რა იქნება, დარდით ლამის გული გამისკდეს. ძაან მენატრები. ს.69.

• ხვდები ალბათ, ლაშა, რაც ხდება. სხვა გამოსავალი არაა. ასე არ გასჭირვებიათ. უფრო გაუჭირდებათ 18-ში. ჩვენზე არ ინერვიულო, გავუძლებთ. გუდუებმა მოგიკითხეს.

• ც212. სოსო, როგორ ხარ? იმედია, კარგად ხარ, ჩემო ტკბილო. მე და ბარბიმ ახლა მულტფილმს ვუყურეთ, დავწვებით ახლა და ტკბილად დავიძინებთ, შენზე ფიქრში ჩამეძინება. როგორ მინდა, ახლა ჩემთან იყო, ჩამეხუტო, ჩამიკრა გულში და მითხრა: ძალიან მიყვარხარ მარი; მაკოცო და ტკბილად დავიძინო შენთან ერთად. მენატრები უსაზღვროდ. ჩვენ კარგად ვართ, არ იდარდო, თავს მიხედე. ნეტავ, ახლა გძინავს? ღამის 12 საათია, 15 ნოემბერი. ვერ ვიძინებ, არ მაძინებს ფიქრები... შენი მონატრების ფიქრები. გკოცნი.

• თეე, როგორ ხარ? ჩვენ ყველა — კარგად. გვენატრები ძალიან, სანდრიკა კარგადაა, გიტარის მასწავლებელი შეგვეცვალა, დრო აღარ ჰქონდა გიორგის და ხშირად გვიცდენდა გაკვეთილებს, ამიტომ სხვა მასწავლებელს ველოდებით ორშაბათს, თვითონ გვირჩია. გოჩასთან აღარ მივედით, დილომში უნდა მეტარებინა. მირჩევნია, ჩვენთან მოვიდნენ, ვიდრე იქით ვიაროთ. ახალი არაფერია, ველოდებით სიახლეებს, ვნახოთ, რა იქნება... გუშინ ლიას დაბადების დღეზე ვიყავით. მარიკო ძალიან საყვარელია, თეკო ძალიან კარგად გამოიყურება, სხვა რა მოგწერო, მოსაყოლი არაფერია, ხატია სულ გკითხულობს, კარგადაა... არ მინახავს, რაც გათხოვდა, არ ჩამოსულა, ძაან მენატრება. აბა შენ იცი, თეე, ყოჩაღად იყავი. მოგიკითხა ყველამ, გელოდებით, არ იდარდო ჩვენზე, ყველაფერი კარგად იქნება აუცილებლად. გკოცნის ბუტია.

• თეე, მამიკო, ჩვენ კარგად ვართ, ისე ძალიან მენატრები, რომ სიტყვებით ვერ გადმოგცემ, დედა კარგადაა, ბებოც. მაა, ძალიან მიყვარხარ, გელოდებით, შენი სანდრო.

• რისტო, ჩემო საყვარელო და სიხარულო, დღითი დღე ვრწმუნდები, რომ უშენოდ სიცოცხლეც არ შემიძლია და არაფერი მიხარია, იშვიათად მაქვს გამოდარებები. რაც დრო გადის, უფროს ბავშვთან უფრო მიჭირს. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე, ძალიან მჭირდები. მანდ საფიქრალად ბევრი დრო გაქვს და იმედია, ყველაფერს გადააფასებ. ძალიან ბევრ რამეზე მწყდება გული, მაგრამ დღეს ჩემთვის მხოლოდ შენი დაბრუნებაა მთავარი, მერე ყველაფერს მოევლება. მიყვარხარ და სულ გელოდები.

• ჯოტი, როგორ ხარ? ჩემო სიცოცხლევ, ბელამ მიიღო შენი წერილი და მე მომიტანეს. წავიკითხე შენი ლამაზი სიტყვები. უშენობას განვიცდი. არ ვიცი, სადამდე გაგრძელდება. უფალი გფარავდეს.

• ლექს, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო სიყვარულო, ნეტავ, რას აკეთებ, ერთი თვალით შემახედა შენთვის. ზაზას ველაპარაკე და იმედი მომცა. პაწო, ილოცე. ველოდები სასწაულებს. შენი ქეთისა.

• რისტო, თამაზის დედა გარდაიცვალა, კიდევ ეგ უნდოდა? პაჩიმ ისევ ის უთხრა, თვის ბოლოს და ხელსაყრელ მომენტს ველოდებიო, ზუმბაძე ამ კვირაში შეიტანს განცხადებას. სულ ცოტა მიკლია, რომ სასოწარკვეთილებაში ჩავვარდე. უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო და უფრო მიჭირს უფროსთან, არაფერს აღარ მიჯერებს, თან ვცდილობ, გავუგო ყველანაირად, მაგრამ მერე ყველა ზღვარს გადადის. მჭირდები ძალიან. პატარა კარგი გოგოა, არ მაბრაზებს. შენები დასავლეთში არიან. ნანა არ ვიცი, ჩამოვა თუ არა.

• უბრალოდ, შენი და ჩემი მარტოობა მტკივა... მე ისევ იქ ვდგავარ, სადაც დამტოვე და გელოდები... როდის დამიბრუნდები, ნეტავ? თეე, მიყვარხარ... ძალიან მინდა შენი სიახლოვე, მჭირდები, ძალიან მჭირდები, ამ კვირის ბოლოს ალბათ რაღაც გაირკვევა, ისეთი უაზრო და უფერულია ცხოვრება უშენოდ... მოდი, გამილამაზე სიცოცხლე. მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ, გკოცნი უამრავს, გიხუტებ გულში, გენაცვალე შენ, შენ და მარტო შენ. ბუტია.

• თეე, ძალიან... ძალიან მენატრები... ხანდახან მესიზმრები, ხან კი სადღაც მეკარგები... იმდენი დრო გავიდა, უშენობისთვის ძალიან ბევრი, მე არ დავღლილვარ, ჩემო საყვარელო თეე. ყველაფერს, რასაც ვაკეთებ დღეს, ვაკეთებ შენთვის, დილას ვიწყებ შენზე ფიქრით და მთელი დღე ასე გრძელდება. როგორ ხარ, ჩემო ერთადერთო? უყვარხარ შენს ბუტიას და დიდი სიყვარულით გელოდება. მოგიკითხა ყველამ, ძალიან კარგო, ჩემო ცხოვრებავ, გიკოცნი თვალებს, შენი ბუტია.

• თეე, დღეს 19 ნოემბერია, ვზივარ ტელეფონთან და ველოდები ზარს, რომელიც, იმედი მაქვს, ძალიან გამაბედნიერებს. როგორ ვნერვიულობ, არ იცი... როცა შენ ამ მესიჯს წაიკითხავ, ძალიან დიდი იმედი მაქვს, უკვე ყველაფერი კარგად იქნება, თუმცა რაც უნდა მოხდეს, მე ზუსტად ვიცი... სიცოცხლის ბოლომდე მხოლოდ შენს დაბრუნებას დაველოდები. თეე, როგორ მენატრები, ჩემო საყვარელო... მიყვარხარ... გფარავდეს ღმერთი, მე სულ შენთან ვარ, გიკოცნი თვალებს, მეამაყები. შენი ბუტია.

• 3.198 გი, ნეტავ, როგორ ხარ? 28-ში მომიწია შენმა ნახვამ და ერთი სული მაქვს, რომ ეს დღეები მალე გავიდეს. თან მოუთმენლად ველოდები შეხვედრას, თან უაზროდ ვნერვიულობ, მანდ რომ უნდა განახო. ასე ხდება ყოველთვე, მარტო ახლა კი არა. თავს გაუფრთხილდი, ძალიან მენატრები და მაკლიხარ. რთულია უშენოდ ცხოვრება, თუმცა ვცხოვრობთ და ვართ. თავს გაუფრთხილდი, რამდენადაც ეს მანდ შესაძლებელია. ბუუს, გახსოვდეს, რომ იმ იმედით ვარ, რომ რაკი მანდ შენი ადგილი არაა და არ იმსახურებ მანდ ყოფნას, რაღაც შეიცვლება. მთავარია, არ დაეცე სულით, თავს შეუძახო და იმედით იყო. ასე ვამხნევებ, გი, მე ჩემს თავს. აბა შენ იცი. როცა იცი, რომ ასე უყვარხარ ადამიანს, უფრო იოლია გადასატანია განსაცდელი. გილოცავ გიორგობას. უფლის წყალობა, მფარველობა არ მოგკლებოდეს. წმინდა გიორგი იყოს, ჩემო გიორგი, შენი მფარველი. მიყვარხარ, მენატრები, მესიზმრები. შენი თე.

• 3.198 დღეს დილით ზარი იყო ჩემს ნომერზე, 99532-ით იწყებოდა. ვერ მივუსწარი, ქვემოთ იდო ტელეფონი. ნეტავ, შენ ხომ არ რეკავდი, ბუუს? ძალიან ვიჯავრე. იქნებ არც იყო ასე. ვზივარ ახლა და ვფიქრობ. ვფიქრობ ყველაფერზე, განვლილ დროზე, იმაზე, მერე რა იქნება და საშინელმა სევდამ შემომიტია. რატომ მოხდა ასე... ძალიან მიჭირს ამ ტკივილით ცხოვრება. ვიხსენებ ძველ პერიოდს და მინდა აქ იყო, ჩემ გვერდით. როგორ მენატრები, ნეტავ იცოდე. ბავშვები ხშირად გახსენებენ. ძალიან მტკივა გული. მიყვარხარ.

• რისტო, იმ დღეს ქერა კახამ დამირეკა, ჩამოვედი და აეროპორტში დამხვდნენ, ვაი, ასეთ ჩამოსვლასო. სამშაბათს ციალას დაკრძალვაა, დიდუბის ეკლესიიდან.

• რისტო, უკვე მეხუთე წელია, შენს დაბადების დღეზე ვერ გხედავ, ჩემო ბრაზიანო. ნანამ, ნათელმხილველთან ვიყავიო და ყველაფერი კარგად იქნებაო, ოღონდ უცებ არაო.

• როგორც ხარ, ვიგებთ. აქაც და შორსაც კარგად ვართ. არავის არ დავიწყებიხარ. მთავარი შენი ჯანმრთელობა და ნერვებია. დღეს თუ ხვალ, დამთავრდება ყველაფერი. დათო.

• მერაბ, 4 წელია, შენს გამოსვლას ველოდები. გილოცავ გიორგობას. თუ დამიკავშირდები, გამიხარდება. შენივე ნომერზე დამირეკე, წინ ოღონდ — 597. მენატრები. ბარტყი ვარ. იმედია, მიცანი.

• ს52. ჩემო სიცოცხლევ, როგორ ველოდები ორშაბათს, რომ ისევ გიხილო. ღმერთმა მკაცრი განსაცდელი მოგივლინა, ვაჟკაცურად უნდა გაუძლო, ღმერთი მოწყალეა. ვიცი, ეკლესიაში გალობენ კიდეც. ნ გახულიგნდა. მთელი დღე დადის ბაკიბუკით. კომპიუტერში ხშირად რთავენ ვიდეოებს და სურათებს. კეს ავიდა მაგიდაზე და ეკრანზე გეფერებოდა. გკოცნი.

• გია, ახლა შენთან ვართ, შენმა ბაჭიებმა თოჯინასავით გამკრასკეს. :) რა საყვარლები არიან. როგორ გატლეკილა მარიამი, გაგიჟდები, დედამისს დასდევს ახლა და დამაძინეო, ეუბნება. :) მაგარი სასაცილოა. არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება. გკოცნი. პუტუნა.

• ც212. სოსო, ჩემო სიცოცხლევ, როგორ ხარ? ნეტავ, ახლა რას აკეთებ? 9 საათია. მე აწი დავწვები, მუსიკას ვუსმენ და შეზე ვფიქრობ. როგორ მენატრები, ძალიან მიყვარხარ, გკოცნი.

• 3.198 გილოცავ, გი, მთავარანგელოზობას, გილოცავ გიორგობას. უფალი გფარავდეს, ჩემო გიორგი, ღვთის წყალობა ახლა ყველაზე მეტად შენ გჭირდება. უფალმა გაგვაძლიეროს, პირველ რიგში შენ და შენთან ერთად — მეც, რათა ღირსეულად დავძლიოთ ეს განსაცდელი და ვიპოვოთ ჩვენი სინათლე. მენატრები უზომოდ და შენთან შეხვედრის დღეებს ვითვლი. ვიცი, ნახვის მერე მეტად დავითრგუნები, ისევ მოვა სევდა და ტკივილი, მაგრამ მაინც მიხარია, რომ განახავ. ახლა საბუკა მიწევს გვერდით და იჭყიტება ტელეფონში, აინტერესებს, ვის ვწერ. ჰოდა, რომ ვთქვი, გია-მეთქი, მე მიყვარს და მენატრება გიაო. ბუუს, იცი, საბას შეყვარებული ჰყავს, სერაფიტა ჰქვია და ემესიჯება. მომესწრო ვაჟკაცი. მეცინება მასზე. აი, შენ რომ ლუკას აჯავრებდი, ისე ვაჯავრებ. ეეჰ, ბუუს, ნეტავ აქ იყო. გვაკლია შენი ხმამაღალი ლაპარაკი, გადახარხარება, ხვრინვა, სიგარეტის კვამლი. შენი თე.

• 3.198 ბუუს, მენატრები, მენატრები, მენატრები, მენატრები, მენატრები და კვლავ მენატრები, ისევ მენატრები, მენატრები და მენატრები და მუდამ მომენატრები... გაგაცინე? გკოცნი.

• 2.72. გია, დედაშენს მონასტერში ჰგონიხარ. ისე, კარგად არის. მე კი მაწვალებენ ბავშვები. თუ რამე არ გამოვიდა, არ ვიცი, რა მეშველება. სოფო კარგად არის. გკოცნი, გი.

• 3.198 ბუუს, ნეტავ როგორ დამხვდები? ამას წინათ დამესიზმრე, ვითომ გაგიშვეს და აქ იყავი ჩემ გვერდით. ღმერთო, მოახდინე სასწაული. რამდენჯერ მიფიქრია, ოდესმე მსგავსი სიტუაცია ფიქრში მაინც დაგიშვია? მე ჩემს თავს ამ ამპლუაში ვერასდროს წარმოვიდგენდი. თურმე არასდროს უნდა თქვა — „არასოდეს". ძალიან დიდი სევდა და ტკივილი ხარ ჩემი, უფრო დიდი სიყვარული და ზღვა მონატრება. რა ვქნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი ჯვარი გვარგუნა უფალმა და ვზიდოთ და გავმაგრდეთ. იმედია, გადმოგვხედავს ღმერთი მაინც, მოწყალე თვალით. თეე.

• ჯოტი, როგორ ხარ? ჩვენ არა გვიშავს. ბელამ მიიღო შენი მეორე წერილი. ოოჰ, ჯოტი, რა ნელა გადის ეს დღეები! შენ რომ გინდა, იმ საქმეს ვაგვარებთ. მიყვარხარ, ჯოტი. გკოცნი.

• ჯოტი, ერთი წუთი და წამი არ გავა, სულ შენზე რომ არ ვფიქრობდე და არ ვიცი, ეს პატარა ტვინი რამდენს გაუძლებს. ვეცდები, რომ გავუძლო, მაგრამ... ღმერთის იმედი მაქვს. გკოცნი.

• პეპ, სად დამეკარგე? ხომ იცი, რომ გელოდები, დამირეკე, რა. როგორ მენატრები, შენ აზრზე არ ხარ. მინდა, ბევრი გეჭორაო და ბევრი გეფერო, რაც აქამდე იშვიათად მიქნია. გკოცნი.

• ნოემბრის ცივი დილა თენდება... ტყვიისფერ ღრუბლებს ცა დაუფარავს. არ უწვიმია, მაგრამ ირგვლივ ყველაფერი მაინც სველია. ათობით კორპუსი, ასობით ფანჯარა მოჩანს, მაგრამ არსად იმის ნიშანიც კი არ შეიმჩნევა, რომ აქ ხალხი ცხოვრობს. ერთი ნათურაც კი არ ბჟუტავს, რომ თვალს მოხვდეს. თითქოს ყველაფერი გაქრა. თითქოს დრო გაჩერდა... მხოლოდ ერთი ციცინათელა კრთება განთიადის ბინდში ერთ-ერთ აივანზე, რომელიც ერთი და იმავე ტრაექტორიას ხაზავს ჰაერში... მას უკვე აღარ ახსოვს, მერამდენე ღერი ჩაწვა. ის მარტოა, ამ ერთი შეხედვით მკვდარ სამყაროში. მისთვის ეს სურათი უცხო არაა. 6 წლის მანძილზე სწორედ ასეთ უსიცოცხლო სურათს ხედავს თავის სულში. ცივი სიო სახეს უყინავს, მაგრამ ამას ყურადღებასაც არ აქცევს. მის ერთადერთ მეგობრად სიგარეტი ქცეულა და ისიც მის ცხოვრებას წვავს. უფერულ სივრცეს დაკვირვებით გასცქერის. მზერაში სევდა, ტკივილი, მარტოობა იგრძნობა. არანაირი ბრძოლის ჟინი ან მისი პატარა ნაპერწკალი, მხოლოდ დარდი და ნაღველი. დროდადრო მის მზერას სიგარეტის რძისფერი კვამლი ფარავს, მაგრამ შემდეგ ისიც უმწეოდ იკარგება დამძიმებულ ჰაერში. თვალს ავლებს კორპუსებს, ადგილებს, სადაც ბავშვობა გაატარა — ლაღი, სიხარულით სავსე და ბედნიერი ბავშვობა. ახლა? ახლა კი მისთვის ეს ადგილი უცხოა. ყველაფერი შეცვლილია, გარდა ერთისა. იცის, ამქვეყნად არის ადგილი, სადაც გული უწყნარდება, სული უმშვიდდება და სიცოცხლეს შეიგრძნობს. თუმცა იმას, რასაც ახლა ხედავს, არაფერი საერთო არ აქვს იმ ადგილთან, მაგრამ მაინც სიამოვნებს ახლა აქ, მარტო, ასე ყოფნა. სიგარეტს უკიდებს. მის კვამლს ცივ ჰაერთან ერთად ფილტვებში უშვებს და სასიამოვნო მოთენთილობას გრძნობს. გონებაში აქ გატარებული წლები უტრიალებს, მაგრამ სახეზე ერთი ნაკვთიც არ უმოძრავებს. სიო კი სახეს უყინავს. ისევ ისეთი მარტოსული მზერით აკვირდება სივრცეს, რომელსაც დროდადრო სიგარეტის რძისფერი კვამლი ფარავს...

• 2008 წლის 29 ნოემბერია და უკანასკნელ ღამეს ვათევ საკუთარ სახლში. ქუთაისში კი ცივი, ნაცრისფერი დილა თენდება... P.S. დროის უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, არასოდეს წამოვიდოდი იქიდან, სადაც დღეს უკვე სტუმარი ვარ. THE DAY.

• აქ თუ არავინ მამჩნევს, ეგ არ მადარდებს, მთავარია, რომ ცხოვრებაში ბევრი მამჩნევს და პატივს მცემს; შენნაირად ლაყბობაში არ ვკარგავ დროს, მუშაობაში ვარ, წარმატებისკენ მიმავალ გზას მივყვები, პირადშიც მისაბაძი ურთიერთობა მაქვს და აქ ნამდვილად არც მჭირდება ვინმეს შემჩნევა. ბუცა.

• კუნკულ, რად გინდა ჩემი ნახვა, ჰა? :) შეეშვი ეგეთების წერას, ნაომს მოსწონხარ, თან თავისი თქმით, მშვენიერი გოგოა და შეიყვარე (მთლად ჩემნაირი ვერ არის, მაგრამ გაჭირვებაში წავა). მთლიანად ნაომს მარტო თვალებით დავჩრდილავ... ბუცა.

• იცი, არც მწყინს ნაომისგან ეგეთები, არც მეზიზღები, არც ვბრაზობ, ვხვდები, როგორი ხარ და დაჟე მესმის კიდეც შენი... :) ბუცა.

• გეგონოს, რომ აინტერესებს აქ ვინმეს ნაომი, აჭარტალე ენა, რამდენიც გინდა, დაიღლები და გაჩუმდები, მე კი ვიმხიარულებ. ბუცა.

• აბდაუბდა, ჯობია მოკეტო შენ, ნაომის ბრძნული სიტყვები ერთ ყურში შედის და მეორედან გამოდის. ნაომ, გეტყობა, რომ ვერ გაქვს ცხოვრება დალაგებული და აქ გინდა ის იპოვო, რაც სინამდვილეში ვერ შეძელი. ჩემნაირი ჭკვიანი რომ იყო, დამიჯერე, გაგისწორდებოდა. ჩემამდე ვერასდროს მოხვალ. ბუცა.

• გამარჯობა, როგორ ხართ? დიდი ხანია, არ მომიწერია და ახლა თქვენი დახმარება მჭირდება. მოტაცებას მიპირებენ და არ მინდა. მართალია, მეც მიყვარს, მაგრამ მან ეს არ იცის. 2 წლის წინ შეყვარებულები ვიყავით. მე 17 წლის ვარ და გათხოვებაზე არც მიფიქრია, რადგან კარგად ვსწავლობ და არ მინდა, მომავალი ნაცისარს დავუკავშირო. გელით. ლიზი123.

• მარორიტა, როგორ ხარ? იცი, როგორ მიყვარს, ასე რომ მოგმართავ? ძველი და ყოფილი მგზავნელი ვარ, დიდი ხანია, არაფერი მომიწერია. ძალიან მომენატრა თქვენთან. ახლა ვუყურებ „გზავნილებს“ და გული მწყდება. ძველი აღარავინ ჩანს. თან, ცოტა სმს-ია. ახლა გავიგე, რომ გოგა მეძებს. გოგა, გამიხარდა, რომ გამოხვედი. მარ, უმორჩილესად გთხოვ, დაბეჭდე.

• იცით, რატომ გწერთ? თუ ნებას მომცემ, ისევ დაგიბრუნდებით. დიდი ხანია, „გზა“ არ მიყიდია. არც თემა ვიცი. ვერ ვახერხებ, რომ ყოველთვის ვიყიდო. ამიტომ, უთემოდ მოგწერთ ხოლმე. კაი? მგზავნელებო, დაგიბრუნდით. ახმეტელი ცირა ვარ. P.S. ბარტყი.

• გამარჯობა, ჩემო კარგო მარი. დროის უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, ჩემს ძვირფას ადამიანებს რომლებიც ამ ქვეყანაში აღარ ცხოვრობენ, გულში ჩავიკრავდი და ვეტყოდი, როგორ მიჭირს მათ გარეშე ცხოვრება. როგორი ბედნიერი ვყოფილვარ მაშინ, როცა ისინი ჩემ გვერდით იყვნენ და ამას ვერ ვგრძნობდი. ჩემო ძვირფასო მგზავნელებო, ეცადეთ, გასცეთ სიყვარული. არასოდეს მოგერიდოთ ახლობლებს ჩაეხუტოთ და უთხრათ — „მიყვარხარ და ბედნიერი ვარ, რომ გხედავ“. გკოცნით, მიყვარხართ, გერასიმე.

• ღმერთო, რატომ მიყვარს ასე ძლიერ? არ ვიცი რა ვქნა, უკვე ვგიჟდები უიმისოდ. ნოდარ, სამუდამოდ მეყვარები. ლიზი123.

• ლუნაზე მაგრად გამეცინა. ტყუილად ცდილობს სექსუალური გოგოს იმიჯის მორგებას, ვირტუალურ სამყაროში. ხამობაში გადადის და არაესთეტიკურია ძალიან. აბდაუბდა.

• მიყვარხარ, ჩემო ცხოვრებავ. ჩემი სუნთქვა ხარ. ველარ ვძლებ უშენოდ. ლიზი123.

• არ მეგონა, თუ ასე ვინმე შემიყვარდებოდა, მაგრამ ეს მაინც მოხდა და მინდა გითხრა ნოდარ, რომ უსაზღვროდ მიყვარხარ. ლიზი123.

• დილა მშვიდობისა, მარიამულო, მე სულ შენთან ვიქნები და არც გულს გატკენ. გეთანხმები, როცა არავინ არავის იცნობდა, მაშინ ყველა გიჟდებოდა ერთმანეთზე, ახლა კი დაერივნენ და აღარ იციან, რა ქნან. ეჰ, ცუდია, მაგრამ რას ვიზამთ! არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერზე იდარდო, მარ. მიყვარხარ! შენი ლუნიტა.

• ეჰ, დროის უკან დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, ალბათ ჩემზე ბედნიერი არავინ იქნებოდა... რატომ ვარ ასე ცუდად? უკვე იმდენად დავიღალე, რომ იმის თავიც კი აღარ მაქვს, ძლიერი ვჩანდე. სწორად წაიკითხეთ, ვჩანდე და არა — ვიყო. რითი დაიწყო ყველაფერი? მუდმივ დეპრესიაში, სახეზე ღიმილაწებებული, მუდმივად სახლში, აღარც მეგობარი, აღარც სიყვარული და აღარც სიამაყე. ყველაფრის იმედდაკარგული და ამავე დროს, მომავლის შემყურე! იმ მომავლის, რომელიც ჩემს პატარა ანგელოზში იზრდება. ერთადერთი, რის გამოც ვარსებობ, ვსუნთქავ და ვიღიმი. დროის უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, ამდენ სისულელეს აღარ ჩავიდენდი, მაგრამ ამ ყველაფრისგან ერთი რამ მაინც ვისწავლე: არასოდეს არავის უნდა ენდო და არასოდეს არავინ უნდა შეიყვარო!

• ოჰ, ისე, ნაომის შურთ, რა! ეგეც არ იყოს მერილინ მონრო! :) ერთი უბრალო თამუნაა, რა! :) გადარეული.

• კისკისა, როგორ ხარ? რა გქვია? ბევრი კისკისი არ შეიძლება. :) გადარეული.

• მოკლედ, ლუნამ კიდევ ზეპირად იცის, ვინ გათხოვდა და ვინ ცოლი მოიყვანა. :) ეგ ყველა ამბავი სურამში ხდება? გადარეული.

• ნაომ, ერთი რამ უნდა გკითხო და გულწრფელად მიპასუხე, კაი? ძაან მაინტერესებს, რამდენი წლის ხარ? მითხარი, რა... მე 17 წლის ვარ. შენ? SEX BOY.

• ახლა ძალიან ენატრები გულის სიმშვიდეს, სევდა განაგრძობს ისევ ისე მალულად ტირილს, მე ღამეს ყველა ოცნება შენზე ისევ მივყიდე, ჩემი გრძნობები ნელა-ნელა ზეცისკენ მიდის. აბა, რა ვუყო ამ მონატრების ამღელვარებას, ვხვდები, ვიშლები, გული ისევ სევდიანია, ეს სიყვარული ასე როდემდე დაგემალება. ძალიან ენატრები გულის სიმშვიდეს, ვიცი, რომ მოხვალ და უსასრულოდ დაგელოდები, ჩემი გული შენზე ოცნებას ჩუმად მივყიდე, მე უშენოდ დამიჯერე, მართლა მოვკვდები. კლეოპატრა.

• მარიამულ, ხომ იცი, იდეები მაწვიმს ხშირად. ჰოდა, ახლა „გზას" ვკითხულობ და რაზე დავფიქრდი, იცი? ინტრიგა-სკანდალი-დაძაბულობა და ექსტრიმი ჩვენ არ გვაკლია და სერიალი ხომ არ გადაგველო, ჰა მსახიობები, იხარე, გვყავს! მარტო მარიო ჩიმაროს ჰყავს 100-მდე მიმბაძველი... რეჟისორები დაყრაზეა, სცენარისტი გვყავს — მთელ მსოფლიოში აღიარებული, თავისი საქმის პროფესიონალი — ლუნა. დამეთანხმებით, რომ ანას ყველა გზავნილი 100 პროცენტით ვარგისია სერიალის სცენარისთვის. რა, განა რითია მეტი ლათინურ-ამერიკული სერიალები? არც არაფრით, არ გავარტყით, დელია ფიალოს? :-) მოკლედ, მაგარი აზრია, რა, მარ, თან, წარმოიდგინე, მთავარი რა არის აქ: დასაქმდი და დაასაქმეს პრინციპია, ტო, რამდენს დავასაქმებთ? შემდეგ წარმოიდგინე, მარ, ჩაბნელებული კინოთეატრის დარბაზი, მონიტორზე ტიტრები — წალენჯიხა picTures & boboyvaT internaTional presenTs :) და შემდეგ იწყება: „ღამის სამი საათია, ოთახში გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ საათის მონოტონური წიკწიკი არღვევდა". ნწუ, არაა, დეტექტივს დაემსგავსება მასე! ა, ასე ჯობია: „ნინჩომ და ლევანიკომ ერთმანეთი ბებიაჩემის მულის დაკრძალვაზე გაიცნეს. გოგო თმაგაწეწილი დამხობოდა სონია ბებოს ცხედარს და თავგადაკლული მოთქვამდა. ბიჭს ამ სანახაობამ გული აუჩუყა და მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა და ა.შ. და ა.შ... :) ცუდი იქნება? დაფიქრდი, ჯაფარიძე. :) არაა ეგ ხელიდან გასაშვები შემოთავაზება. P.S. მოკითხვა მემეს, ფლამინგოს, ლაკვასტს, ჩვენს სცენარისტს და რა ვი, ყველას, რა. 9.7.1.7.

• როგორ მწამდა, რომ ვიყავი/ შენი ციცქნა გოგონა,/ ტყუილებიც თუ იცოდი,/ მომკალი, არ მეგონა.../ ნეტავ სხვა რა დაგიშავე,/ გარდა სიყვარულისა,/ გეფიცები, არ ვყოფილვარ/ შენთან ცუდი გულისა,/ არ მეგონა, თუ ოდესმე/ წახვიდოდი სხვასთან,/ მე კი მაინც ჩემს სიყვარულს,/ ჩემს იმედებს გატან.../ რომ მცოდნოდა, რომ მცოდნოდა,/ დასასრული ამ ტრფობის,/ მაინც მონა ვიქნებოდი,/ ამ ტკბილ-მწარე, ყალბი გრძნობის... ლუნა.

• რატომ ატყუებთ ხალხს? ნომრის ამოსაცნობად ვიღებთ რაღაც გაურკვეველ ასოებსა და ციფრებს — ანუ გაურკვეველ მესიჯს.

• ჩემო დიდო სიყვარულო, ბუთია ლომინაძე, შენს არსებაში მე დავინახე ლამაზი სული, მე შემიყვარდნენ შენი თვალები ფიქრში წასულნი, გარს გახვევია მომხიბვლელი....

• მარ, გენაცვალე შენ, ძაან საყვარელი ხარ. :) „გზას" თითქმის სულ ვკითხულობ და აქ ერთადერთი ნორმალური ხარ. ბრავო შენ, ამათი გაძლებისთვის. მიყვარხარ... მანიკა.

• ბავშვებო, მე მანიკა ვარ, რამოდენიმე ხართ მარტო კარგები. მაგალითად, YELLOW, მარი, კლეოპატრა... დანარჩენები არ მომწონხართ. არ გეწყინოთ. :) მანიკა.

• მე რა თქმა უნდა, მინდოდა შენთან მოსვლა, შენ არ ისურვე, არ დამიჯერე, კარგო... კუნკულა.

• მე შენი სიმკაცრის ნაპრალში ვვარდები, ძვირფასო, საშველად ნუ დაგვიანდები. კუნკულა.

• დღეს „გზა" წავიკითხე და მომინდა, მომეყოლა: მე ალექსი ვარ, პიტერიდან (ქართული კარგად არ ვიცი). აქ ერთი გოგოსთვის ჩამოვედი. ანა ჰქვია, ხურცია, მაგრამ მავნეს ეძახიან. ბევრი გიჟდება ჩემზე. ანი რომ გავიცანი, მეგონა, ეგეც ეგეთი იყო, მარა იხარე, ახლოს არ მიკარებდა და მე ის მიყვარს. მართლა... არ ვიცი როგორ, მაგრამ 15 წლის ბავშვმა გამაგიჟა.

• მე ახალი ვარ. მინდოდა თქვენთან კონტაქტი. მარ, დამიბეჭდე ეს სმს, რააა...

• ნაომი, შენ კიდევ, ჩემი გულის ყოჩივარდა ხარ. ძალაუფლება გინდა ახლა, რომ სისასტიკით გაითქვა სახელი.

• მარი, მინდა, „გზავნილებში" დაბეჭდო, თემის გარეშე მოსულებში, თან — ასეთი სათაურით: „მარი ჯაფარიძევ, აქ „გზაში" ვინ მოგიყვანა, შე მადლიანო შენა, ჰაააა?!" მარი, გალმერთებ შენი მგზავნელებიანად, ყველა მიყვარხართ და გეამბორებით. სულ ახლახან გავიგე, რომ ჩვენი ჟურნალის მგზავნელები დაქორწინებას აპირებენ. ვინაობა ინკოგნიტოდ დარჩეს. გავაანალიზე „გზასთან" მეგობრობა და მინდა, კიდევ ერთხელ, ქება-დიდებით აგავსო. დიახ, შენ, მარი, ბედნიერების გზისკენ გამკვალავო! შენზე ბედნიერი ქალი არავინაა ამ ქვეყანაზე, სწორედ შენ ხარ ჩემთვის ბედნიერების მომტანი, მგზავნელთა დიდი არმიის დედოფალო! შენი მისამართით ნათქვამი ყოველი სიტყვა გულში სიამით მღვრება, შენ ხომ „გზას" დაუმკვიდრე რუბრიკა „გზავნილები". ჯერ საქართველოში მსგავსი რამ არც ერთ ჟურნალს არ ღირსებია. წლების განმავლობაში უამრავს მიეცი საშუალება, გულწრფელი აღსარებისა, როგორი შვება იგრძნეს, როდესაც ჟურნალში თავისი ნაწერი ამოიკითხეს. ჩვენს ჭირ-ვარამგამოვლილ საქართველოში უმეტესობა გაჭირვებულია, ვიდრე დალხინებული. მათთვის შენი რუბრიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გზავნილები

წამალია სულისა, გულისა და შვებისა. თუნდაც პატიმრებთან კონტაქტი ავილოთ. მარი ჯაფარიძე, გაიხარე და გამრავლდი ისე, როგორც ადამ და ევა, ამას იმსახურებ შენი ინტელექტით, სიბრძნით და საერთოდ — ყველაფრით. უნიჭიერესი ხარ, ამიტომ მიმაჩნია, რომ უბედნიერესი სწორედ შენ ხარ, შემდეგ კი დანარჩენი. შენი ბრწყინვალე შემოქმედება დიდი გაკვეთილია ჩვენთვის, რათა ჩავიხედოთ ჩვენს გულებში, რანი ვართ და რანი უნდა ვიყოთ წუთისოფელში ერთხელ მოსულნი და როგორი სახელით უნდა წავიდეთ. მართლაც ბედნიერი ხარ, ჩემო მარი, უთვალავ მგზავნელს აუჩქროლე გული, ერთმანეთთან დააკავშირე და დაამეგობრე. ყოველ ხუთშაბათს შენს რუბრიკაში ბრწყინავს მათი სითბო და სიყვარული. ამ გრძნობამ გაუმრავლა მკითხველი ჩვენს საყვარელ ჟურნალს და თავადაც გაუხსნა გზა, მგზავნელი გამხდარიყო. დიდი მადლობა, ჩემო მარი, მეც მერგო შენი დარგული ხის ნაყოფი, ნამდვილად ბედნიერად ვგრძნობ თავს. ფიზიკურად არავის ვცნობ, შორიდან სითბოსა და სიყვარულს მიგზავნიან. ბევრმა მგზავნელმა შემაყვარა თავი, სიამოვნებით ვეცნობი მათ სმს-ებს და მათ გულით ვეკონტაქტები. ზოგი მირეკავს, მკითხულობს, ასაკს რომ ვეკითხები, მეცინება — სად მე და სად — ისინი, ჩემი ტოლი ქვაც აღარ დაგორავს, მაგრამ გულს უხარია მათთან კონტაქტი, ეს მაძლევს ძალას და ეს მახალისებს. მგზავნელებმა სიყვარულით ისე გამანებივრეს, სულ დამავიწყეს წარსულში როგორ გავლეწე კალო ობლობისა, გაჭირვებული სტუდენტობისა, ყოველმხრივ უკმარისობისა. თეატრალური ინსტიტუტი წარმატებით კი დავამთავრე, მაგრამ რაა მერე... სცენა მე არ მინახავს და როლი მე არ მღირსებია. კულტურის სამინისტრომ სულ სხვაგან მიკრა თავი, სპეციალისტი გვჭირდებაო, მხატვრული კითხვის პედაგოგად გამამწესა კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში. ასე შევრჩი პედაგოგობას, საპენსიო ასაკამდე. გავიდა დრო და ბედმა ქმრად ღმერთივით კაცი მარგუნა — ეკონომისტ-ფინანსისტი, კეთილშობილი, განათლებული და დახვეწილი ინტელიგენტი. ჩამაცვა, დამახურა, დედოფალივით გამომაწყო. ტურისტად საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანა მოვიარე, ზღაპარში მეგონა თავი. სიცოცხლეს მის ხელში გავუგე გემო, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ჩემი ბედნიერება, 15 წელი ვინებივრე დუმბაძის ჩრდილქვეშ. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ისევ დარდი, ისევ სევდა. მიკვირს, მის დამკარგავს როგორ მიდგას სული, ისიც მგზავნელებმა დამავიწყეს და ისიც, რომელსაც სიამაყით ვიხსენებ ხოლმე, საბჭოთა კავშირის დროინდელს: 1967 წელს კულტურის სამინისტრომ მოსკოვში აკომპანიატორთან ერთად მიმავლინა, მასობრივ გამრთობთა საკავშირო კონკურსზე მონაწილეობისთვის. კონკურსი რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. სამი ტურის შემდეგ, მთელ საბჭოთა კავშირში ავიღე პირველი ადგილი, მომანიჭეს ლაურეატის წოდება და დამაჯილდოეს ფერადი ტელევიზორით (მაშინ ეს ახალი ხილი იყო). გასაოცარი ის არის, რომ ვაჯობე კრემლის მასავიკებსაც კი. არც გამკვირვებია, კონკურსზე ჩემმა დაგუბებულმა ნიჭმა ვულკანივით ამოხეთქა, დარბაზში ცეცხლი დავანთე, მეამაყება, რომ საქართველოს სადიდებლად ერთი პატარა აგური მეც დავდე. ხომ გეუბნებით, ეს ჩემი მწარე და ტკბილი ცხოვრება, თქვენ, მგზავნელებო, თქვენ დამავიწყეთ, სწორედ თქვენი სითბოთი და სიყვარულით მივდივარ იქ, საიდანაც აღარ ბრუნდებიან. განა ეს ცოტაა? აი, ასე შეცვალა ჩემი ცხოვრება მოვლენამ — მარი ჯაფარიძემ, სიკეთით რომ დაააარსა და „გზავნილები“ უწოდა... და მაინც, ბერბიჭა მენატრება „გზაში“. ჩემი სითბო და სიყვარული თქვენ, ჩემო ნიჭიერო ახალგაზრდობავ. სანამ სიცოცხლე გვიწერია, სანამ ფეთქავს ჩვენი გულები, სიყვარულით ვეკონტაქტოთ ერთმანეთს, ისიხარულეთ თქვენი თანატოლების ნიჭიერებით და ერთმანეთს სითბო და სიხარული მიაგებეთ. ნანი დუმბაძე.



## გილოცავ!

• ვულოცავ პატარა გიორგი ხურციძეს გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. ზარების გუგუნი ისმოდა ზეციდან, ტაძარში იწვოდა ათასი სანთელი...

• წმინდა გიორგი ფარავდეს ქობულეთის მეორე საჯარო სკოლისა და V-ბ კლასის პედაგოგებს. შერმადინ ღვინიანიძე.

• ნატო ბიწაძეს: გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ლამაზ, წრფელ სიყვარულს, ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. გაუმრავლდი ოჯახს. ბიწაძეები, სტურუები და ნარიმანიშვილები.

• ქუთაისში ყველაზე მაგარ ადამიანებს — ქერა ნატოს, შავ ნატოს, მაიას, შორენასა და მზეოს, ასევე ნელი დეიდას ვულოცავ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. პასაჟა.

• გია, გილოცავ გიორგობას, მრავალს დასწრებოდე, მალე ჩვენ გვერდით ყოფილიყავი. ძალიან გვენატრები, ყოველთვის გვახსოვხარ და გნატრობთ. პუტუნა.

• ც212. სოსო, გილოცავ მთავარანგელოზობას. დაესწარი მრავალს, ჩვენთან ერთად. მალე ჩვენთან ყოფილიყავი. ღმერთი გფარავდეს, მიყვარხარ უზომოდ, ჩემო დიდო სიყვარულო, არ იჯავრო, ყველაფერი კარგად იქნება, მე შენთან ვარ, ყოველთვის შენს გულში, შენ კი ჩემს გულში ხარ, დაგატარებ გულით, მიყვარხარ ძალიან. ღმერთი გფარავდეს.

• პატუ, გიორგობას გილოცავ, წმინდა გიორგი ყოფილიყოს შენი მფარველი, უზომოდ გვენატრები და გვიყვარხარ, იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ქეთი, ნიკო და მარი.

• ჩემო გიჟო სიყვარულო, გილოცავ გიორგობას, ღმერთმა დაგლოცოს და გაგახაროს. არ გეგონოს, რომ დაგივიწყო, არ შემიძლია; არ გეგონოს, რომ გიღალატო, ეს არ მოხდება...

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტაიმ-აუტი

## „მწვანე“ ვარსკვლავები

• ტობი მაგუაიერი ვეგეტარიანელი ნატალი პორტმანის გავლენით გახდა. საკუთარ სახლში ტყავის ქურთუკით მოსულ სტუმრებსაც კი არ უშვებს. თავად ნატალი 20 წლის მანძილზე ვეგეტარიანელი იყო, მაგრამ ფეხმძიმობისას კვერცხსა და რძეს მიირთმევდა.

• მომღერალ პოლ მაკარტნის ექსმეუღლემ, მოდელმა ჰიზერ მილზმა პოლთან განქორწინების შემდეგ მიღებული ფულით კომპანია Redwood Wholefood იყიდა და ლონდონში ვეგეტარიანული კაფე გახსნა. მოდელი თხოვნით მიმართავდა დიზაინერებს, კოლექციების შექმნისას არ გამოეყენებინათ ნატურალური ტყავი და ბეწვი. მოდელი PETA-ს (People for the Ethical Treatment of Animals) აქტივისტია და მისი თაოსნობითაა შექმნილი პლაკატი, რომელზეც შიშველი ვარსკვლავები არიან გამოსახული: „მირჩევნია, შიშველმა ვიარო, ვიდრე ცხოველის ქურქი მოვირგო“, — ანერია პლაკატს. მაკარტნისთან თანაცხოვრების დროს, წყვილი მოითხოვდა, რესტორნების მენიუდან ამოეღოთ ფრანგული კერძი — „ფუაგრა“, რომელიც ბატის ღვიძლისგან მზადდებოდა. პოლი მილზთან განქორწინების შემდეგაც აგრძელებს ცხოველთა დაცვას და მოითხოვს, აიკრძალოს მათზე ექსპერიმენტების ჩატარება.




• ჰოაკინ ფენიქსი 3 წლის იყო, როცა მამამ სათევზაოდ წაიყვანა: „საცოდავი სანახავი იყო თევზი, რომელიც სიცოცხლისთვის იბრძოდა. იმ დღეს მივხვდი, რომ ცხოველურ საკვებს აღარ გავეკარებოდი და დღემდე ვეგეტარიანელად ვრჩები“.

• მომღერალმა პრინცმა ყველაზე სექსუალური ვეგეტარიანელის ტიტული 2006 წელს მოიპოვა. სიმღერებშიც კი გამოხატავს პროტესტს იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც ნატურალური ქურქები აცვიათ და ხორცს მიირთმევენ.

• „სილიკონის ლედი“ — პამელა ანდერსონი 90-იანი წლებიდან გახდა PETA-ს წევრი. პამელა აკრიტიკებს დიზაინერებს, რომლებიც ჩვენებებისთვის ცხოველების ტყავსა და ბეწვს იყენებენ. ცხოველების გადარჩენის მიზნით, ანდერსონმა დიზაინერ რიჩი რიჩისთან ერთად შექმნა ხელოვნური მასალისგან ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. გარდა ამისა, მსახიობი 14 წლიდან ვეგეტარიანელია და სხვებსაც აქტიურად მოუწოდებს უარი თქვან ცხოველურ საკვებზე.

• ერთ დროს, გვინეტ პელტროუც ვეგეტარიანელი იყო. ქალიშვილის დაბადების აღსანიშნავად, ბოსტნეულის კერძების წვეულებაც კი მოაწყო, მაგრამ რამდენიმე წლის წინ, კვლავ დაიწყო ფრინველის ხორცის ჭამა და ზამთარში ბეწვეულის ქურქითაც იმოსება. საკუთარ ბლოგში კი თაყვანისმცემლებს ქათმისა და ინდაურის კერძების რეცეპტებს უზიარებს.

• ბრიჟიტ ბარდომ კინომსახიობის კარიერა 1986 წელს მიატოვა. საკუთარი ძვირფასეულობები გაყიდა და ნორმანდიაში შინაური ცხოველებისათვის თავშესაფარი ააშენა. ბარდო მოითხოვს, აიკრძალოს ცხოველებზე ნადირობა, მათი ხორცისა და ტყავის გამოყენება. აგრეთვე აიკრძალოს ისეთ გასართობები, როგორებიცაა: კორიდა, ზოოპარკი, დელფინარიუმი, მამლებისა და ძაღლების ჩხუბი.

• ვეგეტარიანელები არიან: ტელეწამყვანი — ელენ დეჯენერესი, მომღერალი — მადონა, მსახიობები — ალეკ ბოლდუინი, ბრედ პიტი და სხვები. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი პროტესტს გამოთქვამს, როცა მისი მეუღლე და შვილები ცხოველურ საკვებს მიირთმევენ, მაგრამ ჯოლის თქმით, არჩევანის უფლება ნებისმიერ ადამიანს აქვს. ■




krota.ru

*მოამზადა რუსუდან ბელაშვილმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა


# ყურადღება აფროდიზიაკები! რა მივირთვათ პოტენციის ასამაღლებლად ?

თქვენს კითხვებს პასუხობენ პროფესიონალები!

MKURNALI.GE

სამედიცინო ინტერნეტჟურნალი

8 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; 2 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; 14 მოქმედი ლიცენზირებული ექიმი.

www.mkurnali.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ანეკდოტები

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

### „პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. ბერძენი მეთევზეები დაჭერილ რვაფეხას ჰუმანური მეთოდით კლავენ. კერძოდ, როგორ?

2. როდესაც აბდ ალ-მალიქს ხალიფად გახდომის ამბავი აუწყეს, მან გვერდზე გადადო „იგი“ და თქვა: „ამიერიდან ჩვენი გზები გაიყარა“. რა გადადო გვერდზე ხალიფამ?

3. ვის შესთხოვდა პატიებას გალიაში გამომწყვდეული ემელიანე პუგაჩოვი?

4. ინგლისის დედოფალმა მსოფლიო ომის დროს ბუხარი ჩააქრობინა. რატომ?

5. გენერალი ნაპოლეონ ბონაპარტი 27 წლისა გახლდათ, როდესაც იტალიის წინაალმდეგ მოქმედი არმიის მთავარსარდლად დაინიშნა. ძველი თაობის გამოცდილი გენერლები ხალისით როდი ემორჩილებოდნენ ახალგაზრდა მხედართმთავარს. განსაკუთრებული უკმეხობით გამოირჩეოდა გენერალი ოჟერო, რომელიც პირველსავე დღეებში მწვავედ წაეკამათა მასზე ასაკით ბევრად უმცროს ნაპოლეონს. ოჟერო აღნაგობითაც ბევრად მაღალი იყო და ზემოდან დაჰყურებდა „პატარა კაპრალს“. — გენერალო! — შეუტია მაშინ ბონაპარტმა, — თქვენ ერთი თავით მაღალი ხართ ჩემზე, მაგრამ თუ ასე უკმეხად დამელაპარაკებით... დაასრულეთ ნაპოლეონის სიტყვები.

6. ძუძუმწოვარ მტაცებელთა შორის რომელს აქვს ყველაზე ღონიერი ყბები?

7. დაასახელეთ ნუგბარი, რომელიც იმდენად უყვარდა დავით ყიფიანს, რომ ხშირად ანგინაც კი აწუხებდა ამის გამო.

8. დაასახელეთ ყველაზე უცნაური ადგილი, სადაც რუსებმა თავიანთი განთქმული რუსული აბანო მოაწყვეს.

9. ზელასთან მომხდარი ბრძოლის ანაზდეულობა რომ ეუწყებინა, იულიუს კეისარმა თავის მეგობარს, ამანტუსს სამი სიტყვა მისწერა: „მივედი, ვნახე, დავამარცხე“. („ვენი, ვიდი, ვიცი“). დაასახელეთ სიგარეტის მარკა, რომლის კოლოფსაც დღეს ეს სიტყვები ამშვენებს?

10. რა არის რუსების თქმით, ყველაზე საიმედო ამორტიზატორი მათ გზებზე სასიარულოდ?



***

სვანი გამოცდაზე:

— გვიჩვენეთ რუკაზე წითელი, ყვითელი, შავი და თეთრი ზღვები!

— არ შემიძლია, დალტონიკი ვარ!

***

თვითმფრინავის სალონში სტიუარდესა გამოვიდა და მგზავრებს ეკითხება:

— მგზავრებს შორის ვინმე ექიმი ხომ არ არის?

ერთი მგზავრი ადგა და სტიუარდესას პილოტის კაბინაში გაჰყვა. 10 წუთის შემდეგ, სტიუარდესა ისევ გამოვიდა სალონში და იკითხა:

— მგზავრებს შორის ვინმე მფრინავი ხომ არ არის?

***

— ქალს გემო მხოლოდ 30 წლის ასაკში გავუგე.

— კი მაგრამ, მანამდე?

— მანამდე მხოლოდ მამაკაცები იყვნენ.

— შენ რა, ცისფერი ხარ?!

— ცისფერი თავი გაბია! კაციჭამია ვარ!

***

მამა მოძღვრავს შვილს:

— შვილო, დაქორწინდები და მიხვდები, თუ რა არის ნამდვილი ბედნიერება.

— მართლა, მამი?!

— მართლა, მართლა, მაგრამ უკვე გვიან იქნება.

***

ნარკუშა მეგობარს ეძახის:

— კოკა! კოკააა!

გამოიხედავს კოკას დედა.

— კოკა სახლშია?

— არა, შვილო.

— აუ, კარგად ნახეთ, რა!

***

2 ქალი საუბრობს:

— ჩემი ქმარი მხოლოდ მაშინ სვამს სასმელს, როდესაც რაიმე დღესასწაულია ან თუ აბანოში მიდის.

— უი, რა კარგი ქმარი გყოლია!

ცოტა ხანში შემოდის ქმარი და ცოლს ეკითხება:

— დღეს რამე დღესასწაული ხომ არ არის?

— არა.

— წავედი მაშინ აბანოში!

***

ბიჭი ეუბნება გოგოს:

— ამბობენ, ქალებს ყურებით უყვართო...

— რა თქვი?

— ქალებს ყურებით უყვართმეთქი!

— რა თქვი?

— ჩემი ბედი რა ვთქვი, რაღა მე შემხვდა ფრიგიდული!



***

— პიანინოს თქვენ ყიდით?

— დიახ, ოღონდ, ისე უნდა წაიღოთ, რომ ჩემმა ცოლმა ვერაფერი გაიგოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ცოლი ქმარს:

— აი, გამოვაკრავ ჩვენი სადარბაზოს თავზე განცხადებას, რომ დეგენერატი ხარ და ნახავ, მთელი ქალაქი რომ გაიგებს ამ ამბავს!

* * *

ცოლ-ქმარი კინოში აპირებს წასვლას. ცოლი სარკესთან ტრიალებს:

— ხომ მართალია, რომ ეს ვარცხნილობა ძალზე მახალგაზრდავებს?! — ეკითხება ქმარს.

— კი, რასაკვირველია, მაგრამ იცოდე, ნამეტანი არ მოგივიდეს, თორემ ამ ფილმზე არასრულწლოვნებს არ უშვებენ.

* * *

ინგლისელი ბიზნესმენი მდივანს წერილს უკარნახებს:

— ძვირფასო სერ! რადგანაც ჩემი მდივანი ქალია, არ შემიძლია ვუკარნახო, რასაც თქვენზე ვფიქრობ. მეტიც, რადგან ჯენტლმენი ვარ, არ მაქვს უფლება, თქვენზე ასე ვფიქრობდე, მაგრამ რადგან თქვენ არც ერთი ხართ და არც — მეორე, იმედი მაქვს, სწორად გამიგებთ!

* * *

სვანი კონსერვატორიაში გამოცდას აბარებს.

— მე ნოტს ავიღებ და შენ გამოიცანი, — ეუბნება გამომცდელი.

— მიდი! — რიხიანად ეუბნება სვანი და ზურგით შეტრიალდა.

გამომცდელმა აიღო ნოტი. სვანი შემოტრიალდა:

— შენ იყავი, ვერ მომატყუებ!

* * *

ველურებმა ჭიჭიკია დაიჭირეს:

— რას მიპირებთ? — იკითხა ჭიჭიკიამ.

— უნდა შეგჭამოთ, შენი კანისგან კი დაფდაფები უნდა გავაკეთოთ.

— უკანასკნელი თხოვნა მაინც შემისრულეთ!

— თქვი, რა გინდა?

— ლურსმანი მომეცით! — ჭიჭიკიას მისცეს ლურსმანი, მან ხელი სტაცა და საკუთარი სხეულის დაჩხვლეტას მიჰყო ხელი:

— აი, თქვენი დაფდაფები!.. აი, თქვენი დაფდაფები!..

* * *

— რატომ ატარებ საქორწინო ბეჭედს ხრჩნითზე?

— იმიტომ, რომ არაკაცზე ვარ გათხოვილი!

* * *

— ჩემი ქმარი ავანგარდული სტილის მხატვარია და მშვენივრად ვეწყობით ერთმანეთს. დილით ის ხატავს, მე — საჭმელს ვამზადებ, შუადღისას კი ერთად ვცდილობთ, გამოვიცნოთ, ვის რა გამოუვიდა...

* * *

— ჩხუბში სულერთია, ჩემზე ერთი მოდის თუ ასი!

— ეგ როგორ?

— ნებისმიერ შემთხვევაში, ვითესები...

* * *

2 კაცი საუბრობს:

— გუშინ ისე დავთვერი, სახლში მისულს, ჩემი ცოლი ქურდი მეგონა და ფანჯრიდან ვაგდებდი. უნდა გენახა, რას კიოდა.

— ეგ რა არის, მე ისე დავთვერი, რომ ბინაში შესული ქურდი ჩემი ცოლი მეგონა. შენ იმის კივილი უნდა გენახა!



# გონების სავარჯიშო

## „გზის" ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. თვალებს შორის არსებულ ნერვულ ცენტრს კბილებით გადაუკვნეტენ ხოლმე.

2. ყურანი.

3. ხალხს. „პრასტი ნაროდ პრავასლავნი", — გაიძახოდა სიკვდილმისჯილი კაზაკი.

4. სირცხვილია, ამ გაჭირვების ჟამს სასახლის საკვამურიდან კვამლი ამოდიოდეს, როცა ჩემი ქვეყნის მოქალაქეები იყინებიან", — განაცხადა დედოფალმა.

5. „მაგ უპირატესობას დაკარგავთ!".

6. აფთარს.

7. ნაყინი.

8. კოსმოსი.

9. „მარლბორო".

10. იუმორი.

## ჩვენი ფოტო გალერეა



# ჰოროსკოპი

## 24-30 ნოემბერი

### ვერძი

უქმეებზეც მოგიწევთ მუშაობა. კოლეგებთან კონფლიქტს მოერიდეთ. საყვარელი ადამიანი საჩუქრებით გაგანებივრებთ.

### კურო

ცვლილებების პერიოდი დაგიდგათ: დაგაწინაურებენ და ახალი პროექტების განხორციელებას შეუდგებით.

### ტყუპი

კოლეგებთან კონფლიქტი დიპლომატიურად მოაგვარეთ. გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა მეუღლესთან. უცხოეთიდან სასიამოვნო ამბებს მიიღებთ.

### კირჩხიბი

მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. ნუ მიაქცევთ ყურადღებას მოშურნეებსა და ჭორიკანებს. კარგი განწყობილების შენარჩუნებაში საყვარელი ადამიანი და მეგობრები დაგეხმარებიან.

### ლომი

შესანიშნავი პერიოდია ძველი კავშირების აღსადგენად; მოაწესრიგეთ სამსახურებრივი დოკუმენტები.

### ქალწული

დაივიწყეთ სიზარმაცე და საქმეს შეუდექით! კარგი პერიოდია სწავლისა და ახალი სამსახურის დასაწყებად. მეგობრებს დახმარებაზე უარი არ უთხრათ.

### სასწორი

რამდენიმე საინტერესო შემოთავაზებას მიიღებთ. მხოლოდ იმ სამუშაოს დათანხმდით, რომელსაც თავს გაართმევთ. თუ საყვარელ ადამიანთან კონფლიქტი არ გსურთ, არ მოახვიოთ საკუთარი აზრი.

### მორიელი

ნაკლები დრო დაუთმეთ გართობას და ყველა საქმის შესრულებას მოასწრებთ. კარგი პერიოდია უცხო ენის გაღრმავებისთვის. უსაფუძვლო ეჭვიანობით ნუ დაძაბავთ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას.

### მშვილდოსანი

გამოცდილი კოლეგების დახმარებით, საქმეებს წარმატებით დაასრულებთ. ნუ გაამწვავებთ კონფლიქტს ოჯახის წევრებთან. კვირის ბოლოს, მეგობრებთან ერთად, ქალაქგარეთ პიკნიკი მოაწყვეთ.

### თხის რქა

რომანტიკული პერიოდი დაგიდგათ. გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა გარშემო მყოფებთან. მეგობრის დახმარებით, ფინანსური მდგომარეობა გამოგისწორდებათ.

### მერწყული

საუკეთესოდ შესრულებული სამუშაოსთვის პრემიას მიიღებთ. მეტი დრო გაატარეთ ოჯახის წევრებთან ერთად. კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ზედმეტად ნუ ჩაერევით მათ საქმეებში.

### თევზები

ყველა პრობლემას მარტო ვერ მოაგვარებთ. საქმე სხვებსაც გადაუნაწილეთ. კვირის მეორე ნახევარში ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ, გაგიუმჯობესდებათ განწყობილება.

# წყლის ზოდიაქო

დასაწყისი იხ. „გზა“ №46

### ვეშაპი (9 აპრილი-2 მაისი)

ცხოვრების დინებას მშვიდად მიჰყვება. მისთვის უცხოა რისკი და ავანტიურა. მისი ინტერესის სფეროებია: მშენებლობა და სამეცნიერო კვლევები. ვეშაპი ჯანმრთელია, მაგრამ შესაძლოა, ზოგიერთს ჰორმონული დარღვევა და ჩიყვის პრობლემა აღმოაჩნდეს.

### თევზი-სალამურა (3-27 მაისი)

ცვალებადი ხასიათი აქვს. ხშირად მხიარული და ენერგიულია. მაგრამ, შესაძლოა, წვეულებაზეც კი მოიწყინოს. მოსწონს ყურადღების ცენტრში ყოფნა. პარტნიორს დიდი სიფრთხილით ირჩევს. თუ დაქორწინდა, მეუღლისა და ოჯახის ერთგული იქნება. მისგან შესანიშნავი კულინარი ან არქიტექტორი დადგება. მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს წონას.

### სკუმბრია (28 მაისი-11 ივნისი)

კეთილშობილი ნიშანია. მორიდებულობის გამო, შესაძლოა, საკუთარი წარმატება სხვას „გადააბრალოს“. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს მშობლებისა და ნათესავების მიმართ. მისგან კარგი ინჟინერი, პედაგოგი და მათემატიკოსი დადგება. არ უყვარს ექიმები და მკურნალობა. საბედნიეროდ, მყარი ჯანმრთელობით გამოირჩევა.

### პირანია (12-27 ივნისი)

მთელ ცხოვრებას ნადირობაში ატარებს. უყვარს აღმოჩენები. პირანია თავგადაკლული მოგზაური, ექსტრემალი, კინოსა და თეატრის მოყვარულია. უცხოებს საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანი ჰგონიათ; სინამდვილეში, მხიარული და ენაკვიმატია. ხშირად ნერვიულობს. გულს უნდა გაუფრთხილდეს.

### სკაროსი (28 ივნისი-28 ივლისი)

გამოუსწორებელი ოპტიმისტია. არ უშინდება სირთულეებს. ხშირად ასაკით პატარა პარტნიორზე ქორწინდება. მისგან საუკეთესო მზარეული, პედაგოგი და მძღოლი დადგება. ამ პერიოდში დაბადებული ადამიანი ტკბილეულის მოყვარულია და საკუთარი თავი უნდა გააკონტროლოს, რომ არ გასუქდეს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა



1. დიდი სანთელი
2. მსუბუქი არშიყი
3. წმინდად დაკეპილი ხორცი
4. კანადის დედაქალაქი
5. გასაღებზე დასაკიდი სამკაული
6. ავტორი რომანისა „გურჯი ხათუნი“
7. წარწერა კინოფილმის კადრზე
8. შექსპირის ტრაგედია
9. მუსლიმანთა ღმერთი
10. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
11. ხვიარა მცენარე
12. ვარდობისთვე
13. გარეული ღორი
14. ნოხი
15. კლდიანი ღრმა ხევი
16. საინფორმაციო საშუალებანი
17. ბეჰემოთი
18. ნაბიჯი ბალეტში
19. მარილიანი
20. საწერი სითხე
21. ქალაქი საქართველოში
22. გოვი ბერიკაშვილის კინოროლი
23. ღვთისმშობელი
24. იარაღის საწყობი
25. აშშ-ის სატელევიზიო პრემია
26. პომიდვრის წვენი
27. იაპონური ელტექნიკის ფირმა
28. სცენის განათება
29. ჩვარი
30. კოპიტი
31. ფაშიზმის სამშობლო
32. მდინარე ციმბირში
33. გერმანიის კანცლერი
34. ახალგნაადგმული ბავშვის ლაპარაკი
35. დარტყმა კრივში
36. ჭიდაობა
37. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი
38. გარი მარშალის ფილმი
39. საპაერო ფლოტი



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები** 1. ესპერანტო; 2. პანტა; 3. მენდელსონი; 4. რაში; 5. ალასკა; 6. ნაფოტი; 7. ტატრა; 8. ლანდშაფტი; 9. იგავი; 10. ეტლი; 11. კოლეჯი; 12. სლაი; 13. მეხიკო; 14. კინტო; 15. გორგასალი; 16. ურალი; 17. მიამიტი; 18. სოდა; 19. ნატურა; 20. კორონაცია; 21. ლელო; 22. მალტა; 23. მოსე; 24. ბრა; 25. მარანი; 26. კულინარი; 27. აკრობატი; 28. კიი; 29. პოლემიკა; 30. ტოლი; 31. თონე; 32. ბილბაო; 33. ბოლერო; 34. პო; 35. კელა; 36. ბატი; 37. თოკი; 38. პაპარაცი; 39. შტორმი; 40. წიწილი.
**სურათებზე:** ქეთი ჯადი; ჯორჯ კლუნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიოს უცნაური სკოლები

დასაწყისი იხ. „გზა“ №45

⅄ მშობლებს ნიჭიერი შვილები ნიუიორკის Choir Academy of Harlem სკოლაში მიჰყავთ, სადაც ჰუმანიტარული საგნების პარალელურად, სიმღერა, ცეკვა და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა ისწავლება. თუ მშობელს საშუალება არა აქვს, ბავშვს რომელიმე მუსიკალური ინსტრუმენტი უყიდოს, დროებით სკოლის ინვენტარის გამოყენება შეუძლია. უყურადღებოდ არ რჩება მოსწავლეების ფიზიკური განვითარებაც. სკოლაში მუშაობს ბეისბოლისა და ფეხბურთის ჯგუფები.

⅄ 2011 წელს „ოსკარით“ დაჯილდოვდა კარენ გუდმანისა და კირკ საიმონის ფილმი — „აქ ყველა შინაურია“. 40-წუთიანი ფილმი „ბიალიკ-როგოზინის“ სკოლაზე მოგვითხრობს, სადაც ემიგრანტებისა და არალეგალების შვილები სწავლობენ. მეცადინეობის გარდა, სკოლა ბავშვებს ტანსაცმლით, საკვებითა და თავშესაფრით უზრუნველყოფს. მოსწავლეებს ერთმანეთზე ზრუნვას ასწავლიან. სკოლაში არ არსებობს უცხო ტომის ბავშვი. ყველა ისრაელის მოქალაქეა.

⅄ კამბოჯაში, ტონლესაპის ტბაზე მოძრავი ქალაქია გაშენებული, — სახლებით, კაფეებითა და კომპონგ ლუონგის სკოლა-ინტერნატით. ამ უკანასკნელში ძირითადად ობოლი ბავშვები სწავლობენ, რომელთა მშობლებიც ტბაზე წყალდიდობის დროს დაიღუპნენ. მოსწავლეებს ტკბილეულით, სათამაშოებითა და საკანცელარიო ნივთებით ტურისტები ამარაგებენ.

⅄ კოპენჰაგენის (დანია) ორესტადის გიმნაზია 2007 წელს სკანდინავიის საუკეთესო სასწავლო შენობად აღიარეს. კომუნიკაციებით დაინტერესებული მოსწავლეები იქ სწავლას მეექვსე კლასიდან აგრძელებენ. გიმნაზიაში არ არის აუდიტორიები. გამოყოფილია დასვენების ზონები. მოსწავლეები სკოლაში ნოუტბუკებისთვის უფასო ინტერნეტით სარგებლობენ.

⅄ თავგადასავლების სკოლა ბოულდერში (კოლორადო, აშშ) მდებარეობს. მოსწავლეებს გაკვეთილები ფერმებში, სუფთა ჰაერზე უტარდებათ, ინგლისურისა და მათემატიკის გარდა. ფერმერებთან ერთად ცხოვრობენ და მათ ყოფა-ცხოვრებას ეცნობიან. გარდა ამისა, სკოლაში რამდენიმე საგანი საინტერესოდ ისწავლება. მაგალითად, არქიტექტურას მოსწავლეები ქუჩაში სწავლობენ. გეოგრაფიასა და ბიოლოგიას — ტყეში. სკოლის მასწავლებლები მოსწავლეებს სიმღერების წერაში, როკჯგუფებისა და ვიდეოთამაშების შექმნაშიც ეხმარებიან და სცენარებსაც წერენ. მოსწავლეებს ფეხბურთის გარდა, იოგის გაკვეთილები უტარდებათ, სწავლობენ მთის ველოსიპედების მართვასაც. ■










## იაპონური სენსაცია
## სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული
**სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 7 | 2 | 4 | 6 | 1 | 3 | 5 |
| 2 | 3 | 1 | 5 | 7 | 8 | 9 | 6 | 4 |
| 4 | 5 | 6 | 3 | 1 | 9 | 8 | 2 | 7 |
| 8 | 1 | 2 | 4 | 6 | 3 | 7 | 5 | 9 |
| 3 | 4 | 5 | 7 | 9 | 2 | 6 | 1 | 8 |
| 6 | 7 | 9 | 8 | 5 | 1 | 2 | 4 | 3 |
| 5 | 9 | 3 | 1 | 2 | 7 | 4 | 8 | 6 |
| 1 | 6 | 8 | 9 | 3 | 4 | 5 | 7 | 2 |
| 7 | 2 | 4 | 6 | 8 | 5 | 3 | 9 | 1 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | 5 | 7 | 2 | 6 | 8 | 3 | 9 |
| 2 | 3 | 9 | 5 | 8 | 4 | 1 | 7 | 6 |
| 8 | 6 | 7 | 1 | 3 | 9 | 4 | 2 | 5 |
| 3 | 5 | 1 | 2 | 6 | 8 | 7 | 9 | 4 |
| 9 | 8 | 6 | 3 | 4 | 7 | 2 | 5 | 1 |
| 4 | 7 | 2 | 9 | 5 | 1 | 3 | 6 | 8 |
| 6 | 2 | 3 | 4 | 1 | 5 | 9 | 8 | 7 |
| 7 | 1 | 8 | 6 | 9 | 3 | 5 | 4 | 2 |
| 5 | 9 | 4 | 8 | 7 | 2 | 6 | 1 | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 5 | 8 | 9 | 4 | 2 | 1 | 6 | 7 |
| 6 | 2 | 4 | 1 | 7 | 5 | 9 | 8 | 3 |
| 9 | 1 | 7 | 6 | 3 | 8 | 4 | 2 | 5 |
| 2 | 3 | 5 | 7 | 8 | 1 | 6 | 9 | 4 |
| 7 | 9 | 1 | 4 | 2 | 6 | 5 | 3 | 8 |
| 4 | 8 | 6 | 3 | 5 | 9 | 2 | 7 | 1 |
| 5 | 4 | 9 | 8 | 6 | 7 | 3 | 1 | 2 |
| 8 | 6 | 2 | 5 | 1 | 3 | 7 | 4 | 9 |
| 1 | 7 | 3 | 2 | 9 | 4 | 8 | 5 | 6 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | | 8 | | 1 | |
| | | 8 | | | 5 | | 6 | |
| | | 7 | | | 4 | | 8 | 9 |
| | | 4 | | 7 | | | | 5 |
| | 7 | | 4 | | 3 | | 2 | |
| 6 | | | | 2 | | 3 | | |
| 5 | 4 | | 9 | | | 2 | | |
| | 8 | | 1 | | | 9 | | |
| | 9 | | 5 | | | | 7 | |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 | 8 | | | | | 5 |
| | 1 | 8 | | 3 | | 2 | 4 | |
| | | 9 | | 5 | 7 | | | 1 |
| | 9 | 4 | | 7 | | | | 2 |
| | | 3 | | | 2 | 5 | | |
| 7 | | | 4 | 1 | | 3 | 8 | |
| 3 | | | 5 | 9 | | 4 | | |
| | 5 | 2 | | 6 | | 7 | 9 | |
| 9 | | | | | 4 | 1 | | |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 | | 6 | | 2 | 9 | |
| | 2 | | 3 | 8 | | | 7 | |
| | 9 | 5 | | 2 | | 3 | | |
| 9 | | | | | 3 | 7 | | |
| 1 | | 4 | | | 7 | 6 | | 3 |
| | | 8 | 5 | | 6 | | | 4 |
| | | 6 | | 5 | | 1 | 3 | |
| | 1 | | | 7 | 8 | | 4 | |
| | 7 | 9 | | 3 | | 8 | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოტოკურიოზები












# „გამომცემლობა პალიტრა L"-ის ახალი წიგნები

## გახდი კინორეჟისორი




სიახლე!

გვ. რაოდ.: 48 გვ.
ფორმატი: 21.5 X 25

ამ არაჩვეულებრივი წიგნიდან თქვენი პატარები ისწავლიან ფილმის შექმნას პროფესიონალის მსგავსად. გაიგებენ, თუ როგორ შეიძლება დრამის, დოკუმენტური ფილმისა თუ ანიმაციის გადაღება. კლიპერბორდის ყუთში კი იპოვიან ყველაფერს, რაც ნამდვილ კინორეჟისორს სჭირდება.




ფასი: 24.99

## ვითამაშოთ სახლში!

ფასი: 7.99




გვ. რაოდ.: 32 გვ
ფორმატი: 21.5X27
ყდა: მაგარი

ამ მხიარული წიგნიდან თქვენი პატარები საუკეთესო საშიანო თამაშებს ისწავლიან. ბავშვები შეძლებენ ითამაშონ "განძის ძებნა" მეგობრებთან ერთად ან მარტო, ასევე შეეჯიბრონ ერთმანეთს კამათლების გოლფში.

სიახლე!

## ვითამაშოთ გარეთ!

ფასი: 7.99




გვ. რაოდ.: 32 გვ
ფორმატი: 21.5X27
ყდა: მაგარი

ამ მხიარული წიგნის მეშვეობით თქვენი პატარები მზიან დღეებს გარეთ ხალისიანად გაატარებენ. ბავშვები შეძლებენ ქანდაკებების ზღვის კენჭებით აგებას და სხვა მრავალი სახალისო თამაშების ათვისებას.

სიახლე!

## როგორ შევარჩიოთ ძაღლი




სიახლე!

გვ. რაოდ.: 176 გვ.
ფორმატი: 25X29
ყდა: მაგარი

ფასი: 19.99

ამ წიგნიდან შეიტყობთ ყველა საჭირო ცნობას ძაღლის, დაახლოებით, 130 ჯიშის შესახებ, რაც გონივრული გადაწყვეტილების მიღებაში – თქვენთვის საუკეთესო ოთხფეხა მეგობრის მოძებნაში დაგეხმარებათ.

## ლეონარდო და ვინჩის უბის წიგნაკი



სიახლე!

ფასი: 24.99

გვ. რაოდ.: 14 გვ.
ფორმატი: 23.5X28
ყდა: მაგარი

შთამბეჭდავი, სამგანზომილებიანი მოდელების დახმარებით ბავშვები აღმოაჩენენ ლეონარდო და ვინჩის არაჩვეულებრივ გამოგონებებს. გადაავლებენ თვალს მის უბის წიგნაკსა და ჩანაწერებს. გაიგებენ, თუ როგორ შეძლო რენესანსის ეპოქაში მცხოვრებმა ადამიანმა ასეთი გენიალური დანადგარებისა და მექანიზმების გამოგონება.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 8(32) 238 26 73; 8(32) 238 26 74 www.elva.ge


28 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე
ფიოდორ დოსტოევსკი
ძმები კარამაზოვები
მხოლოდ კვირის პალიტრის მკითხველისთვის სპეციალური ფასი 7 ლარი
წიგნი 25
ტომი I
50 წიგნი
რომელიც უნდა
წაიკითხო
სანამ ცოცხალი ხარ!
უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

1-
ხ 145/40

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბილაინი®

# ჩაერთე «ბილაინის მეგა გათამაშებაში» 12 იანვრამდე და მოიგე:

- ორი ახალი ტოიოტა ლენდკრუიზერ 200
- სამი ორკაციანი საგზური ლას ვეგასში, სასტუმრო «ცეზარ პალასში», ყველა საგზურის მფლობელს აგრეთვე გადაეცემა 5000 დოლარი

მონაწილეობისთვის აკრიფე *500#




რეგისტრაცია უფასოა
მომსახურება «მობილური გადარიცხვის» სარგებლობის შემთხვევაში ბილეთი არ გერიცხებათ
ბალანსის ერთჯერადად ყოველი 3 ლარით შევსებისას მიიღებ გათამაშების 1 ბილეთს
გათამაშება გაიმართება 15 იანვარს რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში 18:30 საათზე
ნებართვის № 19-03/274

www.beeline.g